

ქვირის პალიტრა



გასროლა თეთრი
„ნივიდა“



36(65) 6/IX.-12/IX.2001.
ნაბი 60 თ.

მკვლელთა
ქოზულაუბი

როგორ
მოვიხსნათ
ჯადო?
რას გვირჩევს
მღვდელი


1168
2001



აპირებს თუ არა ექვ გერიძე
სხეულის დანარჩენი
ნაწილების გაზრდას

გვ.22

დავით სტოტლოვი:
რატომღაც სასიდედრომ
ამითვალწუნა და
აბრახნიულად იყო
ჩემ მიმართ განწყობილი.
რომ, ვიხსენებ ვეხინება:
ჩემს სიდედრს თითქოს
ხელი უნდა შეეხალა,
თავისი მკაცრი
პოლიტიკით, და გონი
პირიქით — დაგვეხმარა...



ბინათურები

„სიმყრალემ აქამდისაც
კი მოაღწია...“ 3

კოვჩია

ზინტარესებო, როგორ გავხლი
„ლიქტატორის“ მრჩეველი? 4

კოლა

აპირებს თუ არა ეპა ბერიძე
სხეულის ღანარჩენი ნაწილების
გაგრძას 7

ტრაფიკი

თეთრი, ქატიქათა ქართველი
გოგონები კუნაძეძივით
შავ ბიჭებს მიჰყვებიან 9

ანტილაკრასნატი

ინფორმაციულ-შეგნებებითი
კოლაჟი გორა ღვალის
უბის წიგნაკიდან 12

სხოვრება

რით ხიზლავენ ამერიკელებს
ნაშვილები ქართველი გავშვები 12

პროგნოზი

შიშველი ქალების სიმრავლემ
მამაკაცებს ალბათ რეაქცია
ღააკარგვინა... 14

ტაქარი

„როცა შავი მაგიისგან
თავისუფლებიან, ვაი
შიგნეულიდან რაღაც კვამლის
მაგვარი ამოსდით...“ 17

სასარგებლო აზრები

აზრთმომგების ენციკლოპედია 19

კრიტიკალი

შურისძიება მაგის სისხლის
ასაღებად თუ პოლიტიკური
მკვლელობა? 20

პროსონ

სისხლით თავისუფალმა
„კავაკმა“ სასიღვლო ქართული
თავდაჭერილობით მოხიბლა 22

ნაშვილი აგავი

ფილო და ფიდელა 25

რეპორტი

„კვარცხლბეკზე არ ავედი, სანამ
საქართველოს ღროშით არ
შეცვალეს საბჭოური ღროშა...“ 26

მსახიობი

„ბელს არ ვუჩივი - ქმრებად
გუგებრავი მსახიობები
მარტუნა ღმერთმა!“ 28

ფსიქოლოგიური თეაზი

რას ნიშნავს ხალი
თქვენს სხეულზე? 31

სამყარო

წყლის ძალა 32

**„როცა შავი მაგიისგან თავისუფლებიან, ვაი
შიგნეულიდან რაღაც კვამლის მაგვარი ამოსდით...“**



გათვალულ ადამიანს ვერაფერს
შველის ექიმი. მისი ხსნა მხოლოდ
იმ რიგუალის ჩაგარებაშია, რასაც
ეკლესია გვასწავლის. ამის დასტურ-
ად, ჯერ ორი ადამიანის ნაამბობს
შემოგთავაზებთ, შემდეგ კი, ინგერ-
ვის მამა აკაკისთან - მოძღვართან,
რომელმაც, ბევრი ადამიანი დაიხს-
ნა შავი მაგიის გყვეობისაგან.

17

**ბელს არ ვუჩივი - ქმრებად გუგებრავი
მსახიობები მარტუნა ღმერთმა!**

შევედით პავლიონში და მეს-
მის ღრიალი - თურმე კახი კაფ-
საძე საცვლები ამარა მის და
ელოდება, რომ რეჟისორი ცოლს
მიუყვანს. დამინახა ამ დროს კახ-
იმ და გაუფართოვდა თვალები:
გულჩინა, რა გინდა აქ, ამ არცთუ
ისე წესიერ ხალხშიო?!



28

**შურისძიება მაგის სისხლის ასაღებად
თუ პოლიტიკური მკვლელობა?**




შინისკენ მიმავალი თანამდებო-
ბის პირის გვერდით მოულოდ-
ნელად თეთრი „ნივა“ გაჩერდა. მან-
ქანაში მჯდომმა ახალგაზრდამ უე-
ცრად მისკენ ცეცხლსასროლი იარ-
ალი გაიშვირა და ესროლა. ვახტანგ
გოგიტიძე უსულოდ დაეცა. მკვლე-
ლი გოგიტიძის ძმისშვილი - ბესიკ
გოგიტიძე აღმოჩნდა.

20

**„კვარცხლბეკზე არ ავედი, სანამ
საქართველოს ღროშა არ აღგართმს“**

ბოლო ათი წლის მანძილზე სა-
ქართველო უამრავმა სპორტსმენ-
მა დაგოვა. მათ შორის, ვის წასვლა-
საც დიდი აჟიოგაჟი მოჰყვა, ერთ-
ერთი უპირველესი კახი კახიაშვილია.
გასაგებია: ოლიმპიური ჩემპიონები
იშვიათად გოგებენ სამშობლოს,
უფრო სწორად - სამშობლო ვერ
ელევა ამ რანგის სპორტსმენებს...



26

წიგნები

ქრისტეს სჯულისათვის
თავგანწირული კიდე
ერთი სკარსელი 34

საბანური

ლიბიაჟას ვერცხლის მონეტას
თვით ეჭვითვე თაყაიშვილმა
შეავლო ხელი 35

მოგზაურის დღიური

რას უქალის ბულგარელი ქალის
ღიმილი ქართველ ტურისტს 36

ისტორია

კრწანისის ბრძოლა,
რომელმაც რუსეთთან
„დამოუკლება“ დააჩქარა 39

პარსული

კრისტინა რიჩი -
არშემდგარი ლოლიტა 42

რომანი

ბესიკ კეკელიძე,
ქალი-ოგოზა (ბაზრქალება) 44

ავტო

48

ჯანსაღობა

- სიმსუქნე 50
- რჩევები 51
- ღიასახლისის კუთხე 52
- ფილოსოფიის კუთხე 52
- კითხვა-პასუხი 53

უსიყვარი

შინსახკომში გამოკახებულ
მეცნიერს საყვარელი
საწამლავი ჩაეკერებინა... 54

შეხვედრა

ალისტერ კროული,
მეტსახელად მხეცი 57

ტესტი

ერთგული მკითხველი 59

ვიტორია

დაისვენეთ, გაერთეთ,
ივარჯიშეთ! 60

საწარმო

61

პროსკოვი

კვირის (10-16 სექტემბერი)
ასტროლოგიური პროგნოზი 62


ტესტი

უფროსი დეპუტატი თუ არა
საკუთარ ჩანგრეთელობას? 63

კალენდარი

4-4-4-4-4-4-4-4-4-4 64

**თეორი, პრაქტიკა ქართველი გოგონები
კუნაპტივით შავ ბიჭებს მიჰყვებიან**



გვქონდა ასეთი შემთხვევა: ერთმა მანგმა, რომელიც რესტორან „ევროპაში“ მუშაობდა, ქართველი გოგონა შეერთო და მის გვარზე გადავიდა. ვაჟი რომ შეეძინათ, მოვიდა „ჩვენი სიძე“, მოიყვანა ადვოკატი და აგება ერთი ამბავი: ბავშვი ჩემს პირვანდელ გვარზე უნდა ჩამიწეროთ.

9

**რით სიზღაგენ ამერიკელებს
ნაშვილები ქართველი გოგონები**

40 ბავშვი მყავს აღზრდილი და საიდუმლოდ გეტყვით: 12 წლის მანძილზე არ მიგრძენია მათგან ისეთი სიტბო, როგორც აქაურმა ბავშვებმა 1 საათში მაჩუქეს.



12

**კრისტინა რიჩი -
არშემდგარი ლოლიტა**



კრისტინა რიჩის მწუხარე რთლების ოსგატს უწოდებენ. თავის ღრთბე კრისტინაზე ამბობდნენ, რომ კინოში მისი ნამუშევარი შოკური თერაპია იყო მაყურებლისთვისაც და მისთვისაც. თვით კრისტინა კი ირწმუნება: მსახობი რომ არ გამხდარიყო, 18 წლის ასაკში თავს მოიკლავდა.

42

ქალი-ობობა

- სასამართლოს არ დაესწრები?
- არა, - უპასუხა ვიორგიმ. შემდეგ მამაკაცები გვერდით გაიხმო, ყველას დაკვირვებით გადახედა და უთხრა: მოდი, ვინმე მკვლეელი ვიქირათო და ის ახვარი დავაბრუნებინოთ.



44

გარეკანზე: გიორგი შორაშოლიანის კოლაჟი


საზოგადოებრივ-პოლიტიკური შურნალი „გზა“ გამომცემის კვირავი მრთხელ, ხუთშაბათობით გავით „კვირის კალიტრის“ დამატება

შურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.

მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
რედაქტორი: გოჩა ტყეშელაშვილი
მენეჯერი: კიაზო ბიჩინაშვილი

მისამართი: თბილისი, აკურის ქ. №8 ტელ: 33-50-32
შურნალი იბეჭდება გამომცემლობა „კოლორი“


„სიმყრალემ აქამდისაც უკ მოატნია...“



ორშაბათის „კვირის პალიტრაში“ ძალიან მაგარი რამე ეწერა (საერთოდაც ძალიან მაგარი გაზეთია): ტყუპ ძმებზე გეუბნებით – ხასანაზე და ხუსეინაზე, „სალათას ძილით“ რომ დაუძინიათ და გამოღვიძებულებს წინასწარმეტყველებისა და მკურნალ-მისნობის ნიჭი რომ აპყლიათ ლოგინიდან.

გარდაბნის რაიონის სოფელ ქესალოში სახლობენ ეს ძმები და სულაც რომ ტყუილებს ლაპარაკობდნენ, საქვეყნო საქმეს თუნდაც იმით აკეთებენ, რომ ერთ ათ კაცს მაინც („მარშრუტკის“ მძღოლებს) ყოველდღიური სარჩო-საბადებელი გაუჩინეს.

როგორც იტყვიან: „ეს ყველაფერი – არაფერი“, მაგრამ მისნობასთან და, თქვენ წარმოიდგინეთ – ქესალოსთანაც, მე ჩემი პირადი დამოკიდებულება მაქვს, უკვე კარგა ხანია. ქესალოდან დავიწყით: კომუნისტების „ბოლო ბანაობის“ დროიდან დაწყებული, „ადრეული ბარდაკის ეპოქით“ გაგრძელებული და „დიდი პოლიტიკოსის“ ნაშემო-ქმედარი „საყოველთაო სტაბილიზაციით“ დამთავრებული, ამ სოფელში ხშირად მიხდებოდა ჩასვლა ავტოსათადარიგო ნაწილების საყიდლად – „ნოლსემის პაკრიშკები“, „ნოლშესტის ვკლადიმ-პორშინები“, „ზავადსკოი ცეპლენიის დისკები“, „კანდიციონი ჟემტი“... რა გინდა, სულო და გულო. ცოტა ძვირი კი იყო, მაგრამ ნაღდი იყო. ერთი სიტყვით, ახლა რომ „ელიავას ბაზრობაზე“ დადიან „ჟიგულების“ პატრონები, ეგრე მე მაგ ქესალოს ვსტუმრობდი. ეს – ესე. ახლა – ხასანა და ხუსეინა: მაგ „კაშპიროვსკების“ არსებობა მაშინვე ვიცოდი, მაგრამ არასოდეს მომსვლია აზრად, რომ მივსულიყავი და რჩევა მეკითხა, ან რამე მეთხოვა, იმიტომ, რომ მე თვითონ უკვე მაშინ არავისზე ნაკლები „წინასწარმეტყველი“ არ ვიყავი, მაგრამ ყველაფერს ბედი უნდა – „ზოგისა ბამბაც ჩხრიალებს და ზოგისა – კაკალიც არაო“, ნათქვამია. ეგრეა ჩემი საქმე. არც „სალათას ძილი“ დამჭირვებია და არც კლინიკური სიკვდილი – ერთ მშვენიერ დღეს მივხვდი, რომ წინასწარ, სუნით ვგრძნობ ყველაფერს: მეცა ერთხელ მძორის სუნი, მივიხედ-მოვიხედე და – არაფერი. ცოტა ხანში „უძლეველ ძმურ კავშირს“ ყოფა ეტირა... მერე იყო და რაღაც უცნობმა თუ დიდი ხნის დავიწყებულმა სურნელმა დამახვია თავბრუ და მალე დამოუკიდებლობასაც ველირსეთ... ბოლოს ისე განმვიფთარდა ეს „მისან-ყნოსვა“, რომ პირდაპირ „სახელებს“ ვარქმევდი: ეს მხედრიონის სუნია, ეს – თარგამადის ფულების, ეს კიდევ – კორუფციის წინააღმდეგ „ბრძოლის“ და ა.შ.



ჰოდა, მითხარით ერთი: რა მიხდოდა ქესალოში, „რულევიო კალონკისა“ და „ვიჟიშნი პაჩენიკის“ გარდა?! მაგრამ, როგორც აღვნიშნე, ბედი უნდა ყველაფერს: ხასანასთან და ხუსეინასთან მინისტრები, პარლამენტარები, ბიზნესმენები და სხვა „ქელან-

სასტავი“ დადის; ხანჯლებს, მაყუთს, „ტრიციტადინებს“ და ვიდეო-ტელეფონებს ჩუქნიან, მე კიდევ – ყოველ ხუთშაბათს „ფაიზალს“ გამცნობთ ხოლმე ჩვენი ჟურნალის საშუალებით და თხუთმეტ ლარს ვიღებ ჰონორარად. მერე ის მინისტრები 60 თეთრად იგებენ მოსალოდნელი საფრთხის შესახებ (ისე, უნდა შეეთავაზო ჩვენი ჟურნალის უფროსობას, რომ ასეთი კატეგორიისთვის მისი ფასი გაიზარდოს)...

ბოლოს და ბოლოს, პროფესიულად შეურაცხყოფილად ვგრძნობ თავს: ხასანას და ხუსეინას „ვოლგა“ და მე – არაფერი?! არა, ძმაო, აღარ მინდა! დღეიდან აღარაფერს ვამბობ: ამ ანტიკორუფციულ რია-რიას რომ დიდი დღე არ უწერია, არც იმას ვიტყვი, თარგამადე რომ რაღაც უშნოდ და „სხვანაირად“ იღიმის – არც იმას, და არც იმაზე დავასველებ სიტყვას, შევარდნადე და აბაშიდე რომ „პაღ-პოლნი ძმაკაცები“ არიან!..

დალოცვილებო, ერთი მადლობა არ გითქვამთ ჩემთვის და ქესალში „გრევებით“ ჩაღიხართ?! რატო რა, მე იმათზე აღრე არ ვთქვი, შევარდნადეს „თავისი გამოზრდილი ჭუკები“ დაკორტნიან-მეთქი?! თუ ეს არ მითქვამს, რომ მიშა მაჭავარიანი იმიტომ დანიშნეს მინისტრად, რომ მალევე წასულიყო და ყველაფერი დაბრალებოდა?! ეგ კიდევ – ქესალოში დარბის! იმის იქით წადით, ძმაო! მე – პას! მუქთად მუშაობას მოვრჩი

და ჩემს პირობებს გიყენებთ: სააკაშვილმა მანქანა მიყიდოს და ვეტყვი, რომ ტირილის სუნი მცემს; თარგამადემ პანკისში გასამგზავრებელი „ტურისტული ჯგუფის“ სიაში არ შემეყვანოს და გარანტიას მივცემ, რომ ფეხებსაც ვერ მოსჭამენ; ნუგზარ შევარდნადე, იმათ რომ „გაზ-31“-ებს სჩუქნის, მე მხოლოდ ბენზინი ჩამისხას სააკაშვილის ნაჩუქარ მანქანაში და „ატეჩაი“ ვარ, რომ კიდევ ერთ მილიარდს „ჩაიზავაჟნიკებს“, მერაბ ჟორდანიამ ერთი ტრანსფერის სათავესო წილი დამითმოს და ჩვენს ნაკრებს მსოფლიო ჩემპიონატზე გაიყვან, პრეზიდენტმა მხოლოდ თავისი ავტოგრაფიანი სურათი მაჩუქოს და ირინა სარიშვილს ვაკის არჩევნებს მოვაგებინებ!

აი, ესე! მოვრჩი მუქთად მუშაობას, თქვენნი სანტა კლაუსი კი არა ვარ!

P.S. გურამ დოჩანაშვილის „სამოსელი პირველში“ ერთი გიჟად შერაცხული მართლა წინასწარმეტყველი ასეთ რამეს ამბობს: „ძმებო! შორს არის ჩვენგან დიდი ქალაქები: რომი, პომპეა და რიო-დე-ჟანეირო! მაგრამ სიმყრალემ აქამდისაც კი მოაღწია!“ აგე, თუ არ არსებობს „სუნით მისნობა“. მე კიდევ, სწორედ ახლა – ერთი-ორი თვის ამბავში, ძალიან ფინთი სუნის მცემს! რისი?! – მაიტათ და გეტყვით...

(თბილისი რომ არ უფუჭებდეს საქმეს). საერთოდ კი, მე თუ მკითხავთ, ჩვენი მშველელი არც რუსეთია და არც აშშ, და არ უნდა ველოდოთ მათგან დახმარებას. ჩვენი მამოძრავებელი კრიტიკური იუმები, იდეა ის უნდა იყოს მხოლოდ, თუ რა არის კარგი საქართველოსთვის, რა მოგვიტანს სარგებლობას. დღეს ჩვენს ქვეყანაში ბევრს აქვს იმის იმედი, რომ ამერიკელები შეგვინახავენ. ეს არ მოხდება: ამერიკელები ჩვენ თავს არ მოგვატყუებენ — ისინი მოგვცემენ იმდენს, რომ ჩვენ შიშხილით არ მოგვკვდეთ, უფრო სწორად — არც მშვიდები ვიყოთ და არც მადრები. თუ მადრები ვიქნებით, ამერიკა რაღაში დაგვჭირდება?.. თუ მშვიდები დავრჩებით, სულ ადვილად შეიძლება რუსეთის ბანაკში გადაბარგდეთ, ეს კი ამერიკელებს ხელს არ აძლევს...

რუსებიც და ამერიკელებიც ცინიკოსები არიან და მხოლოდ საკუთარი სარგებლობის პრიზმაში უყურებენ საქართველოს. არც იმის იმედად უნდა ვიყოთ, რომ მივუსხდებით ნავთობსადენის მილს და განცხრობით ვიცხოვრებთ. ეს არ მოხდება და კმარა ამგვარი სატყუარებით ხალხისათვის თვალში ნაცრის შეყრა. მესმის, რომ ტრანზიტი და „დერეფანი“ რაღაც მოგებას მოგვითანს, მაგრამ არა იმდენს, რომ ქვეყანა კრიზისიდან გამოიყვანოს — ეს იქნება ნამცეცები სხვისი ნასუფრალიდან. ამგვარი ილუზიები ქვეყანას, ხალხს ეკონომიკურადაც ღუპავს და ფსიქოლოგიურადაც ხომ სპობს და ანადურებს.

— ცენტრის დაუკითხავად, ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანა რამდენად გამართლებულად მიგაჩნიათ?

— რეგიონალიზმის საკითხები ჩვენში დიდი ხანია მომწიფდა. სამწუხაროდ, ცენტრალური ხელისუფლება არაფერს აკეთებს ამ მომწიფებული პრობლემის გადასაჭრელად. ევროსაბჭოსთან, რომლის წევრი საქართველოცაა, არსებობს ევროპის რეგიონთა ასამბლეა, რომელიც ევროპის ქვეყნების სამასზე მეტ რეგიონს აერთიანებს. ეს ძალზედ საინტერესო ორგანიზაციაა, რომლის შექმნაც ევროპაში თვით ცხოვრებამ მოიტანა. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკაც ამ ორგანიზაციის

წევრია. მისი ახალი კონსტიტუცია სწორედ ევროპის რეგიონთა ასამბლეისა და სხვა ევროპული დოკუმენტების საფუძველზეა დაწერილი. ჩვენ ხომ ევროპელები ვართ! რამ აიძულა ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობა, რომ ახალი დოკუმენტი მიეღო? თბილისის უმოქმედობამ, რომელმაც არ იზრუნა ცენტრსა და რეგიონს შორის უფლებების გამიჯვნაზე და ვინაიდან ცენტრმა ეს არ გააკეთა, აჭარის ხელისუფლებამ ამაზე თვითონ დაიწყო ფიქრი. დრო აღარ ითმენს, საქართველოს უაღრესად გაუგრძელდა გარდამავალი პერიოდი. ის, რაც აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში გაკეთდა, შეიძლება ძალიან მნიშვნელოვანი აღმოჩნდეს აფხაზეთის საქართველოსკენ შემოსაბრუნებლად. რაც შეეხება იმას, თუ რას დაარქმევ აჭარის ლიდერს — პრეზიდენტს თუ მეთაურს, ან უმადლეს საკანონმდებლო ორგანოს რას უწოდებ — პარლამენტს თუ სახალხო კრებას, ეს, ვფიქრობ, მეორეხარისხოვანი საკითხებია. კიდევ ვიმეორებ: აჭარაში კონსტიტუციური ცვლილებები განპირობებულია იმით, რომ ქვეყნის კონსტიტუციაში ეს საკითხები არ არის გააჭრილი!

— ამ ცოტა ხნის წინ აჭარის ლიდერმა ჩინეთში იმოგზაურა. როგორც ცნობილია, განსაკუთრებით, იქაური თავისუფალი ეკონომიკური ზონები აინტერესებდა. თქვენც ხომ არ ახლდით ბატონ ასლანს და, საერთოდ, რა სიკეთეს მოუტანს, თქვენი აზრით, აჭარის მოსახლეობას თავისუფალი ზონის შექმნა?

— აჭარის დელეგაციას ჩინეთში არ ვახლდი, მაგრამ უფრო ადრე ვიყავი იქ — პრეზიდენტ შევარდნაძის ვიზიტისას და მასთან ერთად დავათვალიერე ჩინეთის თავისუფალი ეკონომიკური ზონები. მასსოვს, პრეზიდენტი როგორ აღაფრთოვანა დალიონის თავისუფალ-

მა ეკონომიკურმა ზონამ. უკან რომ ვბრუნდებოდი, პრეზიდენტმა თვითმფრინავივე ჩაატარა თათბირი და აღნიშნა, რომ საქართველოშიც, ბათუმი-სამტრედია-ანაკლიის სამკუთხედში, უნდა მოეწყოს თავისუფალი ეკონომიკური ზონა. მერე რა მოხდა, რატომ შეიცვალა შევარდნაძემ განზრახვა? — არ ვიცი.

როცა მეკითხებით, რა სიკეთის მოტანა შეუძლია თავისუფალი ეკონომიკური ზონას (თეზ) აჭარისთვის, მინდა მოგახსენოთ, რომ კანონპროექტი, რომელიც „ალორძინებამ“ წარმოადგინა და პარლამენტში ჩააგდეს, არ იყო მარტო აჭარაზე გათვლილი: მასში მთლიანად საქართველო მოიაზრებოდა და კანონს იუნიდოს ექსპერტიზაც ჰქონდა გავლილი, ეს კი სერიოზული საერთაშორისო ორგანიზაციაა... საერთოდ, თავისუფალი ეკონომიკური ზონები ცუდი რომ იყოს, დედამიწის 800-ზე მეტ წერტილში არ იარსებებდა. პირველი თავისუფალი ეკონომიკური ზონა 1959 წ. ირლანდიაში, შენონის საერთაშორისო აეროპორტის ზონაში შეიქმნა. შემდეგ იგი ფართოდ გავრცელდა განვითარებად ქვეყნებში — მექსიკაში, ბრაზილიაში, ინდოეთში, სინგაპურში და ა.შ. კომუნისტური მარწუხებისგან გათავისუფლების შემდეგ, თეზ-ები დაარსდა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში — უნგრეთში, რუმინეთში, ბულგარეთში. ძირითადად, ოთხი ტიპის თეზ-ი არსებობს და საქართველოსთვის, ერთ-ერთი, ყველაზე ხელსაყრელი შეიძლება შეირჩეს. ასე რომ, აქ მარტო აჭარისთვის სასიკეთო საქმეებზე არ არის ლაპარაკი, თავისუფალი ეკონომიკური ზონა მთელ საქართველოზეა გათვლილი.

— როგორ შეაფასებდით ბოლო დროს მოქალაქეთა კავშირში მიმდინარე პროცესებს?

— რომ იტყვიან, ყველამ თავისი მკვდარი თვითონ დაიტიროსო. რაც

პრესკონფერენციაზე, აჭარის წარმომადგენლობაში



მოქალაქეთა კავშირში ხდება, ეს შინა-პარტიული საქმეა, მაგრამ რამდენადაც ეს მმართველი პარტიაა და ქვეყანაში სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა ამ პარტიაზე ბევრადაა დამოკიდებული, არ შემოიძლია ორიოდ სიტყვა არ ვთქვა. ის, რომ საქართველო ასეთ ღრმა კრიზისშია, სწორედ „მოქალაქეთა“ უხეირო მმართველობის შედეგია. შვიდი წელია, რაც ისინი საქართველოს ჯიჯგინან და ახლა აეხილათ თვალები? ახლა დაინახეს ქვეყნის გასაჭირი? პრეზიდენტს რომ წერილებს სწერენ, რა, პრეზიდენტი მაგ პარტიის თავმჯდომარე არ არის?!

ორი წელია, რაც პარლამენტში მათ საქმიანობას ვუყურებ, დიას – ვუყურებ. იმიტომ, რომ თუ რამეს ეტყვი, ხიშტებით გხვდებიან... მე არც ერთი მათი მინისტრის დამტკიცებისას (1-2 კაცის გარდა) კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიმიღია, ან თუ მიმიღია, უარყოფითი ხმა მიმიცია. და თუ მათი ტაშ-ფანდურით დანიშნული მინისტრები კორუპციურები არიან, – რა, არ იცოდნენ, ვის ნიშნავდნენ? ოპოზიცია არ აფრთხილებდა? მაგათ ქვეყნის მართვა, ბატონო ჯაბა იოსელიანის თქმისა არ იყოს, ლობიობა ხომ არ ჰკონიათ...

მინდა ერთი საინტერესო ფაქტი გავისხენო: როცა ერიტრიამ (შეიძლება ბევრმა მათგანმა არც კი იცის, რომ ასეთი ქვეყანა არსებობს) დამოუკიდებლობა მოიპოვა და მათი პრემიერ-მინისტრი გაეროს გენერალურ ასამბლეაზე მიიწვიეს, მან გენერალურ მდივანს ბოლიშის წერილი გაუგზავნა: მთელი მთავრობა ოქსფორდის უნივერსიტეტში ჩათვლებსა და გამოცდებს აბარებს ფინანსებისა და ეკონომიკის საკითხებში და გენერალურ ასამბლეას ვერ დავესწრებითო... ამათ სწავლას ვინ ჩივის? – კოლეგების მოსმენა არ უნდათ. საერთოდ, უნდა ითქვას, რომ მოქალაქური იმთავითვე დასაშლელად იყო განწირული, რადგანაც იქ საკმაოდ ჭრელმა ხალხმა მოიყარა თავი. ისინი ხომ პრეზიდენტის ფრთის ქვეშ გაერთიანდნენ იმ იმედით, რომ ქონების განაწილება-გადანაწილებაში მიიღებდნენ მონაწილეობას. ახლა დაერივნენ ერთმანეთს. შვანიას ჯგუფის მიერ ატეხილი ხმაური, ერთგვარი თვითმიზანია იმ არეულობისთვის, რომელიც შვანიას

სჭირდება, – მან ხომ ბოლო დროს ბევრი შეცდომა დაუშვა. ბოლოს და ბოლოს, საქმე ეხება პოსტ-შევარდნადისეულ პერიოდს: როგორც ჩანს, შვანიასა და მის ჯგუფს სურთ, შევარდნადისაგან სამომავლო გარანტიები მიიღონ, მაგრამ ამ გარანტიებისთვის ბრძოლაში, გადალახეს პოლიტიკური ეთიკის რაღაც ზღვარი, რამაც შევარდნადის მათ მიმართ ეჭვი გაუჩინა. დააკვირდით, ვინ უფრო იჩენს თავს დაპირისპირებაში – პრეზიდენტი თუ შვანიას ჯგუფი? ეს უკანასკნელი ცდილობს, გადაადგმევინოს შევარდნადისეული ნაბიჯები, რომელიც მათ მომავალს უზრუნველყოფს. შვანიას ჯგუფის ქმედებები ძალისმიერია, მაგრამ არც შევარდნადია ის „ჩიტი“, რომ მათ ქმედებებს აჰყვეს.

— ბატონო გივი, ჩვენს ქვეყანას მსოფლიოს უღარიბეს ქვეყანათა რიგში მოხვედრას უწინასწარმეტყველებენ. ზოგიერთი მაღალი რანგის ჩინოვნიკი ამაში ცუდს ვერაფერს ხედავს, პიროქით...

– მთელი უბედურება ისაა, რომ ელემენტარული თავმოყვარეობა დაკარგეს და მათხოვრობაში ცუდს ვერაფერს ხედავენ. სახელმწიფო არა მარტო იძულების ორგანოა, არამედ დარწმუნებისაც. რაში არწმუნებს ჩვენი ხელისუფლება დანარჩენ სამყაროს? მხოლოდ იმაში, რომ ძალიან კორუპციურებული და უნიათოა. ჯერ კიდევ გასულ წელს აშშ-ის კონგრესმა თავის ყოველწლიურ მოხსენებაში საქართველოს კერძომდგარი სახელმწიფო უწოდა.

ჩვენში შუა საუკუნეების ფსიქოლოგიაა გაბატონებული. დარღვეულია ტრადიციულ ფასეულობათა სისტემა, ძლიერი „იდენტიფიკატორები“ – რელიგია, იდეოლოგია, ერი, სახელმწიფო. ჩვეული სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურებიც დაკარგულია, ახალი კი არ შეუქმნიათ. ასეთ დროს ძლიერდება დაბნეულობა, აგრესიულობა, მღელვარება, ანარქია, ყველა სფეროში ჩნდება ექსტრემიზმი – თვით რელიგიაშიც კი. დამოუკიდებლობის პერიოდში წარმოშობილი ნუვორიშები, რაკილა სიცოცხლის რისკით (ქურდობით, ბანდიტობით, რეკეტით) იხვეჭენ ფულს, ხარჯვაშიც უაზრონი არიან – ქიფსა და დროს ტარებაში, უზარმაზარ ვილებში ფანტავენ ფულს. რატომ? – იმიტომ, რომ იციან: დღეს თუ ხვალ მოკლავენ, ამიტომაც ცხოვრობენ ერთი დღის ცხოვრებით. თქვენ შეიძლება მითხრათ: სასახლეების მშენებლობა ერთი დღისთვის არ ხდება, მაგრამ ესეც ჩვენი ფსიქოლოგიიდანაა: ნახეთ, რა ყოჩაღი ვარო! – ამას მეზობლებისა და სხვათა „თვალების დასაფსებად“ აკეთებს...

ამ რამდენიმე ხნის წინ ცნობილმა ქართველმა ფსიქოლოგმა გაგა ნიჟარაძემ ჩაატარა სოციოლოგიური გამოკითხვა და მიიღო შემადრწმუნებელი შედეგი: კითხვას – „გიყვართ თუ არა სამშობლო?“ – დადებითი პასუხი რესპონდენტთა 100%-მა გასცა, მაგრამ კითხვაზე – „რა გრძობები გინდათ ჩაუნერგოთ თქვენს შვილებს?“ – პატრიოტიზმი პასუხების ოცეულშიც კი არ შევიდა!!!



ინდოელ (მარცხნივ) და ამერიკელ სენატორებთან შეხვედრისას

აკირებს
თუ არა
ეკა ბერიძე
სხულის
დენარჩენი
ნანილაზის
გაზრდას



როგორც ვიცით, ეკა ბერიძე ახალ გადაცემას ამზადებს და ახალი იმიჯისთვისაც ზრუნავს. გავრცელდა ინფორმაცია, რომ ეკამ ტურის ფორმაც კი შეიცვალა. რას აპირებს ეკა ბერიძე უახლოეს მომავალში? როგორი იქნება მისი გადაცემა? ამ კითხვებზე პასუხის მისაღებად ეკას ტელევიზიაში შევხვდით. ეს გიორგი სანაიას დალუპვის მეორმოცე დღეს დაემთხვა და, ბუნებრივია, ამ თემასაც შევეხეთ.

მაშ ასე, გთავაზობთ ინტერვიუს ახალი სატელევიზიო გადაცემის — „რას ფიქრობს ხალხი“ წამყვანთან, ეკა ბერიძესთან.

ქლისო ბურბანიძე

— არამც და არამც არ შემოვიფარგლები პოლიტიკით. ჩემს გადაცემაში იქნება პოლიტიკაც, ეკონომიკაც, კულტურაც, ზოგადი თემებიც, რომელიც ყოველთვის აქტუალურია. როგორც წესი, მოვიწვევთ 3-6 მთავარ სტუმარს, 5 ექსპერტს და კიდევ, დარბაზში 65 ადამიანი იქნება. ასე რომ, ტრიბუნებზე სულ 70 კაცამდე მოვროვდება.

— პირველი გადაცემისთვის თუ გყავთ უკვე მონწეული სტუმრები?

— გყავს, რა თქმა უნდა. მთავარი თემა იქნება მიხეილ სააკაშვილის კანონპროექტი დაუსაბუთებელი ქონების შესახებ. გადაცემაში მონაწილეობენ იუსტიციის მინისტრი მიხეილ სააკაშვილი, პრეზიდენტის რწმუნებული იმერეთში თემურ შაშიაშვილი და ანტიკორუფციული საბჭოს ხელმძღვანელი მირიან გოგიაშვილი. გადაცემის მთავარი ხიბლი ის არის, რომ სტუმრებს არანაირი პრივილეგია არა აქვთ — ეთერი თანაბრად დაეთმობა მათაც და დარბაზსაც. პირველი გადაცემა, სამწუხაროდ, ჩანაწერის სახით გავა ეთერში. ამის შემდეგ კი, ვიმედოვნებ, პირდაპირ ეთერში ვიმუშავებთ.

— მსგავსი გადაცემა ბევრი არსებობს. თქვენ როგორ გაგიჩნ-

დათ ეს იდეა?

— ეს შექმნილი გადაცემა: რუსეთში არსებობს ანალოგიური პროგრამა — Глас народа. სწორედ იქიდან მივიღეთ გადაცემის — „რას ფიქრობს ხალხი“ გაშვების უფლება. პირველი გადაცემისთვის გვესტუმრებიან კოლეგები რუსეთიდან — ის ადამიანები, რომლებიც ამ პროგრამაზე მუშაობენ.

— თემებს ტელევიზიის ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით?

— მე ყოველთვის ვათანხმებდი თემებს ხელმძღვანელობასთან. ასე იყო „რუსთავი 2“-შიც. სტუმრებს კი მე თვითონ შევარჩევ. მუშაობა ახლანაირად დაიწყო, მაგრამ არა მგონია, რომ იდეოლოგიური თვალსაზრისით, რაიმე სერიოზული შეზღუდვები მექნება. რაღაც ჩარჩოებში რომ ვიქნები, ცხადია — ეს ხომ სახელმწიფო ტელევიზიაა, მაგრამ „პირველი არხის“ ხელმძღვანელობა თავად არის დაინტერესებული, გადაცემა პოპულარული რომ იყოს და თუ მკაცრ ცენზურას დაუქვემდებარა, ყოველგვარ აზრს დაკარგავს. დარბაზში, სადაც 70 კაცი ზის და გადაცემაში, რომელიც პირდაპირ ეთერში გადის, ბევრს ვერაფერს გააკონტროლებ... რადგან ტელევიზია ამაზე წავიდა, გამოდის, რომ შესაბამისი შედეგისთვისაც მზად არის. ამავე დროს, გადაცემაში სერიოზული ფინანსები ჩაიდო და

არა მგონია, ხელმძღვანელობას არ უნდოდეს, რომ ის კონკურენტუნარიანი იყოს.

— რა თანხებზეა საუბარი?

— ვერ გეტყვით, მაგრამ თუ სტუდიაში ჩახვალთ და გადაცემისთვის შექმნილ დეკორაციას ნახავთ, დარწმუნდებით, რომ მას ანალოგი არა აქვს.

— „რუსთავი 2“-დან „პირველ არხზე“ თქვენი გადმოსვლის ერთ-ერთ მიზეზად, ფინანსურ ინტერესსაც ასახელებენ. თუ უხერხული არ არის, რა თანხაზეა საუბარი?

— მე იანვარშიც შემოთავაზეს დაახლოებით ამავე ხელფასით „პირველ არხზე“ გადმოსვლა, მაგრამ მაშინ სამუშაოდ, ინფორმაციის რედაქციაში („მოამბეში“) მიწვევდნენ და უარი ვთქვი. თოქ-შოუს წაყვანა გაცილებით მაღალი დონის მომზადებას მოითხოვს. ჩემს ინტერესს, ანაზღაურებაზე მეტად, თვით ამ პროგრამაზე მუშაობა წარმოადგენს, თორემ ასეთსავე ხელფასზე სხვა გადაცემაზე არ ვიმუშავებდი.

— ამბობენ, ტურის ფორმა შეიცვლიათ. ეს ახალი გადაცემის წამყვანის იმიჯისთვის გაკეთდა?

— იმასაც ამბობენ, რომ ოპერაცია გავიკეთე... არანაირი ოპერაცია არ გამიკეთებია: ინიექციის საშუალებით, ოდნავ გავიზარდე ტურები, რასაც არანაირი კავშირი არა აქვს ოპერაციასთან.

— როგორ გაგიჩნდათ ეს იდეა? უფრო სწორად, სხულის სხვა ნაწილებს იზრდიან ხოლმე.

— ეს სახის პროპორციულობისთვის გავაკეთე: ჩემს ცხვირსა და ტურებს შორის ოდნავ იმაზე მეტი მანძილია, ვიდრე კლასიკური ნორმების მიხედვით უნდა იყოს.

— მეგობარმა მამაკაცმა ხომ არ გირჩიათ ტურების გაზრდა?

— თუ პარტნიორ მამაკაცს გულისხმობთ, აჭკერად ნამდვილად არ მყავს... მაკა ასათიანთან ვიყავი მისული: ამ გადაცემის წამყვანისთვის კაბებს მაკა კერავს. რომ შემომხედა, მითხრა — ზედა ტური ცოტათი ხომ არ გაგეზარდაო? მეც მომეწონა ეს აზრი. მანამდე, კონტურით, ტურებს ზუსტად ასევე ვიფარებოდი.

— სხულის სხვა ნაწილებს კორექტირებასაც ხომ არ აპირებთ?

— არანაირი სურვილი არა მაქვს.

— გადაცემასთან დაკავშირებით, ნონის დაკლება ხომ არ მოგიწიათ?

— იმ საჭმელებისგან, რომელიც ძალიან მიყვარს, მე თვითონ ვიკავებ თავს. კამერა ისედაც უფრო სრულს აჩვენებს ადამიანს... თუმცა, საერთოდ, საკმაოდ სტაბილური წონა მაქვს.

— ფსიქოლოგიურად, რამდენად

მზად ხართ გადაცემისთვის?

— არ ვიცი, ძალიან ვნერვიულობ, რადგან არ ვიცი, საბოლოოდ რა გამოიძვება ყველაფერს შედეგი გვიჩვენებს.

— ახალ ტელეშოუზე მუშაობას ალბათ დასვენებული შეუდექით!

— დიას. ჩაქვში ვიყავი წასული. ვერ ვიტყვი, რომ კარგად დავისვენე: ეს იმ პერიოდს დაემთხვა, როცა გიორგი სანაია მოკლეს. ამიტომ, დასვენებულად თავს ნამდვილად ვერ ვგრძნობ... უცებ შეიცვალა ბევრი რამ. აქამდე სტაბილური იმიჯი მქონდა. ერთ დღეს გადავწყვიტე ამ იმიჯის დანგრევა და ახლის შექმნა. ეს უკვე სერიოზული გარდატეხაა. გარდა ამისა, დაკარგე მეგობარი, რომელთანაც მხოლოდ საქმიანი ურთიერთობა არ მაკავშირებდა: იგი ჩემს ყოველდღიურ ცხოვრებაში საკმაოდ დიდ ადგილს იკავებდა და დღეს ეს ადგილი ცარიელია. ახლაც, მექანიკურად ვიღებ ხოლმე ტელეფონს, რომ გიორგის დავურეკო და გადაცემასთან დაკავშირებით რჩევა ვკითხო... ავვისტო, სექტემბერი ჩემს ცხოვრებაში გარდატეხის პერიოდაა. ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს ყველაფერს თავიდან ვიწყებ... ჩაქვიდან ერთი თვის წინ ჩამოვედი. იქ, ჩემი აზრით, საქართველოს საზღვაო კურორტებიდან ყველაზე უფრო ცივილიზებული პირობებია. არ არის იმდენი ხალხი, რამდენიც ქობულეთისა და

ბათუმში. თუმცა, დასვენება და მზის აბაზანებით სიამოვნება საკმაოდ ძვირი ჯდება.

— ზაფხულში ყოველთვის ზღვაზე ისვენებთ ხოლმე?

— დიას — თუ იმის საშუალება არ მაქვს, რომ მთელი თვე დავისვენო. როცა მთელი თვე მაქვს, ჯერ მთაში მივლივარ ხოლმე, შემდეგ ზღვაზე.

— საზღვარგარეთ არ მიდიხართ ხოლმე დასასვენებლად?

— ზაფხულობით არა. წელს მინდოდა მარმარისში დასვენება, მაგრამ თვითმფრინავით მგზავრობა ძალიან ძვირი ჯდება, ავტობუსით კი, თურქეთში ბავშვთან ერთად ვერ ჩავიდოდი.

— თავისუფალ დროს როგორ ატარებთ ხოლმე? ბოლო დროს თუ შეიცვალა ამ მხრივ რაიმე?

— სანამ „რუსთავი 2“-ში ვმუშაობდი, სამსახურის შემდეგ კაფეში ან რესტორანში შევდიოდით ხოლმე. რაც გიორგი აღარ არის, იმის ხალისი აღარ მქონია, რომ ხალხმრავალ ადგილებში ვიარო. თუმცა, ახლა გადაცემა კვირაში ერთხელ გავაეთერში და მეტი თავისუფალი დრო მექნება, რომელსაც ჩემს შვილს დავუთმობ.

— გიორგისთან დაკავშირებით ძალიან ბევრი ბნისური ქორი ფრცვლდება. თქვენ რა აზრის ხართ ამაზე?

— ჭორს ვერ შეაჩერებ. ჭორებზე პასუხის გაცემა, მე, მაგალითად, შეცდომად მიმაჩნია: ის თავის ფუნქციას კარგავს, როცა ყურადღებას არ აქცევენ. ტელევიზიიდან და გაზეთებიდან გავრცელებულ ხმებზე პასუხის გაცემა უფრო მალნიანებს, ვიდრე თვითონ ეს ხმები. ანტირეკლამაც რეკლამაა, თანაც — ყველაზე დიდი რეკლამა. ამ ჭორების რეკლამირება ჩვენგან არ უნდა ხდებოდეს. ეს ყურნალისტების შეცდომაა.

— ალბათ ნამდვილი მკვლელი რომ ეპოვათ, ქორებიც აღარ გავრცელდებოდა.

— არავინ იცის, იპოვეს თუ არა ნამდვილი მკვლელი. შეიძლება, ბევრ რამეს არ ამბობენ სამართალდამცავები. მკვლელის მოძებნის გარდა, დანაშაულის დამტკიცებაა საჭირო. ისიც სწორად მიმაჩნია, რომ ყურნალისტებს გამოძიების დეტალებს არ უმხელენ: განხმარების გამო, ბევრი საქმე გაფუჭებულია. იმის თქმა — რომ როგორც არ უნდა გამოიძიონ საქმე, ნამდვილ მკვლელს მაინც ვერ იპოვიან — არასწორად მიმაჩნია.

— თქვენ გაქვთ თქვენი ვერსია?

— არა. ერთადერთი, რისი თქმაც შემიძლია, არის ის, რომ ყველაფერი ძალიან კარგად იყო გათვლილი, — თვით ჭორებზე პრესისა და ტელევიზიის რეაქციაც კი.

— დღეს ბევრს ლაპარაკობენ, თუ რომელი ძალებისთვის შეიძლება ყოფილიყო ხელსაყრელი გიორ-

გის მოკვლა. თქვენ თუ გაქვთ რაიმე შეხედულება ამ საკითხზე?

— საქართველოში იმდენად საინტერესო პოლიტიკური სპექტრია, რომ ყველა შეეცადა, ეს მკვლელობა თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა. დღეს ვრწმუნდები, რომ რაც მოხდა, ყველას ძალიან სჭირდებოდა: არ ღარჩა არც ერთი პოლიტიკური ძალა, ვინც გიორგის მკვლელობა თავის სასარგებლოდ არ შეაბრუნა... მთავარი ის არის, რომ ეს ადამიანი ცოცხალი აღარ არის. „ჩვენ ამ საქმეს ასე არ დავტოვებთ, ეს ყურნალისტური პრესტიჟის საქმეა!“ — გაისმის ხშირად. არ მესმის, რაზეა საუბარი: ჩემთვის გიორგი სანაია უპირველესად, ადამიანი იყო. მე მგონი, ნებისმიერი მკვლელობის გამოძიება აქტუალური უნდა იყოს...

— ზოგჯერ, ადამიანი მართლაც სხვანაირი თვალით უყურებს ყველაფერს: რაღაც ეტაპი მთავრდება და ახალი იწყება. რას იტყვით თქვენი ცხოვრების ახალ ეტაპზე?

— ერთადერთი, რაც შემიძლია ვთქვა, — მეტ პასუხისმგებლობას ვიღებ საკუთარ თავზე. „რუსთავი 2“-ში გიორგი, როგორც მამაკაცი, კრიტიკულ სიტუაციებში, თვითონ იღებდა ხოლმე პასუხისმგებლობას.

— თქვენ თვითონ თუ გიყვართ ინტერვიუს მიცემა?

— დიას.
— **ყურნალისტი რომ ხართ, იმიტომ?**

— თუნდაც კოლეგიალობის გამო, არასოდეს მითქვამს ინტერვიუზე უარი, მიუხედავად იმისა, რომ ჩემი სიტყვები ხშირად, დამახინჯებულად იბეჭდება — თუნდაც ჩემი ინტერვიუ ავილოთ, რომელიც ტუჩთან დაკავშირებით გამოქვეყნდა: ძალიან კარგად ავუხსენი, რომ არანაირი ოპერაცია არ გამიკეთებია, მაგრამ მაინც რა დაბეჭდეს?!
— **სხვათა შორის, ამ ინტერვიუს შემდეგ, პირველი, რითიც მამაკაცები დაინტერესდნენ, ეს იყო კითხვა — შეიცვლიდით თუ არა მკერდის ფორმას ან ზომას?**

— არ ვიცი, შევიცვლი თუ არა. ყოველ შემთხვევაში, როგორც ვთქვი, ნამდვილად არ ვფიქრობ, რომ უახლოეს 3-4 წელიწადში სხეულის კორექტირება დამჭირდება.

— ალბათ გაქვთ პირადი სათქმელი, რასაც ეკრანიდან ვერ ამბობთ ხოლმე...

— ხშირად ხდება ასე. ახლა, პრინციპში, რისი თქმაც მინდოდა, ყველაფერი ვთქვი. მარტო იმიტომ როდი მიყვარს ყურნალისტები, რომ კოლეგები არიან. ზოგჯერ ადამიანს გულის გასწნა თვითონაც სჭირდება...



ქორწილი მუდამ დიდი დღესასწაული იყო ქართველი კაცისთვის. ქორწინების სახელიც, რომელიც 1964 წელს გაიხსნა, თბილისელთათვის უმაღლეს ენობრივ საფეხურს და დასამახსოვრებელ ადგილად იქცა. გავიდა წლები და ამ ადგილზე „საქორწინო მნიშვნელობა“ დაკარგა: ქორწილებმა ძველ უბანში მდებარე, პატარა შენობაში გადაინაცვლა. შემდეგ დაიწყო პოლიტიკური ბატალიებისა და არეულობის წლები და ქორწინებათა რაოდენობამაც მკვეთრად იკლო. რა მდგომარეობაა დღეს? ვესაუბრებით თბილისის ქორწინების სახლის დირექტორს ნანა შუკაბაძეს.



თეთრი, ქათქათა ქართველი გოგონები

რატომ ხდება თეთრი ქორწინებები

ლელა ჭანკობაძე

— ქალბატონო ნანა, როგორც ვიცი, ქორწინების სახლში დიდი ხანია მუშაობთ და მოსაყოლიც ბევრი გქონებთ...

— უწინ ძალიან დიდი იყო მექორწილეთა რაოდენობა: შაბათობით, 120-130 წყვილს ვაქორწინებდით ხოლმე. გაფართოებაც ამიტომ მოვითხოვეთ და ქალაქის მაშინდელი მთავარი არქიტექტორის შოთა ყავლაშვილის გადაწყვეტილებით, ამ შენობაში, რომელიც უკვე საუკუნის ხნისაა, გაიხსნა პატარა ქორწინების სახლი, როგორც ფილიალი. თავდაპირველად, აქ კვირაში ორჯერ მოვდიოდით ხოლმე და თუ ვინმეს მშვიდ, უხმაურო გარემოში უნდოდა დაქორწინება, ვარევისტრიბუნდით. თელეთშიც გვქონდა კიდევ ერთი ფილიალი — უზარმაზარი და ულამაზესი შენობა... თბილისის ომისა და არეულობის დროს, კამოს ქუჩაზე მდებარე ქორწინების სახლი რომელიღაც არასამთავრობო ორგანიზაციამ წავართვა. იქ კარგა ხანს არაფერი ვაკეთებულა: თავიდან საწყობად იყენებდნენ, მერე ბოქლომი ჰქონდა დადებული... ჩვენ არ შეგვიწყვეტია ბრძოლა შენობის დასაბრუნებლად, მაგრამ დღემდე ამაოდ ვიბრძვით...



— რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, არანაკლები ბრძოლა დაგჭირდათ ამ შენობისთვისაც.

— დიახ. ბევრი ვიომეთ მის შესანარჩუნებლად: წინათ თურმე სახლები ნაყარ მიწაზე შენდებოდა. ამის გამო, გაიხსნა კედლები და ერთიანად გადავარდა ფანჯრები. მთელი შენობა გადაიბრცა; მაინც ვმუშაობდით, პარალელურად, ავტენხეთ განგაში. ჩვენ მერიის დაქვემდებარებაში ვართ. რომ იტყვიან, კარიდან თუ გამოგვაგდებდნენ, ფანჯრიდან შევდიოდით... ბოლოს, მერიამ 100.000 ლარი გამოგვიყოფა. ფაქტობრივად, ხელახლა ავაშენეთ ეს სახლი. დანგრევით აღარ დაინგრევა, მაგრამ ძველი შენობა მაინც უნდა დავიბრუნოთ. 30-ე წელიწადია, რაც აქ ვმუშაობ და შეიძლება ითქვას, სისხლი ჩავანთხიე ამ საქმეში.

— „კონკა“ რატომ შეარქვეს ახალ ქორწინების სახლს?

— თავიდან „კონკიას“ ეძახდნენ. ეს სახელი მართლა შეგვეფერებოდა — ისეთი დანგრეული შენობა გვქონდა. მაგრამ თანდათან „შევიმოსეთ“, „ავაგლამაზდით“ და ხალხმაც „კონკა“ შევარქვა: ჩვენ გვერდით ღვას ძველი კონკა და ჩვენი მეტსახელიც ალბათ აქედან მოდის. სამწუხაროდ, ის დრო, როცა



ქორწინების სახლის თანამშრომელი რიგულის შესახებ ესაუბრება მომავალ მეუღლეებს

ქორწინება დიდი ზარ-ზეიმით აღინიშნებოდა ხოლმე, წარსულში დარჩა: აქ ძალიან ვიწროდ ვართ. სულ რვა თანამშრომელი ვაწესრიგებთ ქორწინების რეგისტრაციის საქმეს. კაბინეტში მხოლოდ სამნი ვთავსდებით, დანარჩენები ფოიეში სხედან ხოლმე. ხელფასებიც მცირე გვაქვს. იმასაც ვერ ვახერხებთ, ბედნიერ წყვილებს წიგნები მაინც რომ ვაჩუქოთ, როგორც ეს წინათ იყო... მე ახლა უკვე ჩემს ძველ მექორწინეთა შვილებს ვაქორწინებ და ის დრო რომ ახსოვთ, ყველას უკვირს, ასე უღიმღამოდ რომ ვხვდებით.

— როგორია მაჩვენებლები, საგრძნობლად შემცირდა ქორწინების რიცხვი?

— ძალიან შემცირდა. მიმდინარე წელს, ჯერჯერობით მხოლოდ 920-მა წყვილმა მოაწერა ხელი — მაშინ, როცა უწინ 700-800 მექორწინე მარტო ერთ თვეში — აპრილში გვყავდა ხოლმე. სამწუხაროდ, მაჩვენებლები კატასტროფულად მცირდება. სხვათა შორის, ამას ხელი იმანაც შეუწყო, რომ ბოლო წლებში ხალხი უფრო მასობრივად იცავს მარხვას. უწინ მხოლოდ მაისში კლუბულობდა ხოლმე მექორწინეთა რაოდენობა, ახლა ასეთი პერიოდები გაცილებით მეტია: მაგალითად, დიდი მარხვის 49 დღის განმავლობაში ჩვენთან ერთ წყვილსაც ვერ ნახავთ. ასეა პეტრე-პავლობის მარხვის დროსაც. მარიამობის მარხვა რომ ჩათვალდება, 15 სექტემბრიდან ქორწინებათა მატებაც იწყება ხოლმე, მაგრამ შობის მარხვისას ეს რიცხვი ისევ ნულამდე დაეცემა. წესით, შემოდგომაზე

ყველაზე მეტი ქორწილი უნდა იყოს, რადგან მოსავალი მოდის, ქვეყანაში მეტი სიუხვეა, მაგრამ რატომღაც, ყოველთვის აპრილი „ლიდერობს“: იმ წლების მანძილზე, რაც აქ ვმუშაობ, ეს მაჩვენებელი ჯერ არ შეცვლილა.

— რომელი ასაკის წყვილები მოდიან თქვენთან უფრო ხშირად?

— ერთი პერიოდი, ქორწინების ასაკი ძალიან გაახალგაზრდავდა და სულ 16-17 წლის ახალგაზრდები მოდიოდნენ. საბედნიეროდ, ახლა მექორწინეთა საშუალო ასაკი 26 წლამდე გაიზარდა. იშვიათად ვარეგისტრირებთ 35-40 წლის წყვილებს. ამ ცოტა ხნის წინ, ჩემთვის ძალზე სასიამოვნო და გასაოცარი შემთხვევა მოხდა: 65 წლის ქალი და 66 წლის მამაკაცი დაქორწინეთ, თანაც, ეს ორივესთვის პირველი ქორწინება იყო... მახარებს თითოეული

— თქვენი მოვალეობიდან გამომდინარე, ალბათ ძალიან იზღუდებით ხოლმე, პირადი სიმპათიის გამოხატვის თვალსაზრისით...

— როგორც დედა და როგორც ქალი, რა თქმა უნდა, გულგრილად ვერ ვუყურებ ჩემთან მოსულ წყვილებს. ამას წინათ მქონდა ასეთი შემთხვევა: ახლობლებმა დამირეკეს და მთხოვეს — ხვალ თქვენთან ერთი წყვილი მოვა და ყურადღება მიაქციეთო. მართლაც, მოვიდა მეორე დღეს ჩემი ახლობლების სახელით, ქალი და სულ პატარა ბიჭი — ასე, 18-20 წლის იქნებოდა. დედაშვილი მეგონა და დასაქორწინებელთა ვინაობა მოვიკითხე. ჩვენ ვართო — მიპასუხეს. შევცბი, ნამდვილად არ მოველოდი. მიუხედავად იმისა, რომ კანონით არ მაქვს უარის თქმის უფლება, მაინც არ მივიღე მათი განცხადება...

კომუნისტების დროს იყო ერთი შემთხვევა, როცა მამაკაცი 70 წლის გახლდათ, გოგონა კი, რომელსაც ცოლად ირთავდა, — 18-ის. მსგავსი შემთხვევა ახლახან გვქონდა კიდევ: 60 წლის პროფესორმა დაანერია ოჯახი და თავისი სტუდენტი — 22 წლის გოგონა შეირთო ცოლად. ძვირფასი ოჯახი დაინგრა, მაგრამ „სიყვარულს რას გოუგებ, ჩემო ოლლა?!“ ჩვენ კანონში მხოლოდ ქვედა ზღვრული ასაკი გვიწერია, ზედა ზღვარი მითითებული არ არის. აბა, ვინ იტყვის, რომელ ასაკში აღარ შეიძლება ქორწინება?! უწინ გაფრთხილებულნი ვიყავით: თუ წყვილის ასაკში დიდი სხვაობა იყო, საბუთები აღმასკომში უნდა გავკევ ზავნა, რათა საქმეში ჩარეულიყვნენ დეპუტატები და პროკურატურაც კი. მაგრამ მე პირადად არც ერთი შემთხვევა არ მახ-

მიმდინარე წელს, ჯერჯერობით მხოლოდ 920-მა წყვილმა მოაწერა ხელი — მაშინ, როცა უწინ 700-800 მექორწინე მარტო ერთ თვეში — აპრილში გვყავდა ხოლმე.

დაქორწინებული წყვილის ბედნიერება. სხვათა შორის, ჩემმა შვილმაც აქ მოაწერა ხელი. ბუნებრივია, მე რიტუალს არ დავსწრებივარ, რადგან კანონით, ჩემს მოვალეობას ვერ შევასრულებ, თუ ჩემი ოჯახის წევრი აწერს ხელს.

სოვს, რომ ამ ჩარევით რაიმე შეცვლილიყო.

— ცნობილი ადამიანების უმრავლესობასაც თქვენთან აქვს რეგისტრირებული ქორწინება. ყველაზე მეტად, ვინ

დაგამახსოვრათ თავი?

– ვეცდები, სხვადასხვა დარგში მოღვაწე ადამიანები დავასახელო. სპორტსმენებიდან: ლევან თელიაშვილი, ნანა ალექსანდრია, ნანა იოსელიანი და, სულ ახლახან, მისი ქალიშვილი, ნონა გაფრინდაშვილი და მისი ვაჟი. ჩვენთან დაქორწინდა პრეზიდენტის ვაჟი – პაატა შვეარდნაძე, აკადემიკოსი თამაზ გამყრელიძე, როინ მეტრეველი, სოფიკო ჭიაურელი და კოტე მახარაძე... ყველას ჩამოთვლა ნამდვილად შეუძლებელია. ჩვენ დავაქორწინეთ პაატა ბურჭულაძე – ორჯერვე, ნიკოლოზ ღერიუგინი – ორჯერვე, პრეზიდენტის ქალიშვილიც – ორჯერვე. სამჯერ, ჯერჯერობით არავინ დავკვირევისტრირე-

ვადასხვა ეროვნების წარმომადგენელთა) ქორწინებები საქართველოში იშვიათობა არასოდეს ყოფილა, მაგრამ ახლა მგონი, იმატა, არა?

– იყო დრო, როცა მასობრივად თხოვდებოდნენ ჩვენი გოგონები თურქეთში, მანამდე, კომუნისტების დროს, – ძირითადად, ინდოეთსა და გერმანიაში. უწინ, როცა უცხოელებთან ვაქორწინებდით ვინმეს, პიროვნება აუცილებლად მოწმდებოდა და ამისთვის სპეციალური ორგანოებიც არსებობდა. სულ 15-20 ასეთი ქორწინება თუ რეგისტრირდებოდა მთელი წლის მანძილზე. ახლა ეს მაჩვენებელი, პრაქტიკულად, ყოველ თვესაა... უწინ, უფრო ხშირად,

გადავიდა. ამ ფაქტით ყველანი გოცეზბულები დავრჩით. ვაჟი რომ შეეძინათ, მოვიდა „ჩვენი სიძე“, მოიყვანა ადვოკატი და ატეხა ერთი ამბავი: ბავშვი ჩემს პირვანდელ გვარზე უნდა ჩამიწეროთ. არადა, ეს ჩვენს კომპეტენციაში არც შედის... საერთოდ კი, ჩემთვის გაუგებარია ქართველი გოგონების ლტოლვა ზანგი მამაკაცებისადმი.

– დათმობაზე ან რაღაც დარღვევაზე თუ წასულხართ, ქალბატონო ნანა?

– კი. ყოფილა ასეთი შემთხვევები. მაგალითად, კახა თარგამაძე ორშაბათ დღეს დავაქორწინეთ – არადა, ორშაბათი გამოსასვლელი დღე გვაქვს, მაგრამ დაჟინებით გვთხოვა და გამონაკლისი გავაკეთეთ.

– რაზე გწყდებათ გული, როგორც ქორწინების სახლის დირექტორს?

– ტრადიციები არ მეთმობა. გახსოვთ ალბათ, მორის ფოცხიშვილის ლექსი:

ქორწინების წინ, ხე დარგი, შვილი გეყოლა, ხე დარგი, ხე დარგი, როცა მოიხყენ, როცა მოიხყენ, ხე დარგი.

დედა-შვილი მეგონა და დასაქორწინებელთა ვინაობა მოგიკითხე. ჩვენ ვართო – მიბასუხეს. შევცბი, ნამდვილად არ მოგელოდი.

ბია... დამამახსოვრდა სოფიკოსა და კოტეს ხელის მოწერა: შესვენების დროს მოვიდნენ – როცა ხალხი თითქმის არ იყო – და ძალზე ვიწრო წრეში, წყნარად, უხმაურად მოაწერეს ხელი, რის შემდეგაც სოფიკომ კოტეს უთხრა: „ახლა კი სულ ჩემი ხარ, საბოლოოდ, ურიელ!“ ძველი დროიდან კი, არ დამავიწყდება „ცეკას“ პირველი მდივნის – ვასილ მჭავანაძის ქალიშვილის გათხოვების ამბავი. მაშინ სულ ახალი დაწყებული მქონდა მუშაობა. მოვიდა მჭავანაძის თანაშემწე, მოიტანა პასპორტები და მითხრა: ეს ქორწინება უნდა გააფორმო. ჩავხედე – გოგონა 17 წლისაც არ არის... აღმასკომიდან უნდა მოიტანოთ ნებართვა-მეთქი, ვუთხარი. ისეთი სახით შემომხედა და ისე გამომგლიჯა ხელიდან პასპორტები, ვიფიქრე – ალბათ სამსახურს დავკარგავ-მეთქი... საღამოს სახლში დამირეკა ქალაქის საბჭოს თავმჯდომარემ გურამ ჭოლოშვილმა და მკითხა: რა საბუთებია საჭირო?.. მაგრამ შევშინდი, მაგრამ საყვედური არავის უთქვამს: მოიტანეს ნებართვა და წყნარ ატმოსფეროში მოაწერეს ხელი. ერთი თვის შემდეგ, როცა მჭავანაძე აღარ იყო „ცეკას“ მდივანი, ისინი დაშორდნენ. სიძე სახლიდან წასულა...

უცხოელი გოგონები მოჰყავდათ ჩვენს ვაჟებს, ახლა პირიქით ხდება... იყო პერიოდი, როცა იმატა ქორწინებებმა ინგლისელებზე, გერმანელებსა და არაბებზე. უამრავი ქართველი გოგონა გათხოვდა ბეირუთში. ამ ქორწინებებს შორის, სიყვარულის საფუძველზე, თითო-ორო-ლა ქალი თუ გათხოვილა – ყველა დანარჩენ შემთხვევაში, ეს ანგარებით, სოციალური პირობების გაუმჯობესების მიზნით ხდება... საინტერესოა ისიც, რომ რატომღაც, უცხოელი მამაკაცები ქართველ ქალებთან საქორწინო კონტრაქტს არ აფორმებენ ხოლმე... უცხოელთან ქორწინების დროს, საბუთების წარდგენა ხდება იუსტიციის სამინისტროში, იქიდან გვაძლევენ დასტურს და ჩვენ მხოლოდ ამის შემდეგ ვარეგისტრირებთ.

– ფერადკანიანებზე თუ თხოვდებიან ქართველი გოგონები? თუ ასეთი, მხოლოდ ერთეული შემთხვევაა?

– პირიქით: უამრავი ფაქტი გვაქვს, როცა ქართველი ქალი ზანგი მამაკაცზე თხოვდება. თეთრი, გაქათმებული გოგონები კუნაპეტვით შავ ბიჭებს მიჰყვებიან... გვქონდა ასეთი შემთხვევაც: ერთმა ყმაწვილმა, რომელიც რესტორან „ევროპაში“ მუშაობდა, ქართველი გოგონა შეირთო და რატომღაც, მის გვარზე

ჩვენ ეს ლექსი ავიტაცეთ და კოლმეურნეობის მოედანზე, თავისუფალი მიწის ნაკვეთზე ჩვენს მექორწინეებს თითო ხეს ვარგვევინებდით ხოლმე. ახლა იქ მშენებელი ბაღია და ის ჩემი სიამაყეა. თითოეულ ხეს მიკრული ჰქონდა სპილენძის ფირფიტა წარწერით, თუ ვისი დარგული იყო. სპილენძის ფირფიტები, რა თქმა უნდა, მოიპარეს, ტრადიციაც თანდათან მოიშალა...

მართლაც, წარსულში დარჩა უამრავი ლამაზი ტრადიცია, გაუფერულდა ქორწინების რიტუალიც: თუ უწინ ახალდაქორწილებულებს უამრავ საჩუქარს უძღვნიდნენ, ახლა ქორწინების სახლს იმის საშუალებაც არა აქვს, რომ თითოეულ წვეცელს „ვეფხისტყაოსნის“ მოძკრო გამოცემა მინც უსახსოვროს. სამწუხაროდ, „ვეფხისტყაოსნის“ აღარც მხოლოდ ატანენ ქალს, როგორც წინათ ხდებოდა საქართველოში... წიგნი კი არა, „ქორწინების მოწმობაც“, რომელიც წვეცილის შეუღლებას აღასტურებს, „გახდა“ – დაპატარავდა და ახლა ფარატინა ქალაღდის სახე მიიღო...

– **გავიგე, ბიეთნიკური (სხ-**

ინფორმაციულ-შეხვედრითი კონკრეტი

ეონა დვალის უბის ნიენაკონ:

1. აკაკი ხორავას სამედიცინო განათლება ჰქონდა მიღებული.
2. ჯაბახანა თურქულ-სპარსული სიტყვაა და იარაღის საწყობს ნიშნავს.
3. ბიბლიური მოსე წინასწარმეტყველი ენ-ახლუ იყო და ამის გამო, მის ნაცვლად ღვთის სიტყვას ხალხს მისი ძმა არონი გადასცემდა.
4. წყრთა, ადლი, გოჯი, არმინი, მტკაველი, იარდი, მილი, დუიმი, ლიე, კატელტოვი, ვერსი, სტადიონი, უტეგანი – ეს საი სიერძის სახომ ერთეულთა ჩამონათვლია.
5. ნანგი 150 წელი ცოცხლობს.
6. ადღომის კუნძული ჩილეს ეკუთვნის, ტაიტი – საფრანგოს, მადეირა – პორტუგალიას.



7. წმინდა ბართლომეს ცოცხლად გააძრეს ტყავი.
8. წერის ავადმყოფურ სურვილს გრაფომანია ჰქვია.
9. ქალაქ ღებნოს ალყის დროს ტარას ბუღამ ორი ყველაზე ენაწარე კაზაკი არჩა, რომელთაც პოლო-

ნელების სალანძღვ სიტყვებს მთელი ხმით აყვირებდა. „ლიახი (პოლონელი) თავქარიანია, შეიძლება ლანძღვა ვერ მოითმინოს და ბრძოლაში ჩაებას,“ – ფიქრობდა თავისთვის ზაპორ-ოყიელ კაზაკთა პოლკოვნიკი.

10. ფაშისტური ახალგაზრდული ორგანიზაციის, „ჰიტლერიუნგის“, შემქმნელი მარტინ შირეხი თეატრის დირექტორის შვილი გახლდათ. P.S. „უფალი ღმერთი გვიცავს ჩვენ და ჩვენს სამშობლოს. იგი გვეხმარება, ამაყად და თავდაჯერებულად ვიაროთ ჰიტლერის მიერ ნაჩვენებ გზით,“ – ამ სიტყვებს ორგანიზაციის წევრები სადამოს ლოცვის დროს წარმოთქამდნენ.

11. ნიუტონს 1693 წელს დაეწყო ფსიქიკური მოშლილობა. იგი არქივისკოპოსის თანდასწრებით ისეთ უაზრო მოსაზრებებს გამოთქამდა, რომ მისი მეგობრები იძულებულნი იყვნენ, სრულ იზოლაციაში ჰყოლოდათ. P.S. შემდგომში ნიუტონმა ღმერთს წერილობით მიმართა და ეს წერილი პარიზის ღვთისმშობლის ტაძარში საკურთხეველის ქვეშ ამოღო.

12. ხლისტების რელიგიური სექტის სახელწოდება რუსული „ხრისტოსის“ დამახინჯებული ვარიანტია. ეს სექტა კოსტრომელმა გლეხმა დანიელ ფილიპინმა XVII საუკუნის მიწურულს დაარსა. P.S. სწორედ ამ სექტის მიმდევართა ცხოვრება აქვს აღწერილი ჭაბუა ამირეჯიბის „დათა თუთაშხიას“ ერთ-ერთ თავში.

13. აფრიანი საბრძოლო ხომალდები X-XI

სხოვრება



კეროლი სურამის ბავშვთა სახლში

ნიი სიხავეს ახერიქავეს ნიშკელები ქანიველი ხეხეხეი

ლეა ჟიყავეილი

ამას წინათ ჩვენს დედაქალაქში ამერიკელი სტუმრები ჩამოვიდნენ. მათ საქართველოს ობოლ და მშობელთა ზრუნვას მოკლებულ ბავშვებს საჩუქრები ჩამოუტანეს. რა თქმა უნდა, საკვირველი სულაც არ არის, რომ ყოველმხრივ უზრუნველყოფილ უცხოელებს ჩვენი ბავშვთა სახლების დახმარების სურვილი გაუჩნდათ. მაგრამ ამ ქველმოქმედებას სულ სხვა ფესვები უდევს საფუძვლად. თითოეულ სტუმარს თავისი განსაკუთრებული დამოკიდებულება გააჩნია მშობლებსთან მიტოვებული ბავშვების მიმართ. ორ ამერიკელ ქალბატონს, რომლებსაც შვილი არ ჰყავდათ, წლების წინ ქართველი ბავშვები უშვილებიათ... მათთან ერთად ჩამოვიდა ერთი ოჯახიც, ამ ცოლქმრისთვის ძალიან ახლოებული იყო მიტოვებული ბავშვების ტკივილი, რადგან ქმარი – რომი ჰეროლდი, თვითონ მიუტოვებით მშობლებს 3 წლის ასაკში. ასე რომ, რამდენიმე კითხვა დამებადა... პირველ რიგში ქართველი ბავშვების ამერიკელ დედებს ვკითხე:

— საქართველოსთან ამგვარად დაკავშირება რატომ გადაწყვიტეთ? კეროლი:

— პირველად ეს შემთხვევით მოხდა. ბევრი არაფერი ვიცოდით საქართველოს შესახებ, უბრალოდ, შვილად მინდოდა ამეყვანა ბავშვი. რომ ჩამოვედით, უსაზღვროდ მოგვეწონა ეს ქვეყანა.

როზინი:

— მე ორი შვილი ავიყვანე და ძალიან ბედნიერი ვარ. პრობლემები გვექონდა, მაგრამ, თუ შეიძლება ითქვას, გამიმართლა: ამ ბავშვებს ისეთი დახმარება სჭირდებოდათ ექიმებისა, როგორსაც აქ ვერ გაუწევდნენ. მიხარია, რომ ეს მე შევძელი.

ჯანმრთელები რომ ყოფილიყვნენ, არ მომავლებდნენ... ცოტა ხნის წინ ჩემი შვილების სიყვარულის გამო, წვეულება გავმართეთ ამერიკაში. მოვიწვიეთ მეგობრები, ჩვენი მეგობარი ქართველი პიანისტიც – ის ქართულ მელოდიებს უკრავდა. ჩვენ კი „ქართულ შთაბეჭდილებებს“ ვყვებოდით. სწორედ მაშინ გადავწყვიტეთ ფულის შეგროვება და ამჯერად მახინჯაურის ბავშვთა სახლს დავეხმარეთ – 5.000 დოლარი გადავეცით წყალსადენის გასაყვანად. საჩუქრები მიუუტანეთ წყნეთს, სურამის ბავშვთა სახლებს.

— თქვენმა შვილებმა თუ იციან, ქართველები რომ არიან? კეროლი:

— რა თქმა უნდა, მან ყველაფერი იცის თავისი წარმოშობის შესახებ – მისი ოთახი სავსეა საქართველოდან ჩატანილი ნივთებით. ვცდილობ დავუმეგობრდე ქართველებს, რათა ჩემს შვილს თანამემამულეებთან ურთიერთობა ჰქონდეს. როზინი:

— ბავშვებმა იციან საქართველოს შესახებ. იციან ქართული სიმღერები. მე და ჩემს მეუღლეს, რომელიც, სხვათა შორის, შინ დარჩა ბავშვებთან, ძალიან გვიყვარს ქართული ენა, მუსიკა, მოგვეწონს ქართველების გარეგნობა. ჩვენ უკვე ქართველ რძალზეც ვოცნებობთ...

— ამერიკელი ბავშვის აყვანა არ გიცდიათ? როზინი:

— ამერიკაში განსხვავებული სისტემაა – 13-14 წლის გოგონა თუ დოქტორულად, სახელმწიფო უზრუნველყოფს ყველაფრით. თუკი იგი, რაღაც მიზეზის გამო, დედას ვერ იტყვირთებს, არსებობს დროებითი სახლები, სადაც მის შვილს მიიღებენ და როცა დედა მზად იქნება, ბავშვს თავისთან გადაიყვანს. უპატრონო ბავშვი,

პრაქტიკულად, არ არსებობს, მშობელს იმდენ დახმარებას უწევს სახელმწიფო, რომ ჯანდაცვის და განათლების პრობლემა მოზარდს არასოდეს ექნება.

— ხშირად ჩამოდიხართ საქართველოში თურმე აღმავლობას თუ გვატყობთ?

როზინი:

— ცოტათი, მაგრამ მაინც შეიმჩნევა... იმდენი ახალი, ლამაზი სახლი შენდება, იმდენი ძვირფასი მანქანაა ქალაქში...

როი და ნენსი ჰეროლდები ბევრ პატარა ამერიკელს დახმარებან, ახლა ქართველ ბავშვებს ჩამოუტანეს საჩუქრები და მომავალში კიდევ აპირებენ დახმარების გაგრძელებას. ბატონმა როიმ მიაბო:

— 3 წლის ვიყავი, „დროებით სახლში“ რომ დამაბინავეს. მერე ერთმა ოჯახმა ამიყვანა აღსაზრდელად. ძალიან მორწმუნე და კეთილ ადამიანებთან მოვხვდი. რომ გავიზარდე, გადაწყვიტე, ის ბედნიერი ვაჩვენო, რაც მშობლებმა (დედობილ-მამობილმა) მაჩუქეს, მეც მიმენიჭებინა ვინმესთვის. პირველად 4 საათით მომყავდა რომელიმე ბავშვი „დროებითი სახლიდან“ ან ოჯახიდან, სადაც მშობლებს არ ეცალათ... ვასეირნებდი, ჩემი ხარჯით ვყიდულობდი საჩუქრებს. შემდეგ საგანგებო სკოლა გავიარე აღმზრდელისა და მომცეს 5 ბავშვის ერთდროული აღზრდის უფლება... 12 წლის განმავლობაში 40 ბავშვი აღვზარდე.

— საკუთარი შვილები არ გყავთ? როი:

— ორი ვაჟი მყავს, ნენსის — ქალ-ვაჟი. ერთი ბიჭი კი, ერთად ვიშვილეთ. ახლა ის 16 წლის არის.

— იმ 40 შვილობილთან თუ გაქვთ კონტაქტი?

ნენსი:

— ზოგიერთი ახლოს ცხოვრობს, ზოგი ძალიან შორს. ჩვენ ყველა გვიყვარს.

— ამბობენ, რომ ამერიკაში თითქმის არანაირი პრობლემა არ არსებობს ბავშვის აღზრდისა.

ამერიკელი ქართველი ბავშვები (მარჯვნივ) ამერიკელი მშობლები



როი:

— პრობლემა როგორ არ არის? ხშირად ახალგაზრდები მოუშვადებლები აჩენენ ბავშვს, მერე თავს ვეღარ ართმევენ მის აღზრდასა და ფიზიკურ შეურაცხყოფას, მორალურ ტრავმას აყენებენ პატარას. ეს დიდი პრობლემაა.

— ქართველი ბავშვები მონიახულეთ, როგორი შთაბეჭდილებით მიდიხართ?

ნენსი:

— საოცარი... თქვენს ბავშვებს ძალიან ცოტა აქვთ მატერიალური სიკეთე, მაგრამ დიდი სიყვარული შეუძლიათ — მათ ქალაქის ყვეაილები გაგვიკეთეს და გვაჩუქეს.

როი:

— თქვენი ბავშვები ნამდვილად განსხვავდებიან ამერიკელი თანატოლებისაგან. 40 ბავშვი მყავს აღზრდილი და საიდუმლოდ გეტყვით: 12 წლის მანძილზე არ მიგრძენია მათგან ისეთი სიტბო, როგორიც აქაურმა ბავშვებმა 1 საათში მაჩუქეს. მივხვდი, ეს ქართული ხასიათის თავისებურებაა... ბედნიერი ხალხი ხართ ქართველები...

ამერიკელი სტუმრები წავიდნენ. მათი ნაჩუქარი სათამაშო მოედანი, დიდი მაცივარი, ტანსაცმელი კი ქართველ პატარებს კიდევ დიდხანს გაახსენებს კეთილ ბიძებსა და დეიდებს...



ინფორმაციულ-შეხვედრითი კოლაჟი

ეოჩა ღვალის უბის წიგნაკიდან:



საუკუნეებში შეიქნა და მათ ნეფები ერქვა.

14. „რაფერია შეუძლებელი, თუკი ერთი ადამიანის გაცემულ ბრძანებებს საზოგადოების ყველა ფენა უსიტყვოდ ემორჩილება,“ — ამბობდა ჰიტლერი.

15. ოდრი ჰეპბერნი ლონდონის საბალეტო სკოლაში სწავლობდა.

16. ჯინი სპირტიანი სასმელია, რომლის მისაღებად ჭვავის სპირტს ღვის მშრალ ნაყოფთან ერთად ხდიან.

17. ვერესტის სამხრეთი კალთა იმდენად ციკაბოა, რომ ზედ თოვლი და ყინული არ ჩერდება.

18. მიხეილ ხერგანი 1969 წელს იტალიაში მწვერვალ სუ-ალტოზე ასვლისას ქვათაცვენაში მოჰყვა, თოკი გადაეჭრა და ისე დაიღუპა. იგი მესტამი გადმოსვენეს და იქვე დაკრძალული.

19. ხვასტავი ძველ საქართველოში შინაური პირუტყვის აღმნიშვნელი სიტყვა იყო. პირუტყვი ადებ-მიცემობის ეკვივალენტი იყო, ამიტომ ფულადი ფორმის შემოღების შემდეგ ლითონის ფულსაც ხვასტავი ეწოდა. ამით აიხსნება, რომ კოლხურ თეთრზე ხარის თავია გამოსახული.

20. საზოგადოებრივ ადგილებში გაშიშვლების დაუძლეველ სურვილს ექსპიზიციონიზმი ეწოდება.

21. დღევანდელი ქიზიყი XV საუკუნემდე კამბეჩოვანის სახელწოდებით იყო ცნობილი. მისი ცენტრი ხორნაბუჯი ვახლდათ.

22. ჰემოფილითი (სისხლის შეუდეგბლობით) მხოლოდ ვაჟები ავადდებიან.

23. საქართველოში ცნობილი სიმღერა „ტურფავ, ტურფავ, რას მემღერი!“ ჰაინრიხ ჰაინეს — „ტურფავ, ტურფავ რას უყურებ!“ ლექსის თარგმანზეა შექმნილი. P.S. ჰაინე ებრაელი იყო და შემდეგ მიიღო პროტესტანტობა.

24. შობენჰაუერი ლეპემანიაკი იყო. მცირე ხმაურზეც კი დაშნას სტაცებდა ხელს. მოსამსახურეს არ აძლევდა წვერის მობარსვის უფლებას, შეიძულა ქალები და ებრაელები. ხოლო ისე შეიყვარა ძაღლები, რომ თავისი ქონების დიდი ნაწილი ანდერძით მათ დაუტოვა. მას მუდმივად ჰქონდა ეჭვი, რომ ფილოსოფოსები მის წინააღმდეგ შეთქმულებას აწყობდნენ და ამბობდა: „ჩემთვის უფრო ადვილია იმის წარმოდგენა, თუ როგორ ხრავენ ჭიები ჩემს სხეულს, ვიდრე წარმოვიდგინო, თუ როგორ ღრღინან ფილოსოფოსები ჩემს მოძღვრებას“.

შიშველი ქალების სიმრავლემ მამაყაფებს პლბათ ნეაქცია დაყარვინა...



მარი ჯაშარიძე

— „ინტიმურ ტელეფონზე“ უმუშევრობის გამო მოვხვდი. თავიდან არ მეგონა, ასე თუ გამიჭირდებოდა. მალე მივხვდი, რომ ეს ჩემი საქმე არ იყო და თავი დავანებე.

— ნატალი, იქ მართლა ოცნებების ასრულების სამყაროა, როგორც რეკლამები გვაუწყებენ?..

— არ ვიცი, ვინ რას ოცნებობს და როგორ იხდენს ნაოცნებარს ტელეფონით, მაგრამ ერთი რამ ცხადად დავინახე: ქართველი მამაკაცების უმრავლესობა ონანისტია! ვერ წარმოიდგენთ, როგორ ემოციურად გისმენენ, როგორი დამჯერები და უბადრუკები არიან საუბრისას. „დაკმაყოფილებულ“ კი, ხმაში რიხი და თავდაჯერებულობა უბრუნდებათ...

ზოგი მათგანი თავად გთავაზობს მისთვის საოცნებო სიტუაციას. მაგალითად, დარეკა აბონენტმა და მეუბნება: წარმოიდგინე, რომ მეორე სამამულო ომია. შენ გერმანელი ხარ, მე — საბჭოთა ჯარისკაცი. ჩამოვრჩი ჩემს რაზმს და დამის გასათევი ადგილი გთხოვე. შენ



მოგეწონე და სახლში შემიაპტიფე. ამ დროს ეზოში გერმანელი ჯარისკაცები შემოდიან და ჩემს სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება. როგორ მოიქცევი?.. ამის შემდეგ მე უნდა განვაგრძო საუბარი. არ გაგეცინებათ?

— ძირითადად, რა კატეგორიის ხალხი რეკავდა ხოლმე?

— როგორ გითხრათ — განსხვავებული ფენის, ასაკისა და ინ-

კარგა ხანია, ფართოდ გავრულეთ კარი დასავლეთს, ისიც ძალუმად შემოიჭრა ჩვენს ცხოვრებაში და ჩვენთვის წინათ უცხო ბევრი რამ, შეიძლება ითქვას, დაგვიმკვიდრა კიდევ — ჩაცმულობა იქნება ეს, ქცევის ნორმები თუ სოციალური ცხოვრების ახალი რეალიები. ე.წ. „ინტიმური ტელეფონი“ ევროპელთა „საჩუქარია“, მაგრამ რამდენად ამართლებს საქართველოში, ამას მისი ერთ-ერთი ყოფილი თანამშრომლის მონათხრობიდან შეიტყობთ. მისი ფსევდონიმია ნატალი.

ტელექტის წარმომადგენლები იყვნენ. უფრო მეტად, 20-დან 35 წლამდე ასაკის მამაკაცები აქტიურობდნენ, მაგრამ იყო შემთხვევა, როცა 72 წლის კაცმაც დარეკა. ერთი საათი „გეჩალიჩე“ და ძლივს მიადწია ორგაზმს. გახარებული დამემშვიდობა: ხუთი წელია, მსგავსი არაფერი განმიცდია, ძლივს მოვახერხე რაღაცა და იმხელა მადლობას გიხნდი, რომ სახლამდე „ვერც ზიდავო“...

თითოეულს მოთხოვნაც განსხვავებული აქვს. იყო შემთხვევა, როდესაც მამაკაცი მეხვეწებოდა — დამამცირე, „მცემე“, „გამაუპატიურე“... ზოგი, პირიქით — ჯიქურ მოღის და შენს „გაუპატიურებას“ ცდილობს. რამდენიმე გეიც მირეკავდა და მთხოვდა — ისე მესაუბრე, თითქოს მამაკაცი ხარო. ბოლოს, ერთმა მითხრა: მომეწონა, მაგრამ ხმაც რომ კაცის გქონოდა, უკეთესი იქნებოდაო...

რამდენიმე აბონენტი ქალიც გვეყოლია. 19 წლის გოგონა რეკავდა, კითხულობდა — ქალი როგორ „შევაბაო“?

საუბრის ხანგრძლივობაც გან-

სხვაგვებუღია: უმეტეს შემთხვევაში, 5-10 წუთს ვლაპარაკობთ ხოლმე, მაგრამ ყოფილა შემთხვევა, საათობით მილაპარაკია აბონენტთან.

— საათობით — ინტიმზე საუბარი?

— რა თქმა უნდა, არა. საკმაოდ ბევრი რეკავდა იმისათვის, რომ მხოლოდ გამსაუბრებოდა — გული გაეხსნა. ზოგი ჩემი პირადი ცხოვრებითაც ინტერესდებოდა, მერე იყო ოჯახებისა და ახლობლების მოკითხვა, ახალი ამბების მოყოლა და რა ვიცი, კიდევ რა...

ერთი მამაკაცი სიყვარულს მიხსნიდა. რომ ვერ დამაჯერა, მეგობრებს არეკვინებდა და ისინიც შუამავლობდნენ. როგორც მეუბნებოდა, საჩუქარიც ჰქონდა ჩემთვის ნაყიდი, მაგრამ დღემდე არ ვიცი — რა. საქართველოს სხვადასხვა კუთხიდანაც რეკავდნენ. ყველას დამახასიათებელ კილოზე ვცნობდი. გურულებს ძალიან მოსწონდათ, როცა ვეუბნებოდი — „რაი გინდა, შე აბაღა?“ ქუთაისელებს — „რაფა, სიმონ, არ მელოდნი?“ ისინიც გულიანად იცინოდნენ და კონტაქტიც უცებ მყარდებოდა.

ასეთი შემთხვევაც იყო: 20 წლის ბიჭმა დარეკა. კარგა ხანს მესაუბრა, ანექლოტებს მიყვებოდა, ლექსებს მიკითხავდა. მერე აღმოჩნდა — მეზობლისგან მოპარული ხაზით მელაპარაკებოდა და მერე ამის გამო, დიდი ამბავიც ატყდა.

— შეურაცხყოფა თუ მოუყენებია ვინმეს?

— არა, ვერ ვიხსენებ. თუ აბონენტი პირველად რეკავს, ის შეშინებულია, დამფრთხალია, იცის, რომ რაღაც ისეთს აკეთებს, რის გამოც შეიძლება დასცინონ, გაკიცხონ და თავად ეშინია შეურაცხყოფის. თუ მუდმივი აბონენტი, მასთან უკვე მეგობრული ურთიერთობა გაქვს და გამორიცხულია, რაიმე ზედმეტი გაკადროს. მაგალითად, რეკავდა 18 წლის აბიტურიენტი, გაგანია გამოცდების პერიოდში. ზეპირად ვიცოდი, როდის რა საგანში ჰქონდა გამოცდა, რა ნიშანს იღებდა. ერთხელ

მათემატიკის გამოცდის წინ დამირეკა და რაღაც მაგალითი ამომასხნევინა. გაეხარდა: ვერაფრით ვერ ამოვხსენი და გამახსენდა, პროფესიით მათემატიკოსი რომ ხარო.

— განსაკუთრებულად კუროზულს ხომ ვერ გაიხსენებთ რაიმეს?

— კი. ერთხელ იყო ასეთი შემთხვევა: შემოვიდა ზარი რუსთავიდან (ყურმილის აღებისას, ხმაურით ადვილად ხვდები) და საუბრისას ვეუბნები — რუსთავიდან რეკავ? გაკვირვებული მეკითხება — საიდან მიხვდიო? არც ვაცეი, არც ვაცხელე — უშიშროების თანამშრომელი ვარ და აქ იმიტომ გამოგზავნეს — უნდა გავიგო, ამ ტელეფონით რომელი თანამდებობის პირები სარგებლობენ-მეთქი... გადაირია. ახლა, რუსთავის პოლიციაში რომ „ქსივა“ მივიღეს, უფროსი მეტყვის: მამაშენს ჰგონია, კაცი გაზარდა და შენ თურმე ონანისტი ყოფილხარო... მერე, რომ ვუთხარი, თუ გინდა, იმ ნომერსაც გეტყვი, საიდანაც რეკავ-მეთქი, საბოლოოდ „გატყდა“ და სახელი, გვარი, ბიოგრაფია და ლამის საგვარეულოს ისტორიაც კი „დაფქ-

ვა“. ბოლოს, რომ გაიგო, ეს ყველაფერი ჩემი მოგონილი იყო, გულიანად იცინა და მითხრა: იმდენად საინტერესო იყო შენთან საუბარი, ყოველ მორიგეობაზე დაგირეკავ, ერთი დღეც დადგება, ალბათ ბინის გაყიდვაც კი მომიწევს, ტელეფონის დავალიანება რომ გავისტუმრო... სხვათა შორის, იმ დღეს სულ მცირე, ოცმა კაცმა დარეკა რუსთავიდან და ყველა ამბობდა, პოლიციელი ვარო. ვიცი-ნოდი: რუსთავში ნამდვილად ჰაერია მოწამლული და იმიტომ აცუნდრუკდით ყველა ერთად-მეთქი...

როგორც წესი, საუბარი ერთი და იმავე შეკითხვებით იწყება: როგორი ხარ? რა გაცვია? როგორი მკერდი გაქვს? რას მთავაზობ?.. ერთხელ, რას მთავაზობო, რომ მკითხა, — პარტიის თავმჯდომარეობას-მეთქი, ვუპასუხე. აბონენტი დაიბნა. რომელი პარტიისო?.. გადავწყვიტე, ონანისტთა პარტია ჩამოვყალიბო, მემარჯვენე და მემარცხენე ფრაქციებით, ლოზუნგიც მოფიქრებული მაქვს — „გადავარჩინოთ საქართველოს ონანისტები და ონანისტები გადავარჩინენ ჩვენ!“, თავმჯდომარის ადგილზე მაქვს ვაკანსია და თუ სურვილი გაქვს, დაგნიშნავ-მეთქი. პარტიის თავმჯდომარეობაზე თავაზიანად უარი განაცხადა, მაგრამ „გაწვევებამ“ მაინც „მოუწია“...

— თავად როგორი რეაქცია გქონდათ ხოლმე მათ საუბარზე?

— როგორ ფიქრობ — როცა დღეში ასამდე ადამიანს ერთსა და იმავეს ელაპარაკები, რა რეაქცია შეიძლება გქონდეს? ხანდახან მეცინებოდა, როცა დაკმაყოფილების შემდეგ მიმტკიცებდნენ, რომ მე მამოწმებდნენ, როგორი პროფესიონალი ვიყავი, თავად კი ორგაზში არ ჰქონიათ... მეცოდებოდა, თუ რაიმე ანომალიას შევნიშნავდი, ან უსუსურ არსებას აღმოვაჩინდი ამა თუ იმ მამაკაცში. მათთან გულახდილი გასაუბრების სურვილიც მეზადებოდა, მაგრამ ეს აკრძალული მქონდა: ილაპარაკე მხოლოდ ინტიმზე — ასეთია სამსახურის მოთხოვნა. ეს ნდობის ტელე-



ფონი არ არის და არც აღმზრდელობითი მუშაობის ჩატარებას გთხოვს ვინმეო — მაფრთხილებდა შეფი. „გააუპატიურე“ ყველა მამაკაცი, ვინც აქ დარეკავსო — ამას თავად მამაკაცი ამბობდა!.. ვერ შევძელი შეფის მოთხოვნების შესრულება და სამსახურიდან წამოსვლამაც მომიწია.

— რას ეტყობით თქვენს ყოფილ აბონენტებს?

— წარმატებას ვუსურვებდი. მე უეცრად მომიხდა სამსახურის დატოვება და ამიტომ ვერ დავემშვიდობე მათ. ვიცი, რომ რეკავდნენ, მკითხულობდნენ და გულიც სწყდებოდათ, რომ „ნატალი“ აღარ არსებობდა, მაგრამ იმასაც დასძინდნენ — მაგისი ადგილი მანდ ნამდვილად არ იყო და კარგი უქნია, რომ წასულაო.

ბევრი ძალიან კარგად მახსენებდა. მაგალითად, გარდაბნელი მეგობარი, კიდეც — ვინმე ირაკლი, ვინც საათობით მელაპარაკებოდა... უნდა გენახათ, როგორ უხაროდით, როცა ხმით ვცნობდი და სახელებსაც ვიხსენებდი. თუმცა, მათი სახელებიც ისეთივე მოგონილი იყო, როგორც ჩვენი — თანამშრომლების... ერთმანეთზე ეჭვიანობდნენ კიდეც: ყველა თვლიდა, რომ მხოლოდ მის მიმართ უნდა მქონოდა განსაკუთრებული თბილი დამოკიდებულება. ასეთი შემთხვევაც მახსოვს: აბონენტ-

თან საუბრის დროს, მობილურ ტელეფონზე ახლობელმა დამირეკა. აბონენტმა დავა დამიწყო და იმაზეც ვეკამათე, რომ მისი ეჭვიანობა ყოველგვარ საფუძველს მოკლებული იყო, მაგრამ მაინც სასტიკად გამაფრთხილა — თუ კიდეც ვინმე დამირეკავდა, „გადამჭრელ ზომებს“ მიიღებდა და დამსჯიდა კიდეც...

ნატალისთან საუბრის შემდეგ, გადავწყვიტე გამერკვია, რამდენად ნორმალურია სექსუალური მოთხოვნის წარმოსახვითი დაკმაყოფილება. ამ კითხვით ექიმ-სექსოლოგსა და ფსიქოთერაპევტს **მერაბ მანჯგალაძეს** მივმართე.

— მიგაჩნიათ თუ არა, რომ ინტიმური ტელეფონი ნორმალური მოვლენაა?

— მე ვთვლი, რომ ეს უფრო ტვინის ონანიზმია. ჩვენს სწრაფად განვითარებად სამყაროში უამრავი გასართობია მოგონილი იმისათვის, რომ სექსუალური განტვირთვა მივიღოთ. ახლახან შემოვიდა ვირტუალური — კომპიუტერული სექსის ვირუსი და დარწმუნებული ვარ, ეს მთლიანად შთანთქავს და გამოფიტავს ახლანდელი ახალგაზრდობის სექსუალურ პოტენციალს. მაგალითად, საფრანგეთში, სადაც დაკანონებული საროსკიპოებია, ახლა ვირტუალური საროსკიპოები გაიხსნა. იგივეა სექსი ტელეფონით: მამაკაცი თავს იტყუებს და ვითომ კმაყოფილი ჰკიდებს ყურმილს, მაგრამ ვერ გრძნობს, რომ დაძაბულობა ორგანიზმში კვლავ რჩება. ამერიკელები თვლიან, რომ მთავარია შედეგი და არა ის, რა გზით მიაღწევ მას, მაგრამ არასწორი გზით მიღწეული შედეგი თავის კვალს მაინც ტოვებს.

— ონანიზმი — ეს მაგნიჩვევაა თუ ავადმყოფობა?

— ეს არის მაგნიჩვევა, ვიდრე გადაიზრდება თავდავიწყებაში. თუ მამაკაცი, ოჯახის შექმნის შემდეგ, კვლავ მისდევს მას და თანაც საკმაოდ აქტიურად,



მერაბ მანჯგალაძე

ეს უკვე პათოლოგიაა და აუცილებლად სჭირდება მეურნალობა.

თუმცა, ხანდახან ეს აუცილებელიცაა: მაგალითად, პატიმრებისთვის, გემზე მომსახურე პერსონალისთვის, ექსპედიციებში ყოფნის დროს — სიტუაციებში, როცა მამაკაცს არ ჰყავს რეალური სექსუალური პარტნიორი, აუცილებელია მოხდეს წინამდებარე ჯირკვლის განტვირთვა, ანუ რელაქსაცია. ამ დროს, სავალდებულოც კია წარმოსახვითი სექსუალური აქტი. სხვა შემთხვევაში, ნორმალური მამაკაცი, პრინციპში, ვერ დაკმაყოფილდება წარმოსახვითი პარტნიორით.

— ახდენს თუ არა გავლენას ადამიანის ფსიქიკაზე ვირტუალური ან სატელეფონო სექსი?

— გარკვეულწილად — კი. წარმოიდგინეთ, რამდენად არასასურველია ცოლქმრულ ურთიერთობაში: თითქოს ოჯახში მესამე პირია, მამაკაცისთვის — ქალი და პირიქით. წარმოსახვითი პარტნიორი ყოველთვის რეალურად არსებულზე უკეთესია (ამას სექსობრივი სიმბოლიზმი ჰქვია). ამიტომ ის, რაც უკვე მის გვერდით არსებობს, არც ერთს აღარ აკმაყოფილებს. ძალაუნებურად, ოჯახში სიტუაცია იძაბება. ეს კი ყველა ადამიანის ნერვულ სისტემაზე მოქმედებს. ეს არის კატეგორია მამაკაცებისა, რომელთაც სექსუალური ნევროზი ან კოიტუსოფობია (სექსუალური კავშირის შიში) სჭირთ, აქვთ არასრულფასოვნების კომპლექსი, ვერ ახორციელებენ რეალურად იმას, რაც სურთ და ამიტომ ცდილობენ, ფანტაზიითა და ტელეფონში მოსმენილი ხმით დაკმაყოფილდნენ.

— რას ურჩევდით ინტიმური ტელეფონის აბონენტებს?

— გაიხედ-გამოიხედეთ — ირგვლივ ხომ იმდენი ლამაზი ქალია! თუმცა, ბაბუაჩემს ქალის კოჭი ალელვებდა, მე — მუხლი, დღეს კი, შიშველი ქალების სიმრავლემ მამაკაცებს ალბათ რეაქცია დააკარგვინა...



იმის მიუხედავად, რომ ეკლესია აღიარებს ჯადოსა და ჯადოქრობის არსებობას, ბევრს მაინც უჭირს იმის დაჯერება, რომ გაქონლ ჩვრებში გამოკრულ თმას, ფრჩხილებსა და დაჩხვლეტილ სურათს, ადამიანის ცნობიერების შეცვლა შეუძლია. ნაკლებად ეკლესიურმა ადამიანმა არ იცის, როგორ დაიცვას თავი შავი მაგიის გავლენისაგან. არადა, როგორც წმინდა მამები ამბობენ, ხშირ შემთხვევაში, სწორედ ასეთები ხდებიან ჯადოქრობის მიმდევართა მსხვერპლი. ჯადოთი შეპყრობილებს ბევრი საერთო სიმპტომი აქვთ. ძირითადი კი მაინც ის არის, რომ ძლიერ დეპრესიულ მდგომარეობაში იმყოფებიან და თავს შეუძლოდ გრძობენ. ხელმოცარულნი არიან და მარტოდ დარჩენილნი, თვითმკვლელობაზე ფიქრობენ. ექიმები უძლურნი არიან მათ სენთან ბრძოლაში. სწორედ ეს განსხვავება ყოფილა ავადმყოფსა და ჯადოთი შეპყრობილ ადამიანს შორის. შავი მაგიით გათვალულ ადამიანს ვერაფერს შეეღის ექიმი. მისი ხსნა მხოლოდ იმ რიტუალის ჩატარებაშია, რასაც ეკლესია გვასწავლის. ამის დასტურად, ჯერ ორი ადამიანის ნაამბობს შემოგთავაზებთ, შემდეგ კი, ინტერვიუს მამა აკაკისთან — მოძღვართან, რომელმაც, მისივე მრევლის მტკიცებით, ბევრი ადამიანი დაიხსნა შავი მაგიის ტყვეობისაგან.



„როსა შავი მაგიისგან თავისუფლდებიან, მათ შიგნულიდან რაღაც კვამლის მაგვარი ამოსდით...“

ნანა ქიბიშაური

ამბავი პირველი

— ... დღევანდლობის ფონზე შეიძლება ითქვას, რომ მდიდარი კაცი ვარ. უზრუნველი ცხოვრება მქონდა მანამდე, სანამ სარისკო ბიზნესში ჩავებმეოდი. ამ ბიზნესის გამო, ბოლოს ისეთ ხალხს დავეუბირისპირდი, რომ ადვილი შესაძლებელი იყო, წინასწარ განზრახული „უბედური შემთხვევის“ მსხვერპლი გავმხდარიყავი. ამიტომ გადავწყვიტე, მემკვიდრეობის ნახევარი სიცოცხლეშივე ე.წ. არაკანონიერი შვილისთვის და დედამისისთვის დამეტოვებინა, რადგან, ვიცოდი, მათზე ჩემ შემდეგ არავინ იზრუნებდა. ეს ამბავი ოჯახისგან საიდუმლოდ ვერ შევინახე. სწორედ მისი გამჟღავნების შემდეგ დაიწყო ჩემი წამება. სავსებით ჯანმრთელი კაცი ლოგინად ჩავვარდი. არადა, არაფერი მტკიოდა. საშინელი ზიზლი დამეუფლა იმ ქალის მიმართ, ვინც მანამდე ქვეყანას მერჩივნა. რატომღაც მას ვთვლიდი ჩემი უბედურების მიზეზად. ასე რომ გაგრძელებულიყო, ან გავგიჟდებოდი, ან თავს მოვიკლავდი. როგორც შემდეგ გაირკვა, ჩემთვის ჯადო გაუქეთებიათ. ჩემი ფოტოსურათი, შესაბამისი შელოცვით, მიცვალებულს ჩაატანეს თურმე საფლავში. ამაში ბოლოს თვითონ ის ადამიანი გამომიტყდა, ვინც ჯადო გამიკეთა. ეს ადამიანი, ჩემი მეუღლე იყო! ქალი, რომლისგანაც ორი შვილი მყავდა,



მამა აკაკი

ღალატს და სარეცლის გაყოფას უფრო ადვილად შეეგუა, ვიდრე ქონების გაყოფას... ერთ დღეს, აღსარების სათქმელად წავიდი ეკლესიაში. მეუღლის ხელზე დაყრდნობილმა მოვისმინე კვეთებულის ლოცვა. უცებ, ვიგრძენი, ტანში ჟრუანტელმა დამიარა. კუჭიდან რაღაც ცხელი წამომივიდა და ყელში მომაწვა. პირით ვსუნთქავდი და საკუთარი თვალით ვხედავდი, როგორ ამომდიოდა იქიდან სიგარეტის ბოლის მსგავსი რამ... ეკლესიიდან გამოვედი თუ არა, ჩემი მეუღლე უცებ მუხლებზე დაემხო და, ერთიანად ცრემლსა და ოფლში გაღ-

ვარულმა, ტირილით მითხრა: მე ვარ ის, ვის გამოც ასე იტანჯები.

— დღეს როგორი ურთიერთობა გაქვთ?

— მე მას ყველაფერი ვაპატიე, მაგრამ მასთან ერთად, ერთ ჭერქვეშ ცხოვრება მაინც ვერ შევძელი. დღეს თავს ჯანმრთელად ვგრძობ და იმ არაოფიციალურ ოჯახთან ერთად ვცხოვრობ, რომლის გამოც ეს ყველაფერი მოხდა. ამ შემთხვევის შემდეგ, ვცდილობ უფრო ეკლესიური გავხდე. არადა, ეკლესია ჩემგან პირველ, ჯვარდაწერილ მეუღლესთან დაბრუნებას მოითხოვს...

ამბავი მეორე

— ... მე და ვია თანაკლასელები ვიყავით. მთელმა სკოლამ იცოდა, რომ ერთმანეთი გვიყვარდა. ის ცნობილი ოჯახიშვილი იყო, მე კი... მას შემდეგ, რაც ჩემი მშობლები გაიყარნენ, დედა 3-ჯერ გათხოვდა და გამოთხოვდა. ბებია და მამიდა მზრდიდნენ. გასაკვირი არ იყო, რომ ვიას მშობლები თავიდანვე ჩვენი შეუღლების წინააღმდეგნი იყვნენ. სასკოლო ბოლო ზარის ზეიმზე ერთმა პირველკლასელმა, ყვავილების ნაცვლად, წერილი გადმომცა. ვიას დედა მწერდა: „... დედაშენის შეილმა არც იფიქრო, რომ როდესმე ჩემს ოჯახში ფეხს შემოგადგმევიანებ“. ძალიან შეურაცხყოფილი ვიყავი. ერთი კვირის შემდეგ, პროტესტის ნიშნად, ჩემს სადარბაზოში მცხოვრებ ბიჭს გავყვიე ცოლად... უკვე ორი შვილი მყავდა, ვია კი არა და არ



ქორწინდებოდა. ჩემი მეუღლე აფხაზე-
თის ომიდან დაბრუნების შემდეგ გალ-
ოთდა. თითქმის ყოველდღე სვამდა. ერთ
დღეს კი, დაიძინა და აღარ გაიღვიძა:
„პახმელიაზე“ გულმა უმტყუნა. ამის
შემდეგ უარესად გამიჭირდა. ჩემი პრობ-
ლემებით გულშეღონებულს, გია ნამდ-
ვილად აღარ მასსოვდა. ერთ საღამოს
ჩემს შვილს თიაქარი გაეჭვდა. გიჟივ-
ით გავევარდი გარეთ. მანქანებს ხელს
ვუქნევდი, რომ ბავშვი როგორმე საა-
ვადმყოფოში წამეყვანა. მხოლოდ ერთ-
მა გამიჩერა – ეს გია იყო!.. მას შემდეგ
გვერდიდან არ მომშორებია. ისევ მომი-
ტანეს დედამისის დანაბარები: „შე კუ-
დიანო, ჯერ ჩემს შვილს გაუკეთე ჯადო,
ბედი შეუკარი, მერე ქმარი მოიცადლე
თავიდან, ახლა კი ცოლად გინდა თავი
შეართვევინო? თავს თუ არ დაგვანებებ,
ისეთ რამეს გაგიკეთებ, აღარც ცოცხ-
ლებში ითვლებოდე და აღარც მკვდრებ-
ში“. მაშინვე მივხვდი, რაზეც იყო
საუბარი. მე ჯადოების არ მჯეროდა,
მაგრამ ბავშვების გამო, მაინც შემიშინ-
და და გიას ჩვენთან მოსვლა ავუკრძა-
ლე. აღარ მოდიოდა, მაგრამ თურმე არც
სახლში მიდიოდა. ერთი თვის შემდეგ
შევნიშნე, ჩემი კარი რაღაც საეჭვოდ
იყო გათხუზნილი. „მგლის ქონი!“ –
„დამარტყა“ თავში და სასწრაფოდ,
ცხელი წყლით ჩამოვრეცხე. რა ვიცო-
დი – თურმე შარდით უნდა ჩამომერ-
ეცხა. ერთი კვირის შემდეგ კი, მხო-
ლოდ ერთი რამ მინდოდა – მარტოობა!

გამუდმებით ვგრძნობდი თავბრუს ხვე-
ვას. ერთ ადგილზე ვტრიალებდი, უნებ-
ური მოძრაობები დამჩემდა. ღამით ვერ
ვიძინებდი – მეჩვენებოდა, რომ ჩემს სხ-
ეულზე რაღაც მწერები დაცოცავდნენ.
დღისით კი, თვალგახელილს მეძინა. მე-
ზობლებმა დაასკვნეს, რომ ჯადომ იმო-
ქმედა და ლოცვების მოსასმენად წამიყ-
ვანეს. ეკლესიიდან დაბრუნებისთანავე,
ჩემდა უნებურად, ძებნა დავიწყე. არ ვი-
ცოდი რას ვეძებდი, მაგრამ მთელი სახ-
ლი თავდაყირა დავაყენე. ბოლოს კი,
ზღურბლის ქვეშ შეჩურთული რაღაც
ვიპოვე. გავხსენი და ნემსი, თმა, უცნაუ-
რწარწერებიანი ქაღალდის ნაგლეჯები,
ჩემი ძველი კაბის ნაკუწები და ათასი
საზიზღრობა აღმოვაჩინე. არ ვიცოდი
რა მექნა – უნდა დამეწვა, წყალში
გადამეგდო თუ როგორ მომეცილებინა
თავიდან. ისევ ეკლესიაში წავედი და
მოდღვრის რჩევის მიხედვით მოვიქცევი.

*რას გვირჩევს მოძღვარი? როგორ
უნდა დავასკვნათ, გავგვიკეთეს თუ არა
ჯადო და თუ გავგვიკეთეს, როგორ უნდა
მოვიქცეთ?*

*ვესაუბრებით მამა აკაკის, რომელ-
მაც, ერთ-ერთი მორწმუნის თქმით, ჯა-
დოსთან საბრძოლველად, სპეციალური
ხელსაწყო-იარაღიც კი შექმნა.*

**— მამაო აკაკი, როდის
იგრძენით, რომ ჯადოს საწი-
ნააღმდეგოდ, თქვენს ლოცვას
განსაკუთრებული ძალა აქვს?**

– იმაში, რასაც ვაკეთებ, განსაკუთრე-
ბულს ვერაფერს ვხედავ. ისევე, როგორც
ყოველი მოძღვარი, მეც ქრისტეს სახ-
ელით ვლოცავ და ვაკურთხებ ჩემს მრევ-
ლს. ვაძლიერებ რწმენაში და ვეხმარები
ბოროტის დათრგუნვაში. ამ ბოლო დროს,
მართლაც გააქტიურდნენ ჯადოს მქმ-
ნელნი. ბევრი ადამიანია მათგან შეკრუ-
ლი და წამებული. უფალი უჩვენებს მათ
გზას ეკლესიისაკენ. ჯადოსგან გათა-
ვისუფლების შემდეგ კი, უმრავლესობა
მტკიცე მორწმუნე ხდება.

**— როგორც გაგიგე, ჯა-
დოსთან საბრძოლველად, სპე-
ციალური იარაღიც შეგიქმნი-
ათ.**

– ეს იარაღი არ არის ჩემ მიერ
შექმნილი – წესით, ის ყოველ მოძღ-
ვარს უნდა ჰქონდეს. საუბარია ლახ-
ვარზე. ის მხოლოდ ჯადოთი შეპყრო-
ბილი ადამიანებისთვის არ არის განკუ-
თვნილი – მისი დანიშნულება, სწეული
ადამიანებისთვის შვების მოტანაა. ლახ-

ვრის ჩხვლეტის შემდეგ, სწეულთა
განკურნება ხდება. ეს არის იარაღი,
რომელზეც უფლის კურთხევა გადმო-
დის და რომლის მეშვეობითაც, ტკივი-
ლის დაყუჩება ხდება.

**— ნივთმტკიცების აღმოჩე-
ნამდე, როგორ გებულობთ, აქვს
თუ არა ადამიანს ჯადო გა-
კეთებული?**

– თავად ამ ადამიანის ნაამბობიდან
ვხვდებით. ის არის შეზღუდული, სა-
სოწარკვეთილი. არც ერთ საქმეში ხელი
არ ემართება. დარღვეულია მისი წონას-
წორობა, სიმშვიდე. მერე, მოგვიანებით,
აღმოჩნდება „ნივთმტკიცებაც“ – ან ქონი
იქნება სადმე წაცხებული, ან თმა და
ფრჩხილები სადმე გამოკრული. ხშირ-
ად ვხვდებით დახვეული ძაფებით,
ლურსმნებით და ფოტოსურათებით გა-
კეთებულ ჯადოებსაც. ამ ნივთების აღ-
მოჩენის შემდეგ ითვლება, რომ ჯადო
მხილებულია და მისი გაუვნებელყოფა
ხდება. ეს უკვე მღვდელთმსახურების
საიდუმლოებაა, რომელიც ლოცვაში
მდგომარეობს. მოჯადოებული ადამიანი
უკვე ღმერთის მფარველობის ქვეშ ექცე-
ვა და ჯადო ძალას კარგავს. ვერანაი-
რი ჯადო ვერ ერევა მორწმუნე ადამი-
ანს: მისი სიძლიერე იმაში მდგომარე-
ობს, რომ ის მუდმივად თან დაატარებს
ნაკურთხ ჯვარს, რომელიც ბოროტისა-
გან იცავს მას.

**— გამიგია, რომ ბევრი
ნანაცხებ ქონს შარდით რეცხავს
ხოლმე, ეს ეფექტური საშუ-
ალებია?**

– ქონი ცხელი წყლით უნდა ჩამოი-
რეცხოს. მერე ნაკურთხი წყალი უნდა
ასხუროთ. ამ დროს 90-ე ფსალმუნი
უნდა იქნას წაკითხული. მერე, იმ ჩვრის
გადაგებასაც თავისი წესი აქვს: აუცი-
ლებლად მოძღვარმა უნდა აღმოუჩინოს
დანშარება ჯადოს მპოვნელს, მან უნდა
ასწავლოს, როგორ მოიქცეს ამა თუ იმ
შემთხვევაში, იმიტომ, რომ რამდენიმე
სახეობის ჯადო არსებობს. მათ შორის
მომაკვინებელიც. თუ ადამიანი ისე გარ-
დაიცვალა, რომ ვერ მოასწრო ჯადოსგან
თავის გამოხსნა, ის სასუვეველშიც ისევე
მოიხსენიება, როგორც წამებული.

**— გაგრცელებულია აზრი,
რომ ჯადოს მოღები აკეთე-
ბენ...**

– ხშირ შემთხვევაში, მოღები აკეთე-
ბენ, მაგრამ არა მხოლოდ ისინი. ჯა-
დოს აკეთებს ადამიანი, რომელმაც შავი
მაგიის საიდუმლოებანი იცის და ემ-

მაკის მსახურებას ეწევა. ასეთი ადამიანები საშინელ გვემაში არიან: თუ ერთხელ ჩადგეს ფეხი ასეთ ცოდვაში, მეორედ ეშმაკი აწამებს, გვემს, არ ასვენებს – იმისთვის, რომ ისევ გააგრძელონ მისი მსახურება. ისინი სიცოცხლეშიც იგვემებიან და სიკვდილის შემდეგაც, საშინელი სამსჯავროს წინაშე წარდგომა ელით. სააქაოს თავს მხოლოდ მაშინ გრძნობენ კარგად, როდესაც ადამიანს კრავენ და აჯადოებენ. მხოლოდ სხვა ადამიანის დატყვევების შემდეგ იღებენ ეშმაკისგან თავისუფლებას.

— ასეთი ჩივილებით ალბათ აქ უფრო ხშირად, მანდილოსნები მოდიან?

— არა, მამაკაციც ბევრი მოდის. მათ შორის ბევრი ცნობილი და გამოჩენილი ადამიანიც არის. მთავრობის ხალხიც მოდის და მათი ოჯახის წევრებიც.

— მთავრობის ხალხიდან მაინც ვინ არის შეკრული?

— არ მაქვს დასახელების უფლება. მაგრამ შეწუხებულები კი, ნამდვილად არიან. ისინიც ხომ ისეთივე ჩვეულებრივი მოკვდავი ადამიანები არიან, როგორიც სხვა დანარჩენი. ჯადო კი, ურწმუნო ადამიანებს სდევნის და ერევა...

— გადამდები ჯადო თუ არსებობს?

— არა. თუ ის კონკრეტულად ერთ ადამიანზე კეთდება, მისი ოჯახის წევრებზე არ გავრცელდება.

— არც ბავშვებზე? მათ ხომ სუსტი აურა აქვთ.

— არა. ბავშვები უფრო ძლიერები არიან, რადგან უფრო უცოდველნი და უმანკონი არიან.

— თუ არის რომელიმე წმინდანი, ვისაც შავი მაგიის ტყვეობაში ეჭვმიტანილებმა უნდა შესთხოვონ დახმარება?

— არის. ასეთი წმინდანი კვიპრიანე. ის ძალიან ნიჭიერი ადამიანი ყოფილა, ბრწყინვალედ სცოდნია ანტიკური ფილოსოფია, ქიმია, ასტრონომია და სხვა მეცნიერებანი. შეუსწავლია შავი მაგიაც და მისთვის ეშმაკს ღიძი ძალა მიუცია. არ იყო თურმე არაფერი, რასაც კვიპრიანე ადამიანს არ ჩაადენინებდა. მის დროსვე უცხოვრია იუსტინეას – მტკიცე მორწმუნეს, რომელსაც თურმე ქალწულებრივი აღთქმა ჰქონია მიცემული. იუსტინეა შეჰყვარებია ვინმე წარმართ ჭაბუკს, რომელმაც, თვითონ რომ ვერა გააწყო რა ქალწულთან, კვიპრიანესთან მისულა და უთხოვია ისე შეეყვარებინა

მისი თავი იუსტინეასთვის, რომ ქალწულს უარი ეთქვა თავის აღთქმაზე. კვიპრიანემაც შეუსია თურმე თავისი ავსულები იუსტინეას. მოჰგვარეს მათ ქალწულს ტანში მხურვალეობა, მაგრამ მან პირჯვარი გამოისახა და ლოცვა დაიწყო. მთელი დამე ცდილობდა თურმე კვიპრიანე ავსულთა დახმარებით იუსტინეას ცდუნებას, მაგრამ ქალწული მხურვალედ ლოცულობდა. ასე გაგრძელდა დიდხანს. მრავალ საცდურს გაუძლო იუსტინეამ და თავისი აღთქმა შეასრულა. გაბრაზებულა კვიპრიანე, თანაც, იუსტინეას სიმტკიცით აღფრთოვანებულა და უთქვამს: ქრისტიანობა უფრო ძლიერი ყოფილა, მე ჯვარს ვერ მოვერთიო – და ქრისტიანულ საყდარში მისულა თხოვნით, მომნათლეო. მაშებს უარი უთქვამთ: კვიპრიანეს ხომ ყველა ისე იცნობდა, როგორც შავი მაგიის მიმდევარს. კვიპრიანეს უთქვამს: აქედან მანამდე არ წავალ, სანამ არ მომნათლავეთ. იდგა თურმე საყდრის კედელთან და ლოცულობდა. მერე მონათლეს და საყდარში შესვლის ნებაც მისცეს. ისე ლოცულობდა და ინანიებდა, რომ ცოტა ხანში შეეძავეთნედ დაამტკიცეს, მერე მოძღვრად, მერე ეპისკოპოსად. ბოლოს კი, იუსტინეასთან ერთად აწამეს და წამებულიც გახდა, ქრისტიანობაზე კი უარი მაინც ვერ ათქმევინეს...

— აქვთ თუ არა რეაქცია მოჯადოებულებს კვეთებულის ლოცვის ნაკითხვის დროს?

— იყო შემთხვევა, როდესაც რამდენიმე მათგანი ლოცვის დროს ცუდად შეიქნა: როგორც ჩანს, ძლიერი ჯადო ჰქონდათ გაკეთებული. ადამიანები გრძნობენ, როდესაც შავი მაგიის გავლენისგან თავისუფლდებიან. ბევრი მათგანი ამბობს, რომ მათ შიგნეულიდან რაღაც კვამლის მაგვარი ამოსდით. ამ ლოცვაზე დასწრება ყოველ ადამიანს მოჰგვრის შვებას. საერთოდ, ეკლესიაში არა მხოლოდ ჯადოსგან გასათავისუფლებლად, არამედ ყოველდღიურად უნდა იაროს ადამიანმა. უნდა განმტკიცდეს სულიერებაში და ყოველი ახალი საქმე, კურთხევით უნდა დაიწყო. ყოველმა ქრისტიანმა უნდა ატაროს ნაკურთხი ჯვარი – სასურველია, ნათლობის ჯვარი. მაშინ აღარასოდეს შეაწუხებს ისეთი მოვლენები, როგორცაა ჯადო და ჯადოქრობა. ახალწამოწყებული კეთილი საქმისთვის კი, უნდა გამოითხოვოს კურთხევა და ის საქმე აუცილებლად კეთილსავე ნაყოფს გამოიღებს... ■



უსაფუძვლო ქება და ქათინაური არც მაქებელს სდებს პატივს, არც საქებელს.
ფრიდრიხ გრიმი

ყველაფერს რომ ითხოვ და ყველაფერისაგან ხელს იბან, ესაა ღირსობა.
ფეოდორ დოსტოევსკი

შეუძლებელი არაფერია მისთვის, ვისაც ნებისყოფა აქვს.
ერაზმ როტერდამელი

ნარგიზი და ვარდია გონება და ქონება – ერთად რომ არ ხარობენ, ალბათ გაგვეგონება. ის, ვინც გონიერია, მას ქონება ცოტა აქვს, ხოლო ვინც მდიდარია, მას ცოტა აქვს გონება.
შაჰიდ ბალხელი

გრძელი სიტყვა ისევე ვერ წასწევს წინ საქმეს, როგორც გრძელი სამოსელი ვერ წაგვადგება სიარულში.
შარლ მორის ტალეირანი

თუ ყვავი ვარდსა იშოვნის, თავი ბულებული ჰკონია.
შოთა რუსთაველი

წიგნი ცოცხალი მეგობარია, მოსაუბრე და მრჩეველი შენი.
ფრანჩესკო პეტრარკა

არაფერი არა ვნებს ადამიანს ისე, როგორც უვიცობა.
სოფოკლე

მეგობართა სიყვარული არის ჩვენი გალავანი.
კასია

შუკისძიება პაიოს სისხლის ასაღებად თუ პოლიციური მკვლელობა?

ქობულეთის მომავალ გამგებელს საკუთარმა ძმისშვილმა ესროლა

ნინო იაშვილი

2001 წლის 3 აგვისტოს, საღამოს 6 საათისთვის ქ. ქობულეთის მოსახლეობა საშინელი მკვლელობის მოწმე გახდა. გამგებობის შენობიდან ეზოში გამოსული, შინისკენ მიმავალი ერთ-ერთი თანამდებობის პირის – ვახტანგ გოგიტიძის გვერდით მოულოდნელად თეთრი „ნივა“ გაჩერდა. მანქანაში მჯდომმა ახალგაზრდამ უეცრად მისკენ ცეცხლსასროლი იარაღი გაიშვირა და ესროლა. სროლის მომენტში ვახტანგ გოგიტიძემ პირი იბრუნა, რათა გაქცეულიყო, თუმცა, როგორც ამბობენ, გადარჩენა იმ სიტუაციაში შეუძლებელი იყო. ტყვია მას ზურგში მოხვდა და გულში გაუარა. ვახტანგ გოგიტიძე უსულოდ დაეცა. „ნივა“ მაშინვე დაიძრა და გაუჩინარდა. მკვლელი გოგიტიძის ძმისშვილი – ბესიკ გოგიტიძე აღმოჩნდა, რომელიც დღემდე იმალება.

დაზარალებულები და ეჭვმიტანილის ახლობლები ერთმანეთის ნათესავები, თითქმის ერთი ოჯახის წევრები არიან. ისინი მომხდარ ფაქტზე ჟურნალისტებთან საუბრისგან თავს იკავებენ, თუმცა ერთ-ერთი მათგანი მკვლელობის ზოგიერთი დეტალის გარკვევაში დაგვეხმარა. თავისი სახელისა და გვარის გამოშვებულებაზე კი კატეგორიული უარი გვითხრა:

„იმ დღეს ვახტანგი ჩვეულებრივად, სამსახურში იყო წასული. დაახლოებით საღამოს 6 საათი იქნებოდა, როცა იქიდან შინისკენ მოდიოდა. გამგებობის შენობას გამოშორებულიც არ იყო, როცა მის წინ „ნივა“ გაჩერდა. ქუჩაში ხალხი მიდი-მოდიოდა, იქვე ვახტანგის ნაცნობებიც იდგნენ და კარგად დაინახეს, რომ მანქანაში ამ უკანასკნელის ძმისშვილი იჯდა, თან რამდენიმე ბიჭი ახლდა. იარაღი – ორლულიანი გადაჭრილი სანადირო თოფი სწორედ მის ძმისშვილს დაუმიზნებია ბიძისთვის და უსვრია. თავად ვახტანგი იარაღს ყოველთვის ატარებდა, იმ დღესაც თან ჰქონდა, მაგრამ ძმისშვილი რომ შეიცნო, პისტოლეტის ამოღება და თავის დაცვის მიზნით ბესიკისკენ სროლა არც კი უცდია. ამ დასკვნას



იქიდან ვაკეთებთ, რომ იარაღის ბუდე შესწილიც არ ყოფილა. ცხადია, ვახტანგმა ძმისშვილი იცნო, ამიტომაც იბრუნა მაშინვე პირი და გაქცევა სცადა, თორემ სხვას იგი წინააღმდეგობას აუცილებლად გაუწევდა, ეცდებოდა მაინც...

ვერასოდეს ვიფიქრებდი, თუ ბესიკი ამას ჩაიდინდა. იმდენად მშვიდი და წყნარი ბუნების ადამიანია, რომ მსგავსი ეჭვი არავის გაუჩნდებოდა. ძალიან უწყინარი და ჩუმი გახლავთ, მთელი დღის მანძილზე ორ სიტყვას თუ იტყვის ხოლმე. თანაც, ბიძამისთან ძალიან კარგი ურთიერთობა ჰქონდა, ყოველ შემთხვევაში, გარეგნულად ასე ჩანდა. ამას წინათ, ვახტანგმა ბესიკს სამსახური უშოვა, ფულს აძლევდა. ჩვენთან – ნათესავებთან ბესიკი გულგახსნილი არასდროს ყოფილა, საერთოდ გულჩათხრობილი იყო და დიდად არავისთან მეგობრობდა.

ის, რაც 3 აგვისტოს მოხდა, ბევრის აზრით, ამ ოჯახში 10 წლის წინ დატრიალებულმა ტრაგედიამ განაპირობა. ვახტანგ გოგიტიძე, ისევე, როგორც ბესიკის ოჯახი, სოფელ ალაშბარში ცხოვრობდა. ვახტანგის ცოლს დაბადების დღე ჰქონდა და წვეულება იქ გადაიხადეს. სუფრასთან რაღაც გაუგებრობა მომხდარა, რის გამოც ვახტანგს სტუმრებთან შელა-

პარაკება მოსვლია. მაშინ მას ცეცხლსასროლი იარაღი აუღია და გაუსვრია. ტყვია შემთხვევით მის ძმას – ბესიკის მამას მოხვდა და იქვე მოკლა...

ეს 1991 წელს მოხდა. მაშინ ვახტანგი მილიციას არ დაუკავებია. ყველა იმას ამბობდა, რომ მას ძმა შემთხვევით შემოაკვდა. ამაში ეჭვი თითქმის არავის ეპარებოდა – ვახტანგის ბუნებიდან გამომდინარე, თუმცა, რა მოხდა სინამდვილეში იმ დღეს, კონკრეტულად ვისთან მოუვიდა ჩხუბი ან რის გამო, არავინ იცის. ამაზე ოჯახის წევრები არაფერს ამბობენ. ზოგი იმასაც ირწმუნება, შეზარხოშებული ვახტანგი კარგ გუნებაზე იყო და ამის ნიშნად უნდოდა უბრალოდ ჰაერში გაესროლა, იარაღიც ამისთვის ამოიღო, მაგრამ ტყვია მოულოდნელად გაგარდაო“.

ასე იყო თუ ისე, დღეისათვის გავრცელებული მთავარი ვერსიით, ტრაგედიიდან 10 წლის შემდეგ ძმისშვილმა ბიძაზე შური იძია და მამის მკვლელობისთვის მას ტყვეით გაუსწორდა.

მკვლელობაში ეჭვმიტანილი ბესიკ გოგიტიძე 21 წლისაა. იგი სოფელ ალაშბარში დღესთან ერთად ცხოვრობდა. ახლობლებისა და ნათესავების თქმით, ბესიკ გოგიტიძეზე ძირითადად, ბიძა ზრუნავდა – აცმევდა, აჭმევდა და ოჯახსაც მატერიალურად ეხმარებოდა.

ადგილობრივი მოსახლეობის გადმოცემით, ვახტანგ გოგიტიძე ქობულეთში საკმაოდ გავლენიანი პირი იყო. ქალაქის გამგეობაში დიდი თანამდებობის გარდა, იგი არაერთი რესტორნის, მღალახისა და ავტოგასამართი სადგურის მფლობელი გახლდათ. რამდენიმე თვეში ახალი გამგებლის არჩევნები უნდა შემდგარიყო. იმ პერიოდისთვის ერთადერთი კანდიდატურა ვახტანგ გოგიტიძე იყო. აღსანიშნავია, რომ ზემოთ ხსენებული ვერსიის ნაცვლად, დაზარალებულები მკვლელობის მიზეზს სწორედ არჩევნებს უკავშირებენ.

„ჩვენი აზრით, მიზეზი ეს უნდა იყოს. ვახტანგ გოგიტიძე ქალაქში თავისი ვაჟაკობით იყო განთქმული, ამიტომაც, იგი ყველას უყვარდა, მაგრამ, ბუნებრივია, მოშურნეც ყოლებოდა. მაშ, რატომ მაინცდამაინც არჩევნების წინა პერიოდს დაემთხვა მისი მკვლელობა? ის რომ ცოცხალი ყოფილიყო, ხალხი მას აუცილებლად გამგებლად აირჩევდა: ამ ეტაპზე იგი ერთადერთი რეალური კანდიდატურა გახლდათ, თუმცა, ვისაც არ უნდა გამოეთქვა მომავალში გამგებლის პოსტზე არჩევის სურვილი, მას კონკურენციას ვერ გაუწევდა.

ვიღაცამ ოჯახში 10 წლის წინ მომხდარი უბედურება თავისი პირადი ინტერესებისთვის გამოიყენა და

იგი ახალი მკვლელობის მიზეზად აქცია. ცხადია, ბესიკი ბიძის მოსაკლავად სპეციალურად წააქეზეს, რათა იგი, ბოლოს და ბოლოს, გზიდან ჩამოეშორებინათ“.

ვის არ აძლევდა ხელს ვახტანგ გოგიტიძის გამგებლად არჩევა, ჯერჯერობით უცნობია. ხალხი ამაზე არაფერს ამბობს, სამართალდამცავებს კი, როგორც ჩანს, ამ ვერსიაზე ყურადღების გამახვილება არ სურთ. ქობულეთის მოსახლეობისგან შევიტყვეთ, რომ მკვლელობის ფაქტს არაერთი თვითმხილველი ჰყავდა, თუმცა ამ პიროვნებათა დასახელებისგან თავს იკავებენ. არადა, სწორედ მათ აქვთ ნათქვამი, რომ მანქანაში ბესიკ გოგიტიძესთან ერთად სხვა პირებიც ისხდნენ – ამ პიროვნებების ვინაობა კი ჯერჯერობით გაურკვეველია. როგორც შევიტყვეთ, არც თვითმხილველებს აქვთ სურვილი გამოაშკარავდნენ. ამ უცნაური ღუძილის მიზეზი, როგორც ადგილობრივი მცხოვრებლებისგან შევიტყვეთ, გოგიტიძის გვარი ყოფილა:

„აჭარაში ავტორიტეტითა და განსაკუთრებული უფლებებით ორი გვარი სარგებლობს – აბაშიძეებისა და გოგიტიძეების. ეს ორი გვარი განსაზღვრავს ყველაფერს, მათ შორის დანარჩენების ცხოვრების წესსაც. ასეა ბიზნესშიც და ასეა კრიმინალურ სამყაროშიც. თუკი

აჭარაში ჩადენილ რომელიმე დანაშაულში კრიმინალთა შორის ამ ორი გვარიდან ერთ-ერთი გაერია – საქმე სამუდამოდ მიიჩქმალება. ხოლო თუ პირიქით მოხდა და მათ დაუშვეს რამე, ამ გვარების წარმომადგენლები დამნაშავეებს თვითონ უსწორდებიან“ – ასეთი კომენტარი გაუკეთა მომხდარს ერთმა ჩვეულებრივმა ქობულეთელმა მოქალაქემ.

ზემოთ ხსენებული გვარები, როგორც ჩანს, ადგილობრივ სამართალდამცავ სტრუქტურებზეც ახდენს გავლენას. ამაში კიდევ უფრო დავრწმუნდით, როცა ქ. ქობულეთის საქალაქო პროკურატურას მივაკითხეთ და ვახტანგ გოგიტიძის მკვლელობის ფაქტზე კომენტარი ვთხოვეთ: პროკურატურაში მყოფ თანამშრომელთაგან ცივი უარი მივიღეთ, უშუალოდ ამ საქმის გამომძიებლებს კი ვერსად მივაგენით – ისინი ფიზიკურად ვერ ვიპოვეთ. ჩვენს წუხილზე ერთ-ერთმა ფორმიანმა ღიმილით გვიპასუხა: **„ახლა „სეზონია“, იმნაირი პერიოდია ქალაქში, თავის ადგილას ვერავის და ვერაფერს ნახავთ...“**

ვახტანგ გოგიტიძის ნათესავები მომხდარზე საუბრისას სამართალდამცავებს არც ახსენებენ, ისინი მკვლელობის მიზეზის დადგენასა და დამნაშავესთან გასწორებას საკუთარი ძალებით აპირებენ. ■



აპორტახის გეგმა

ჩინეთის გუნდუანის პროინციის ხელმძღვანელობამ მის შემადგენლობაში შემავალ ხუაიძის ოლქის ხელისუფალთ გაუგზავნა ღირეექტივა, რომლის თანახმად, 2001 წლის ბოლომდე, ოლქში, სულ ცოტა, 20 ათასი აბორტი და ქალის სტერილიზაციის ოპერაცია უნდა გაკეთდეს. ამ განკარგულების მიზეზი ის არის, რომ მოსახლეობის ბოლო აღწერის მიხედვით, ხუაიძიში მცხოვრებ ოჯახებს 5-5 შვილი ჰყავთ, რაც ჩინური კანონის – „ერთი ოჯახი – ერთი შვილი“ – უხეში დარღვევაა. პეკინში აკრედიტებულ უცხოელ კორესპონდენტთა ინფორმაციით, ოლქის სოფლებში აბორტების უმეტესი ნაწილი იძულების წესით გაკეთდება. საამისოდ, ჯანმრთელობის ადგილობრივ ორგანოებს ძვირად ღირებული ულტრაბგერითი აპარატურა გადასცეს, რომელიც ორსული ქალების გამოვლენისთვის არის საჭირო. დადებითი ტესტები ექიმებს იმის საშუალებას მისცემს, რომ ადგილზევე ჩაატარონ ოპერაციები.


ნიუ-იორკის გუბერნორი ნახლიდან გააგდეს

ნიუ-იორკის მერის ოფიციალური რეზიდენცია, რომელსაც გრენსი-მენსი ჰქვია, აღარ არის რუდოლფ ჯულიანის სახლი, თუმცა თავად ჯულიანი კვლავ ქალაქის თავის

მოვალეობას ასრულებს. ეს ამბავი კი იმის გამო მოხდა, რომ მისმა ცოლმა დონა განოვერმა ქმარი ღალატში დაადანაშაულა და სასამართლოში განქორწინების სარჩელიც შეიტანა. ქალბატონი დონა აცხადებს, რომ სწორედ ის და არა მისი დამნაშავე ქმარი უნდა დარჩეს მერის რეზიდენციაში ამ წლის ბოლომდე – მანამდე, ვიდრე მისი უფლებამოსილების ვადა არ ამოიწურება. მოარული ხმები ამის შესახებ, სულ ცოტა ხნის წინ დადასტურდა: ჯულიანი თავის ძველ მეგობართან – ჰოვარდ კოპელთან გადავიდა საცხოვრებლად. ამან კი ჭორების ახალი ტალღა გამოიწვია, რადგან მერის მეგობარი კოპელი – გეია, რომელიც მრავალი წელია თავის პარტნიორთან – ვინმე მარკო სიოსთან ერთად ცხოვრობს...



დავით სოკოლოვი ათწლეულების მანძილზე თითქმის ყოველდღე ჩვენს ოჯახებში „გვესტუმრებოდა“ სოლმე — ტელეეკრანიდან პროგრამა „მოამბისა“ და ბევრი სხვა გადაცემის წამყვანად გვევლინებოდა. 1991-92 წლების ტრაგიკული ამბების შემდეგ სამზოვოზე კარგა ხანს არ გამოჩენილა, მერე კი მოულოდნელად, მისი ნაცნობი ხმა და დამახასიათებელი ინტონაციები „ვიდეოპატრულის“ გამოშვებებში აუღერდა. საზოგადოების დიდ ნაწილს ბევრი კითხვა აქვს ბატონ დავითთან. ცხადია, ყველაფერს ერთი ინტერვიუ ვერ დაიტევს, მაგრამ იმედია, ნაწილობრივ მაინც დაგაკმაყოფილებთ მკითხველის ინტერესს.



სისხლით თავისუფალმა „კაზაკმა“ სასიღვრო ქართული თავდაჭერილობით მოხიბლა

ირინა ეურეშიძე

— **საინტერესოა, საიდან და როგორ მოხვდა საქართველოში პირველი სოკოლოვი?**

— ჩემი წინაპარი კაზაკი იყო — ქალაქ კრემენჩუგის მკვიდრი, და საქართველოში დიპლომატიური მოღვაწეობის წყალობით მოხვდა: სამხედრო ჩინოსანი, იმერეთის მეფე სოლომონის კარზე დესპანი იყო. მეფეც კარგი თვალთ უყურებდა თურმე და პატივისცემითაც ეპყრობოდა. იმდენად მოსწონებია კაზაკს საქართველო, რომ რომანიც გაუბამს და რაჭაში, ბაქრაძის ქალზე დაქორწინებულა. მეფე სოლომონს კი მისთვის ხარაგაულში ადგილ-მამულები უბოძებია; გადმოცემით ვიცი, რომ პატივისცემის ნიშნად, საკუთარი ხმალიც შემოუხსნია წელიდან და სამახსოვროდ უჩუქებია.

ის ხმალი ბაბუაჩემს ოცდაერთ წლამდე მოჰყვა, მაგრამ მამიდაჩემის ავადმყოფობის გამო გაყიდა და მომაკვდავს სიცოცხლე გაუხანგრძლივა. სხვათა შორის, ამის გამო ბაბუაჩემი დაპატიმრებული იყო, რადგან ჯერ ერთი, მაშინ თურმე არ შეიძლებოდა, რომ სახლში სამეფო ხმალი გქონოდა და მერე ის გაგეყიდა კიდევ. როგორც ვიცი, ჩვენი ეს რელიკვია ამჟამად კრაკოვის მუზეუმში ინახება...

მოკლედ, ჩემი წარმომავლობა ხარაგაულის რაიონის სოფელ

მაქათუბნიდან იღებს სათავეს. ასე რომ, სისხლით, თავისუფალი კაზაკიცა ვარ და თავდაჭერილი ქართველიც...

— **გამოდის, რომ სახელმწიფო პოლიტიკასთან, ცხოვრების დაკავშირება გენებიდანაც მოგდგამთ.**

— კი, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ ჩემი წინაპრები პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობას თავიანთ მოვალეობად თვლიდნენ, ჩემს შემთხვევაში კი, სხვანაირი მიდგომაა: მე სურვილი არ მაქვს, პოლიტიკაში გავერიო და დემერთმა დამიფაროს, ეს რაღაც გარკვეული ფორმით გამოვხატო. თუმცა, იძულებული ვარ, გამოვხატო პროტესტი არსებულის წინააღმდეგ. მართალია, ამით საქმეს არაფერი ეშველება, მაგრამ გულს რომ ვიფხან, ცოტათი ვშვიდდები...

— **აღბათ ხარაგაულში ნათესავები გყავთ და ხშირადაც ჩადისართ.**

— როგორ არა, ნათესავები მყავს, მაგრამ სოფელში თითქმის აღარავინ დარჩა. ადრე უფრო ხშირად ჩავდიოდი, ახლა კი ამას ვეღარ ვახერხებ.

— **კიდევ რა თვისებას გამოარჩევდით ქართულ-კაზაკური „სინთეზიდან“?**

— ისევ მინდა ხაზი გავუსვა ჩემს დემოკრატიულ და ობიექტურ ხასიათს. ამ თვისებას ვაკლენდი ბავშვობაში, ახალგაზრდობაში და ვაკლენ დღესაც

— ოჯახში იქნება ეს, სამსახურსა თუ მეგობრებში. მასხოვს, როცა პატარა ბიჭი ვიყავი და უბანში ჩხუბი მოხდებოდა (მთაწმინდაზე ვარ დაბადებული და გაზრდილი), ყოველთვის ვცდილობდი ე.წ. „საქმეების გარჩევის“ დროს მიუკერძოებელი ვყოფილიყავი, თუნდაც დამნაშავე ჩემი უბნელი ყოფილიყო. ჩემი „ფუნქცია“ კი იმ დროს ჩხუბის „კონტროლით“ და შემდეგ სიმართლის დადგენით „შემოიფარგლებოდა“. რომ იტყვიან, უბანმა გამზარდა და ქუჩამ ჩამომყალიბა ისეთი, როგორიც დღეს ვარ. რაც შეეხება თავდაჭერილობას, ეს თვისება არც კაზაკებს აკლიათ — ისევე, როგორც არ აკლიათ თავისუფალი ხასიათი ქართველებს, მაგრამ რისი თქმა მინდა, იცით? როცა ჩემს პიროვნებას ვინმე ზღუდავს და ცუდად ეხება, უკვე ამ მეორე თვისებას ვიყენებ და სიტუაციის მიხედვით ვმოქმედებ. ამაში კი ნამდვილად ქართული თავდაჭერილობა მეხმარება.

— **მაშინაც თავდაჭერილი იყავით, როცა ჩხუბში უსამართლოდ „გხვდებოდათ“ სოლმე?**

— იმ კაცს რა ვუთხრა, ვისაც ბიჭობაში ერთი-ორი არ „მოხვედრია“! მაგრამ ისედაც არ გამიგოთ, თითქოს დიდად გათქვეფილი ვიყავი ქუჩის ორომტრიალში. ჩემი „ფუნქცია“ ყოველთვის გაურკვევლობის გარკვევა იყო და ამისთვის ზოგჯერ „მხვდებო-

და“ კიდევ. მოკლედ, სიმართლისთვის შეწირული ბავშვი ვიყავი, მაგრამ ხშირად ამაგიც მიფასდებოდა. არ დამავიწყდება ერთი შემთხვევა: ნაჩხუბარი ბიჭები, ბუნებრივია, იმ დღესვე არ გადაეხვეოდნენ ერთმანეთს და გაბუტულები ახალი შეტაკებისთვის ემზადებოდნენ. იმ ჩხუბში, მართალია, ჩემი კუთვნილი ადგილი მეჭირა, მაგრამ მაინც „მომხვდა“. ამის გამო, ცოტა არ იყოს, ზომაზე მეტად ვიყავი გაბრაზებული. გაიარა ერთმა დღემ, მეორემ, მესამემ და ბოლოს, ველარ მოვითმინე — შევკრიბე ჩემი ბიჭები და „მოწინააღმდეგის ბანაკში“ ახალი „საგმირო საქმეების“ ჩასადენად წავიღვი. იმ ბიჭმა, რომელიც უსამართლოდ მომექცა, ყველას ბოდიში მოგვიხადა და იმ დღიდან, დამიმეგობრდა კიდევ.

— დღესაც ასე ქრის თქვენი სამართლიანობა?

— ჩემს ცხოვრებას 1992 წლიდან შეურაცხყოფა და დევნა ახლავს, მაგრამ გულს იმით ვიმშვიდებ, რომ მე კი არა, დღეს ქვეყანასაც შეურაცხყოფენ და ამ შემთხვევაში ჩემი ამბავი ნაკლებად მნიშვნელოვანია.

— მაგრამ გულის დასამზვიდებლად, ოჯახში საუკეთესო გარემო გქვია...

— ამაში ნამდვილად გეთანხმებით, მაგრამ ოჯახის წევრების განსაცდელსა და ნერვების წყვეტას ჩემს თავს ვაბრალებ და ამას ძალიან განვიცდი. ჩემმა მეუღლემ, ჩემთან ერთად ძალიან ბევრი განსაცდელი გადაიტანა და აბა, რა სასიამოვნოა?!

— იქნებ, უფრო კონკრეტულად გვიამბოთ თქვენს ოჯახზე?

— მყავს არაჩვეულებრივი მეუღლე და მეგობარი — დალი ფიცხელაური. პროფესიით ჟურნალისტი, მუშაობდა ტელევიზიაში — გაზეთის „ლაპარაკობს და უჩვენებს თბილისი“ რედაქტორი იყო. ერთი წელია, რაც სამსახურს თავი დაანება და ახლა მხოლოდ ოჯახის უფროსი დიასახლისის ადგილით კმაყოფილდება... გაგიმხელთ იმასაც, რომ ოჯახი სიყვარულითა და სირთულეების გადალახვით შევქმენით. დალის დედა სასტიკი წინააღმდეგი იყო ჩვენი შეუღლების: რატომღაც ამითვალწუნა და აგრესიულად იყო ჩემ მიმართ განწყობილი. მიუხედავად იმისა, რომ დალის დედამისის ძალიან

ეშინოდა, ერთმანეთის ნახვას მაინც ვახერხებდით. ბუნებრივია, ამაში მეგობრებიც გვეხმარებოდნენ. არადა, რომ ვიხსენებ, მეცინება: ჩემს სიდედრს თითქოს ხელი უნდა შეეშალა, თავისი მკაცრი პოლიტიკით, და მგონი, პირიქით — დაგვეხმარა დაახლოებაში, რადგან აკრძალული ხილი უფრო გემრიელია, ვიდრე ნებადართული... მოკლედ, ჩვენ ორივენი, ძალიან პრინციპულები აღმოჩნდით და მიუხედავად სასიდედროს მკაცრი წინააღმდეგობისა, მაინც დავკორწინდით. რა თქმა უნდა, დრო მკურნალა, ალბათ მეც დავიმსახურე „ღირსეული“ ადგილი სიდედრის თვალში და, ბოლოს და ბოლოს, ყველაფერი ჩაწყნარდა. მერე, მგონი, თავის შვილზე წინაც მაყენებდა და სულ მეუბნებოდა — ამ ქალს როგორ უძლებო? როგორც ხედავთ, გაკუძული ერთმანეთს და აგერ, შვილთაშვილსაც მოვესწარით. გვყავს ორი შვილი — ქალ-ვაჟი, სამი შვილიშვილი და ერთი შვილთაშვილიც.

— ე.ი. დაქორწინებამდე ბევრი შიშითა და სირთულეებით გივლიათ?

— როცა შეყვარებულები ვიყავით, მე უკვე ტელევიზიაში ვმუშაობდი. მაშინ გადაცემები ფუნქციონირებდა — პირდაპირ ანძის შენობიდან გადიოდა და იმდენად დაკავებული ვიყავი, რომ ქალაქში ჩამოსვლას ვერც ვახერხებდი. სამაგიეროდ, დალი ახერხებდა ჩემთან ამოსვლას. ისე გამოდიოდა, რომ პაემანსაც თვითონ დალი ნიშნავდა და დათქმულ ადგილზეც, დროულად მოდიოდა, მე კი ვიჯექი სამსახურში და ველოდებოდი...

ისე, რუსთაველის თეატრის გარდა შეიძლებოდა კაცი სადმე წასულიყო? მარჯანიშვილის თეატრის სპექტაკლებზეც თაობები იზრდებოდა. არც მუსკომედიის მიუზიკლების არაჩვეულებრივი წარმატებები დამავიწყდება. მახსოვს, იმ დროს თბილისში, მოდაში იყო პიჯაკზე შემოსხვეული კაშნე. თითქმის ყველა ასე დავდიოდით, მაგრამ ვინ გაბედავდა თეატრში ასეთი ჩაცმულობით შესვლას?!


— თქვენი შვილები რას საქმიანობენ?

— პროფესიით ორივე ინჟინერია, მაგრამ არც ერთი არ მუშაობს. ჩემს ქალიშვილს, შვილიშვილი ჰყავს და მისი მოვლითა და ოჯახური საქმი-

ანობითაა დაკავებული. ბიჭი კი, ერთხანს აქტიურად ეძებდა სამსახურს, ვიღაც-ვიღაცებს აწუხებდა, მაგრამ რომ გაიგებდნენ მის გვარს და იმას, ვისი შვილიც იყო, ყველა თავიდან იშორებდა... მეტსაც გეტყვით. ჩვენი სახლი პირველ საშუალო სკოლასთან იყო და როცა 1992 წელს ხანძარი გაუჩნდა (თუ გაუჩინეს — ამას ახლა ჩემთვის რა მნიშვნელობა აქვს?!), მთავრობის სასახლეში ვიყავი და ტელეგადაცემა მიმყავდა. ამ დროს შინ ჩემი მეუღლე და ლოგინად ჩავარდნილი სიდედრი იყვნენ. როცა მითხრეს, შენი სახლი იწვისო, გაფიქვით გამოვვარდი ქუჩაში და უკვე სახლის გადარჩენაზე კი აღარ ვფიქრობდი, არამედ ის ტრაგედია წარმომიდგა თვალწინ, რომ დალი და დედამისი დანახშირებულები დამხვდებოდნენ... ღმერთმა ამ უბედურებას კი ამარიდა, მაგრამ რაც შემდეგ მოხდა, იმას ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი...

როგორც იქნა, გამოვედით ცეცხლმოკიდებული სახლიდან და აღარ ვიცით, სად წავიდეთ. მეგობრებისა და ახლობლების შეწუხება არ მინდოდა, რადგან ვიცოდი, ჩემ გამო რა დღეშიც ჩაცვივდებოდნენ და ამას მოვერიდე,





მაგრამ დალის მეგობარმა დამითანხმა და მეუღლე და სიდედრი, დროებით, სანამ რამეს მოვიფიქრებდი, თავისთან წაიყვანა. ის ოჯახი, რა თქმა უნდა, რამდენჯერმე დაარბიეს და შეავიწროვეს...

არ გასულა ალბათ ერთი თვეც, რომ ჩემი სიდედრი ძალიან ცუდად გახდა და საავადმყოფოში მიყვანიდან რაღაც სამ-ოთხ დღეში გარდაიცვალა. ახლა, მიცვალებულსაც ხომ არ მიუყვანდი დალის მეგობარს სახლში! გამახსენდა, რომ სამების ეკლესიაში ჩემი ახლობელი – როსტომ ლორთქიფანიძე წირავდა და მაშინვე მასთან წავიქედი. როცა ჩემი გაჭირვება გუჟამბე და ვთხოვე, ორი დღით იქ დაგვეგვენებინა და პანაშვიდები გადაეხადათ, თანხმობა მომცა და დაიმედებულიც გამომისტუმრა.

მეორე დღესვე, მეგობრების დახმარებით, მიცვალებული პროზექტურიდან წამოვასვენეთ და ტაძარს მივადექით, მაგრამ ვინდა ვიშვებს შიგნით?! ვერ გავიგეთ, რა ხდება, ვდგავართ ასე გაშტერებულები და ერთმანეთს ვუყურებთ. კარგა ხანი ვიდექით ასე და, როგორც იქნა, დალის დაუძახეს – ტელეფონთან გთხოვენო... არ დამავიწყდება ჩემი მეუღლის შემულილი სახე და ის სიტყვები, რომელიც აკანკალებულმა, ძლივს მითხრა: დარეკეს, დავით სოკოლოვს ნება არ მისცეთ, მიცვალებული ტაძარში დაასვენოსო... ადვილი წარმოსადგენია, რა დაგვემართებოდა. რა თქმა უნდა, ასეთი წინააღმდეგობის მიუხედავად, მიცვალებულს მაინც მივაგეთ სათანადო პატივი, მაგრამ დმერთმა ყველას მიუხლო!..

დავით სოკოლოვი მეუღლესთან, მეილთან და შვილიშვილთან ერთად

— რაიმეს ხომ არ ნანობ, თქვენ მიერ გადაადგმული ნაბიჯებიდან?

— სანანებელი და თავში საცემი მე არაფერი გამიკეთებია. იმას თუ გულისხმობთ, რომ ტელევიზიაში აღარ დავდივარ და „მოამბე“ მხოლოდ მოგონებად დამრჩა, არ ვიცი და, ისე, ძალიან კარგი მოგონებები დამრჩა იმ პერიოდიდან. ის ურთიერთობები, რომელიც ჩვენ, თანამშრომლებს მაშინ გვქონდა, დღესაც გრძელდება: ახლაც ვიკრიბებით ხოლმე ის „ძველი გვარდია“ და არაჩვეულებრივად ვატარებთ დროს. მართალია, ძველებიდან ტელევიზიაში თითქმის აღარავინ დარჩა, მაგრამ ეს ტრაგედიად ხომ არ უნდა აქციო?! თაობა თაობას ცვლის და ეს ბუნებრივია.

— მეგობრების წრეში ალბათ ხშირად თამაშობთ ხოლმე? ამ დროს პოლიტიკაზეც თუ საუბრობთ?

— თამაშა მართლაც ძალიან ხშირად ვარ. მიყვარს პოეტურად წარმართული სუფრა და არაჩვეულებრივი წესრიგი – „დემოკრატიული უფლებების გამოყენებით“. საერთოდ, თამაშა სიტუაციის მიხედვით უნდა მოქმედებდეს და ისე იყენებდეს თავის შესაძლებლობებს. რაც შეეხება სუფრაზე პოლიტიკაზე საუბარს, – როგორ ფიქრობთ, ახლა, მე საქართველოს სადღეგრძელოს ვიტყვი და იქ „ჩართვებს“ არ გავაკეთებ?! სულ სხვა განცდით ვზივარ იმ სუფრასთან, რომლის წევრებიც ჩემი ძველი „ტელევიზიონშიკები“ არიან. როგორც მაშინ, დღესაც

იმ სიტყვებით „ვლანძღავთ“ ერთმანეთს და ჩვენი ახალგაზრდობის წლებს ვიხსენებთ ხოლმე...

— თქვენს ახლანდელ საქმიანობაზე რას გვეტყვი?

— მე საზოგადოების არც ერთ ფენას არ ვემსახურები: ბოროტმოქმედი ნებისმიერი ხელისუფლების ხელში ბოროტმოქმედაა. ჩემი ამჟამინდელი დამოკიდებულება ეკრანთან არის ის „შუალედური პოზიცია“, რომელიც დაუმორჩილებლობის გამოსახატავად ავირჩიე. მართალია, ამით არც არავის აკლდება რამე და, არც ემატება, მაგრამ მე ხომ მაქვს ჩემი შეხედულება. თან ოჯახს რჩენა და არსებობა უნდა... ეს ერთოთახიანი ბინა, რომელიც კეკელიძის ქუჩაზე, დეიდაჩემმა დაგვიტოვა, კი არის საცხოვრებლად ნორმალური, მაგრამ ეს კმარა მარტო? სხვათა შორის, გვპირდებიან, რომ მალე ჩვენს სახლს ადაღვენენ და ისევ იქ გადავალთ. დაპირება კარგია, მაგრამ ძალიან მინდა, რომ მხოლოდ დაპირებად არ დარჩეს. ჩემზე მეტად, დალი ნერვიულობს თავისი სახლის დაქვევასა და განადგურებას: წარმოიდგინეთ, მშობლების სურათებიც კი არ დაგვრჩა... რაც შეეხება „აუდიენციაში“ რეკლამებსა და ტელეესერიალში „ძილის წინ“ ჩემს მონაწილეობას (ხმით. – ავტ.), სიმართლე გითხრათ, ერთი სერიაც არ მინახავს. ის ვიცი, რომ ყოველგვარ შინაარსს მოკლებული, დღის მანძილზე მომხდარი ამბების ანარეკლია, თუმცა რა შინაარსიანი დღეები ჩვენ გვაქვს?!



შ

იძაჩემ გურის თავის სამეზობლოში ერთი უფროსი მეგობარი ჰყავს. ფილიპე ჰქვია, მაგრამ ყველა ფილოს ეძახის. 72 წლის მოხუცია, ცოტა უცნაური, ახირებული და ჯიუტიც, მაგრამ ნარდს, შაშს, დომინოს და ჭადრაკს კარგად თამაშობს და გურისაც მეტი რა უნდა? თავისუფალი დრო თავზე საყრელად აქვს, ამიტომაც „იტალიური“ ეზოს შუაში, დიდ კაკლის ხესთან მიდგმულ მაგიდაზე ხან დომინოს ჭახაჭუხი ისმის, ხან კამათლების ჩხრიალი, ხანაც სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდება. ამ დროს კი უნახავადაც იციან, რომ გური და ფილო ჭადრაკს თამაშობენ. არც ის არის იშვიათობა, როცა ფილო დამდურული კაცის ხმით აყვირდება: ეს იმას ნიშნავს, რომ ბიძაჩემმა რაღაც მოიტყუა, მისი მოწინააღმდეგე კი, განრისხებული, სასტიკად აპროტესტებს.

გურის დედამ, თინა ბებია იცის, რომ ფილო გურმანიც არის, ამიტომ, როცა გემრიელ სადილს გააკეთებს, მუდამ ცალკე თეფშზე ან პატარა ქვაბში მეზობელსაც გადაუღებს ხოლმე ერთ თავ კერძს, რისთვისაც ფილოს აღტაცებულ მაღლობას იმსახურებს: „გმაღლობ, თინა, რატომ წუხდები?! თუმცა, უარს ვერასდროს გეუბნები, რადგან სასწაული ხელი გაქვს. უბრალო ბალახსაც კი ისე შეკაზმავ, თითებს ჩაატკვერინებ კაცს!..“

ასეა თუ ისე, ფილო განებივრებულია კაი-კაი კერძებით, მასთან ერთად კი მისი მონადირე ძაღლიც – ფიდელა (ფიდელ კასტროს პატივსაცემად დაარქვა). ფილოს არანაკლებ სიამოვნებს, როცა მის ფიდელასაც ხშირად უმასპინძლებიან. „იტალიურ“ ეზოში ყველა ცდილობს ფილოსა და ფიდელას მომადლიერებას, რადგან ორივეს ცოტა „მერალი“ ხასიათი აქვს.

ერთხელაც, თინა ბებია უგემ-



მარინა ბაბუნაშვილი
ფილო და ფიდელა

რიელესი ჩახოხბილი გააკეთა. წვნიანი ცალკე მათლაფაზე ამოიღო, შიგორი ნაჭერი ხორციც ჩადო და თავზე დააფარა, რომ არაფერი ჩავარდნილიყო. ეს მათლაფა, რა თქმა უნდა, ფილოსთვის იყო განკუთვნილი. პატარა ქვაბში კი ფიდელასთვის მოაგროვა „სალაფავი“ – ქათმის თავი, წაჭრილი ფეხები, ჩინჩახვი და სხვა „ხაბახუბა“. იქვე ჩაყარა პომიდურის კანიც და ზედ, „სიმსუქნისთვის“, პირველნახარში წყალიც დაასხა, ცოტა დაობებული პურიც ჩაყარა და კმაყოფილმა ჩაილაპარაკა: ესეც ასე, დღეს ფილოც და ფიდელაც კმაყოფილები დამრჩებიანო.

სამსახურიდან მოსულმა ბიძაჩემმა ბრახბარუნით აირბინა კიბე, გემრიელად ისადილა და დედამისს გასძახა – აბა, ფილოსთან რას მატანი? თინა ბებია იცის, მანდვე დღეს, პატარა მაგიდაზე და წაუღეო. გური ბიძიამ თეფშს ყურადღება არც მიექცია, ნარჩენებით სავსე ქვაბს ხელი წამოავლო და ფილოსთან საზეიმო

სახით მიარბენინა. ოჰ, შენ გაგახარა ღმერთმა, გუშინწინდელი ღობიო მქონდა დარჩენილი, იმის ჭამას ვაპირებდი, ახლა კი თინას წვნიანით ჩავიგემრიელებ პირსო, – თქვა ფილომ და დიდი კოვზი გამოიტანა. პირველად რომ მოხვრიპა, მთლად ესიამოვნაო, ვერ ვიტყვი, მაგრამ მეზობელს ხათრი არ გაუტეხა და პატარა ქვაბი ძირამდე ჩაიყვანა. სანამ წვნიანს შეექცეოდა, გური ბოლთას სცემდა, რადგან ეჩქარებოდა წინა დღეს დაწყებული ნარდის „სეანსის“ გაგრძელება. „აგი რა არის?“ – ფილოს შეყვირებამ ადგილზევე შეასტუნა ბიძაჩემი. „რა ხდება, ფილოს ვენაცვალე?“ – შეშინებული მიუახლოვდა მოწინააღმდეგეს.

„აგია, ბიჭო, გემრიელი სადილი?“ – ქვაბის ძირში ჩაახედა გურის. ჩაახედა და გულზე შემოეყარა: ქათმის უმი თავ-ფეხი, დაობებული პური და კიდევ სხვა „სისამაგლე“ შემორჩენოდა ქვაბის ძირს.

„დედა!“ – გამწარებულმა დაიყვირა გურიმ. თინა ბებია მაშინვე გადმოეკიდა მოაჯირზე:


– რა იყო, ბიჭო, რავა გამიხეთქე გული?

– რა გამომატანე ამ პატიოსან ადამიანთან?

თინა ბებია მადლად გადახედა.

– უიჰე, ჩემი სიკვდილი, მაგ ქვაბში ფიდელასთვის გადავინახე „რაღაცები“, ბატონი ფილოსთვის კი ჩახოხბილი დავასხი მათლაფაზე! – შეიცხადა თინა ბებია.

– მოგკლავ, იცოდე! – არაადამიანური ხმით დაიღრიალა ფილომ, ფიდელას ჯაჭვი ახსნა და გურისკენ მიუშვა. დაბნეულმა ბიძაჩემმა ძლივს ამოასწრო კიბეზე დამშეულ და გაავებულ ძაღლს. ნარდის შეწყვეტილი „სეანსი“ კი იმ დღესაც ჩაიშალა და მომდევნო სამი დღეც არ გაგრძელებულა...



უანასკნელი ათი წლის მანძილზე საქართველო უამრავმა სპორტსმენმა დატოვა. გაეცნენ ქართველი სპორტსმენის გაუსადღის ყოფას ჩვენი გოგო-ბიჭები და დღეს სხვა ქვეყნებს უხვებენ სახელ-დიდებას დიდი სპორტის საერთაშორისო არენაზე. მათ შორის, ვის წასვლასაც თავის დროზე დიდი ხმაური და აჟიოტაჟი მოჰყვა, ერთ-ერთი უპირველესი ყახი ყახიაშვილია. გასაგებია, რატომ: ოლიმპიური ჩემპიონები იშვიათად ტოვებენ სამშობლოს, უფრო სწორად რომ ვთქვათ – სამშობლო ვერ ელევა ხოლმე ასეთი რანგის სპორტსმენებს...

კვარცხლბეკზე არ ავადი, სანამ სასპორტო რეჟიმით არ შეცვალეს საბჭოური დროშა...

კახა კალმახელიძე

დღეს უკვე საბერძნეთის მოქალაქის – აკაკოს კახიაშვილიძის წარმატებებზე ხშირად გვესმის შორიდან. ისიც ვიცით, რომ იქ „ცოცხალ ლეგენდას“ უწოდებენ, რადგან კახი ერთ-ერთი იმ იშვიათ ძალოსანთაგანია, ვისაც ოდესმე მიუღწევია სამგზის ოლიმპიური ჩემპიონობისათვის. ბუნებრივია, მისი დღევანდელი ცხოვრებით დავინტერესდით, ათენში დავურეკე და ინტერვიუ ვთხოვე. უმაღლეს დამთანხმდა და ჩვენი საუბარიც სწორედ ბარსელონის ოლიმპიადისთან დაკავშირებული მოვითებით დაიწყო.

– ... დღეს საქართველოში ბევრს აღარც ახსოვს, რომ 1992 წელს ჩვენს ქვეყანას ოლიმპიური ოქროს მედალი მოუტანა... მაგრამ ეგ არაფერია. მე ვიცი, რომ ნაღდ გულშემატკივრებს ეს არასდროს დაავიწყდებათ...

– თავის დროზე საბერძნეთში თქვენს წასვლასთან დაკავშირებით დიდი ამბავი ატყდა, თქვენც გულნატკენი წახვედით. – ახლა როგორ შეაფასებდით იმ ნაბიჯს?

– დიდი წინააღმდეგობა შემხვდა საბერძნეთში გადასვლასთან დაკავშირებით. მესმის იმ ხალხისა, მაშინაც კარგად მესმოდა – არ სურდათ, რომ ოლიმპიური ჩემპიონი გაეშვათ ქვეყნიდან, დიდი სპორტსმენი დაეკარგა საქართველოს. იყვნენ ადამიანები, ვისაც მხოლოდ პატრიოტული გრძნობები ამოძრავებდა, ამ ხალხთან არაფერი მაქვს სასაყვედურო და არც ადრე მქონია. მაგრამ იყვნენ ადამიანებიც, ვისაც არ სურდა ჩემთვის გაეგო და ათას ცოდვას მომაწერდნენ. მე არაფერი დამეწივებია, ყველას საქციელი კარგად მახსოვს,


თუმცა, გულში ბოლმა არ ჩამიხვევია – ყველასთვის მიპატიებია ის გულისტკივილი, რაც მომაყენეს.

– ნუთუ, მცირე შანსი მაინც არ იყო, რომ დარჩენილიყავით და ატლანტის ოლიმპიადაზე საქართველოს სახელით გეასპარეზებთ?

– არა, არანაირი შანსი აღარ იყო და ამიტომ დავტოვე სამშობლო. საბერძნეთში წასვლა იყო ერთადერთი შანსი იმისათვის, რომ ჩემს თავში დიდი სპორტსმენი გადამერჩინა. ამის შედეგია, რომ კიდევ 2 ოლიმპიადა და უამრავი სხვა შეჯიბრება მოვიგე. საქართველოში რომ დავრჩენილიყავი, საშუალო ევროპული დონის სპორტსმენი ვიქნებოდი, დიდ გამარჯვებებს ვერ შევწვდებოდი და აბა, მითხარით, ამით რას მოიგებდა საქართველო? ახლა უფრო მოგებულნი ვართ მეც და ქართული სპორტიც: ჩემი წარმატებების გარდა, რითიც შემიძლია, ქართულ ძალოსნობას და ჩვენს ძალოსნებს ვეხმარები.

– რამდენადაც ვიცი, თქვენ არცთუ ისე თბილი ურთიერთობა გაქვთ საქართველოს ძალოსნობის ფედერაციასთან. ესმარებით კონკრეტულ პიროვნებებს და არა ფედერაციას – ე.ი. ქართულ ძალოსნობას საერთოდ რატომ?

– სიმართლე გითხრათ, არ მსურს ამ თემაზე დავწვილებით საუბარი და ძალიან



გთხოვთ, ნულარ გავაგრძელებთ. მოკლედ გეტყვით: კი, ვეხმარები ჩვენს ძალოსნებს, შეძლებისდაგვარად ვაფინანსებ კონკრეტულ სპორტსმენებს, მაგრამ არ ვეხმარები ძალოსნობის ფედერაციას, რადგან დარწმუნებული არ ვარ, რომ ფედერაციიდან სპორტსმენებამდე მიაღწევს ჩემი დახმარება...

– კონკრეტულად, რომელ სპორტსმენებს ეხმარებით?

– მოდით, ეს ჩემს საიდუმლოდ დარჩეს, არ არის საჭირო, რომ ქვეყანამ გაიგოს.

– გია ასანიძეს ბევრი სიკეთე გაუკეთეთ – ეს ქვეყანამ იცის და ამას ვერც უარყოფთ.

– ამას წინათ საბერძნეთში, ათენის ერთ-ერთ კლინიკაში, ტრავმირებული ხელის ოპერაცია გაიკეთა და რაღაც-რაღაცებში მეც დავეხმარე. მართალი ბრძანდებით, მისთვის ადრეც გამომართავს ხელი, მაგრამ სალაპარაკოდ არ ღირს. გია ჩემი მეგობარია, თავის ვაჟს, ჩემს პატივსაცემად,

კახი დაარქვა და მალე, პატარა კახი ასანიძე მე უნდა მოვხატო. ასე რომ, ვია ასანიძის მხარში დგომა ჩემი ნათესავური და მეგობრული ვალიც არის და არა ქველმოქმედება.

— თბილისში ხმა დაირხა — კახის გია ასანიძე საბერძნეთში მიჰყავს, იმ ქვეყნის მოქალაქეობაც უნდა მიაღებინოს და ასანიძეც საბერძნეთის ნაკრებში იასპარაზებსო.

— როგორ? როგორც მე გამოვდივარ საბერძნეთის სახელით, ვიაც ისე იასპარეზებსო — ასე ამბობენ?

— კი, საბერძნეთის მოქალაქე გახდებაო...

— არ დაიჯეროთ! ეგ ჭორია. კარგად ვიცი გიას გეგმები და ის საქართველოდან არსად აპირებს წასვლას. ამ თემზე საერთოდ არ გვისაუბრია.

— როცა 1996 წელს, ატლანტაში საბერძნეთის სახელით პირველად გახდით ოლიმპიური ჩემპიონი, ამბობდნენ, პრემიად ერთი მილიონ დოლარი მიიღო და ეს ჯილდო ქვეყნის პრეზიდენტმა გადასცაო...

— საბერძნეთის პრეზიდენტი მართლაც შეგვხვდა ატლანტაში გამარჯვებულ სპორტსმენებს, ყველანი ერთად მივიღო, მოგვილოცა და მადლობა გადაგვიხადა — სულ ეს იყო, მილიონი არავის არ მოუცია.

— რალაცას ხომ მიიღებდით პრემიად. მაინც, როგორი ჯილდო გერგოთ, როგორც ოლიმპიურ ჩემპიონს?

— დაახლოებით ისეთი, როგორსაც სპორტსმენებს მსგავსი წარმატებისთვის საბჭოთა კავშირის დროს აძლევდნენ საქართველოში. ოღონდ, მაშინ ფულს არ აძლევდნენ — ბინას მოგვცემდნენ, ან მანქანას, ან კიდევ ძვირად ღირებულ ავეჯს. განსხვავება ის არის, რომ საბერძნეთში ფული გადმოცეს.

— ინტერნეტით გაფრცხლდა ინფორმაცია, რომ თქვენი თანაგუნდეელი და თქვენსავით სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი პიროს დიმასი თქვენს წონით კატეგორიაში აპირებს გადასვლას. რალა დაგიმალოთ და, როცა ეს გაიგეთ, გაგვისხარდა — დიმასი ხომ დღემდე გია ასანიძის წონაში — 85 კგ-ში ასპარეზობდა და დიმასის წასვლით ასანიძე თავის წონაში ერთპიროვნული ლიდერი გახდება და დიდი წარმატებების მოპოვების მეტი შანსი გაუჩნდება. თუმცა, სამაგიეროდ, დიმასმა შეიძლება თქვენ შეგავინროვოთ...

— თქვენ წარმოიდგინეთ, მეც მიხარია, დიმასი რომ გია ასანიძის კონკურენტი აღარ იქნება და გიას მსოფლიო თუ

ოლიმპიური ჩემპიონობის მოპოვების მეტი შანსი იქნება. რაც შეეხება ჩემს შევიწროებას — ეგ რა თქვენი სანერვიულოა? მე არ ვვლავ მაგაზე და ნურც თქვენ იდარდებთ. გადმოვიდეს, ბატონო, ჩემს წონაში — მეც აქ დავხვდები!..

— ნოემბერში ძალსანთა მსოფლიო ჩემპიონატია. ემზადებით ამ ტურნირისთვის?

— არა, მსოფლიო ჩემპიონატზე არ გამოვალ, წელს საერთოდ არსად არ ვიასპარეზებ — დასვენება გადავწყვიტე. მხოლოდ მსუბუქად ვვარჯიშობ და გაისად, გაზაფხულზე, ევროპის ჩემპიონატში მივიღებ მონაწილეობას.

— ათენის ოლიმპიადაზეც იასპარეზებთ?

— კი, ათენშიც გამოვალ და მორჩა — ეს ჩემი ბოლო ოლიმპიადა იქნება, მერე წავალ სპორტიდან. კარგი იქნება, თუ მეოთხე ოლიმპიადასაც მოვიგებ და ისე წავალ...

— სპორტულ კარიერას რომ მოილევეთ, საქართველოში იცხოვრებთ მუდმივად თუ საბერძნეთში?

— არ ვიცი, ჯერ არ გადამიწყვეტია. ერთი ვიცი, რომ ურთიერთობებს არც საქართველოსთან გავწყვეტ და არც საბერძნეთთან.

— ათენის ოლიმპიადამდე დიდი დრო აღარ დარჩა. ალბათ, საბერძნეთის სპორტის მესვეურნი დიდ ყურადღებას გაქცევენ ოლიმპიური გუნდის კანდიდატებს?

— ოლიმპიადისთვის მთელი საბერძნეთი საგანგებოდ ემზადება. თუმცა, ვერ ვიტყვი, რომ ახლა უფრო გამორჩეულად გვეყრება ვინმე, ვიდრე სხვა დროს: საქართველოსგან განსხვავებით, აქ ყოველთვის იცოდნენ სპორტსმენის დაფასება. აქ სპორტსმენს ყველაფერი აქვს — რა თქმა უნდა, მისი ტიტულებისა და ავტორიტეტის შესაფერისად. სპორტიდან წასულ ხალხსაც არ ივიწყებენ — ოლიმპიურ თამაშებში ვინც 8 საუკეთესო ბერძენ სპორტსმენს შორის მოხვდება, გარანტირებული აქვს ჯარში სამსახური.

— ჯარში სამსახური რა სახარბიელო საქმეა?

— ვერ გამიგეთ. განა უბრალო ჯარისკაცად გაიწვევენ. საბერძნეთის ჯარში არსებობს სპეციალური სამსახური,

საქართველოს ოლიმპიურ კომიტეტში, ნონა გაფრინდაშვილთან ერთად

სადაც სპორტის ნებისმიერი სახეობის წარმომადგენელი საიმონებით იმუშავებს, რადგან დასაქმებასთან ერთად, საკმაოდ სოლიდური ანაზღაურებაც აქვთ გარანტირებული. სპორტიდან რომ მიდის კაცი, შეუძლია მაშინვე მივიდეს და იქ დაიწვოს მუშაობა. გინდა ჯერ მწვრთნელი იყავი ან სხვა საქმეში სცადე ბედი. თუ ხელი მოგეცარა, უმუშევარი არ დარჩები — მიაკითხავ თავდაცვის სამინისტროს, დაუდასტურებ, რომ ოლესდაც, რომელიღაც ოლიმპიადაზე 8 საუკეთესო ბერძენ სპორტსმენს შორის იყავი და შენი ადგილი დაჯავშნული დავხვდება.

— შენთვის ყველაზე დასამახსოვრებელი ერთი ეპიზოდი მოგიყვები შენი კარიერიდან.

— ბარსელონაში პირველად გახვდით ოლიმპიური ჩემპიონი. გავდივარ კვარცხლბეკზე ჯილდოს მისაღებად. გავიხედე — საქართველოს დროშის ნაცვლად, საბჭოთა კავშირის დროშა აღმართეს. პროტესტის ნიშნად, ჩამოვედი კვარცხლბეკიდან. დარბაზში ხალხი აქეთ-იქით იცქირებოდა გაკვირვებით — ვერ მიხვდნენ, რა მოხდა. მაშინ დსთ-ის ნაკრების შემადგენლობაში გამოვდიოდი ქართველი სპორტსმენები — ქართული დროშით, ჰიმნით, მაგრამ ჯერ 1992 წელს, საბჭოთა კავშირი ახალი დამსილია, დსთ ახალი შექმნილია. რუსეთი ყოველ ფენის ნაბიჯზე ცდილობდნენ, რაიმეთი ხაზი გაესვათ, რომ ჩვენ ოლიმპიადაზე დამოუკიდებელი ქვეყნის სპორტსმენები არ ვიყავით... აი, ამიტომაც დასჭირდათ საბჭოთა დროშის აღმართვა, მაგრამ მაინც ჩემი გავიტანე — ფეხი არ მოვიცვალე, სანამ საქართველოს დროშით არ შეცვალეს ის წითელი საბჭოური დროშა და მხოლოდ მაშინ ავედი კვარცხლბეკზე. გულსატკეპია, როცა ეს ბევრს არ ახსოვს ან არ სურს გაიხსენოს...



ქალბატონ გულჩინა დადიანს ახალგაზრდობაში პროფესიულ მსახიობობაზე არც უოცნებია. 41 წლის ქალი, მზრუნველი მეუღლე და დედა 3 შვილს ზრდიდა. თეატრთან და კინოსთან მხოლოდ ის შეხება ჰქონდა, რომ დადიანების ჩვეულებრივ, ინტელიგენტურ თბილისურ ოჯახში ხშირად იყრიდნენ თავს ცნობილი მსახიობები, რეჟისორები, დრამატურგები... ყველაფერი კი შემთხვევით — დადიანების ოჯახში დიდი მსახიობის, დოდო აბაშიძის მორიგი სტუმრობით დაიწყო. გულჩინა დადიანს პირველი სურათი — „პირველი მერცხალი“ იყო, შემდეგ კი არაერთ ცნობილ ფილმში გადაიღეს — „ღვინის ქურდები“, „ყვარყვარე“, „სოფლის აშვიკი“, „ბათა ქექა“, „ბოშები“, „მაისის თოვლი“ ... ქალბატონმა გულჩინამ სულ 15 ფილმში მიიღო მონაწილეობა და ყველგან დაუფინყარი სახეები შექმნა.



„პირველი მერცხალი“ — გულჩინა და დათული დადიანები

ბელს არ ვუჩივი

ქვერუბად ბუფბურაღი მარგუნა მსახიობები ლერთა!

კახა კალმახელიძე

— ქალბატონო გულჩინა, როგორ დაიწყო თქვენი სამსახიობო კარიერა?

— არტისტობისადმი მიდრეკილება ბავშვობიდანვე მქონდა. მიყვარდა ცნობილი ადამიანების „გამოჯავრება“, მათი ქცევებისა და მიმიკების მიბაძვა. რატომღაც, ოლეგ პოპოვი მყავდა ამოჩემებული — ძალიან მიყვარდა ეს კაცი. პოპოვის საუცხოოდ ვბაძავდი. ჩემმა მეგობრებმა გურამ კალანდაძემ და გიზო ბერაძემ ის ტანისამოსიც მარჩქქეს, რომლის მსგავსითაც ოლეგ პოპოვი საცირკო წარმოდგენების დროს გამოდიოდა ხოლმე... ეს ჩემი და ჩემი ქმრის შეუღლების მე-15 წლისთავზე მოხდა. გადავწყვიტეთ, ადგენიშნა ეს თარიღი, უამრავი სტუმარი მოვიწვიეთ. ხალხით გაივსო სასტუმრო ოთახი და ამ დროს მე ოლეგ პოპოვის ცნობილ ფორმამში გამოწყობილი გამოვეცხადე სტუმრებს, მამალი რომ ვერ ვიშოვე (ოლეგ პოპოვი მამლით გამოდიოდა არენაზე. — ავტ.) ნაუცბათევად მეზობელმა დედალი მომაჩქა ხელში. ასე, ქათმის კრიახით გამოვეცხადე ამ ხალხს. ვერ გაოცებულნი მიცქერდნენ — ყველას ეგონა, ოლეგ პოპოვი ჩამოვიდა, დავით და გულჩინა დადიანების ქორწილში, მერე კი მიხვდნენ, რომ მე ვიყავი გადაცემული და ატყდა ერთი ჟრიაპული. ასეთი ნომრები ხშირად გამიკეთებია ჩემი მეგობრებისთვის, ჩემი ოჯახის სტუმრებისთვის, ოღონდ, ეგ იყო, რომ მამალს ვერ ვშოულობდი,

თორემ მიღად ოლეგ პოპოვი ვიქნებოდი, მუღამ დეღლით მიწვედა პოპოვის თამაში. პირველ ფილმში კი, სრულიად შემთხვევით ვითამაშე. დოდო აბაშიძე ჩვენი ოჯახის ახლობელი, ჩემი მეუღლის მეგობარი იყო. მასხოვს, 1974 წლის ზაფხული იყო, დოდო გვეწვია ოჯახში. მიუესხელით სუფრას, ვსადილობთ და თან ვსაუბრობთ. დოდოს თავისი სამსახიობო საქმეების შესახებ ვკითხე — რას შვრები, დოდო, ახლა რომელ ფილმში ვიღებენ-მეთქი? დოდომ ამოიხრა — ჩემო გულჩინა, ბედი არა მაქვს, ფოთში ვიღებთ ფილმს, მე მთავარ როლს ვასრულებ, ფილმის ნახევარზე მეტი უკვე გადაღებულია და რეჟისორს ჩემთვის ცოლი ჯერაც ვერ მოუძებნია... მერე გაბრაზებულმა დააყოლა — ამის დედა ვატირე, უღებლო კაცი ვარ, ცხოვრებაში ცოლი არ შემეჩა და აგერ, ფილმშიც უცოლოდ ვრჩებიო... დოდოს მონაყოლმა გავგამხიარულა, მერე კი ჩემმა მეუღლემ უთხრა — თუ ეგრე გიჭირს, დოდო, აგერ, გულჩინა წაიყვანე, გარანტიას გაძლე, კაი ცოლობას გაგიწევს, პირადი გამოცდილებით გიდასტურებო... დავითი, რა თქმა უნდა, გაეხუმრა, მაგრამ დოდოს რა ეხუმრებოდა?! ამის თქმა იყო და შეენიშნე, დოდოს ლუკმა ყელში გაეჩხინა, უცებ გაშრა, ჭამას თავი მიანება და მე მომასტერდა. რა მოხდა, დოდო, როგორ მიცქერი, პირველად ხომ არ მხედავ-მეთქი, ვუთხარი. გულჩინა, მართლა ითამაშებ ფილმში ჩემი ცოლის როლსო? — მკითხა დოდომ. შენ კარგად იყავი, ჩემო დოდო, შენს ცოლობაზე უარს როგორ ვიტყვი-მეთქი, გავეხუმრე. თურმე დოდოს არ

ეხუმრებოდა, დაიჯერა ეს ამბავი, ადგა, წავიდა და დამშვიდობებისას დამიბარა: გულჩინა, მე რეჟისორს მოველაპარაკე, უთუოდ დავითანმებ, რომ ფილმში ჩემი ცოლი შენ იყო, იცოდე, მალე კინოსტუდიიდან მოგაკითხვენ და შენ იცი, არ დამალალატო, უარი არ თქვაო. აი, ასე, ხუმრობა-ხუმრობით დაიწყო ყველაფერი. ერთ მშვენიერ დღეს, მართლაც, მომაკითხეს კინოსტუდიიდან დოდოს სახელით და მითხრეს, გაემზადეთ, ორ დღეში ფოთში უნდა წახვიდეთო. ამის მერე გავიკითხე და გავარკვიე — რეჟისორი ნანა მჭედლიძე იღებდა ფენბურთზე ფილმს „პირველი მერცხალი“ და მთავარ გმირს — იასონ კვიციანიას, ცოლი არ ჰყავდა. ფილმში იასონის ცოლი უნდა ყოფილიყო.

— არ გაგიჭირდათ იასონ კვიციანიას ცოლობა?

— გამიჭირდა კი არა, შვილო, იქ ისეთი ამბები ატყდა, ერთ ფოთელ კაცს კინალამ ოჯახი დაუნერგე. ვეცდები, მოკლედ მოგიყვებ ჩემი სამსახიობო ღებუტის ამბები.

სცენარით მე და დოდოს (იასონს) შვილი არ გყავდა. ფოთში კი მარტო ვერ წავედი, ჩემი პატარა ბიჭი, დათული წავიყვანე — თბილისში ვერ დავტოვე ვერავისთან და რა მექნა? დათულის გამოჩენამ სცენარში კორექტივები შეიტანა: ნანა მჭედლიძემ როლზე დაამტკიცა და ჩემი და იასონის შვილად იქცა დათული — აკი ფილმშიც თამაშობს ეპიზოდურ როლს.

დიღებული მსახიობები დამხვდნენ ფოთში — ვასო ჩხაიძე, იპოლიტე ხეჩია, გურამ

ფირცხალავა, გურამ ლორთქიფანიძე, დიმა ჯაიანი... ჩვენი სასიქაღულო ფეხბურთელი ბორის პაიჭაძეც თამაშობს „პირველ მერცხალში“. სხვათა შორის, ესეც დოლო აბაშიძის ინიციატივით მოხდა. დოლო და ბორია ჩემი დიდი ქომაგები იყვნენ, მამხნევებდნენ, ასე და ისე მოიქცეოდნენ. დოლო, კი ბატონო, ამხელა მსახიობი იყო და კიდევ უნდა გავემხნევებინე, მაგრამ საინტერესო ის იყო, რომ ბორია პაიჭაძე კი გამოცდილი მსახიობივით მიხსნიდა, რა და როგორ უნდა გამეკეთებინა.

გემანსოვრებათ, ფილმში არის ასეთი ეპიზოდი: ჩემი გმირი — ფაცია, წივილ-კივილით გამორბის სახლიდან, ჩამორბის კიბეზე და ასე წიოკით, წყველა-კრულვით მისდევს თავის ქმარს. აი, ამ ეპიზოდის გადაღებას მოჰყვა დიდი ამბები:

ის სახლი, სადაც იასონ კვიციანიას ოჯახი ცხოვრობს, ფოთში იქირავა კინოსტუდიამ. ერთ იქაურ ტაქსის მძღოლს ოჯახი დასასვენებლად ჰყავდა გაგზავნილი, შინ მარტო იყო და იფიქრა, გავაქირავებ და ცოტა ფულს გავაკეთებო. რეჟისორებს აქვთ ასეთი ტერმინი — „გარემოსთან შეჩვევა“. ეს იმას ნიშნავს, რომ კონკრეტულ მსახიობს და მსახიობთა ჯგუფს რამდენიმე დღით ამყოფებენ იმ გარემოში, სადაც შემდეგ გადაღებები იქნება. „ჩემს სახლს“ რომ შევჩვეოდი, იქ ვატარებდი თითქმის მთელ დღეებს: ხალიჩები, ლოგინი გამოქონდა აივანზე და ვამზეურებდი, ვებრტყავდი, ოთახებს ვვკვიდი, ვალაგებდი... ერთი მომენტი ვერ გავითვალისწინეთ: ამ ყველაფერს ხომ მეზობლები უყურებდნენ. ჰოდა, ამ ხალხს უფიქრია — ეს ბიჭიკო (სახ-

ლის პატრონი) რა თავხედი ყოფილა: ორი დღის წინ ცოლ-შვილი დასასვენებლად გაისტუმრა და უცებ ვილაც ქალი მოუყვანიაო... თურმე ჩემზე სულ კბილებს ილესავდნენ — ეს ქალიც რა თავხედი ყოფილაო... უფრენიათ ბიჭიკოს მეზობლებს მის ცოლთან დებუმა: ჩქარა ჩამოდი, ოჯახი გენგრევიაო. მე ბაიბურში არა ვარ, რა ხდება ჩემს თავს. მოახლოვდა ამ დროს გადაღების დღე: მე საშინაოდ ჩაცმული, ფლოსტებით, თმაგაწეწილი, შეშლილი სახით მივსდევ კიბეზე იასონს, ისე გაკვივი, ხალხი სახლებიდან გამორბის. მთელი უბანი შეიყარა. ჩამოვვდი, როგორც იქნა, ეზოში, გამოვიჭერი წივილ-კივილით ქუჩაში და ვხედავ, ვილაც უცხო ქალი თმას იგლეჯს და ჩემზე უარესად, ისიც მეგრული წყველითა და კივილით ჩემკენ მოიწევს. კი გამიკვირდა, მაგრამ განვაგრძე თამაში, ჰოდა, მე აქედან მივრბივარ, ის იქიდან მორბის ლოყების ხოკვითა და კივილით... თურმე ბიჭიკოს ცოლია — მიუღია დებუმა და სასწრაფოდ დაბრუნებულა და საკუთარ სახლთან რომ მოსულა, დაუნახავს — უცხო ქალი მისი სახლიდან წყველით მისდევს უცხო კაცს... ისე იყო გამწარებული, არც კამერა დაუნახავს, არც გადაღების ამბავს მიმხვდარა. ვერაფერს მიხვდა, საწყალი, სანამ ჯგუფის წევრებმა არ დაამოშმინეს და აუხსნეს, ფილმის გადაღება რომ იყო... ისე დამაჯერებლად ვიწყველებოდი და ვკივიდი, მეორე ღუბლის გადაღებაც აღარ დაგვიჩინდა. ამ ეპიზოდის გადაღების შემდეგ დოლო აბაშიძე ამაყად დადიოდა და ყველას ეუბნებოდა — აბა, რა გეგონათ, ტყუილად კი არ მოვიყვანე: ვიცოდი, რომ ასე კარგად ითამაშებოდაო.

— თქვენ ბევრი ცნობილი მსახიობის გმირების ცოლები გითამაშიათ. ვისთან როგორ აენყო თქვენი „ცოლქმრული“ ურთიერთობები?

— კი, ასეა. „პირველ მერცხალს“ მოჰყვა „სოფლის აშკი“: იქ რამაზ ჩხიკვაძის გმირის — ლევანა მანჯავიძის ცოლი ვარ ტასიკო, „ღ-

ოლეგ პოპოვის კოსტიუმით, საკუთარი ქორწილის მე-15 წლისთავზე



გადასაღებ მოელანზე, რეპეტიციის დროს...

ინის ქურდებში“ — კახი კავსაძის (ელიბოს) „ცოლობა“ დამავალა რეჟისორმა ვალიკო კვაჭაძემ. სხვათა შორის, „ღვინის ქურდებშიც“ სრულიად შემთხვევით გადამიღეს. შეიძლება, არც დაიჯეროთ, რომ ის სცენა, როცა ელიბოს ცოლს მარნიდან სიმღერა ესმის და ქმარს აღვიძებს, სულ 15-20 წუთშია გადაღებული — ყოველგვარი წინასწარი მომზადებისა და რეპეტიციის გარეშე. ამ ფილმში კი ასე მოვხვდი: კინოსტუდიაში ვიყავი „სოფლის აშკის“ გახმოვანებაზე. გამოვდივარ და ეზოში ვალიკო კვაჭაძე მხვდება. ვალიკო ჩემი ოჯახის ახლობელი, ჩემი ქმრის მეგობარი იყო. რომ დამინახა, მომვარდა, მტაცა ხელი და ისევ სტუდიისკენ დამაბრუნა. მივდივართ და თან გზად მეუბნება: გულჩინა, როგორ გამინახარა შენი ნახვა, შენ უნდა მიშვილო. ვერ მივხვდი, რა უნდოდა. თუ კაცი გვავს მოსაკლავი, ვალიკო, მოვიკვდა გულჩინა, შენ გვერდით ვარ, სხვა რაში უნდა გამოგადემეთქი?! უარესი მჭირს, გულჩინა, ნეტავ, მთელი ბატალიონი მყავდეს გასაწყვეტი, არ ვიდარდებდი, მაგრამ ფილმს ვიღებ, ლამის დავასრულე გადაღება და ერთი უმნიშვნელოვანესი ეპიზოდი დამრჩა. იქ კი კახი კავსაძეს „ცოლი“ ვერ მოუუძებნე, იქნებ „გაუწიო ცოლობა“ მცირე ხნით... თავიდან უარი ვუთხარი: ბავშვი მყავს მეზობელთან დატოვებული და შინ მიმეჩქარება-მეთქი. არ მომეშვა ვალიკო, მეხვეწა და დამიყაბულა: ოღონდ, ნახევარ საათში თუ გადავიღებთ, თანახმა ვარ, მეტხანს ვერ გავგრძობდი-მეთქი — წავუყენე ულტიმატუმი რეჟისორს.

შევედით მე და ვალიკო პავლიონში და მესმის ღრიალი — თურმე კახი კავსაძე საცვლების ამარა ზის და ელოდება, რომ რეჟისორი ცოლს მიუყვანს. დამინახა ამ დროს კახიმ და გაუფართოვდა თვალები: გულჩინა, რა ვინდა აქ, ამ არტუთ ისე წესით ხალხში?! კახის „პირველი მერცხა-





კახი კავსაძე და გულჩინა დადიანი

ლი“ არ ჰქონდა ნანახი, „სოფლის აშვი“ ჯერ არ იყო გამოსული ეკრანებზე და არ იცოდა ჩემი არტისტობის ამბავი... აუხსნა ვალიკო კვაჭაძემ ყველაფერი. მოკლედ, შეეძვირი იმ ოკრობოკრო, ჭრელაჭრულად დაკემსილ, უშველებელ საბანში, ელიბოს და მის ცოლს რომ ახურავთ... ის ეპიზოდი ცოტა სხვაგვარად იყო დაგეგმილი – ელიბოს ცოლი აღვიძებდა თუ არა, ის მაშინვე თვალს დაჭყეფდა, ლოგინიდან წამოხტებოდა, ტანთ ჩაცვამდა და მარანში ჩარბოდა. როდის იყო, კახი, ახალგაღვიძებული, ძილ-ბურანში მყოფი კაცი ეგრევე ლოგინიდან წამოხტარეყო-მეთქი? დამიჯერა. ასე რომ, ჩემი მოგონილია ის სცენა – კახის რომ ვაღვიძებ, ის ჯერ მხარს იცვლის, მერე ბურტყუნ-ბურტყუნითა და ხელის ფათურით მოიწვევს ჩემკენ... პირველსავე ცდაზე გადავიღეთ ეს ეპიზოდი, ავდექი და შინ წამოვივლი.

— ქალბატონო გულჩინა, გეცოდინებათ — „ღვინოს ქურდებში“ მართლა ღვინოს სვამენ ელიბოს მარანში შეპარული მსახიობები?

— კი, ნაღდი ღვინის სმით მიდიოდა თურმე გადაღება. სხვადასხვანაირი ღვინო მოუმარაგეს გადაძლებ ჯგუფს, ხან ერთს აჭაშნიკებდნენ, ხან მეორეს. და ასე, ჭაშნიკ-ჭაშნიკში მიდიოდა გადაღება... თუმცა, იმ ეპიზოდში, კარლო საკანდელიძე უშველებელ ჯამს რომ მიიყუდებს და კახი კავსაძე ეპაქერება – შენ თუ ამ ჯამს დაღვეო... – ჯამში წყალი ასხია: ვეღარ გარისკეს...

— თქვენ მიერ ნათამაშებ სხვა როლებზე რას გვიამბობთ?

— კიდევ რამდენიმე ფილმში გადამიღეს. პროფესიონალ მსახიობობაზე პრეტენზია არ მქონია, არც არავინ შემიწუხებია – როლი მომეცა-მეთქი. თითქმის ყველა ფილმში შემთხვევით გადამიღეს. ვმონაწილეობდი ბიძინა ჩხეიძის ფილმში „ბატონი ავანტიურისტები“, ლეილა გორდელაძის „ბათა-ქექიასა“ და „ბოშებში“, რამაზ გიორგობიანის სურათში – „ყველაზე სწრაფები

მსოფლიოში“. „ყვარყვარეშიც“ შემთხვევით გადამიღეს: დოლო აბაშიძემ ეს საქმე უჩემოდ გადაწვევითა. თუ გახსოვს, იქ ყვარყვარეს მდივანს ვთამაშობ. დოლო უჩემოდ შეთანხმებია რეჟისორს – გულჩინა დადიანი მოვიწვიოთ „ჩემს“ მდივანად. მერე შინ დამირეკა, გახარებული იყო და მხიარულად მაუწყა: გულჩინა, გილოცავ, „დავაწინაურე“: თუ „პირველ მერცხალში“ ჩემი ცოლი იყავი, ახალ ფილმში ჩემი საყვარელი იქნებო...

— ოლეგ პოპოვის ცირკში რომ მისივე უნიფორმით გამოეცხადეთ, ეს ამბავი როგორ მოხდა?

— მოსკოვის ცირკი იყო ჩამოსული თბილისში, ოლეგ პოპოვის კოსტიუმი ჩავიცვი და კაი ხანს ვემზადებოდი შინ, სარკესთან, რომ რაც შეიძლება მეტად დაემსგავსებოდი. წავედი ცირკში. წარმოდგენა დაწყებულია, პოპოვი არენაზე – მორიგ ნომერს ასრულებს. კიბეზე დავეშვი და არენისკენ მივემართები. ხალხი გაოცებული იყურებოდა აქეთ-იქით: ხან მე გამომხედავს, ხან პოპოვს. მერე, ეტყობა, მაყურებელმა გადაწყვიტა, რომ ჩემი – „მეორე პოპოვის“ გამოჩენა თავიდანვე იყო გათვალისწინებული წარმოდგენაში და ტაში დასცხო. ამ დროს, თვითონ პოპოვიც გაოცებული იყურება გარშემო. წესით, იმ მომენტში ხალხს ტაში არ უნდა დაეკრა და ისიც მიხვდა, რომ წარმოდგენა დაგეგმილი სცენარით აღარ მიდიოდა... ამ დროს მეც მივუახლოვდი არენას და ბარიერსაც გადავაბიჯე. პოპოვი ჯერ დაბნეული მიქერდა, მერე უცებ მთავო გონს: სიცილი აუტყდა და ასე, სიცილ-ხარხარით, მომიახლოვდა და გადამეხვია. ხალხი კი ხანს გვიკრავდა ტაშს ორივეს, ოლეგ პოპოვმა კი ჩურჩულთ მითხრა – ამ საქმით ვჭამ პურს და ძალიან გთხოვ, ლუკმას ნუ წამართმევ, ჩემი კოსტიუმით ნუ გამოხვალ ხალხში...

— ქალბატონო გულჩინა, ახლა თქვენს ნამდვილ მეუღლეზეც გვიამბოთ.

— ჩემი მეუღლე დავით დადიანი ნაღდი თბილისელი ინტელიგენტი, უპატიოსნესი ვაჟკაცია. უწინ უმანგი ჩხეიძის ქუჩაზე ვცხოვრობდით. დიდი ბინა გვქონდა, ერთმანეთს ვკარგავდით ხოლმე სახლში. სტუმართმოყვარე ოჯახი გვქონდა იმთავითვე. ჩვენს ოჯახში დამღერებულა პირველად შემდგომში საქვეყნოდ ცნობილი სიმღერები, არაერთი ცნობილი ლექსი და მოთხრობა წაუკეთხავთ ჩვენთან პირველად ცნობილ პოეტებს, მწერლებს... საოცარი დღეები იყო, ერთად შეიყრებოდნენ ხოლმე ჩვენს ოჯახში ინილა გურგულია, გიული დარახველ-


იძე, რეზო თაბუკაშვილი, მეღვაჯაფარიძე, დოლო აბაშიძე, ნოდარ ლუძბაძე, ჯანო გიორგაძე, ლალი იაკობაშვილი, გიზო ნიშნიანიძე, დავით გამრეკელი... ჩემი მეუღლე მუდამ ხალისით უყურებდა პაროდით ჩემს გატაცებას. ხშირად თვითონაც მაგულიანებდა და როცა კინოში გადაღება დავიწყე, მაშინაც, რითიც შეეძლო, ხელს მიწყობდა ხოლმე.

— გამიგია, თქვენი საყვარელი მეუღლისთვის ერთხელ მაგარი ოინი მოგიწყვიათ, გაგარაში დასასვენებლად რომ წავიდა...

— ეს კაი ხნის ამბავია. მაშინ ახალგაზრდები ვიყავით... დავითმა, მეგობართან ერთად ზღვაზე დასასვენებლად წასვლა გადაწყვიტა. რამდენიმე დღით ადრე გამაფრთხილა – ყველაფერი გამიმზადე, დასასვენებლად მივდივარო. დაღვა მისი გამგზავრების დღეც. გაუუშავე ყველაფერი და ვიფიქრე, მოვა და რასაც თავად აირჩევს, იმ ტანისამოსს ჩავუწყობ-მეთქი. მთელი დღე ველოდები და არ ჩანს. მომეშალა წერგები. გაებრაზდი ძალიან. ავიღე ჩემოდანი, ჩავალავე ჩემი ტანისამოსი, ჩემი თეთრული და „ზრდილობის გულისთვის“, დავითის ერთი პერანგი და შარვალიც დავადე ზემოდან. მატარებლის გასვლას წუთები აკლდა, როცა ჩემი მეუღლე შემოვარდა სახლში: არც დამჯდარა, ისე დაავლო ჩემოდანს ხელი და გაიქცა. ჩავიდა გაგარაში, სასტუმრო „გაგარაში“ დაინახდნენ მეგობრები. და საინტერესოა, რომ რამდენიმე დღე ვერც გაუგია, რა ეწყო ჩემოდანში, გამოსცვლელი რომ გაუხდა, რაც ეცვა და ის ერთი ხელიც, რაც ვაგატანე, გაუხსნია ჩემოდანი, ჩაყო ხელი და ამოიღო... ჩემი ღამის პერანგი. ვერ იცნობდა, ვინა იყო თუ რა? ჩაყო კიდევ ხელი და ამოჰყვა კაბა, მერე „სარაფანი“ და ასე შემდეგ. გაგიჟდა ღამის კაცი. მიხვდა, რა ოინიც ვუყავი, მაგრამ რაღას იზამდა?! მეგობარმა კი მთელ სასტუმროს მოსდო ეს ამბავი. გავხდი ძალიან პოპულარული იქ, დაუსწრებლად. თბილისში ვარ, სახლში და მომივიდა გაგრიდან დეპეშა... მეც ავდექი და მეორე დღესვე წავედი გაგარაში. სასტუმროსთან რომ მივედი, ხალხი აივნებზე იყო გამოფენილი: როგორც კაი ხნის ნაცნობს, ისე შემხვდნენ დამსვენებლები ჟრიაშულით...

— კიდევ თუ აპირებთ რომელიმე ფილმში მონაწილეობას?

— კი, ახლა ერთდროულად ორ ფილმში ვარ დაკავებული: ერთი ჩვეულებრივი მხატვრული ფილმია, მეორე კი – ტელესერიალი. ამჯერად, ტელესერიალში ჩემი ქმარი გოგი გეგეჭკორი იქნება. ისე, ბედს არ ვუჩივი ამ მხრივ, ქმრებად ბუმბერაზი მსახიობები მარგუნა ღმერთმა – დოლო აბაშიძე, რამაზ ჩხიკვაძე, კახი კავსაძე და ახლა – გოგი გეგეჭკორი...



რას ნიშნავს ხალი თქვენს სხეულზე? რას ნიშნავს ხალი თქვენს სხეულზე? რას ნიშნავს ხალი თქვენს სხეულზე?

ხალი მელანინის პიგმენტის ძლიერი კონცენტრაციის ადვილია. მელანინი ულტრაიისფერ სხივებზე რეაგირებს და კანის მუქი ფერი მისი „დამსახურებაა“. ხალი აბსოლუტურად უვნებელია და ყველა ადამიანს აქვს. ტანზე ხალის განლაგებას კი უძველესი დროიდან ენიჭებოდა სიმბოლური მნიშვნელობა.


XV საუკუნეში ხალს ემზაკის ნიშნად თვლიდნენ. თუ ქალს ხალები გამოსაჩენ ადვილად ჰქონდა, მას უწმინდურ ძალასთან კავშირში სდებდნენ ბრალს. იმის დასადგენად, იყო თუ არა ევკემიტიანი კუდიანი, ქალს ხალში ნემს ურჭობდნენ და თუ სისხლი არ გამოუვიდოდა, საცოდავს კოცონზე დაწვა არ ასცდებოდა.

მოგვიანებით, XVIII საუკუნეში, ხალს სხვანაირი შეფასება მიეცა. სწორედ მაშინ განმტკიცდა აზრი, რომ ვენერას სახეზე ხალები ჰქონდა, რაც მას მეტ ხიდლს ანიჭებდა. ამიტომაც ქალები, რომლებსაც სახეზე ხალი ბუნებრივად არ ჰქონდათ, ხელოვნურად იხატავდნენ.

ამჟამად ხალების მიმართ დამოკიდებულება ნეიტრალურია, მაგრამ მისტიკურად განწყობილი ადამიანები თვლიან: ღია ფერის ხალები დიდი ბედნიერების ნიშანია, მუქი – წარმატებას და სიხარულს ნიშნავს; რაც უფრო დიდია ხალი, მით უფრო დიდ გავლენას ახდენს ის ადამიანის ბედზე; რაც უფრო ჰგავს ის წრეს – მით უკეთესია; თუ ხალიდან თმა იზრდება – ეს უბედურების ნიშანია და მათი ამოკეთება მიზანშეწონილია.

გეგმვა

1. შუბლის მარჯვენა ნაწილში – ინტელიგენტურობასა და ბედნიერ ცხოვრებას ნიშნავს;
2. ყურზე – უზრუნველ ცხოვრებას გაბრძობა;
3. კეფაზე – იმას ნიშნავს, რომ არც ისე ადვილი ცხოვრება გელით, წინააღმდეგობების დაძლევაში კი მეგობრები და ახლობლები დაგეხმარებიან;
4. ქვედა ტუჩის მიდამოებში მოთავსებული ხალი მოწმობს, რომ გარშემომყოფებში დაფასებული ადამიანი ხართ;
5. ნიკაპზე – ცუდი ჯანმრთელობის ნიშანია, ხოლო მის მარცხენა მხარეს – მოუწესრიგებელი ცხოვრების;
- თუ ხალი ნიკაპის ქვეშ გაქვთ, კარიერა გელით – ოღონდ ხელი უნდა გაანძრით;
6. ბეჭებზე – პრობლემებით დახუნძლული ცხოვრება გელით;
7. წელის მარჯვენა მხარეს – გაუბედაობას და უტაქტო საქციელისკენ სწრაფვას ნიშნავს;
- მარცხენა მხარეს კი – იმაზე მიუთითებს, რომ უსიამოვნების დროს, იუმორის გრძობა გშველით ხოლმე;
8. ზურგზე – იმას ნიშნავს, რომ გულგია და სიმართლის მოყვარული, მაგრამ ცოტა უხალისო ადამიანი ხართ;
9. ფეხებზე – უნებისყოფობის ნიშანია;
10. ხალებით დაშვენებული ღუნდულები იმას მოწმობს, რომ რბილი ხასიათი გაქვთ და ყველაზე მეტად, სიხარამაცისა და უმოქმედობისკენ ხართ მიდრეკილი;
11. თუ ხალი ტერფებზე გაქვთ, ე.ი. მოგზაურობა და საცხოვრებელი ადგი-



ლის გამოცვლა გიყვართ და ადვილად ეგუებით ახალ გარემოს.

ქალისთვის

1. ხალი მარჯვენა წარბზე – ადრეული და ბედნიერი ქორწინების ნიშანია;
2. თვალის კუთხეში – მშვიდი და გაწონასწორებული ხასიათით გამოირჩევი;
3. მარჯვენა ლოყაზე – ხშირი და ძველვარე სასიყვარულო თავგადასავლები გექნება;
- მარცხენა ლოყაზე – წარმატების მიღწევის გზაზე წინააღმდეგობები შეგხვდება;

4. ცხვირზე – იმის ნიშანია, რომ ყველა თქვენი წამოწყება წარმატებით დაგვირგვინდება;
5. ტუჩზე – მხიარულ ხასიათს ნიშნავს. თქვენ მგრძობიარე ხართ, გიყვართ ფუფუნება, გაურბიხართ ზედმეტ პასუხისმგებლობას;
- ზედა ტუჩზე – ქალურობას და მომხიბლობას უსვამს ხაზს;
- ქვედა ტუჩზე – სასიყვარულო ამბების დამალვა გრევიათ;
6. მკერდის მარჯვენა მხარეს – გიყვართ უკიდურესობები, თქვენი ცხოვრება ძალიან მრავალფეროვანია;
- მკერდის მარცხენა მხარეს – დიდსულოვანი, კეთილი და ოღნავ ქარაფშუტა ხართ;
7. თეძოებზე – მრავალრიცხოვანი შთამომავლობის ნიშანია; რაც მეტი ხალი გაქვთ – მით მეტი შვილი და შვილიშვილი გეყოლებათ;
8. მარჯვენა იდაყვზე – წარმატების ნიშანია;
- მარცხენაზე – ფინანსური პრობლემები გელით;
9. ხელის მტევანზე, განსაკუთრებით მის ზედა ნაწილზე – დიდ ნიჭს ნიშნავს, რომელიც, ადრე თუ გვიან, აუცილებლად მოგიტანთ წარმატებას;
10. თითებზე – თავბრუდამხვევ კარიერასა და დაღმინებულ ცხოვრებას გაბრძობა;
11. თუ ხალი კოჭის მიდამოებში აღმოაჩინეთ, იცოდეთ – თქვენ დამოუკიდებელი და შრომისმოყვარე, ენერგიითა და ცხოვრებისეული ენერგიით სავსე ადამიანი ხართ.



წყლის



რა შეიძლება იყოს წყალზე მარტივი? გამჭვირვალე და სუფთა წყალი თითქოს ყველგან ერთნაირია, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით. სინამდვილეში, იმ წყლის ფორმულა რომელსაც ვსვამთ, ბევრად უფრო რთულია. იმისათვის, რომ წყლის მრავალფეროვნება გარკვეულ სისტემაში მოეყვანათ, სპეციალისტებმა საგანგებო კლასიფიკაცია შემოიღეს.

წყლის ფორმულა - H₂O - ყველასთვის ცნობილია, მაგრამ ასეთი იდეალური შემადგენლობა მხოლოდ გამოხდომ წყალს აქვს. და თუ, არცთუ ისე დიდი ხნის წინ, ითვლებოდა, რომ მინარეგებისგან გაწმენდილი წყალი ორგანიზმისთვის სასარგებლო იყო, ბოლო დროს მეცნიერები მას უფრო ხშირად, „მკვდარ წყალს“ უწოდებენ. როგორც გამოკვლევებმა ცხადყო, წყლის შემადგენლობაში ყველაზე ძვირფასი სწორედ ბუნებრივი მინარეგები - ე.ი. მიკროელემენტები, მარილები და სხვა ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებებია.

დღეს ყველაზე პოპულარული, წყაროს სუფთა წყალია. ონკანის წყლისგან განსხვავებით, წყაროს წყალი მიწის ბუნებრივ ფილტრში გადის და არა - ხელოვნურად ქლორით იფილტრება. ამასთან, წყლის სისუფთავეს მხოლოდ იმიტომ კი არ ექცევა ყურადღება, რომ დასაღვეად არის კარგი, არამედ იმიტომაც, რომ მის-

გან სხვადასხვა სასმელი მზადდება. მაგალითად, საუკეთესო შოტლანდიური ვისკი მხოლოდ მთის რამდენიმე წყაროს ეკოლოგიურად სუფთა წყლის გამოყენებით მზადდება. წყაროს წყალი ე.წ. სუფრის წყლების კატეგორიას განეკუთვნება - მასში მარილების რაოდენობა თითოეულ ლიტრზე ერთ გრამს არ უნდა აღემატებოდეს. მისი დაღვევა და საკვებში ხმარება კი შეუზღუდავად შეიძლება.

ევროპაში პოპულარული არომატიზებული წყალიც სუფრის წყლების კატეგორიას განეკუთვნება. მას რბილი გემო და, როგორც წესი, ციტრუსის მსუბუქი არომატი ახასიათებს. ამერიკიდან შემოსული „სოდიანი“ და „ტონიკი“ კი ხელოვნურ მინერალურ წყალს წარმოადგენს. ის წყურვილის მოკვლის ნაცვლად, ხშირად საწინააღმდეგო ეფექტს ახდენს, რადგან ასეთი ტიპის წყალში, მიკროელემენტებისა და მარილების გარდა, მაქარასაც უმატებენ.

ლიეტოლოგები ზაფხულის რაციონში სამკურნალო-სუფრის წყლის შეტანას გვირჩევენ. ამ კატეგორიას, თითოეულ ლიტრზე ათ გრამამდე მარილის შემცველი წყალი განეკუთვნება. მეტისმეტად პოპულარული, მარგებელი და შეუცვლელია, მშობლიური „ბორჯომი“ ორგანიზმში სიცხის დროს შემცირებული მარილების ანაზღაურებას უზრუნველყოფს. თუმცა, სამკურნალო-სუფრის წყლის ჭარბად მოხმარებას ექიმები არ გვირჩევენ.

განსაკუთრებული სიფრთხილეა საჭირო, საკუთრივ სამკურნალო წყლის მოხმარების დროს. ამ ტიპის წყალი მარილის დიდ რაოდენობას შეიცავს (ათ გრამზე მეტი თითოეულ ლიტრზე). მისი კლასიფიკაცია იმაზე მეტყველებს, რომ წყალს ორგანიზმზე საკმაოდ საგრძნობი ზემოქმედების მოხდენა შეუძლია, ამიტომაც საჭიროების შემთხვევაში, ექიმები პაციენტს წამლებთან ერთად უნიშნავენ და მისი მიღებაც რეცეპტის შესაბამისად უნდა მოხდეს.

წყლის ტიპის განსაზღვრის მიზნით აუცილებელი არ არის, გემო გაუსინჯოთ მას: მარილებისა და მიკროელემენტების შემცველობა ბოთლის ეტიკეტზეა აღნიშ-

„მალევიარა“ ფრინველი	ღრამაგულე ნაწარმოები, რომლის გმირიც იღუპება	კედლის ნაწილაკი	ღენი ეროელი	ღაბაღების მოწმობა	ღამის ფრინ- ველი	ფოღა
ა	ბ	გ	დ	ე	ვ	ზ
მშობელი	თიხის ვიწროელიანი ჭურჭელი	სიციხის ბო- ლოს მამღრა- ლი ერისველი	ღინეღლი	გომეგრული ფიგურის გვერღების წიგრღების ჯაღი	იაპონური თეაგრი	


აღა



ნული, იქვე მითითებულია ბუნებრივი წყაროს ადგილმდებარეობაც. მაგალითად, კალციუმითა და მაგნიუმით მდიდარი წყალი ამ ელემენტების ნაკლებობას მკაცრი ვეგეტარიანული დიეტის დამცველ ადამიანებს უნაზღაურებს.

დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია: თავისი დემოკრატიულობისა და გავრცელების უსაზღვრო არეალის მიუხედავად, წყალი ტრადიციების ცოდნასა და თავისებური ეტიკეტის დაცვასაც მოითხოვს. ერთხელ სილამაზით განთქმულმა იზაბელ აჯანიმ ამერიკელთა გადამღებ ჯგუფს აუხსნა, რომ საფრანგეთში ცუდ ტონად ითვლება სადილის დროს გაზიანი წყლის შეკვეთა, უფრო მეტიც – გაზიანმა წყალმა შეიძლება ნულამდე დაიყვანოს ფრანგული სამზარეულოს თავისებურებანი. გამონაკლისი მხოლოდ „პერიესთვის“ შეიძლება გაკეთდეს, რადგან ამ წყალს, ლიმონით დამშვენებული მაღალი ჭიქით მიირთმევენ და კოქტეილისთვის განკუთვნილი კოვზით ურევვენ.

სპეციალისტთა საყოველთაოდ მიღებული აზრით, წლის ნებისმიერ დროს მიზანშეწონილია დღეში ერთ-ნახევარ ლიტრამდე წყლის მიღება. როგორც ბოლოდროინდელმა გამოკვლევებმა ცხა-



დყო, თუ ორგანიზმში წყლის შემცველობა თუნდაც 2 პროცენტით არის დაკლებული, ადამიანს საგრძნობლად უჭკეითდება ყურადღების კონცენტრირების უნარი და დაღლილობის შეგრძნება ეძლევა. იმისათვის, რომ ორგანიზმში არ გადაიტვირთოს, უმჯობესია წყალი ყოველ ოთხ საათში მივიღოთ.

წყლის მაცოცხლებელ ძალას ადამიანის გარეგნობაზეც დიდი გავლენის მოხდენა შეუძლია: ჩვენი კანი ცხრა (!)

ლიტრ წყალს შეიცავს, ამიტომაც არის, რომ ტენის უკმარისობის დროს, კანი ელასტიკურობას კარგავს და უფრო უხეში ხდება. ალბათ სწორედ ამიტომ, ბევრი ტოპმოდელი და მსახიობი მუდამ თან ატარებს მინერალურ წყალს. ბუნებრივი სილამაზის აქტიური პოპულარიზატორის – სუპერ-მოდელ სიდნი კროუფორდის აზრით, ეს „ეველაზე მარტივი საშუალებაა იმისთვის, რომ მუდამ ფორმაში ვიყო“.

გა...	ჩანჩქერი აშშ-ში	შვილიშვილი ანუ...	რა გაშენა ნომ?	კათიონის საპირ- ისპირო მუხგვიანი ნაწილაკი	ავტომობილის ტიპი
საყოველთაო ლოტეა	დგამი განსაცმლის ჩამოსაკიდად	მონვენებითი ბრწყინვალე- ბა	რძის ნაღ- ქეტი	ინდური ფიკუსი, იკეთებს ბევრ განს	ნუგზარ შარიას კინოლოი

წ

წმინდა ევსტათი წარმოშობით სპარსი მოგვის შვილი იყო და თავადაც ეუფლებოდა მოგვობის საიდუმლოს. როდესაც ევსტათი საქართველოში ჩამოვიდა და საცხოვრებლად ქართლში დაემკვიდრა, მან დიდი ინტერესით დაიწყო ქართველთა ზნე-ჩვეულებებისა და ქრისტიანული სარწმუნოების შესწავლა. ბოლოს კი, მოინათლა კიდეც. კათოლიკოსმა სამოელმა გვირობანდაკს (ასე ერქვა მას ნათლობამდე) სპარსული სახელი ქრისტიანულით შეუცვალა და ევსტათი დაარქვა. ევსტათიმ მალე ქართველი ქალი შეირთო ცოლად და მთელი სულითა და გულით დაუმოყვრა ქართველებს.

მაგრამ ევსტათის ამგვარ სასიკეთო სახეცვლილებას ადვილად ვერ შეურიგდნენ თვისტომნი. ერთხელ, მცხეთელმა სპარსელებმა თავიანთ რელიგიურ დღესასწაულზე მიიწვიეს ევსტათი. კაცი ჯერ შედრკა, შემდეგ კი გული მოიცა: „სპარსელები ჩემი მოყვარენი არიან და თუ მათთან შეხვედრის შემეშინდება, სხვასთან როგორღა მოვიქცევი?!“ – და უშიშრად წარდგა უსტამის წინაშე.

ციხისთავი დაემუქრა წმინდანს: „უკეთუ ნებით არ დაგიტევებია ქრისტეს რჯული, დიდ სატანჯველს მოიწევო. წმინდა ევსტათი მშვიდად შეხვდა მუქარას: „არა ხოლო ტანჯვად განმზადებულ ვარ ქრისტეს სიყვარულისათვის, არამედ სიკუდილცა თავი ჩემი არა მეწყალის“. უსტამს არ ჰქონდა დასჯის უფლება, ამიტომ ქართლის მარზაპანთან, არვანდ გუშნასთან გაგზავნა აღმსარებელი. დამბეზლებლები კვლავ ეახლნენ მცხეთის ციხისთავს და აუწყეს, რომ კიდეც შვიდი სპარსელი შესდგომოდა ქრისტეს სჯულს. რვავე ქრისტიანს ბორკილები დაადეს და თბილისში გაგზავნეს.

განრისხებულმა მარზაპანმა ქრისტიანთა სასტიკი დასჯა ბრძანა. გაქრისტიანებულ სპარსელებს თმა და წვერი მოპარსეს და ცხვირები გაუხვირტეს. დაადეს ქედზე ჯაჭვი, ფეხებზე – ბორკილები და საპრობილეში ჩაყარეს. წამებულებს შეჰპირდნენ მოწყალებას, თუკი ისინი ქრისტეს უარყოფდნენ. ორმა ქრისტიანმა – ბახლიადმა და პანაგუშნასპამ, მართლაც ვერ გაუძლო წამებას



ქრისტეს სჯულისათვის თავბანჯირული კიდევ ერთი სპარსელი

და უარყო ქრისტე. მარზაპანმა ისინი გაათავისუფლა, ხოლო წმინდა ევსტათი, გუშნაკი, ბორხო, პეროზაკი, ზარმილი და სტეფანე საპრობილეში ჩააყრევინა.

ექვსი თვის შემდეგ, მარზაპანი სპარსეთის მეფემ თავისთან იხმო, რითაც ისარგებლეს ქართველმა დიდებულებმა და კათოლიკოს სამოელთან ერთად არვანდ გუშნასპს სპარსელი ქრისტიანების გაათავისუფლება სთხოვეს. გუშნასპმა დიდებულებს თხოვნა შეუსრულა. გაათავისუფლებული ქრისტიანები ნეტარებით ცხოვრობდნენ, მაშინ როდესაც პანაგუშნასპი საშინელ გაჭირვებაში იმყოფებოდა. ბახლიადი კი ეშმაკეულ იქმნა და მალევე გარდაიცვალა. სამი წლის შემდეგ ქართლს მარზაპანად ვეჟან ბუზმირი მოეწვინა. მოგვებმა კვლავ დაასმინეს წმინდა ევსტათი და სტეფანე. ევსტათიმ იცოდა, რომ ისევ სატანჯველი მოელოდა. ამიტომ გამოეთხოვა თავის ცოლ-შვილს, ნათესავებ-

სა და ნაცნობებს და ისე წავიდა. წასვლისას კი ალაპრო ხელები ძელიცხოვლის წინ და ასე ევედრებოდა უფალს: „უფალო, უფალო! უკეთუ ღირსი მყო მე სიკვდილსა სახელისა შენისათვის, ნუ შეაჭმევ ხორცთა ჩემთა ძაღლთა და ფრინველთა, არამედ ბრძანე აქვე მოქცევა და დამარხვა მცხეთასა, სადაც ნათელი მიმიღიეს“.

როცა ევსტათი მიიყვანეს მთავარმართებელთან, ყველაფერი დაწერილებით უამბო მას – ვინ იყო და როგორ გაქრისტიანდა. მთავარი ჯერ ლმობიერად მოეპყრო და ურჩია, დაენებებინა თავი ქრისტეს სჯულისათვის, რათა არ დაეყარა ობლად თავისი ცოლ-შვილი, მაგრამ, როცა ვერც მუქარითა და ვერც დაყვავებით ვერ ააღებინა ხელი ქრისტიანობაზე, ძლიერ განრისხდა და უბრძანა ჯალათებს, თავი მოეკვითათ მისთვის, ხოლო სხეული მხეცთა და ფრინველთა საჯიჯგანად ქალაქგარეთ დაეგდოთ.

სიკვდილის წინ წმ. ევსტათიმ სთხოვა ჯალათებს, მცირე ხანს ლოცვის ნება დაერთოთ. მაშინ მან მოიყარა მუხლი, ალაპრო ხელები და ასე ლოცულობდა: „შენ იცი, უფალო ჩემო იესო ქრისტე, რამეთუ არა ვარჩიე შენსა არცა მამა, არცა დედა, არცა ძმანი, არცა ნათესავნი, გარნა შენ მხოლოდ. უფალო, შეგიყვარე და სახელისა შენისათვის თავი წარმეკვითების დღეს. შემრაცხე მე სასუფეველსა შენსა, რომელი განუშადად წმიდათა მათ მოწამეთა და კვლავ გევედრები, რათა გვაძი ჩემი დაიმარხოს მცხეთას, სადაც ნათელი ვიდე“. დაამთავრა ლოცვა თუ არა, ააყენეს ჯალათებმა, დასცეს მხვილი და წარკვეთეს თავი.

ასე აღესრულა წმ. მოწამე ევსტათი მცხეთელი. იგდა 589 წლის 29 ივლისი.

გვამი ევსტათისა იმავე ღამით გაიტანეს ქალაქგარეთ და იქ გადააგდეს. მაგრამ იმავე ღამეს მონახეს გვამი ქრისტიანებმა და წაასვენეს მცხეთას. აქ მიეგება მას სამოელ კათოლიკოსი თავისი კრებულებით, აურებელი ხალხი და დიდი პატივით დაკრძალეს სვეტიცხოვლის ტაძარში, ტრაპეზის ქვეშ.

წმინდა ევსტათი მცხეთელის ხსენების დღედ 11 აგვისტოა დადგენილი.

ნიკო ბარკაშვილი

ელენე სალარიძე

სამი საუკუნის წინ გამოქცეულან ახვლედიანები ლეჩხუმიდან, უპოვიათ ერთი მშვენიერი გორა საჩინოში (ვანში) და დასახლებულან.

... ღარიბი აზნაურები სულ მალე გამდიდრებულან.

1876 წელს „დროებაში“ სენსაციური ამბების დასტა ქვეყნდება:

– ახვლედიანებს სახლის ბალავრის თხრისას წმინდა თლილი ქვით ნაშენები გალავანი უპოვიათ...

– მიდგომიან ქვითკირით ამოშენებულ საფლავს და იქ „ზღაპრის გმირი“ უნახავთ: რკინის პალოზე ფეხით მიბმული გოლიათი, რომელსაც კისერზეც ასევე ჯაჭვის რგოლი ჰქონია შებმული. რამდენიმე საათის შემდეგ გვამისთვის „ჰაერს დაუკრავს“ და მტვრად უქცევია. ჯაჭვი და ერთი კბილი დარჩენილა, ისიც თავად ნიკო ჩიჯავაძეს წაუღია (ახვლედიანთა მებატონეს).

კიდევ ერთი ცნობა:

„ისე წვიმა არ მოვა, რომ ახვლედიანების კარებთან არ ჩამოიტანოს გორიდან ნიაღვარმა ხან ოქროები, ხან ოქროს ძეწკვი, ხან ბეჭდები, ხან რა და რა ნივთიულობა. მაგრამ ჩვენდა სამწუხაროდ, რადგან ის გორა ეკუთვნის ბევრსა და საზიარო არის, ამისათვის რაც უნდა იპოვნონ, ერთი მეორეს უმაღალეს და ჩუმად ყიდის ვაჭრებში“.

ერთ მათგანს ოქროს ლანგარი გაუყვია იაფად, ერთიც მრგვალი თუფში, ერთიც ოქროს ლანგარი ბადესავით ნაქსოვი ცხრილით (რისთვის უნდა მოეხმარათ, ვერ გაუგიათ). ერთ კაცს ოქროში ჩამჯდარი ლალი „უშოვია“ (ჩალის ფასად), რომელზედაც ქალის სახე ყოფილა ამოჭრილი...

... ასე ვაპყლია ქარს ან ებრაელი ვაჭრების ხელში მოუყრია თავი კოლხთა უძველეს საუნჯეს.

ასე ჩასულა მეფის რუსეთში ვანის ამბავი.

მეფის რუსეთისავე დავალებით ქუთაისის გიმნაზიის დირექტორი ვინმე სტოიანოვი აწარმოებდა გათხრებს ვანში და „დიდად საინტერესო ოქროს ნივთიულობა“ უპოვია ბერძნული დროის საფლავებში. უფრო მეტიც, კუნძულ სამოსის ძვ.წ.აღ-ის VI ს-ის ოქროს სტატერი

ღრგნობაჟუს ფხვსხლდის მღნუტას თვით მეფობა თაყანაფხვლვა მეფულა ხელე



(ანტიკური მონეტა) ერმიტაჟში წაუღიათ, იქ არ შეუძენიათ და მერე „დაუკარგავთ“.

ასე დაკარგულა მამაკაცის თავის დახვეწილი ქანდაკება, რომელიდაც ღვთაებას რომ გამოხატავდა.

„მოსკოვის დავალებით“ თვით ექვთიმე თაყაიშვილს დაუწვია ვანის მეცნიერული შესწავლა. დიდი მამულიშვილი თავად გამხდარა ადრეანტიკური და ელინისტური ხანის კოლხური კულტურის პირველდამომჩენი. თუმცა მაინცდამაინც უხვი არ ყოფილა თაყაიშვილისეული მონაპოვარი: „ლიზიმაქეს ვერცხლის ფული (ლიზიმაქე ხომ იცით, ალექსანდრე მაკედონელის სარდალი რომ იყო), კოლხური და რომაული მონეტები, ოქროს ლამაზი კარდულა, ბრინჯაოს არწივის ქანდაკება“... ეს ნივთიულობა რუსეთის საიმპერატორო არქეოლოგიურ კომისიას მოსკოვის მუზეუმში „გადაუნაცვლებია“, მოგვიანებით იქიდან მცირე ნაწილი დაბრუნებია საქართველოს მუზეუმს.

თავის გამოკვლევებში ექვთიმე თაყაიშვილი პროკოფი ახვლედიანის ეზოში ადრე ნაპოვნ მარმარილოს პატარა კუბოიან სამარხს აღწერს (იმ გლეხის სიტყვით, ახვლედიანს რომ დახმარებია ნივთების ამოღებაში). ებრაელებში ჩუმად გაყიდულა ოქროს კვერთხი გველის მსგავსი თავით, ოქროსავე უძვირფასესი სამაჯურები, საყურეები, ბეჭდები... ასე რომ, როგორც მეცნიერი წერს: „ძველი ვანის ქალაქის გათხრა და გამოკვლევა დიდ შუქს მოჰფენს ბერძნების, რომაელების და ბიზანტიელების გავლენას საქართველოში. ეს გამოკვლევა მომავალზეა დამოკიდებული...“

ხოლო თუ როგორ წარიმართა ამის შემდგომ ანტიკური ვანის არქეოლოგიური კვლევა, ჩვენი მომდევნო წერილებიდან შეიტყობთ...

სურათივხვ: 1. ოქროს გულსაკიდი ფირფიტა გაწყობილი მინით, ფირფიტითა და სარდიონით, ძეწკვებზე ინკრუსტირებული ბროწეულებით, ფირფიტაზე გრიფონებისა და ფრინველების გამოსახულებით; 2. ოქროს წვეილი სამაჯური, ზურგმედრეკილი, ჯიხვის თავის გამოსახულებებით დაბოლოებული (ორივე სამკაული ძვ.წ.აღ-ის V საუკუნის განეკუთვნება, აღმოჩენილია 1961 წელს მდიდრულ სამაროვანში).

1998 წლის შუა ზაფხულში თბილისში აუტანელი სიცხე იდგა და ქალაქი ნახევრად დაცარიელე-ბული იყო... ბიზნესშიც „ჭაკად“ მქონდა საკმე და, ოჯახთან ერთად სოფელში წასასვლელად რომ ვემზადებოდი, ჩემმა მეგობარმა ნუგზარ ლოლუამ, რომელიც ნახმარი მანქანების ბიზნესს ეწეოდა, დამირეკა:

— კაკო, საკმე გამოჩნდა, „მარშრუტკის“ „ზაკაზია“, უნდა ჩამოვიყვანო...

— რამდენი მანქანა უნდა?..

— დავინტერესდი.

— ერთი.

— მერე ერთის ჩამოყვანას ორი კაცი რად უნდა? წადი და ჩამოვიყვანე.

— რაც შენ გაგიცანი, მოგზაურობის ჭია მეც გამიჩნდა: იქიდან რომ წამოვალთ, ბულგარეთში გაჩერდეთ, ცოტა ხანს დრო გავატაროთ და დავისვენოთ. მაგაზე ხომ არ იტყვი უარს...

ასეთმა წინადადებამ ნამდვილად მომხიზლა და დავთანხმდი.

აკაკი გეგენავა

ბულგარეთი

აღმოსავლეთ ევროპის თითქმის ყველა ქვეყნის ისტორია რომის იმპერიასთან არის გადაჯაჭვული. ამ მხრივ, არც ბულგარეთია გამონაკლისი: რომის მიერ შექმნილი ბიზანტიის დაქვემდებარებაში ნაკლებად განვითარებული ბულგარული ტომებიც აღმოჩნდნენ. ბულგარელები ხშირად უჯანყდებოდნენ იმპერიას. VI საუკუნეში მსხვილმა ფეოდალმა ასპარუხმა ბულგარული ტომების გაერთიანება შეძლო, რუსეთის სტეპებიდან წამოსული ავარები, ყივჩაღები, სხვა სლა-



რას უძაღის ბულგარული ძალის ღიმილი ძარსივილ ტურისტს

ევრი ტომები დაიხმარა და მედგარი წინააღმდეგობა გაუწია ბიზანტიის ჯარს. ბიზანტია დამარცხდა და ბალკანეთზე პირველი სლავური სახელმწიფო – ბულგარეთი გაჩნდა, რომელმაც 1018 წლამდე – ე.ი. მანამდე იარსება, სანამ ბიზანტია, სასტიკი ბრძოლების შედეგად, ისევ დაიბრუნებდა ძველ ტერიტორიებს.

XII საუკუნეში ბულგარეთმა მეორედ შეძლო დამოუკიდებლობის მოპოვება, მაგრამ 200 წლის შემდეგ, თურქებმა ბიზანტიის იმპერია დაანგრეს და ბულგარეთიც კვლავ დაიქვემდებარეს... ქვეყანა 500 წლით ოსმალეთის იმპერიის შემადგენელ ნაწილად იქცა. მართალია, თურქებმა ბულგარელთა ნახევარზე მეტს ისლამი მიაღებინეს, მაგრამ ქრისტიანული სალოცავები მთლიანად არ გაუნადგურებიათ. ბულგარელებმა თავიანთი ენისა და სარწმუნეობის შენარჩუნებაც შეძლეს...

1877-78 წლების რუსეთ-თურქეთის ომში რუსეთმა გაიმარჯვა და ბულგარეთი თურქებისაგან გათავისუფლდა. ამ ისტორიულ მოვლენას ბულგარელი ერი, როგორც ყველაზე დიდ დღესასწაულს, ისე აღნიშნავს...

1944 წელს ბულგარეთში სოციალისტური წყობილება დამყარდა. 1991 წელს, საბჭოთა კავშირის დაშლისა და აღმოსავლეთ ევროპის სოციალისტური ბანაკის რღვევის შემდეგ, ბულგარეთმაც შეიცვალა განვითარების ორიენტაცია.

აკაკი გეგენავა და მისი მეგობარი ბურგასში



დღეს ის საპარლამენტო რესპუბლიკაა, სულ ცოტა ხნის წინ კი პრემიერ-მინისტრად ყოფილი მეფე აირჩია...

მოგზაურის მუდმივი კითხვა: საით?

მანამდე, ბულგარეთში ყოფნისას, სატრანზიტო გზიდან არასოდეს გადამიხვევია: გადავკვეთდი თუ არა რუმინეთ-ბულგარეთის საზღვარს, დავადგებოდი ცენტრალურ ტრასას (რომელიც ქვეყანას შუაზე ჰყოფს) და თურქეთამდე „ვაწვებოდი“. ამჯერად, მე და ნუგზარს ვერ გადავგვეწყვიტა, დასავლეთისკენ – სოფლისკენ წავსულიყავით, თუ აღმოსავლეთით – შავი ზღვის სანაპიროსკენ. ბულგარეთში ძალიან ლამაზი და მრავალფეროვანი ბუნებაა. ისტორიული ძეგლებითაც საკმაოდ მდიდარია. ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთ პრიორიტეტად ტურისტში აირჩია, რასაც საკმაო წარმატებითაც ახორციელებს: ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა გამოიყენა და შავი ზღვის სანაპიროზე უამრავი დასასვენებელი კომპლექსი ააშენა. ქვეყანაში ბევრი ევროპელი ტურისტი ჩადის.

ქალაქი კაზალნიკი ქვეყნის ყველა სასიცოცხლო არტერიის გადაკვეთაზეა. ის იმითაც არის ცნობილი, რომ იქ უძველესი დროიდან დაიწყო ვარდის ზეთის წარმოება, რომელსაც პარფიუმერიასა და მედიცინაში იყენებენ. კაზალნიკი პატარა ქალაქია და მთლიანად ვარდების პლანტაციებშია ჩაფლული...

– ნუგზარ, საით წავიდეთ – სოფი-ისკენ თუ ზღვისკენ?

– შენ საით გირჩევენია? – კითხვითვე მიპასუხა.

– მე – სოფიაში...

– მე კიდევ, ზღვაზე... – ნუგზარმა თვალი თვალში გამიყარა და, პაუზის შემდეგ, ისევ მკითხა:

– მაშ, როგორ მოვიქცეთ?

– სოფიაშიც წავიდეთ და ზღვაზეც...

– მოვნახე უცებ გამოსავალი.

– მერე, მაგისტვის დრო და ფული გვეყოფა? პატრონს დროზე თუ არ ჩავუყვანთ მანქანა, გაგიჟდება. თანაც, შენი ამბავი რომ ვიცი, დაიწყებ მუხუშუმებსა და გალერეებში სიარულს და ნერვებს მომიშლი... მაგას ზღვაზე წასვლა არ სჯობს? ცოტა „ვიგულაოთ“ და სახლისკენაც დროზე წავიდეთ, – ენერგიულად მელაპარაკებოდა ნუგზარი.

ბულგარეთის დედაქალაქის – სოფი-ის ნახვა ყოველთვის მაინტერესებდა, რადგან ბევრი რამ მსმენია მისი სილამაზის შესახებ. ნუგზარის განაწყენებაც არ მინდოდა და კამათლის გაგორება შევთავაზე... ფორტუნამ გამიღიმა და სოფიისკენ მიმავალ გზას დავადექით. მართალია, ნუგზარმა თავისი ვერ გაიტანა, მაგრამ უკმაყოფილებაც არ გამოუხატავს: იჯდა ჩუმად თავისთვის და მისმენდა, მე კიდევ, სხვადასხვა ქვეყანაში ჩემს მოგზაურობაზე ვუყვებოდი და იმაზეც „ვფილოსოფოსობდი“, თუ რა კარგია მოგზაურობა...

ამასობაში, პლოვდივში ჩავედით. ის სიდიდით, ბულგარეთის მეორე ქალაქია. დამის 11 საათი იყო. საჭესთან ნუგზარი იჯდა, მე ამ დროს ძილი მერეოდა... უეცრად, ისეთი ჭახანი გაისმა, რომ კინაღამ გული გამისკდა...

– რა მოხდა, ნუგზარ, რა იყო ეს? – შემინებულმა ვკითხე.

– „დაგვერხა“ – მანქანა გაგვიფუჭდა... მგონი, გადაცემათა კოლოფი ჩაიშალა, – მიპასუხა მან.

– აუ... თავგადასავალი ახლა გვეწყება...

მართლაც, გადაცემათა კოლოფი აღმოჩნდა ჩაშლილი. ძრავა კი მუშაობდა, მაგრამ რად გინდა? – მანქანა არც წინ მიდიოდა და არც უკან. ქვაფენილი იყო, პირდაპირ შუა გზაზე ვიყავით გაჩერებული. მანქანას ორნი ვერ გადავაყენებდით. ქუჩაში კანტიკუნტად მოსიარულე რამდენიმე კაცს მოწოლაში დახმარება რომ ვთხოვე, ჩემდა გასაკვირად, ცივი უარი მივიღე. ორი საათის ლოდინის შემდეგ, ნაბახუსევი ახალგაზრდების ჯგუფმა გამ-



მართლმადიდებლური ტაძარი პლოვდივის მახლობლად

ოიარა. დაგვემარნენ და მანქანა გვერდზე გადავაყენეთ. სხვას ვერაფერს გავაკეთებდით – დილას უნდა დავლოდებოდით, რომ მანქანა ახლომდებარე სახელოსნოში მიგვეყვანა.

– აი, რომ არ დამიჯერე, დავისაჯვით: არ ჯობდა, ზღვაზე წავსულიყავით?... – მისაყვედურა ნუგზარმა.

– იქ რა, არ გაფუჭდებოდა?

– ზღვაზე მაინც ვიქნებოდით, პლაჟზე გავიდოდით და გულს გადავაყოლებდით. აქ კიდევ, შუა ქუჩაში უნდა ვიდგე და შენ გიყურო...

დილით, სატვირთო მანქანის საშუალებით, როგორც იქნა, სახელოსნოში მივალწვიეთ. ხელოსანმა გვითხრა – ნაწილს, რომელიც გატყდა, სოფიიდან გამოვიწერ და გაგიკეთებთ, მაგრამ ამას ორი დღე მაინც დასჭირდებაო. პლოვდივში სამი დღით გაჩერება მოგვიხდა...

ვის არ შეხვდები უცხო ქალაქში...

გადაცემათა კოლოფის გარემონტება იმდენად ძვირი გვიჯდებოდა, რომ ვეჭვობდით, თბილისამდე ჩასასვლელად ფული თუ გვეყოფოდა. სასტუმროზე ფიქრიც კი ზედმეტი იყო და მანქანაში გვეძინა. სახელოსნოში ღამლამობით ყარაული რჩებოდა. 70 წლის კაცი იყო, გრიგორი ერქვა. თავიდანვე შევეწყვეთ ერთმანეთს, გრიგორი ძალიან თბილად გვეპყრობოდა. თურმე საქართველოს კარგად იცნობდა და ქართველებს დიდ პატივსაც სცემდა. საღამოობით

სშირად მიგვექონდა არაყი და კარგადაც მოვულხენდით ხოლმე ერთად. შეზარხ-ოშებელი გრიგორი სიმღერას წამოიწყებდა, მაგრამ ერთხელ განსაკუთრებით გაგავოცა: მოულოდნელად „სულიკოს“ მელოდია წაიღიღინა.

– ვა, ძია გრიგორ, საიდან იცით „სულიკო“, ვინ გასწავლათ?

– ჩვენს სოფელში, ომიანობის დროს, პარტიზანებმა ერთი დაჭრილი ქართველი ჯარისკაცი მოიყვანეს. ექვსი თვე სოფელი მკურნალობდა... ისე შეაყვარა იმ ქართველმა თავი ყველას – რომ მიდიოდა, ყველა ტიროდა...

– რას აკეთებდა ამისთანას? – გაიოცა ნუგზარმა.


– ძალიან თბილი და მოსიყვარულე კაცი იყო. იმედიანი სიტყვის თქმა იცოდა. ბავშვებს სიმღერებსა და ლექსებსაც ასწავლიდა... ომი რომ დამთავრდა, ჩამოვიდა და აქ დასახლდა... ჩვენი სოფლის ქალები გიჟდებოდნენ მასზე. სშირად შევსწრებივარ მომენტს, როდესაც მისი გულისთვის ქალებს ერთმანეთში ხელჩართული ბრძოლაც გაუმართავთ...

– გვარი თუ გახსოვს, ძია გრიგორ?

– როგორ არა?! ვახტანგ გომელაშვილი...

– ახლა სად არის?

– ზუთი წელი იცხოვრა სოფელში... ქალები უყვარდა ძალიან, ამის გამო სოფლის კაცებთან სშირად მოსდიოდა უსიამოვნება. ბოლოს, იძულებული გახდა, წა-



სულიყო. სად წავიდა, არ ვიცი... — სინანულით თქვა გრიგორმა.

— ნუგზარსაც უყვარს კარგი გოგონები... — ვუთხარი გრიგორს და თვალი ჩავუკარი.

— კარგი გოგონები ვის არ უყვარს?! თუ უნდა, აქ დარჩეს და იმდენ ქალს გაიცნობს...

— მერე, კაცებთან პრობლემები არ ექნება?

— მაგანაც ქალებთან დაიჭიროს საქმე და ისინი თვითონ მიხელავენ თავიანთ კაცებს... — ორპრობლემად თქვა გრიგორამ.

— რაო, ნუგზარ, ხომ არ დარჩები? — არ ვანებებდი თავს მეგობარს.

— შენ შენს საქმეს მიხედე და მე სად დავრჩები, ეგ მე ვიცი... — შემომიღრინა ნუგზარმა...

ღღისით ქალაქში დავესერნობდით. პლოვდივში უამრავი მეჩეთი და ქრისტიანული ეკლესიაა. ერთ-ერთ ტაძარზე ქართული წარწერებიც შევნიშნეთ. როდესაც მისი ისტორიით დავინტერესდით, აღმოჩნდა, რომ ეს ტაძარი XI საუკუნეში, გრიგოლ ბაკურიანის ძეს აუშენებია... ბულგარეთში ბევრი სხვა ძეგლიც არის, რომელიც ქართველ მოღვაწეთა სახელებს უკავშირდება...

მიუხედავად იმისა, რომ ქალაქში თუ სოფლად, სხვადასხვა სარწმუნოების ადამიანები დღესაც გვერდიგვერდ ცხოვრობენ, რელიგიურ საფუძველზე კონფლიქტები ქვეყანაში არასოდეს ყოფილა. საერთოდ, მშვიდი, უპრეტენზიო და მშრომელი ხალხია.

...როგორც იქნა, საჭირო ნაწილი ჩამოგვივიდა და ხელოსანმაც სამ საათში გავვიკეთა მანქანა. მუშაობას ამთავრებდა, სახელოსნოში ძველი „პეჟო“ რომ შემოვიდა...

— კაკო, ნახე — ქართველები! — მითხრა ნუგზარმა და მართლაც — მანქანაში ჩვენური ტიპის ორი მამაკაცი დავინახე. გაგვიხარდა და გასაცნობად მივედით.

— გამარჯობათ... — ომახიანად მიემართე ერთ-ერთს. მან უხალისოდ შემომხედა და რუსულად მომესალმა.

— უკაცრავად, ქართველები არ ხართ? — გაკვირვებით კკითხე.

— არა, აფხაზები ვართ... — კვლავ რუსულად მიპასუხა.

უხერხული ღუმილი ჩამოვარდა, რა მეთქვა, აღარ ვიცოდი. სიტუაციიდან მეორე მამაკაცმა გამოვიყვანა:

— რა არის, პრობლემები ხომ არ გაქვთ? — მოვაგვარეთ და ცოტა ხანში წავალთ... — ვუპასუხე. კითხვა კითხვას მოჰყვა და ნელ-ნელა ყინულიც გალღვა.

რუსლანი და ომარი წარმოშობით სოხუმელები ყოფილან. ომად რესტორნებში მუსიკოსებად მუშაობდნენ და კარგადაც ცხოვრობდნენ... ომი როგორც კი დაიწყო, ერთი დღეც აღარ უცხოვრიათ აფხაზეთში. ამ კონფლიქტს „კომერციულ ომს“ ეძახდნენ და ვერ წარმოედგინათ, როგორ უნდა დაპირისპირებოდნენ ქართველები და აფხაზები ერთმანეთს. როგორც გვითხრეს, დიდ პატივს სცემდნენ და მეგობრობდნენ კიდევ ბევრ ქართველთან...

თავიდან რუსეთში წასულან. იქ ვერ აუწყვიათ ცხოვრება და ბულგარეთში გადასულან, სადაც თავიანთი პროფესია გამოიყენეს და ბულგარეთის შავი ზღვისპირეთის რესტორნებში მუსიკოსებად დაიწყეს მუშაობა...

ბავშვობაში ზაფხულის არდადეგებს, სულ სოხუმში — დეიდებთან და დეიდაშვილებთან ვატარებდი. ახალ ნაცნობებს მათი სახელები რომ ვუსხენე, მილად გადაირივნენ: შენ ისეთი ხალხი დავგვისახელებე, უპატივცემულოდ ბულგარეთიდან ვერ გაგიშვებთო...

ბურგასი

— კაკო, როცა არ მიჯერებ, სულ შარში ეხვევი ზოლმე... — გამაფრთხილა ნუგზარმა. — შეეშვი, სად მიჰყვები?!

— ნუ ლელავ, ნუგზარ, ყველაფერი კარგად იქნება... — დავამშვიდე.

— სისხლი გაგვიშრეს აფხაზებმა და შენ კიდევ გჯერა მათი?

სოხუმელი ბიჭები საკურორტო ქალაქ ბურგასში მიდიდნენ. იქ ორთვიან კონტრაქტზე ჰქონდათ ხელი მოწერილი და რესტორნებში კონცერტები უნდა ჩატარებინათ... ჩვენ-ჩვენი მანქანებით ზღვის პირას მდებარე ერთ სასტუმროს მივადექით. შუა სეზონი იდგა და იქაურობა დამსვენებლებით

საღამოობით იმ რესტორანში ვისხედით, სადაც რუსლანი და ომარი კონცერტებს მართავდნენ.

იყო სავესე... სასტუმროს მეპატრონე, რუსლანსა და ომარს შეეგება და „გვიპატიკა“:

— მობრძანდით, თქვენთვის საუკეთესო ნომრები მაქვს შენახული...

— მარტონი არა ვართ — ჩვენი ქართველი მეგობრებიც უნდა დააბინაფო... — უთხრა ომარმა.

— თქვენ ოღონდ ჩემს რესტორანში იმღერეთ და რამდენიც გინდათ, იმდენი მეგობარი მოიყვანეთ... — უპასუხა მეპატრონემ და სასტუმროში შეგვიძღვა...

აფხაზებმა დიდი პატივი გვცეს. სასტუმროს ხარჯი თვითონ იკისრეს და სამჯერად კვებაზეც ვყავდით. დილაობით პლაჟზე გავდიოდით და მთელი დღე მზის აბაზანებს ვიღებდით. საღამოობით იმ რესტორანში ვისხედით, სადაც რუსლანი და ომარი კონცერტებს მართავდნენ. ყველამ იცოდა, რომ მათი სტუმრები ვიყავით და ფულსაც არ გვასდევინებდნენ... ერთი სიტყვით, ჩვენი „სადარდებელი“, მარტო ლამაზი ქალების გაცნობა-დაახლოება იყო... გულანდილად გეტყვით, ეს დიდ პრობლემას არ წარმოადგენდა: რატომღაც ყველგან თბილად გვიღიმოდნენ...

— კაკო, რაღაც ამ ბულგარელი ქალებისა ვერაფერი გავიგე: ან კაცები არ ჰყავთ, ან კიდევ, არ ჰყოფნიან... — მითხრა ერთ დღეს გაოცებულმა ნუგზარმა.

— ვერ გავიგე?...

— რა ვერ გაიგე?! რაც ჩამოვედით, სულ გვიღიმებ... დავიჯერო, ასე ძალიან მოვეწონეთ?! თანაც, ჩვენ რომ თვალებს გვიპაჭუნებენ, თავიანთი კაცებიც გვერდზე ჰყავთ...

— ღიმილი, ძმაო, ბულგარელ ქალებს კი არა, ყველა დამსვენებელ მანდილოსანს დასთამაშებს... რაც შეეხება მათ მამაკაცებთან ურთიერთობას, მაგისი ვერაფერი გამიგია და მეც ძალიან მაინტერესებს...

მართლაც, საინტერესო მოვლენასთან გვეკონდა საქმე: წარმოიდგინეთ, პლაჟზე ხარ წამოწოლილი და მზეს ეფიცები, შენს გვერდით წვეილი წვეს. ბუნებრივია, რაკი მამაკაცთან ერთად არის, ქალს თვალიერებას არ დაუწყებ... ამ დროს, თვითონ არ ჩავშტერებია თვალებში?! გამორიცხული არ არის, რომ საღამოს, სადაც ბულგარზე ან რესტორანში გადაეყარო და ისე შეგხვდეს, თითქოს დიდი ხანია გიცნობდეს და მერე სასიამოვნო ღამეც გაატაროთ ერთად... იმდენი ასეთი ღამე დავგვიგროვდა, რომ ნუგზარს ძალა ჰქონდა გამოცლილი...

წამოსვლის დროც იყო. მასპინძლებს მადლობა გადაუხადეთ და ბულგარეთიდან გამოვემგზავრეთ...



ჟამთა სვლის მანძილზე ქართველ მეფეებს სამშობლოს დასაცავად არაერთი ბრძოლის გადახდა უწევდათ. მიუხედავად ათასგზის აოხრებისა, საქართველო დამპყრობელთაგან მიყენებული ჭრილობების მოშუშებას ყოველთვის ახერხებდა.

დაახლოებით ორი საუკუნის წინ მოხდა ბრძოლა, როდესაც მან ეს ვერ მოახერხა. 1795 წელს კრწანისის ბრძოლაში ირანელებთან დამარცხებამ, საქართველო იძულებული გახდა თავისი ბედი რუსეთთან დაექვეშირებინა.

კახა მაისურაძე



რუსეთის ჯარის შემოსვლა თბილისში

ქრწანისის ბრძოლა როგორც რუსეთთან „დამოყვრება“ დაჩქარა

ბრძოლის წინა პერიოდი

ირანის მზადება საქართველოზე თავდასასხმელად

1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატით ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის მფარველობის ქვეშ მოქცევამ თურქეთისა და ირანის, განსაკუთრებით ამ უკანასკნელის მწვავე რეაქცია გამოიწვია. იმთავითვე ნათელი გახდა, რომ სამხრეთელი დამპყრობელი, რუსეთის იმპერიის ხელში საქართველოს გადასვლას ვერ შეურიგდებოდა. XVIII საუკუნის 90-იანი წლებიდან, მთელ ირანში სრული ძალაუფლება ყაჯართა ტომის წარმომადგენელმა ალა-მაჰმად-ხანმა ჩაიგდო ხელში. ჯერ კიდევ 1793 წელს ოსმალეთმა წააქეზა იგი, რომ აღმოსავლეთ საქართველოში ირანის ძველი ბატონობა აღედგინა. ის ჰპირდებოდა, რომ ირანის მმართველად იმ შემთხვევაში ცნობდა, თუ ქართლ-კახეთს დაიპყრობდა და რუსეთს განდევნიდა იქიდან. ერთხანს ქართლ-კახეთის სამეფო დიპლომატიამ თურქეთის აღნიშნულ გეგმას კონტრგეგმითაც კი უპასუხა: ირან-თურქეთის ურთიერთობის გამწვავება სცადა და ირანის საწინააღმდეგოდ თურქეთს სთხოვა დახმარება, მაგრამ რა თქმა უნდა, ამაოდ.

ირანის მმართველი კი, თურქეთის წაქეზების გარეშეც აქტიურად ემზადებოდა კავკასიაში გასალაშქრებლად. 1795 წლის მაისში, ალა-მაჰმად-ხანმა ქ. არდებილში, აღმოსავლეთ კავკასიის დასაპყრობად დიდძალი ჯარების თავმოყრა დაიწყო. ქართლ-კახეთის მეფემ, ერეკლე მეორემ ჩრდილოეთ კავკასიაში განლაგებული რუსთა ჯარე-

ბის სარდალს გენერალ გულოვინს მიმართა და 1783 წლის ტრაქტატის საფუძველზე, 3000 ჯარისკაცის გამოგზავნა სთხოვა. თხოვნა უპასუხოდ დარჩა — მაშველი ჯარი არ ჩანდა. ირანელები კი საქართველოსკენ მოიწვევდნენ. ივნისში ალა-მაჰმად-ხანი ქართლ-კახეთის სამეფოს ვასალ — შუშის (ყარაბაღის) და ერევნის სახანოების დაპყრობას შეეცადა, მაგრამ ერეკლე მეორემაც საპასუხო ზომები მიიღო: მტრის 8 ათასიანი ჯარის წინააღმდეგ, ქართველთა ლაშქარი გაეზავნა, ალექსანდრე ბატონიშვილის სარდლობით. სომეხ და ქართველ მეომართა გაერთიანებულმა ლაშქარმა ყარაბაღის ვიწროებში სასტიკად დაამარცხა ირანელები.

მიუხედავად ამისა, ქართლ-კახეთის სამეფო კარზე თვლიდნენ, რომ რუსეთის დახმარების გარეშე, ირანთან გამკლავება შეუძლებელი იყო. ეს შეხედულება ადრეც ბატონობდა, ამიტომ ჯერ კიდევ 1794 წელს ერეკლემ რუსეთში ელჩად გარსევან ჭავჭავაძე მიაგვლინა, რომელიც იმავე წლის 21 მაისს რუსეთის იმპერატორს ეკატერინე მეორეს შეხვდა, ერთი წლის შემდეგ — 1795 წლის ივლისში, თავისი ნოტიო ქართველმა ელჩმა რუსეთის კანცლერ ბეზბოროდკოს პირდაპირ მოსთხოვა — გადა-



ერეკლე II

ჭრით ეცნობებინა მისთვის, აპირებდა თუ არა რუსეთი საქართველოსთვის, გეორგიევსკის ტრაქტატით გათვალისწინებული დახმარების აღმოჩენას.

რუსეთის მთავრობა დახმარებას არ აპირებდა, საფრთხე კი თანდათან ძლიერდებოდა. 1795 წლის 4 აგვისტოს ირანელებმა მდინარე არაქსი გადმოლახეს და თბილისისკენ სამი მიმართულებით დაიძრნენ. ჯარის ძირითადი ნაწილი, რომელსაც თვით შაჰი უძღოდა, შუშის ციხისკენ გაემართა და ალყაში მოაქცია იგი.

შუშასთან მდგომმა ყაჯარმა ერეკლე მეორეს ულტიმატუმში გაუგზავნა: რუსეთის მფარველობაზე სამუდამოდ ხელის აღებას, სპარსეთის ვასალობასა და ხარკს მოითხოვდა, წინააღმდეგ შემთხვევაში დამპყრობელი ქართლ-კახეთის განადგურებით იმუქრებოდა. ერეკლემ მას პასუხი არ გასცა, რამაც ირანელთა მბრძანებელი კიდევ უფრო გააღიზიანა. მაგრამ თავდაპირველად მან თავშეკავება ამჯობინა; ჩრდილოეთ კავკასიაში განლაგებული რუსეთის ჯარების სარდალთან, გენერალ გულოვიჩთან რეზიდენტები მიაგვლინა, რომლებსაც პეტერბურგის მთავრობისაგან ერეკლესთვის შესაძლო დახმარების პირობების გარკვევა დააკისრა. მალე რეზიდენტებისგან დამაკმაყოფილებელი პასუხი მოვიდა: რუსული

ჯარის სარდლობა, საქართველოში მაშველი ძალების გაგზავნას არ აპირებდა. ამრიგად, ალა-მაჰმად-ხანს თბილისზე გასალაშქრებლად მილად გახსნილი ჰქონდა ხელ-ფეხი.

მოვლენების ამგვარი განვითარებისთვის მეფე ერეკლეც მზად იყო. 1795 წლის აგვისტოს ბოლოს, იმერეთის მეფესთან – სოლომონ მეორესთან ერთად გაილაშქრა ერევნის სახანოზე და ყაჯართა ჯარის დამარცხებას შეეცადა. მაგრამ ესეც ირანის მბრძანებლის წინასწარ დაგებული ხაფანგი ყოფილა: ალა-მაჰმად-ხანმა ერეკლე თბილისიდან მოშორებით რომ დაიგულა, შუშის ციხესთან მხოლოდ მცირერიცხოვანი ჯარი დატოვა, თავად კი, მთავარი ძალებით, თბილისისაკენ გამოემართა. მის მხარეზე გადავიდა ერეკლეს ყოფილი ვასალი – განჯის მმართველი ჯავად-ხანი; ასევე ყარაბაღელი სომეხი მელიქები: მეჯღუმი და ჰაბოვი. მალე ერევნის ხანმაც ქედი მოუხარა დამპყრობელს, ხოლო სომეხთა კათალიკოსმა დიდძალი თანხის გაღებით „იყიდა“ მშვიდობა.

თბილისისაკენ ირანელთა გალაშქრების შესახებ ერეკლემ 4 სექტემბერს შეიტყო. მდგომარეობის ასე სწრაფად შეცვლას მეფე არ მოელოდა. ქვეყნის სასიკვდილო საფრთხე დაემუქრა. დამატებითი ჯარის შეყრა კიდევ მოესწრებოდა, მაგრამ ეს მწყობრი და მოქნილი სახელმწიფოებრივი სისტემის პირობებში იქნებოდა შესაძლებელი.

ეკატერინე მეორისაგან დახმარების მოიმეფე ერეკლე ახლა დიდი ბრძოლისთვის მოუმზადებელი აღმოჩნდა და სახელდახველოდ შეყრილი 5000 მეომრით უნდა შებოძა მტერს, რომელიც 35000 მოლაშქრით უახლოვდებოდა თბილისს.

1795 წლის ბრძოლა

ხოცვა-ჟლეტა კრწანისთან

ერეკლე მეორე თავისი ჯარით უმაღლესი გამოემართა თბილისისაკენ, როცა ალა-მაჰმად-ხანის მოულოდნელი მანევრის ამბავი შეიტყო. 6 სექტემბრისათვის იგი უკვე სოლანულში დაბანაკდა. 7 სექტემბერს მტრის მოწინავე ლაშქარი, წითელ ხიდან დატოვებულ ქართველთა რაზმს შეებრძოლა.

50 ქართველი მეომარი გმირულად დაიღუპა და ირანელთა სწრაფი იერიშის დროებით შეჩერება შეძლო. 8 სექტემბერს ერეკლემ 12 მხედარი მოწინააღმდეგის პოზიციების დასაზვერავად გააგზავნა, მაგრამ ქართველი მსტორები მოულოდნელად, იაღლეჯამდე მოსულ მტრის ლაშქარს შეეფეთნენ და უთანასწორო ბრძოლაში თითქმის ყველანი დაიხრცნენ: ცოცხალი მხოლოდ გორჯასპი ნათალიშვილი გადარჩა: ის მის მიერვე მოკლული მტრის ფეხმარდ ცხენს შეახტა და ერეკლეს მტრის მთახლოება აუწყა. ახლა მოხუც მეფეს ისლა დარჩენოდა, რომ მრავალრიცხოვანი მტერი მტკვრის ვიწროებში შეეტყუებინა და მისთვის გზა თბილისის გამაგრებულ მისაღვომებთან ჩაეკეტა.

მართლაც, ქართველებმა დედაქალაქის გასამაგრებლად მნიშვნელოვანი თავდაცვითი სამუშაო ჩაატარეს. საბრძოლო რაიონიდან უშუალოდ ქალაქამდე, 4 თავდაცვითი ზღუდე მოაწყვეს. საშობლოს დამცველთა რიგები 5 ათასამდე კაცს ითვლიდა. აქედან 2 ათასი – იმერეთის სამეფოდან იყო, რომელსაც თვით იმერთა მეფე სოლომონ II სარდლობდა. ერეკლეს ბრძანებით, ლაშქარი სეიდაბადს – მტკვრის ვიწროებში დაბანაკდა. მეწინავე რაზმს იოანე ბატონიშვილი მეთაურობდა, მარჯვენა ფრთას – დავით ბატონიშვილი (გიორგი მეთორმეტის ძე), მარცხენას – იოანე მუხრანბატონი. ერეკლე მეორეს რეზერვში ორი რაზმი ჰყავდა, რომელთაც ვახტანგ (ალმასხან) ბატონიშვილი და ოთარ ამილახვარი სარდლობდნენ.


ალა-მაჰმად-ხანმა თავისი ლაშქარი 13 რაზმად დაყო და მოპირდაპირე მხარეს – შავნაბადის, თელეთისა და კრწანისის მიდამოებში განალაგა. ჯარის ზურგში თურქმანთა 6 ათასიანი რჩეული რაზმი ჩააყენა, რომელსაც მოიერიშე ნაწილების უკან დახვევის შემთხვევაში ცეცხლი უნდა გაეხსნა.

9 სექტემბერს, დილით, ქართველთა ნაწილების დასაზვერავად და ხელსაყრელი პოზიციებიდან გამოსატყუებლად, ირანელთა ავანგარდი სოღანლულიდან ორჯერ გადავიდა იერიშზე. ქართველთა მეწინავე

რაზმმა მტერი ორჯერვე ახლოს მიუშვა და შემდეგ, ერთბაშად ცეცხლითა და მოულოდნელი იერიშით უკუაქცია. 10 სექტემბერს მტრის მეწინავე რაზმმა (3 ათასი კაცი) მძლავრად შემოუტია ქართველთა გამაგრებულ პოზიციებს ტაბახმელასა და შინდისის შორის. ამ ბრძოლაში ქართველებმა გაიმარჯვეს. ირანელთა მოწინავე ჯარის ძირითადი ნაწილი განადგურდა, ხოლო ცოცხლად დარჩენილებმა შაჰს საზარელი ამბავი აუწყეს.

გადმოცემით, პირველი ბრძოლით დაშინებული ალა-მაჰმად-ხანი უკან გაბრუნებას აპირებდა, მაგრამ ღამით მოღალატე თბილისელმა სომხებმა: იოსებ ბებუთოვმა და არუთინა არარატიანიცმა ციხიდან ირანელთა ელჩი გააპარეს, რომლისგანაც ყაჯარმა შეიტყო, რომ ერეკლეს მცირერიცხოვანი ჯარი ჰყავდა. ამით იმედმოცემული ირანელები 11 სექტემბერს, დილის 7 საათზე, თბილისისაკენ ახალი შემართებით დაიძრნენ. საათ-ნახევრის შემდეგ, მათ ქართველთა დაცვის პირველ პოზიციას შეუტყეს. ირანელები დიდი მსხვერპლის ფასად მიიწვედნენ მტკვრის ვიწრო ხეობისაკენ, სადაც მრავალრიცხოვანი ჯარის გაშლა შეუძლებელი იყო. „ვეცადენით და ვერ შევძელით მთახლოვება იმათ სანგარზედ და ჩვენგანნი ვგონებ ას-ასობით დაეცნენ“, – იგონებდა ომის მონაწილე იაკობ ბებუთოვი, ალა-მაჰმად-ხანის ერთ-ერთი ოფიცერი.

მართლაც რამდენჯერმე უკუაგდეს ქართველებმა იერიშზე გადმოსული მტერი და საპასუხო კონტრიერიშით დიდი ზიანი მიაცენეს, მაგრამ მტრის გაძლიერებული ავანგარდის შეტევისა და არტილერიის ცეცხლის შემდეგ, იძულებულნი გახდნენ თავდაცვის მეორე პოზიციასზე გადასულიყვნენ. ამ პოზიციის გადასალახავად, სპარსელებმა ერთ საათში რამდენიმე ასეული მეტრძოლი დაკარგეს. საშობლოს დამცველები მართლაც უდიდესი თავდადებითა და უმაგალითო გმირობით გამოირჩეოდნენ. ქართველებისაგან შევიწროებულ ალა-მაჰმად-ხანს განუცხადებია: „რამდენი ბრძოლა გადამიხდია, მაგრამ არასოდეს მახსოვს, რომ მტერს ასე ვაჟაკურად ებრძოლოს“. მრავალრიცხოვანი მტრით გარშემორტყმულმა გიორგი გურამიშვილმა ასე მიმართა თავის მეომრებს: „ქართველებო, ძმებო! ცხადათ ვზედავთ, აუცილებელი სიკვდილი მოსულა ჩვენზე, მაგრამ ესეც შეგვიძლია – უნამუსოდ დავნებდეთ ყიზილბაშებს. აბა რომელი გინდათ – სახელით სიკვდილი მამულისათვის, თუ უნამუსოდ სიცოცხლე?“ ყველამ ერთხმად უპასუხა: „ჩვენ



მამა-პაპას უნამუსობა არ უქნიათ და ჩვენც მათი შვილები ვართ; სიკვდილი გვირჩევია უნამუსო სიცოცხლეს!“ სამშობლოს ღირსეული შვილი, გიორგი გიორგი, ზარბაზნებთან დაეცა განგმირული... ირანელთა რაზმები სეიდაბადის ბაღებში შეიჭრნენ, მაგრამ ქართველთა ჯარი კლდეებიდან კონტრშეტევებით იგერიებდა მტერს. იმ მომენტში, როცა მოწინააღმდეგეებს ერთი პატარა ხევი ყოფდათ, სეიდაბადის სამხრეთ კალთებიდან შეტევაზე გადავიდა ვახტანგ ბატონიშვილის 2 ათასიანი რაზმი, რომლის ამოცანა სპარსელთა ჯარის შუაზე გაკვეთა იყო. მტერმა მთავარი ძალები, აღნიშნული რაზმის უკუგდებას მოანდომა. ამ დროს ერეკლე მეორემ შეტევაზე გადასვლა ბრძანა, მაგრამ მძიმე ბრძოლებში ქართველთა ისედაც მცირერიცხოვანი ძალები ამოიწურა (მაშინ, როცა გიორგი ბატონიშვილი — მომავალი გიორგი XII, 4 ათასიანი ლაშქრით გამზადებული იდგა ქიზიყში და, თითქოს ერეკლეს დამარცხებას უცდიდა, ადგილიდან ფეხს არ იცვლიდა).

ამასობაში, კრწანისის მალღობიდან მტერმა ქართველთა ლაშქარს ზარბაზნებიდან დაუშინა ცეცხლი. უეცარი იერიში მიიტანეს დავით ბატონიშვილის რაზმზეც. ქართველებისთვის ზურგიდან შემოსავლელად და უკან დასახევი გზის მოსაჭრელად, რამდენიმე ასეულისაგან შემდგარი ცხენოსანთა რაზმი, შინდისის მიმართულებით გაიფანჯანა. ეს იყო ომის ყველაზე კრიტიკული და საბედისწერო მომენტი, როდესაც ხეობაში ჩაწოლილი ბურუსიც კი მტრის მხარეზე აღმოჩნდა და ქართველთა ზურგისაკენ მიმავალი ჯარი დაფარა. ბურუსი სწორედ მაშინ გაიფანჯა, როცა ირანელები მარჯვენა ფლანგზე მებრძოლ ქართველთა პირისპირ აღმოჩნდნენ.

ერეკლემ სასწრაფოდ აფრინა შიკრიკი სოლომონ მეორესთან, რათა მარჯვენა ფრთაზე მეომართა საშველად გასულიყო,



იოანე ბატონიშვილი

მაგრამ შიკრიკი გზაში მოკლეს. ერთი საათის ბრძოლის შემდეგ ქართველთა ლაშქარი მესამე სანგრძიდან, უკანასკნელ — მეოთხე თავდაცვით ზოლში გადავიდა. იქაც ერთი საათი იბრძოლა და შემდეგ უკან დახევა დაიწყო. სისხლისმღვრელ ბრძოლებში გმირულად დაიღუპნენ: სამასი არაგველი, მამაცი არტილერისტები — გაბრიელ მაიორი, ალაღუა, მსახიობი „კომედიატი“ მახაბელა თავისი დასით და სხვა.

ერეკლეს ჯარის დიდი ნაწილი განადგურდა, მაგრამ თავდამსხმელებმა თითქმის სამჯერ მეტი — 13 ათასი კაცი დაკარგეს.

75 წლის ერეკლე მეფე ბოლომდე იბრძოდა; ბრძოლის ველის დატოვებას არ აპირებდა, რის შედეგადაც ირანელებმა მისი რაზმი ერთხანს ალყაშიც კი მოაქციეს, მაგრამ კრიტიკულ მომენტში დატყვევებას მცოვანი მეფე შვილიშვილმა — იოანე ბატონიშვილმა გადაარჩინა, რომელმაც ალყა გაარღვია და ძალით გამოიყვანა მეფე ბრძოლის ველიდან.

გადმოცემის თანახმად, „მეფე ერეკლემ თავის 150 კაციან რაზმთან ერთად ავღაბრის ხიდი გაიარა, კლდოვან ნაპირზე გამოსახული ჯვრის წინ ჩამოქეითდა, დაიხოქა და ქრისტიანობისთვის წამებულ აბოს ნეშტს შეავედრა ქრისტეს ჯვარისათვის ჯვარცმული ერი“.

კრწანისის გამარჯვების შემდეგ, ალა-მაჰმად-ხანი თბილისში შეიჭრა, გაძარცვა და დანგრია მეფის სასახლე, თოფ-ზარბაზნების ქარხანა, იარაღის საწარმო, სტამბა, აბანოები, გადაწვა ეკლესიები, სახლები და სხვა ნაგებობები; უმოწყალოდ და შეუ-

ალა-მაჰმად-ხანი



გიორგი XII

ბრალეზად ამოფლიტეს მცხოვრებლები. ჩვილ ბავშვებს დედებს ხელიდან აგლეჯდნენ, ცალ ფეხზე ხელს წაავლებდნენ და ხმლის ერთი დაკვრით შუაზე ჩეხდნენ. ერეკლეს მსახურებს თავი მოუყარეს, ხელები შეუკრეს და მტკვარში გადაყარეს. თბილისის მისადგომებთან და მის მიწაზე ორივე მხრიდან მოკლულ-დაჭრილთა რიცხვი თითქმის 20 ათასამდე აღწევდა. დაღუპულთა გვამების დიდი ნაწილი სახელდახელოდ დამარხეს, ბევრიც დაუმარხავი დარჩა. ამის შედეგად, ქალაქში ეპიდემიამ იფეთქა, რომელმაც მუსრი გაავლო ირანელთაგან გადარჩენილ ისედაც მცირერიცხოვან მოსახლეობას. თბილისიდან ირანის მბრძანებელმა მარბიელი რაზმები ქართლს შეუსია. ერთ-ერთი ასეთი ლაშქარი 4000 კაცის შემადგენლობით, არაგვის ხეობას მოედო. მას ყაჯარმა ერეკლე მეფის შეპყრობა დაავალა. ჟინვალთან მისულ ირანელთა ჯარს, თბილისისკენ ერეკლეს დასახმარებლად დაგვიანებით წამოსული, 300 ხევსური დაუხვდა. ხევსურებს შეუერთდნენ მაშინ იქ საძოვრებზე მყოფი შამშადილელი (აზერბაიჯანელი) მწყემსები. გაჩაღდა უთანასწორო ხელჩართული ბრძოლა. ირანელებმა ვერ გაუძლეს ხევსურთა გრიგალისებურ შეტევას და გაქცევით უშველეს თავს. 20-21 სექტემბერს ალა-მაჰმად-ხანი, თავისი ლაშქრით, ნაძარცვითა და 15 ათასამდე დატყვევებული ქართველით, თბილისს გაეცა. თუმცა, ეს ერეკლესა და აზერბაიჯანულ საქართველოს ოდნავადც ვერ უმსუბუქებდა უმძიმეს ხვედრს. კრწანისის ბრძოლაში დამარცხებამ მნიშვნელოვნად დააჩქარა ის პოლიტიკური მოვლენები, რომელიც 1801 წლის მანიფესტით და რუსეთთან შეერთებით დასრულდა.

კრისტინა რიჩი –

ანგეჟეზიანი

ლოლიტა



კრისტინა რიჩის მწუხარე როლების ოსტატს უწოდებენ. 11 წლის ასაკში მან სახელი გაითქვა პატარა ვამპირის სახით, რომელიც ფილმში „ადამსების ოჯახი“ შექმნა. შემდეგ, მსატვრულ ფილმში – „კასპერი“ მოჩვენების მეგობარი გოგონას როლი შეასრულა. „ყინულოვან შტორმში“ მისი გმირი მეზობელ ბიჭებთან ერთად, თამამ სექსუალურ ექსპერიმენტებს ატარებდა, ხოლო „მთვლემარე ხევში“ – ჯადოქრობით ერთობოდა.

კრისტინა უშედეგოდ ცდილობდა მიეღო ჯულიეტას როლი „რომეო და ჯულიეტას“ თანამედროვე ვერსიაში, სადაც რომეოს როლს ლეონარდო დი კაპრიო ასრულებს. „გოგონა, შენ ჯულიეტას კი არა – ლედი მაკბეტის გასახიერება უფრო მოგიხდება“, – უთხრა რეჟისორმა.

ახლა კრისტინა 22 წლისაა. ლედი

მაკბეტისთვის ის ჯერ არ მომწიფებულა, მაგრამ უფრო ახალგაზრდა, „საბედისწერო ქალების“ როლებს დამაჯერებლად და მთელი შინაგანი ძალით ასრულებს.

ფილმში – „მტირალა ადამიანი“ მან მეორე მსოფლიო ომისდროინდელი ლტოლვილი გოგონა განასახიერა. „რომ გავიგე, რომ სცენარის მიხედვით, ფილმი ომზე, ადამიანთა ტანჯვასა და უბედურებაზე იყო, ვთქვი: არა, მეყოფ! დროა „მელოდია“ შევცვალო – მინდა კომედიაში ვითამაშო! – იხსენებს კრისტინა. – მაგრამ, როცა სცენარი წავიკითხე, მივხვდი: უარის თქმას ვერ შეეძლებდი – იმდენად გულის ამაჩუყებელი ამბავია!“

თავის დროზე კრისტინაზე ამბობდნენ, რომ კინოში მისი ნამუშევარი შოკური თერაპია იყო მაყურებლისთვისაც და მისთვისაც. თვით კრისტინა კი ირწმუნება: მსახიობი რომ არ გამხდარიყო, 18 წლის ასაკში თავს მოიკლავდა.

გოგონამ ყოველთვის იცოდა, რომ მსახიობი გახდებოდა. ის კალიფორნიაში, 1980 წლის 12 თებერვალს დაიბადა. მამამისი – იურისტი და ფსიქიატრია, დედა ახალგაზრდაობაში მოდელი იყო, მოგვიანებით კი უძრავი ქონების აგენტი გახდა. ოთხ შვილს შორის ყველაზე უმცროსი – კრისტინა აღრეული ასაკიდან თავისი ნათესავების გამართობი კლოუნი იყო.

„მსახიობობა არის ის, რაც მსურს

„ადამსების ოჯახი“

ვაკეთო, შემიძლია ამას მივალწიო და მივალწე კიდევ, – ამბობს იგი. – ეს ღმერთის მიერ ნაბოძები ნიჭია. არასოდეს მისწავლია მსახიობის პროფესია და საერთოდ, არც მჯერა, რომ ამის სწავლა შეიძლება. ჩემი პირველი ფილმის გადაღების დროს, როცა მხოლოდ 9 წლის ვიყავი, მკითხეს: „როგორ ისწავლე, რომ კამერის წინ თვალი არ უნდა დაახამხამო?“ მე გავოცდი: „ამას რა, სწავლა სჭირდება?“

ინსტინქტურად, პირველივე ფილმიდან მან სწრაფად ისწავლა ცარცით მონიშნულ ხაზზე სიარული ისე, რომ ფეხებს საერთოდ არ უცქერდა. გოგონას ძალიან მოსწონდა ფოტოსესიებზე ყოფნა, სადაც მას აცმევდნენ და გრიმს უკეთებდნენ, ის გატაცებით ესაუბრებოდა ჟურნალისტებს. ერთადერთი, რაც არ უყვარს – ეს კინოსინჯებია. „მე ყოველთვის მრცხვენია. ყოველთვის მეშინია, რომ უარმყოფენ. არ შემიძლია, თავი ვაიბულო და ვითამაშო, როცა კამერა ჩართული არ არის.“

კრისტინა 7 წლის იყო, როცა მისი ოჯახი საცხოვრებლად ნიუ-ჯერსის შტატში გადავიდა. სკოლაში რომ დაიწყო სიარული, კრისტინა იმთავითვე სასკოლო თეატრის ვარსკვლავი გახდა. მან იმდენად დამაჯერებლად და გულში ჩამწვდომად ითამაშა სპექტაკლში – „თორმეტი საშობაო დღე“, რომ წარმოდგენის შემდეგ მაყურებლებმა მქუხარე



ოვაცია გაუმართეს.

მშობელთა შორის, რომლებიც სპექტაკლზე თავიანთი შვილების გამოსვლით ტკობისთვის მივიდნენ, ადგილობრივი კინოკრიტიკოსიც აღმოჩნდა. კრისტიანამ მასზე იმდენად დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, რომ მან გოგონას მშობლებს აგენტის მოძებნა და კრისტიანასთვის სერიოზული, პროფესიული გამოცდის ჩატარება ურჩია.

ერთი წლის შემდეგ გოგონას უკვე სარეკლამო როლებში იღებდნენ.

„მძულდა ის მომენტი, როცა გადაღებები მთავრდებოდა და შინ უნდა წავსულიყავი, – იხსენებს გოგონა. – სახლში ძალიან მოწყენილი ვიყავი, სკოლაშიც მოწყენილობა იყო. თავს უმაქისად და უვარგისად ვოვლიდი იმ მომენტამდე, სანამ ახალი სამუშაო არ გამომიჩნდა. მსახიობი რომ არ გავმხდარიყავი, ალბათ პოლიციაში მოხვედრა და ციხე არ ამცდებოდა...“

14 წლის ასაკში მას მართლაც დაუდგა რთული პერიოდი: საბავშვო როლებისთვის უკვე მეტისმეტად დიდი იყო, მოზრდილთა სათამაშოდ კი საკმარისად არ დაქალებულიყო. დამცირების მწვერვალად მისთვის ის დღე იქცა, როცა ფილმის – „ოქროს მაძიებლები“ პროდიუსერმა მკერდის მჭიდროდ აკვრა უბრძანა. „თავს არასრულფასოვნად ვგრძნობდი, – იხსენებს კრისტიანა. – ეს ძალიან საწყენი იყო!“

აღნიშნული ინციდენტის შემდეგ რამდენიმე წელი კრისტიანას ანორექსია (გახდომის ავადმყოფური სურვილი და საკვებზე უარის თქმა) ტანჯავდა. გოგონა იხსენებს, რომ სინჯებზე ხშირად იწუნებდ-

ნენ და ამბობდნენ:

„გოგონა მეტისმეტად ჯანმრთელია“. თავიდან, პატარა კრისტიანა გოცებას ვერ მალავდა: ის გამუდმებით ეკითხებოდა დედას – ნუთუ ჯანმრთელობა ცუდი იყო? მაგრამ მას შემდეგ, რაც ამვე მიზეზით, მისთვის დიდად სასურველ რამდენიმე როლზე უარი უთხრეს, კრისტიანა ძალიან განაწყენდა და მკაცრ დიეტაზე გადავიდა – თითქმის შიმშილობდა.

რა თქმა უნდა, მას დროდარო წასძლევა ხოლმე სული, მერე კი, გემრიელი სადილის ან ვაშლის შემდეგ, „დანამაშის“ გამოსასყიდად, გულს ირევდა... თანდათანობით მისი ორგანიზმი სრულიად გამოიფიტა და ექიმებმა მკაცრად აუკრძალეს დიეტა, ხოლო როცა ისევ დაუბრუნდა ნორმალურ კვებას, მამინვე მოიმატა წონაში და ახლობლებმა „მსუქანაც“ კი შეარქვეს.

„რამდენიმე წელი საკუთარი თავი მძულდა – იხსენებს კრისტიანა. – შინ ყველა სარკეს რაიმე ქსოვილს ვაფარებდი, ჩემს ოთახში კი სარკე საერთოდ არ მქონდა. ახლაც ვერ ვიტან, როცა რესტორანში ან ბარში სარკე ან მუქი შუშაა, რომელშიც ჩემი გამოსახულება ჩანს“.

თვითგანადგურებისგან კრისტიანა რეჟისორმა ანგ ლიმ იხსნა: მან მსახიობი თავის ფილმში – „ყინულოვან შტორმში“ მიიწვია. „შენ უნდა ითამაშო, – უთხრა ლიმ. – შენ უბრალოდ, უნდა



„მიძინებელი ღარგაფი“

იარსებო.“ „ყინულოვანი შტორმის“ შემდეგ კრისტიანას ისევ იწვევდნენ ფილმებში, მაგრამ ამჯერად მასში ბავშვს კი არა, უკვე ზრდასრულ ქალს ხედავდნენ, ამასთან, კრისტიანა ეკრანზე სპეციფიკური – „მამაკაცების მშთანთქავი“ – ტიპის ქალად იქცა.

მაგრამ როგორც ჩანს, კრისტიანას ესეც მოსწყენდა. ცოტა ხნის წინ მან საკუთარი კინოფირმა დააარსა და ამჟამად უკვე საკუთარ საპროდიუსერო პროექტზე – „პროზაკის ნაციაზე“ (PROZAK NATION) მუშაობს. ფილმი მოვითხრობს ქალზე, რომელსაც დეპრესია ტანჯავს. ბუნებრივია, ქალბატონი პროდიუსერი თავად შეასრულებს მთავარ როლს. უახლოეს ხანში მას რეჟისურაში თავის გამოცდაც და სცენარისტების კურსებზე სიარულიც სურს...

რაც შეეხება მის პირად ცხოვრებას: „ძალიან მიყვარს ბიჭების გაცნობა, – ამბობს კრისტიანა. – ისინიც ხალისით მეცნობიან, მაგრამ დაახლოებამდე მივათუ არა საქმე, გეები აღმოჩნდებათ ხოლმე!..“

„ადამიანი, რომელიც გიროდა“



„ბუფალო-66“



დასაწყისი იხ. „გზა“ №32-35

ამირანი გიორგის სახლიდან პირდაპირ ნანასთან გაემართა. პოლიციელის დანახვაზე ნანას სახეზე კმაყოფილება აღებუჭდა:

— მობრძანდით, — ბინაში შეიპატიჟა უბნის ინსპექტორი.

— არა, გმადლობთ, — იუარა ამირანმა, — დელათქვენი ან ელზა გიორგობიანი თქვენთან არიან?

— ერთ საათში მოვლენ.

— მაშინ, ერთ საათში გამოვივლით, იქამდე მეზობლებს დავკითხავ. როცა მოვალ, თქვენი ქალიშვილი, ნინიკოც დამხვედრეთ, თქვენი თანდასწრებით დავკითხავ და კიდევ, დათო კუხალეიშვილის მისამართს ხომ ვერ მეტყვი?

— აქვე, ჭავჭავაძის ოცდახუთში ცხოვრობს.

ამირანი ნანას დაემშვიდობა და კარის მეზობელ გენადისთან ზარი დარეკა.

— შემობრძანდით, — სახლში შეიყვანა გენადიმ უბნის ინსპექტორი.

— გუშინდელი აყალმაყალი გაიგონეთ? ან ხომ არ გასულხართ გიორგის დასამოშ- მინებლად?

— იცით, რა არის? —

ჩაფიქრდა მეზობელი, —

ჩემი არც ერთი ფანჯარა ქუჩის მხარეს არ გადის, სახლში კი ვიყავით, ტელევიზორს ვუყურებდით, მაგრამ არავითარი ყვირილი, ხმაური, მტვრევის ხმა ჩვენ არ გავიგვია. არც ვიცი, რა მოხდა, — უპასუხა გენადიმ.

— მაშინ, ეს ყველაფერი, თუ შეიძლება, ახსნა-განმარტებაში დამიწერეთ, — საქალაქიდან ფურცელი ამოიღო პოლიციელმა და გენადის გაუწოდა.

მამაკაცმა გამოართვა, მაგიდას მიუჯდა და რაც თქვა, ის დაწერა. უბნის ინსპექტორმა წაიკითხა, მადლობა გადაუხადა და მეორე კარის მეზობელს მიადგა. კარი შუახნის მამაკაცმა გაუღო:

— ვინ გნებავთ? — შეკრთა პოლიციელის დანახვაზე.

— თქვენ თემური გქვიათ?

— დიას, — დაუდასტურა მეზობელმა.

— გუშინ სადარბაზოში, ან ქუჩაში გინება, ჩხუბი, ყვირილი ხომ არ გავიგვიათ?

— მობრძანდით, მობრძანდით, — უბნის ინსპექტორს გზა დაუთმო თემურმა.

ამირანი მაგიდასთან ჩამოჯდა და მასპინძელს ფურცელი გაუწოდა. მამაკაცმა გამოართვა, კალაში მოიმარჯვა და იკითხა:

— რა უნდა დავწერო?

— აი, რაც გაიგონეთ, რაც მოისმინეთ, ან რაც ნახეთ.

— იცით, მთელი ოჯახი გუშინ სტუმრად



ბესიკ კეკელიძე

ქალი-ობობა

ვიყავით და მალევე გვიან მოვედით. ჩვენ არაფერი დავგინახავს და არაფერი გავვივინა.

— მაშინ, დამიწერეთ, რომ სახლში არ იყავით.

თემურმა ახსნა-განმარტება დაწერა და უბნის ინსპექტორს მიაწოდა.

თითქოს პირი ჰქონდათ შეკრული, ყველამ ერთი და იმავე პასუხით გამოისტუმრა. პოლიციელი გულის სიდრემში კი გრძობდა, რომ გიორგი ყველას უყვარდა და იცავდა, მაგრამ საქმის წარმართვით უკმაყოფილო იყო:

— არავის არაფერი გაუგია — გამოდის, რომ გიორგი ნანას გულში ავინებდა, — ჩაილაპარაკა და საკუთარ სიტყვებზე ჩაეცინა.

ქუჩის მოპირდაპირე მხარეს მცხოვრებ მეზობლებთან გადავიდა, მაგრამ იქიდანაც უარყოფითი პასუხით გამოისტუმრეს. შემდეგ გიორგის ყოფილ ცოლს მიადგა. კარი ნანას დედამ გააღო:

— შეიძლება, ქალბატონო?

— მობრძანდით, — ლამარამ უბნის ინსპექტორი სასტუმრო ოთახში შეიყვანა, — დაბრძანდით, — სკამზე მიუთითა.

ამირანმა ოთახს თვალი მოავლო, კედელზე ჩამოკიდებულ თამუნას სურათს დააკვირდა. იგრძნო, როგორ დაუძმინდა გული, მა-

გრამ არაფერი თქვა. საქალაქე გახსნა და მის გვერდით მჯდომ ქალს ცარიელი ფურცელი გაუწოდა:

— გუშინ რაც მოხდა, ყველაფერი დამიწერეთ.

ლამარამ ჯერ აზრი დააღაგა, შემდეგ წერას შეუდგა. ყველაფერი დაწვრილებით დაწერა. უბნის ინსპექტორმა ახსნა-განმარტება წაიკითხა:

— გასაგებია, — ჩაილაპარაკა და ქალს ახედა, — ელზა არ მოვა?

— წუთი წუთზე ველოდები, ნანას საქმეზე წაჰყვა და მალე მობრუნდებთან.

— რა მინდა გკითხოთ...

— გისმენთ.

— გიორგი ოჯახს პატრონობდა?

— ამას ვერ წაართმევ, პატრონობდა, — დაეთანხმა ლამარა, — ბავშვებს არც საჭმელი, არც ჩასაცმელი, არც მასწავლებელი და არც დასვენება — არაფერი არ აკლდათ, მაგრამ როგორც ქმარმა, ვერ ივარგა: ნანასთან გაუთავებელი კონფლიქტი ჰქონდა. აგერ, ჩემს ქალიშვილს ტყვიაც ესროლა, მოკვლა უნდოდა, სულ მიზეზს ეძებდა. ახლა კი, სხვა ქალი მოიყვანა ცოლად. გვეგონა, მოვისვენებდით, მაგრამ მაინც იგივე მეორდება, კიდევ მოგვივარდა სახლში.

— პოო... — მრავალმნიშვნელოვნად გააქნია თავი პოლიციელმა. კარზე ზარი გაისმა. ლამარამ გააღო: — უი, ნინიკო, მოხვედი, ბებია! — ბინაში შემოიყვანა შვილიშვილი და ამირანთან მიიყვანა.

— გოგონი, შენ თვითონ დაწერ, თუ ბებია შენი კარნახით დაწეროს?

— რა უნდა დავწერო? — იკითხა ბავშვმა.

— აი ის, რაც გუშინ მამაშენმა გააკეთა.

— კარგით, — დაეთანხმა ნინიკო, — ლამარა, მე ვიკარნახებ, შენ დაწერე.

ქალმა კალაში მოიმარჯვა და სმენად იქცა. ნინიკოს ეტყობოდა, რომ ღელავდა, მაგრამ თხრობა მშვიდი ტონით დაიწყო:

— გუშინ საღამოს, ალბათ თერთმეტ საათზე, კარზე ზარი დარეკა მამამ. დედამ სათვალთვალოში გაიხედა და მამას კარი არ გაუღო. რამდენჯერმე კიდევ დაირეკა ზარი. შემდეგ მამამ მე დამიძახა, გამოდიო.

დედამ გარეთ არ გამიშვა. გაბრაზებულმა მამამ კარს წიხლი რამდენჯერმე დაარტყა, მესმოდა, როგორ ავინებდა დედას. მე პატარა ოთახში ფანჯარასთან ვიდექი. დავინახე, დედას მანქანით როგორ მოვიდა მარიკას

ქმარი ვანო. მამა ქუჩაში გავიდა, ვანოს უყვია: ვის მანქანაზე ზინართ, ბიჭი ციხეში ჩაღობა! — და გამწარებულმა მანქანის კარს ფეხი დაარტყა. შემდეგ მამას მეგობარმა ზაზამ მოაკითხა და მამა თავის ცოლთან ერთად წაიყვანა...

— ნინიკო, — გააწყვეტინა პოლიციელმა. — დიას.
— ამ აყალმაყალის დროს ქუჩაში ხალხი ხომ არ მოგროვდა?
— არა, მე არავინ დამინახავს.
— მაშინ ესეც ჩაწერეთ, — მიმართა ლამარას ამირანმა.

ამასობაში ელზა და ნანაც მოვიდნენ. ახსნა-განმარტება ელზამაც დაწერა. ამირანმა ყველაფერი საქალაქში ჩადო და ლამარას მიუბრუნდა:

— თქვენი კლასელის სიძესთან მივიღვარ და სახლში იქნება?
— კი, ალბათ უნდა იყოს, — დაეთანხმა ლამარა. როგორც კი პოლიციელი სახლიდან გაისტუმრა, თავის კლასელთან დარეკა:

— ბება, მე ვარ, ახლა დათოსთან უბნის ინსპექტორი მოვა და დაუწეროს, ჩემმა ნადირალა სიძემ ნანას როგორ ესროლა.
— ლამარა, იმ უბედურების შემდეგ, რაც თქვენ დაგემართათ, კიდევ მაგის თავი გაქვთ?! — გაიკვირვა ქალმა.
— არა, გუშინ მოვევიარდა და აგვაწიოკა.
— კაცი ჭკუაზე არ არის და რას სთხოვთ? თანაც, დათოსთვის ისეთი პატივი აქვს ნაცემი, არა მგონია, მასზე რამე ცუდი დაწეროს.

— ბება, ყველამ დაწერა და დათომაც რომ დაწეროს, რა მოხდება? — აღშოთდა ლამარა.
— არ ვიცი, — გაბრაზებული ხმით მიუგო ბებამ და ყურმილი დაკიდა.
ამირანი ჭკავკავადის ქუჩის ოცდახუთ ნომერში მივიდა. როცა დათოს საქმის ვითარება აუხსნა, გაკვირვებულმა პოლიციელს ჰკითხა:

— კი, მაგრამ ოთხმოცდაათობეტი წელი შეიდი წლის წინ იყო და ნანა ახლა უჩივის?
— აგერ, განცხადებაში დამიწერა, — ამირანმა ნანას განცხადება უჩვენა.

— ტყუილია, გიორგის ნანასთვის არ უსვრია, მე ასეთ რაღაცას არ შევსწრებებარ და საერთოდ, გიორგის ხელში იარაღი არასოდეს მინახავს.

— მაშინ, ეს ყველაფერი ახსნა-განმარტებაში დამიწერეთ, — უთხრა დათოს პოლიციელმა.

ცოტა ხანში ბებასა და დათოს დაემშვიდობა და უფროსთან გაეშურა:

— შეიძლება, ბატონო ელგუჯა? — კარში შეყო თავი ამირანმა.
— შემოდი, ამირან, დაჯექი. მომიყვიე, რა გამოიკვლიე.
— მეზობლები დავკითხე, იმ ღამეს ზოგი

სახლში არ იყო, დანარჩენები ამბობენ, არაფერი გავგვიფაო. სროლის ამბავზე — ის ბიჭი უარზეა, არც იარაღი დამინახავს გიორგის ხელში და არც ასეთ ამბავს შევსწრებებარო. დანაშაული არ იკვეთება და არაღებრა დაწერო?

— ის პროფესორი კიდევ იყო მოსული, ქალაქის მერით შემუქრება — ჩვენი ახლობელიაო.
— მერე რა ვქნა?
— არაფერი, პროკურორს დაველაპარაკები და მერე გადავწყვიტოთ.
— კარგი, ბატონო გუჯა, — ამირანი წამოდგა და კაბინეტიდან გავიდა.

მერი და გიორგი არქიტექტორთან მივიდნენ.

— სანდრო, საფლავის პროექტი მჭირდება, გამიკეთებ?
— როგორ არ გაგიკეთებ. რა ქვით გინდა მოაპირკეთო?
— სულ ათასი დოლარი მაქვს, მინდა იყოს სადა და ისეთივე კონტა, როგორიც თამუნა იყო.

— მე ბაზალტს გირჩევ, ჩვენს ყველა წინაპარს ბაზალტის ქვა ადევს.
— ბაზალტს სად ვიშოვი?
— ბოლნისში, სავსეა იქაურობა მაგ ქვის საამქროებით.
— კარგი, — დათანხმდა გიორგი, — დამიხაზე.

— აქვე გავაკეთოთ, კომპიუტერზე დავხაზავ, — წამოდგა სანდრო და კომპიუტერი ჩართო, — მთლიანი ქვის დაბალი „ბორტები“ გავაკეთოთ, კუთხეებში ოდნავ აწეული კუბები და საფლავს ქვა დავადლოთ.
— ქვა მიწაში ჩაეფლობა?
— არა, ცოკოლში შევლერები ჩავაბეტონოთ და ქვა შევლერებზე დავდლოთ, მიწაში აღარ ჩაეფლობა.

სანდრო საფლავის პროექტის ხაზვას შეუდგა. რამდენიმე წუთში ესკიზი მონიტორზე დახაზა. გიორგიმ მერის დაუძახა:
— მოდი, შეხედე, მოგწონს?
— ძალიან კარგია.

სანდრომ ნახაზი ამოგვჭდა, ზომები დაიტანა და გიორგის გაუწოდა.
— დიდი მადლობა, ჯიგარი ხარ! — კმაყოფილმა უთხრა სანდროს.

ცოლ-ქმარი არქიტექტორს დაემშვიდობა და ქუჩაში გავიდა.

— ახლა წამოდი, შენთან გავიაროთ და ხვალ დილით ბოლნისში წასვლაზე შენს ძმას მოველაპარაკებო.

— წავიდეთ, — დაეთანხმა მერი.
— ალბათ ასეთი ტკივილის შემდეგ, საფლავის კეთება გეხმარება დარდის „გადაგორებაში“, გონება სხვა რაღაცაზე გადართული. ეგერა, არა? — მეუღლეს გადახედა გიორგიმ.

— კი, — დაეთანხმა მერი.

მერის ძმასთან რომ მივიდნენ, გიორგი ბოლნისში წასვლაზე შეუთანხმდა, გადაწყვიტეს, დილით წასულიყვნენ.

— გია, ერთი, საფლავზე ამიყვანე, ცოკოლის ჩასხმის თაობაზე მუშებს მინდა მოველაპარაკო, — სთხოვა გიორგიმ ცოლისძმას.

— მე ამასობაში სადილს მოვამზადებ, — თქვა მერი.

სასაფლაოზე ქვის საამქროს უფროსი მონახეს და ცოკოლის ჩასხმაზე მოელაპარაკნენ, შემდეგ საფლავზე ავიდნენ.

— ეს გამხმარი ყვავილები არ გადავყრევინოთ? — ჰკითხა გამ გიორგის.

— ახლავე ვინმეს მოვნახავ, საფლავის მომვლელი მაინც მჭირდება, — იქაურობას თვალი მოავლო გიორგიმ. შორიანლოს შუახნის მამაკაცი შენიშნა და მისკენ გაემართა, — უკაცრავად, საფლავებს ვინ უვლის, ხომ არ იცით?

— მე ვუვლი, — უპასუხა უცნობმა.
— თქვენი სახელი?
— გივი მქვია.

— გიორგი, — ხელი ჩამოართვა მამაკაცს, — წამოდი, საფლავს განახვებ და ფასზე მოვილაპარაკოთ.

— გაკეთებას უკვე იწყებთ?
— კი, ხვალღან ცოკოლის ჩასხმას იწყებენ, — უპასუხა გიორგიმ.

გია და გიორგი გივის ყოველთვიურ გასამრჯელოზე მოელაპარაკნენ და გიასთან სახლში დაბრუნდნენ. მერიმ მაგიდა გაუწყო, კაცები ასადილა. შემდეგ გამ ცოლ-ქმარი შინ მიიყვანა. ბინაში შევიდნენ თუ არა, ტელეფონმა დარეკა. გიორგიმ ყურმილი აიღო:

— გისმენთ.
— გიორგი, ამირანი ვარ.
— აა, ამირან, რამია საქმე?
— შენი მეუღლე იმ ინციდენტის დროს იქ იყო, ხომ?

— კი, — დაეთანხმა გიორგი.
— ხვალ დილით პოლიციაში მოვიდეს, ახსნა-განმარტება უნდა ჩამოვართვა.
— არა, ამირან, ხვალ ქვის შესაკვეთად ბოლნისში მივიღვარ, ხვდ მოვიყვან.

— კარგი, — დათანხმდა პოლიციელი და ყურმილი დაკიდა.

— მერი, შენც „სროკზე“ გიმუბენ, როგორც თანამონაწილეს, — მეუღლეს მიუახლოვდა გიორგი და მოეხვია. ოცი წლის ცოლ-ქმარობის მანძილზე ამდენი სითბო, რასაც მერი უწილადებდა, არასოდეს განეცადა. მთელი სიცხადით გრძნობდა, რომ გვერდით ჭეშმარიტი მეგობარი ედგა.

— გვიმუბენ და გავგიშვან, სადაც შენ წახვალ, მეც იქ წამოვალ, — ღიმილით მიუგო მეუღლემ.

მეორე დღეს გიორგი ბოლნისიდან საღამო ხანს დაბრუნდა. შინ მეგობარი ელოდა:

– ზაზას გაუმარჯოს, – სტუმარი გადა-
კონცა.

– რა ქენი? – ჰკითხა მერიმ.

– ქვა შეეუკვეთეთ, ორ კვირაში იქნება.

– ძალიან კარგი, – უპასუხა მეუღლემ.

– ზაზა, წამოდი, სასაფლაოზე ავიდეთ, დღეს
ცოკოლის ჩასასხმელად ფუნდამენტი უნდა
გაეთხარათ, მაინტერესებს რა გააკეთეს.

კაცები სასაფლაოზე მივიდნენ. გიორგიმ
ნამუშევარი დაკვირვებით დაათვალიერა.

– სწორად გაუკეთებიათ, – გადაულაპარ-
აკა ზაზამ.

თამუნასთან ერთად დაღუპული ერთ-ერთი
ბავშვის საფლავზე ხალხი იყო შეკრე-
ბილი. გიორგი არც ერთი გარდაცვლი-
ლის მშობელს არ იცნობდა, მაგრამ გრძობდა,
რომ ყველას ერთი დარდი, ერთი ტკივილი
აერთიანებდა. საფლავზე შეკრებილ ხალხს
მამაკაცი გამოეყო და გიორგისთან მივიდა:

– თქვენ თამუნას მამა ხართ?

– დიახ.

– მე გიორგის მამა ვარ, გურამი მქვია, –
გაცნო მამაკაცი და პატარა ბავშვივით
აქვითინდა, – ეს რა გაგვიკეთეს ჩვენმა
შვილებმა?

– ეჰ, – აუწყლიანდა თვალები გიორგის.

– წამობრძანდით, შესანდობარი ვთქვათ, –
შვილის საფლავზე გადაიპატიჟა გურამმა.

ზაზა და გიორგი უკან გაჰყვნენ. თითო
ჭიქით ბავშვების შესანდობარი დალიეს.

– გიორგი, საფლავის კეთება უკვე დაიწ-
ყე? – ჰკითხა გურამმა.

– კი, მინდა ორმოცამდე მოვასწრო.

– ცოტა ხნის წინ თამუნას დედა იყო
მოსული, საფლავის პროექტს მე რატომ
არ მითანხმებეს?

გიორგის სახე შეეცვალა, ყოფილი ცოლის
პრეტენზიამ განაცვიფრა, გურამს მიუბრუნ-
და:

– საფლავის პროექტი უბნის ინსპექ-
ტორთან მაქვს შეთანხმებული და მივიდეს,
იმასთან გაარკვიოს, – გამწვარებულმა გადა-
ულაპარაკა მამაკაცს, რომელმაც ვერაფერი
გაიგო.

გიორგი და ზაზა სასაფლაოდან წამო-
ვიდნენ:

– ბიჭო, ეგ ქალი ნორმალური ნაღდად არ
არის, – ჩაილაპარაკა გიორგიმ, – იმის
მაგიერად, რომ დამირეკოს, მითხრას, – ფული
მეც შემომივიდა და ბავშვის საფლავი რა
ჯდება, შეგეწილებით, პოლიციაში დარბის,
გიორგი დაიჭირეთო. ნამირალა! პროექ-
ტის შეთანხმება უნდა და ის არ აინტერ-
ესებს, როგორ ან რა საშუალებით ვაკეთებ.
მანქანის კარი ადარდებს – აღმიდგინოსო,
შვიდი წლის წინ მესროლაო...

– ყურადღებას ნუ აქცევ, ეგ ქალი უკვე
ჩაფლილი მატარებელია, – დამშვიდება სცადა
ზაზამ.

– მთელი თავისი ცხოვრება ჩემ ირგ-
ვლივ აბლაბუდას ხლართავდა, სულ უნდო-

და, როგორც პატარა მწერი, ისე ვყოლოდი
გახვეული, რომ ჩემი ყოველი ნაბიჯი მისი
თვალთახედვიდან არ გასულიყო, ჩემ ირგ-
ვლივ აბსოლუტურად ყველაფერი სცოდნ-
ოდა. ახლა, როდესაც მისი საცეცებიდან
გავთავისუფლდი, ყველაფერს აკეთებს, რომ
გამამწაროს.

– ქალები ასეთები არიან.

– არა, ზაზა, ყველა ნაღდად არ არის
ასეთი. ორი დღის წინ დასაფლავებული
ბავშვის დედა პოლიციაში არ დარბის, მან-
ქანის კარზე არ დარდობს. მეზიზღება ეგ
ნამირალა, – გადააფურთხა გიორგიმ...

დილით გიორგი და მერი პოლიციაში
მივიდნენ. უბნის ინსპექტორი კაბინეტში
ელოდა. ცოლ-ქმარი ოთახში შეიყვანა
და მაგიდასთან დასვა.

– თქვენი სახელი? – ჰკითხა ქალს.

– მერი.

– იმ ღამეს გიორგისთან ერთად იყავით?

– დიახ.

– რა უნდოდა, რატომ მივიდა?

– უმცროსი ქალიშვილის, ნინიკოს ნახვა
უნდოდა.

– ბინაში არ შეუშვეს?

– კარი არ გაუღეს, ბავშვი არ გამოუშვეს.
გიორგი მაგაზე გამწვარდა.

– კარგი, ყველაფერი დამიწერეთ, – პოლ-
იცელმა ფურცელი მაგიდაზე დაუდო.

ქალმა წერა დაიწყო. ამირანი გიორგის
მიუბრუნდა:

– შენ ნანას რამდენი ხანია, რაც გამო-
რდი?

– ფაქტობრივად წელს, გაზაფხულზე, –
უპასუხა გიორგიმ.

– კაცო, იმ სროლის შემდეგ, ამდენი წელი
შენთან ცხოვრობდა? – იკითხა გაკვირვ-
ებულმა.

– შენ წარმოიდგინე, კი, – მიუგო გიორგიმ.

– ადამიანია თუ ცხოველი? – ჩაილა-
პარაკა აღშოთებულმა ამირანმა.

– დაწვერე, – ფურცელი გაუწოდა მერ-
იმ.

– გიორგი, შენც დამიწერე.

– რა?

– ის, რაც გააკეთე და ახსენი, რატომ.

– ამირან, ერთი მითხარი, ამას რა მოჰყვე-
ბა?

– უბნის ინსპექტორი ჩაფიქრდა:

– დანაშაული არ იკვეთება, მაგრამ შენი
ყოფილი სიმამრი ძალიან აწევბა ჩვენს
უფროსს – ხან პროფესორი ვარო, ხან
ქალაქის მერის ახლობელი და, გინდა თუ
არა, დაჭირეთო.

– სალო, გივი, – ჩაეღიმა გიორგის, –
ამირან, ეგ კაცი „ანონიმების“ სტაჟიანი
მწერალია. ყველა თანამშრომელზე, ყველა
მეზობელზე საჩივარი აქვს დაწერილი.
ძმასაც, სასამართლოს ძალით გაუყი ბინა.
როგორ შეიძლება, ეგ კაცი უმაღლესში
ლექციებს კითხულობდეს, მაგან მოზარდ

თობას რა უნდა ასწავლოს?!

– სამაგიეროდ, პროფესორია.

– ერთი ვედრო მაგისთანა პროფესორი
სამი ლარი ღირს, – იქედნურად ჩაილა-
პარაკა გიორგიმ და ახსნა-განმარტების
წერას შეუდგა. როდესაც დაწერა, უბნის
ინსპექტორს გაუწოდა. ამირანმა წაიკითხა,
შემდეგ გიორგის მიმართა:

– მე ამ მასალას ხვალ პროკურორს
მივუტან. იქნებ, ვინმე მონახო და პროკუ-
რატურაში საქმე „ჩააწყო“.

– ვეცდები, – უპასუხა გიორგიმ.

– „ჩააწვე“ და არადგვრას უპრობლემ-
ოდ დამიმტკიცებენ.

– კარგი, ამირან, ყველაფერი გასაგებია, –
წამოდგა გიორგი და მეუღლესთან ერთად
ოთახიდან გავიდა.

ცოლ-ქმარი სახლში დაბრუნდა.

– მერი, პროკურატურაში ნაცნობი ვინ
ვნახოთ? – ჩაფიქრებულმა იკითხა გიორგიმ.

– ვნახათ ვინმეს, თბილისი რა თბილი-
სია, ნებისმიერ სვეროში ნაცნობი რომ ვერ
ნახო? – დაამშვიდა მეუღლემ.

მართლაც, რამდენიმე დღეში პროკურატურ-
აში საქმე ჩაიფარცხა. ერთი კვირის თავზე
გიორგი დაიბარეს და ხელწერილი დააწ-
ერინეს, რომ ყოფილ ცოლს აღარ მიუ-
ვარდებოდა და შეუარაცხოფას აღარ მიაყ-
ენებდა.

გიორგი თითქმის სულ თამუნას საფლა-
ვზე იყო. ორი კვირის თავზე, გიასთან
ერთად ბოლნისიდან ქვა ჩამოიტანა. საამ-
ქროში საბოლოო დამუშავების შემდეგ
ხელოსანმა საფლავზე ქვის წყობა დაიწყო.

– თამუნასათვის ბოლო საჩუქარია, –
ჩაილაპარაკებდა ხოლმე გულდამძიმებული,
სულამდგრეული გიორგი.

თანდათან ყველა გარდაცვლილი ბავშვის
მშობელი გაიცნო. ამ ტრაგედიით ყოველ
მათგანს სული ჰქონდა შეძრული, თითოეუ-
ლის სახე უზომო დარდს, სევდასა და
ტკივილს აფრქვევდა. საღამოობით საფლა-
ვთან ნანა თავისი მანქანით გამოჩნდებოდა
ხოლმე, მაგრამ გიორგის დანახვისას მან-
ქანას მოფარებულ ადგილას აჩერებდა და
მის წასვლას ელოდა. გიორგი ღიდხანს
არ ალოდინებდა, იქ მყოფთ ემშვიდობებოდა
და იქაურობას ტოვებდა.

გრძნობდა, რომ მიუხედავად თამუნას
საფლავზე გამუდმებული ყოფნისა, ბავშვს
ვერ აღიქვამდა, არადა, სულს უღრღინდა
რადაც შეუცნობელი და ეს, თამუნასთან
ურთიერთობის სურვილი იყო. სხვა ბავშ-
ვების მშობლებისგან შეიტყო, რომ ყველა
სხვადასხვა ტაძარში დადიოდა, ყველას
მოძღვარი ჰყავდა.

ერთ საღამოს გიორგი მერიისთან ერთად
საფლავზე მივიდა. სულდარდიანი, ბავშვის
საფლავს დაჰყურებდა, ხანდახან მზერა
შორიანხლოს მდგომი ამადლები ახ-

ალაშენებული ტაძრისკენ გაექცეოდა ხოლმე.

— მერი, მოდი, მოძღვარი გავიზინოთ, ეკლესიაში დავიწყოთ სიარული, — ქვაზე ჩამომგდარმა ახელა მეუღლეს.

— სიამოვნებით, — მიუგო მერი.

— წამოდი, — წამოდგა გიორგი, მერის ხელი ჩასჭიდა და ტაძრისკენ წაიყვანა.

ეკლესიის ეზოში მოძღვარი იდგა და ვიღაცებს ესაუბრებოდა. ცოლ-ქმარი შორიანხლოს გაჩერდა და მის გათავისუფლებას დაელოდა. როდესაც მღვდელმა საუბარი დაამთავრა, გიორგი მიუახლოვდა:

— მამაო, უკაცრავად, რაღაც მინდა გკითხოთ.

— გისმენთ.

— მამაო, აი, იქით, — ხელი გაიშვირა გიორგიმ, — ბავშვები რომ დაკრძალეს...

— დიას.

— მე ერთ-ერთის მშობელი ვარ.

— მამა ზენონი, — ხელი ჩამოართვა მღვდელმა და გაეცნო.

— გიორგი.

— სამინელი ამბავი მოხდა, — სინანულით ჩაილაპარაკა ზენონმა.

— ეჰ, — ამოიოხრა გიორგიმ, — მამაო, სული მაქვს შეძრული, ვგრძნობ, რომ მოძღვარი მჭირდება, ჩემს სულს დახმარება უნდა და თქვენს მრევლში მიმიღეთ.

— მოძღვარი გყავთ? — იკითხა მღვდელმა.

— არა.

— არავითარი პრობლემა არ არის. ხვალ დილიდან მობრძანდით.

— რომელ საათზე?

— ათზე ვიწყებთ ლოცვას.

— დიდი მადლობა, — გაუღიმა კმაყოფილმა გიორგიმ მღვდელს.

ის დღე იყო და ის, გიორგი და მერი ეკლესიას ისე მიეკედლნენ, როგორც მწყურვალნი წყაროს დაეწაფებოდნენ. სამსახურიდან თავისუფალ დროს მერი მეუღლესთან ერთად სულ ტაძარში იყო, გიორგი კი ყოველდღე, დილიდან საღამომდე, თითქმის მოუსაფარმა თავმესაფარი მონახაო, ეკლესიის კედლებს არ შორდებოდა.

ორმოცამდე რამდენიმე დღით ადრე, თაბუნას საფლავის კეთება დაამთავრა. გიორგიმ და მისმა ცოლისძმამ სამი პატარა, ლამაზი კვიპაროსი და ორი ბურთივით მრგვალი ბზის ბუჩქი შეიძინეს. ბზები საფლავის კუთხეებში, ხოლო კვიპაროსები ცოკოლის გადაღმა ჩარგეს. ყველა მშობელს მოეწონა წიწვოვანი ხეები და თავიანთი შვილების საფლავების უკან სამ-სამი კვიპ-



აროსი დარგო.

მეორმოცე დღეს გიორგიმ თაბუნას ტაძარში პანაშვიდი გადაუხადა. საშობაო მარხვამ და ლოცვებმა მშობელი შვილის სულს მიუახლოვა, მერის ხშირად ეუბნებოდა ხოლმე:

— იცი, თაბუნას როგორ შევიგრძნობ? რა ბუნდური ვარ, რომ ეკლესიურად ვცხოვრობთ.

მართლაც, გიორგი მამა ზენონს, მეღვათი-ნეებს, მგალობლებს და მიუღ მრევლს დაუახლოვდა. მოძღვარს თავის უახლოეს ადამიანად, ჭეშმარიტ სულიერ მამად აღიქვამდა. წირვის შემდეგ ტაძარში რჩებოდა და ყველასთან ერთად ტრაპეზობდა.

გარდაცვლილი ბავშვების არც ერთი მშობელი ამადლებს ეკლესიაში არ დადიოდა. გიორგი მათ სულ მუდამ ეჩინებოდა, რომ ტაძარში მოსულიყვნენ, ბავშვების სულელებზე ერთად ელოცათ. ნელ-ნელა თითქმის ყველა მშობელმა, გიორგის რჩევა ყურად იღო და მოძღვრად მამა ზენონი აირჩია.

საშობაო მარხვის შემდეგ ეკლესიაში მსახურება კვირაში რამდენიმე დღეს იმართებოდა, შესაბამისად, მშობლები ერთმანეთს, ძირითადად, სასაფლაოზე ხვდებოდნენ. ერთ საღამოს გიორგი სასაფლაოზე ნასვამი ავიდა. მშობლები ერთად იყვნენ შეკრებილები და რაღაცას ბჭობდნენ. გიორგიმ ყველას საფლავზე ყვავილების თითო თაიგული დადო და მათ შეუერთდა.

— სასამართლო იწყება, — მიმართა ერთ-ერთმა.

— ვისი? — თავიდან ვერ გაერკვა გიორგი.

— მძლოლის.

— მაგის დედა... — შეაგინა ბავშვების მკვლელს გიორგიმ.

— სასამართლოს საშურში იწყებენ და ჩვენ გვინდა, რომ თბილისში გადმოვატანინოთ.

— მერე?

— აი, ეს განცხადება საშურშია ჩასატანი, — ყველა მშობლის ხელმოწერილი განცხადება უჩვენეს გიორგის. ხელმოწერებს შორის გიორგიმ ნანას ხელმოწერაც ამოიკითხა, — მე არ უნდა მოვაწერო?

— თუ გინდა, მოაწერე, — უპასუხა ერთ-ერთმა.

გიორგიმ ხელი მოაწერა და ქალაქი უკან დააბრუნა:

— ვინ ჩაიტანს? — იკითხა.

— შენ და შენმა „საბუტილინკმა“ მოძღვარმა ჩაიტანეთ, — ღიმილით უპასუხა ერთ-ერთმა მამაკაცმა.

გიორგი ვერ მიხვდა — ეს კაცი ხუმრობდა, დასცინოდა თუ რა იყო, ერთი თვალეში შეხედა და სხვათა შორის ჩაილაპარაკა:

— მანქანა ნანას ჰყავს და იმან ჩაიტანოს.

— არა, ჩატანით ჩავიტანთ, პრობლემა არ არის, — უპასუხა ერთ-ერთმა.

— მე, ძმაო, — ყველას გასაგონად ხმამაღლა თქვა გიორგიმ, — იმ მძლოლის არც სახელი, არც გვარი არ მინდა გავიგო, არც მისი ნახვა მინდა, თორემ ცხოვრება ისეთი რამეა, სადღაც აუცილებლად შემახვედრებს. მე კიდევ, ჩემს თავზე პასუხს არ ვაგებ, იმ ნადირალას აუცილებლად გავაგორებ და არ მინდა ექვსი ბავშვის ცოდვა ჩემს თავზე გადმოვიდეს.

— სასამართლოს არ დაესწრები?

— არა, — უპასუხა გიორგიმ. შემდეგ მამაკაცები გვერდით გაიხმო, ყველას დაკვირვებით გადახედა და უთხრა: მოდი, ვინმე მკვლეელი ვიქირაოთ და ის ახვარი დავაბრედინოთ.

პაუზა ჩამოვარდა, ყველა ჩაფიქრდა.

— თუ ასე ფიქრობ, მაშინ აი, იქ, — ეკლესიისკენ გაიშვირა ხელი ერთ-ერთმა, — ნუ დადისარ.

გიორგი მიხვდა, რომ სისულელე თქვა და საუბარი სხვა თემაზე გადაიტანა. როდესაც ეს ამბავი მერის მოუყვა, ქალმა დაამშვიდა:

— გიორგი, ღმერთი მაღალია, თავის საქციელზე ყველა პასუხს აგებს, მათ შორის ის მძლოლიც.

— მართალი ხარ, — დაეთანხმა მეუღლე, — ილიოტობა ვთქვი.

„ზღვას“ ის იპყიობს, ვისაც Maserati 3200 GT-ის სამეზიდა აქვს...



ამბობენ, იტალიის ქალაქის – ბოლო-ნიის ცენტრალურ მოედანზე ზღვის დმერთის – ნეპტუნის მსოფლიოში ყველაზე ლამაზი ქანდაკება დგასო. სწორედ მისი სამეზიდა გამოიყენეს თავის დროზე ძმებმა მაზერატებმა, 1914 წელს შექმნილი ფირმის ემბლემად. დღეს ეს ემბლემა მეტისმეტად ამბიციურიც არის და პასუხსაგებიც: 20-იანიდან 50-იან წლებამდე ხომ „მაზერატის“ სახელი გამუდმებით ქუხდა ავტოსარბოლოსნო გზებზე.

„სამოქალაქო“ მანქანების წარმოებას ფირმამ ნახევარი საუკუნის წინ მოჰკიდა ხელი, 70-იანი წლების შუა პერიოდისთვის კი, „მაზერატის“ სრულიად გამორჩეული, ექსკლუზიური სტილი ჩამოყალიბდა: ზემძლავრი და ზემეირფასი საცალო ავტომობილები QUATTROPORTE, BITURBO და GHIBLI. მას შემდეგ, რაც 1997 წელს, მარკის ამჟამინდელმა მფლობელმა – კონცერნმა „ფიატმა“ ის მსოფლიოში ასევე განთქმულ სხვა მარკასთან – FER-

RARI GROUP-თან დააკავშირა, ფირმის საწარმოო სექტორში მხოლოდ ერთი მოდელი – 3200 GT დარჩა, რომლის პირველი ჩვენება 1998 წელს მოეწყო.

საინტერესოა, რომ მსოფლიოს გზებზე სულ 4500-მდე MASERATI 3200 GT დაიარება. ეს კომპანია იმ იშვიათთაგანია ექსკლუზიური ავტომობილების მწარმოებლებს შორის, ვინც პოტენციურ კლიენტებს თავისი პროდუქციის წინასწარ TEST-DRIVE-ს სთავაზობს – ბუნებრივია, საქარხნო ტრასაზე, სპეციალური ტელემეტრიკული სისტემითა და თავისი ინსტრუქტორებისა და გამომცდელების კონტროლის პირობებში: კლიენტს შესთავაზებენ ვარჯიშების კომპლექსს, რომელშიც შედის რბოლა მოლიპულ გზაზე, დროის განსაზღვრულ პერიოდში გარკვეული მანძილის გავლა, პროფესიონალ მრბოლელთან გააპეკრება და სხვა ამგვარი. ერთდღიანი სიამოვნება პოტენციურ მყიდველს სულ 1,5 ათასი დოლა-

რი დაუჯდება, რომელშიც შედის: ცხოვრება სასტუმროში, სადილი, ვახშამი, კოქტეილი ტრასაზე და, რასაკვირველია, რაიმე სუვენირი საჩუქრად ფირმისგან. ქალაქ მოდენამდე მეზავრობის ხარჯი კლიენტმა თავად უნდა გაილოს. კურსები თვეში ერთხელ – აპრილიდან სექტემბრამდე პერიოდში ტარდება. ადგილის დაჯავშნა კომპანიის ნებისმიერი ოფიციალური დილერის მეშვეობით არის შესაძლებელი.

ორდღიანი კურსის არჩევანი გაცილებით ფართოა, თუმცა ამ შემთხვევაში, მანქანის „წვალება“ და ინსტრუქტორის მომსახურება 2.500 დოლარი დაგვიჯდებათ.

„მაზერატის“ ვერსიებისა და კომპლექტაციების არჩევანი საკმაოდ შეზღუდულია. შესარჩევია ტრანსმისია – 6 საფეხურიანი „მექანიკა“ გირჩევიანთ თუ 4 საფეხურიანი „ავტომატი“ – ჩვეულებრივი ან სპორტული სამუშაო რეჟიმით.

კომპანია 5 ფერის მარასაც სთავაზობს კლიენტებს; სალონსაც ძარის შესაბამისი ფერის მასალით მოგიპირკეთებენ. მათთვის, ვისაც აბსოლუტურად ექსკლუზიური ავტომობილი სურს, შემუშავებულია პროგრამა OFFICINE ALFIERI MASERATI. ძარის 5 ფერთან ერთად, კლიენტს სალონისთვის გათვალისწინებულ 12 ფერის ტყავს შესთავაზებენ. კომპლექტში აგრეთვე შედის ტყავის ჩანთები, რომელიც იმგვარად არის შეკერილი, რომ საბარგულში ცარიელ ადგილებს არ ტოვებს. სავარძლები „მდგომარეობის მახსოვრობითა“ და ინდივიდუალური გამათბობლებით არის აღჭურვილი. ამგვარი ვერსიის ავტომობილის აწყობას კომპანია ნახევარ წელიწადს მოუნდება, მისი ფასი კი, ჩვეულებრივად შეკვეთილზე, დაახლოებით ერთი მესამედით მეტია. ■





Mercedes-ი სუპერ-ყვედგანმავადს ქმნის

„მერსედესმა“ პრინციპულად ახალი მოდელის შექმნა დაიწყო. კომპანიის საწარმოო სექტორში ამგვარი მანქანა ჯერ არასდროს ყოფილა. ეს ავტომობილი ყველგანმავლის, ე.წ. ერთმოცულობიანი მანქანისა და სპორტული უნივერსალის საუკეთესო თვისებებს გაერთიანებს. MERCEDES GTS – როგორც მას ჯერჯერობით უწოდებენ, მომავალი წლის ბოლოს წარდება საავტომობილო სამყაროს წინაშე, თუმცა, ახალი ავტომობილის საგზაო ცდები უკვე დაწყებულია. რაც შეეხება მის გაყიდვას, კომპანიის მესვეურთა თქმით, ის მხოლოდ 2004 წელს დაიწყება.

ამ ავტომობილის წარმოების ადგილიც შერჩეულია: მას არიზონაში (აშშ) მდებ-

არე ქარხანაში გამოუშვებენ, სადაც M-კლასის „მერსედესს“ აწარმოებენ. ქარხნის წლიური სიმძლავრე ჯერჯერობით 80000-მდე ავტომობილს აღწევს, მაგრამ ვინაიდან, კომპანიის მესვეურთა ვარაუდით, GTS-ზე დიდი მოთხოვნა იქნება, კონვეიერზე მისი დაყენების დროისთვის საწარმოში საფუძვლიანი რეკონსტრუქცია ჩატარდება და აღნიშნული მაჩვენებელი 200000 ერთეულს მიაღწევს.

ამ მანქანის საფუძველს ახალი თაობის M-კლასის „მერსედესი“ წარმოადგენს, რომელიც საავტომობილო ბაზარზე 2004 წელს გამოჩნდება.

ახალი ავტომობილი, ერთ-ერთი ყველაზე დიდი „მერსედესი“ იქნება: მისი სიგრძე 5110 მმ-ს მიაღწევს, რაც 70 მმ-

ით აღემატება S-კლასის ჩვეულებრივ და 5 მმ-ით ჩამორჩება ამავე კლასის დაგრძელებულ მოდელს. რაც შეეხება M-კლასს, GTS მასზე 525 მმ-ით გრძელი იქნება. ასეთი გაბარიტები, მანქანაში სავარძლების სამი რიგის უპრობლემო განლაგების საშუალებას იძლევა, რის შედეგადაც ის 7 კაცზე იქნება გათვალისწინებული.

ტრანსმისიაში უახლეს ელექტრონულ სისტემას გამოიყენებენ, რომელიც M-კლასის მანქანებშია აპრობირებული: მასში დიფერენციალთა ყველა ბლოკირებას კომპიუტერი აკონტროლებს და ადამიანის ჩაურევლად განსაზღვრავს, რამდენი მბრუნავი მომენტი უნდა გადასცეს ამა თუ იმ ბორბალს. ავტომობილის დაპროექტებისას, კონსტრუქტორები ნაწარმის ზღვრულ ღირებულებაზე ფიქრით არ შეუზღუდავთ, ამიტომ GTS-ში გამოყენებულია პრემიალური საკიდარი, რომელიც ნებისმიერ პირობებში უზრუნველყოფს მანქანის რბილ სვლას.

ავტომობილში 6 და 8 ცილინდრიანი ძრავები ჩაიდგმება – როგორც ბენზინის, ისე დიზელის. აგრეგატების სექტორში უკვე 5 სხვადასხვა ძრავაა, რომლის ზღვრული სიმძლავრეებია 218 და 350 ცხ.ძ. სულ ბოლო ვერსია, 5,5 ლ მოცულობის ძრავაა, რომელიც AMG-ის ატელიეს სპეციალისტებმა შექმნეს.

MERCEDES GTS-ის ფასის შესახებ კომპანიის ხელმძღვანელები ჯერ არაფერს ამბობენ, თუმცა, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ის M-კლასზე საგრძნობლად ძვირი იქნება.

საავტომობილო ჯომჰანიების ახალი ჩეიტი

გერმანულმა საავტომობილო კლუბმა ADAC-მა ახალი სარეიტინგო სია გამოამზეურა, რომელშიც 32 საავტომობილო მარკა შედის. რეიტინგი სხვადასხვა პარამეტრის შეფასების საფუძველზე შედგენილი, მათ შორის წინა პლანზეა: მწარმოებელი ფირმის რეპუტაცია, საფინანსო მდგომარეობა, ავტომანქანების ხარისხი, კომპანიის განვითარების პერსპექტივა. „ახალი რეიტინგი ავტომოყვარულებს დაეხმარება, უკეთ გაერკვნენ მარკების მრავალფეროვნებაში, – განაცხადა ADAC-ის პრეზიდენტმა პეტერ მაიერმა, – მომხმარებელი დაინახავს, თუ რეალურად, რას წარმოადგენს ესა თუ ის კომპანია და თავად შეძლებს იმის გარჩევას, რომელი მაჩვენებლით სჯაბნის ამა თუ

იმ ფირმის პროდუქცია კონკურენტებს“.

32 დასახელებულ ფირმას შორის პირველობა „მერსედესს“ მიაკუთვნეს.

პირველ სამეულში მას „აუდი“ და „პორშე“ მოსდევს. სიის ბოლო ადგილები „კრაისლერს“, „დეუსა“ და „როვერს“ უკავიათ.



სიმსუქნე



**რუბროკას უძლევა ექიმი
თამარ მამანაშვილი**

სიმსუქნე ფართოდ გავრცელებული დაავადებაა, რომელიც მიმდინარეობს ნივთიერებათა ცვლის დრმა დარღვევის ფონზე. იგი გვხვდება ორივე სქესის წარმომადგენელთა 12 პროცენტში. სიმსუქნის წარმოშობასა და განვითარებაში მნიშვნელობა ენიჭება მთელ რიგ შინაგან და გარეგან ფაქტორებს: გენეტიკურად თანდაყოლილ თავისებურებებს, ნერვულ-ენდოკრინულ დარღვევებს, კვების ნერვული ცენტრის მომატებულ აღზნებადობას, ცხიმოვანი ცვლის დარღვევას, სისტემატურად გადაჭარბებულ ჭამას (განსაკუთრებით ტკბილეულის), ალკოჰოლიზმს, კვების და ფიზიკური დატვირთვის რეჟიმის დარღვევას.

მკურნალობის ძირითადი მეთოდია დიეტა და განტვირთვის დღეები, კვირაში 1-2-ჯერ; კომპლექსურ თერაპიაში იყენებენ ფიზკულტურას, ჰიდროთერაპიას, ფიზიოპროცედურებს. სამკურნალო მცენარეებიდან სიმსუქნის დროს იყენებენ ისეთებს, რომელსაც აქვს ნაღვლმდენი, შარდმდენი მოქმედება. აგრეთვე შემოქმედებენ ნაწლავის შეწოვით ფუნქციაზე, მადაზე და ნივთიერებათა ცვლაზე.

გთავაზობთ შემდეგ რეცეპტებს

1. ხეჭრული (ქერქი) 60,0 გ (Крушина) ბაბუაწვერა (ფესვი) 20,0 გ ოხრაზეში (ნაყოფი) 20,0 გ დიდი კამა (ნაყოფი) 20,0 გ პიტნა (ფოთლები) 200 გ მიღება 2 ჭიქა დილით, უნძოზე.
2. დიდი კამა (ნაყოფი) 15,0 გ გვირილა (ფურცლები) 15,0 გ ცაცხვი (ყვავილები) 15,0 გ დიდგულა (ყვავილი) 20,0 გ პიტნა (ფოთლები) 20,0 გ 2-3 ჭიქა დღეში. მკურნალობის კურსი 8-10 კვირა.

მცენარეთა ნარევის 4 სუფრის კოვზი ჩაყარეთ მომინანქრებულ ჭურჭელში, დაასხით 2,5 ჭიქა ადუღებული წყალი და მოათავსეთ მდულარე წყლის ორთქლზე 20 წთით. გადმოდეთ, შეაგრილეთ, გადაწურეთ და დადგით გრილ ადგილას.

თუ შეაგყვით, რომ სუქდებით

შეცვალეთ კვების დღის რეჟიმი. ჭამეთ 5-6-ჯერ დღეში, ცოტ-ცოტა. შეამცირეთ მადის აღმძვრელი საკვები – წიწაკიანი, მარილიანი, სანელებლიანი. დაძინებამდე ჭამეთ 3-4 საათით ადრე. თუ ღამე შიმშილმა შეგაწუხებ, დალიეთ მაწონი, ან შეჭამეთ ვაშლი, სტაფილო.

უარი არ თქვით მცენარეულ ზეთზე. მასში შემავალი ფოსფორიტები, ვიტამინი E ეხმარება ორგანიზმს ცხიმის გადაშეშვაში და ამით ხელს უწყობს ცხიმოვან ცვლას, მაგრამ არც ის შეიძლება, რომ ზეთი გადამეტებული რაოდენობით მიიღოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ხელს უწყობთ არა ზედმეტი კილოგრამების მოშორებას, არამედ მის დაგროვებასაც კი. მცენარეული ზეთი ზრდასრული ადამიანისთვის საჭიროა 1-1,5 სუფრის კოვზი დღეში.

სისტემატურად ზედმეტი ჭამა იწვევს არა მარტო სიმსუქნეს, არამედ შეიძლება, განვითარდეს კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლული, ნაღვლის ბუშტის კენჭოვანი დაავადება, გასტრიტი.

განხილვის მიზნით შაქრის შეცვლას ქსილიტით ან სორბიტით აზრი არ აქვს, რადგან კალორიულობით ისინი შაქარს არ ჩამოუვარდება.

შარდმდენი საშუალებებით დიეტის გარეშე ზედმეტ წონას ვერ დაიკლებთ. ასეთ შემთხვევაში კარგავთ სითხეს, რომლის აღდგენაც წამლის შემოქმედების დამთავრებისთანავე ხდება. ამასთან შარდმდენების დაუღვეარმა მიღებამ შესაძლოა ორგანიზმში სერიოზული დარღვევები გამოიწვიოს.

ახლა გთავაზობთ დიეტას, რომლის დაცვის შედეგად 3 დღეში დაიკლებთ 2 კილოგრამამდე. ეს დიეტა განსაკუთრებით კარგად მოქმედებს მსუქან ადამიანებზე.

პირველი დღე

საუზმე: ცივი, მოხარშული უცხიმო ხორცი, 2 მოხარშული კვერცხი, ნედლი კომბოსტო, კიტრი.

შემდეგ ყოველ 2 საათში მიირთვით გაუფუცქნელი ვაშლი.

სადილი: წვნიანის მაგივრად სალათი, მზესუმზირის ზეთითა და ძმრით, 400 გრამი მოხარშული საქონლის ხორცი, ვაშლი რაც

შეიძლება ბევრი. საღამომდე შეგიძლიათ დალიოთ ნაკლებად ტკბილი ჩაი და წყალი.

პირველ დღეს არ ვახშობენ.

მეორე დღე

არ ისაუზმოთ!

სადილი: ხილი (ვაშლი) და სალათი დიდი რაოდენობით.

ვახშამზეც უარი უნდა თქვათ.

მესამე დღე

საუზმე: ხილი და ბოსტნეული ისე, როგორც სადღის მეორე დღეს, ყოველ ორ საათში ვაშლი.

სადღის ისეთივე, როგორც პირველ დღეს, ყოველ ორ საათში ისევ ვაშლი.

ვახშმის მაგივრად დადევით სასწორზე.

თუ გსურთ, გააგრძელოთ განხილვა, რათა მიაღწიოთ თქვენს ნორმალურ წონას, გააგრძელოთ კვება შემდეგნაირად:

საუზმე – ისე, როგორც პირველ დღეს.

სადღის – მოხარშული ხორცი, ბოსტნეული, სალათები, ხილი.

ვახშამი – ისევე, როგორც სადღის.

გისურვებთ წარმატებებს.

ჯანმრთელი რომ ვიყოთ

1. რეგულარულად შეასრულოთ დილის გამამხნევებელი ვარჯიში, იარეთ ფეხით.

2. ისწავლეთ სტრესის გადატანა, ეცადეთ, არ ინერვიულოთ, იძინეთ 8-9 სთ. თავისუფალი დრო მიიხმარეთ დასვენებისათვის.

3. კვების რაციონი დიდი რაოდენობით უნდა შეიცავდეს ხილს და ბოსტნეულს, გაზაფხულზე ჩაიტარეთ ვიტამინოთერაპიის კურსი.

4. გიყვარდეთ სუფთა ჰაერი, გყავდეთ ბევრი მეგობარი.

5. დროდადრო მიირთვით 1 ჭიქა სუფთა ღვინო.

6. დაიცავით კვების რეჟიმი, აკონტროლეთ საკუთარი წონა.


7. დღე-ღამეში მიირთვით 1-1,5 ლიტრი სითხე.

8. რეგულარულად დაიცავით შრომისა და დასვენების რეჟიმი.

9. გათავისუფლდით ლოთობისა და თამბაქოსაგან.

10. დისკომფორტს სძლიეთ არა წამლებით, არამედ შინაგანი ძალებით. დიდ დროს ნუ გაატარებთ თბილ შენობაში, ერიდეთ მძიმე, ნერვული დამაბულობის თანხლებს საშუალოს.

რჩევები



თამბაქო მხედველობაზე მოქმედებს

მეცნიერები ამტკიცებენ, რომ „მოწევა ასუსტებს ცისფერი ფერის აღქმას“. მწვეველისათვის ცა სულაც არ არის ისეთი, როგორც ის სიგარეტის მოწინააღმდეგეებისათვისაა. და არა მხოლოდ ეს. ნიკოტინის მსხვერპლნი ძნელად განასხვავებენ პრაქტიკულად ყველა ნაზ შეფერილობას. ფერთა იდენტიფიკაციის ტესტი მწვეველებმა 2-ჯერ მეტი შეცდომით შეასრულეს, ვიდრე არამწვეველებმა. ექიმები ამას თვალის ფერის აღქმელ რეცეპტორებზე მოწევის უარყოფითი ზეგავლენითა და სიგარეტში შემავალი მომწამვლელი ნივთიერებების ბაღურაში ჩალაგებით ხსნიან. რაც შეეხება ცისფერს – ამ ფერზე მორეაგირე კოლები განსაკუთრებულად მგრძობიარენი არიან სიგარეტის მომწამვლელ ზემოქმედებაზე.

დასკვნა ერთია: თუ გსურთ, ქვეყანა ისეთივე მშვენიერ ფერებში აღიქვათ, როგორც რეალურადაა, ნუ მოწევთ სიგარეტს.

რბილი ქსოვილების დახურული დაზიანებები

დაჟეჟილობა

რბილი ქსოვილებისა და ორგანოების დაზიანებას, კანის საფარველის დარღვევის გარეშე, დაჟეჟილობა ეწოდება. მისი გამოწვევა მიზეზია მაგარ საგანზე დაცემა ან ბლაგვი საგნის დარტყმა. უმთავრესად კანქვეშა ქსოვილები ზიანდება, რომელთაც ნაკლები წინააღმდეგობის უნარი აქვთ, აგრეთვე – მცირე კალიბრის სისხლძარღვები.

ამ დროს სისხლძარღვთა ლიმფური სადინრების გაგლეჯვის გამო რბილ ქსოვილებში სისხლი იღვრება, ვითარდება ადგილობრივი ანთება, შესივება და დეფორმაცია. დაზიანების არეში ნერვული ელემენტების ტრავმირება, დაჭიმვა ან მათზე ანთებითი ქსოვილების ზეწოლა იწვევს ტკივილს. თუ დაზიანება სახსართან ახლოს ან თვით სახსარშია, მისი ფუნქცია მკვეთრად ითრგუნება.

დაჟეჟილობის მკურნალობა მიზნად ისახავს სისხლის ჩაქცევის შეწყვეტას და შემდგომ მის გაწოვას. აუცილებელია, დაზიანებული არის მოსვენებითი მდგომარეობა, კიდურის უძრაობა და მაღალ მდგომარეობაში მოთავსება. სისხლის ჩაღვრის შესაწყვეტად დაჟეჟილ ადგილზე აფენენ ცივ წყალში დასველებულ საფენებს ან ადებენ ყინულს, საჭიროების შემთხვევაში – დამწოლ ნახვევს. 2-3 დღის შემდეგ ჩაღვრილი სისხლის განსრუტვის მიზნით საჭიროა მკურნალობა სითბური კომპრესებით ან თბილი აბაზანებით, რაც დააჩქარებს ჩაღვრილი სისხლის განსრუტვას და ფუნქციის აღდგენას.

როგორ მოვიქცეთ ჭექა-ქუხილის დროს

ჭექა-ქუხილის დროს მეხის დაცემით ხშირად ჩნდება ხანძარი, ილუპებიან ადამიანები და ცხოველები. უბედური შემთხვევების 90% ხდება სოფლად. მეხი ადამიანს ეცემა ღია ადგილას ან განცალკევებულად მდგომი ხის ქვეშ, უფრო იშვიათად შენობაში და კიდევ უფრო იშვიათად – ტყეში.



დაიხსომეთ ჭექა-ქუხილის დროს ქცევის ძირითადი წესები: მოერიდეთ ღია ადგილებს, თუ შენობის გარეთ ხართ, თავი შეაფარეთ თხრილებს, არ გაიქცეთ, უმჯობესია, მიწაზე დაწვეთ. ძალიან საშიშია ამაღლებულ ადგილზე ყოფნა, ლითონის კონსტრუქციებთან სიახლოვე. არ დაჯდეთ ღია ფანჯარასთან, მითუმეტეს, თუ ხელში ლითონის ნივთი გიჭირავთ. გამორთეთ ტელევიზორი, რადიო, სხვადასხვა ელექტროხელსაწყო, არ შეეხოთ წყლის ონკანს.

გველის ნაკბენი

საქართველოში სხვადასხვა სახეობის შხამიანი გველი ბინადრობს. მათ შორის ყველაზე სახიფათოა გიურზა. მისმა ნაკბენმა მძიმე მოვლენები შეიძლება გამოიწვიოს, ხოლო ბავშვისათვის კი – სასიკვდილოც იყოს.

გველის კბენისთანავე ადამიანს ეწყება ტკივილი და წვა, ნაკბენი ადგილი სივდება. შეშუპება სწრაფად ვრცელდება მთელ კიდურზე, კანი გაწითლებულია, ჩნდება კანქვეშა სისხლჩაქცევები; თავს იჩენს ზოგადი მოვლენები – თავის ტკივილი, თავბრუ, გულისრევის შეგრძნება და პირღებინება, ტემპერატურის მომატება. მძიმე შემთხვევებში იწყება ფალარათი (კუჭის აშლა), ბოდვა, არტერიული სისხლის წნევა ეცემა.

უპირველეს ყოვლისა საჭიროა, ნაკბენი ჭრილობიდან ხელით გამოვწუროთ სისხლი და მასთან ერთად შხამი. ამის შემდეგ ნაკბენი უნდა გამოვწურწნოთ პირით და გადავაფუროთ (პირის ღრუს ლორწოვან არ უნდა იყოს დაზიანებული). დროებით, სანამ ჭრილობას გამოვწურწნიდეთ, შეიძლება ნაკბენი ადგილის ზემოთ კიდურზე შემოვუჭიროთ ლახტი, მაგრამ მცირე ხნით. გველის მიერ დაგესლილი ადამიანი უნდა დაწვეს, შეწყვიტოს ყოველგვარი აქტიური მოძრაობა, განსაკუთრებით კი – დაკბენილი კიდურისა. უმჯობესია, თუ კიდურს უძრავად დავაკრავთ არტამანზე, ფიცარზე ან ჯოხზე.

გველის მიერ დაგესლილი ადამიანი სასწრაფოდ უნდა გადავიყვანოთ საავადმყოფოში.





ბურღულეული, ორგანიზმის გასაჯანსაღებლად

ბურღულეული შესანიშნავი საშუალებაა ორგანიზმის გასაჯანსაღებლად. უმარილოდ, ურძეოდ და უშაქროდ მოხარშული ფაფები მას წიღებისაგან ათავისუფლებს.

- ბრინჯს და ფეტვს გამოაქვს მარილები.
- მანანის ბურღული წმენდს ნაწლავებს. მას უნიშნავენ ხოლმე სწორი ნაწლავის კიბოთი დაავადებულთ დიეტაში.
- სიმინდის ტაროს ნახარში ნაღველმდენია, წმენდს ღვიძლს, თირკმლებს, ხანგრძლივად ხმარება კი შლის კენჭებს.
- ხორბლის ფაფა შეუცვლელია ზამთარში. მატებს ენერგიას, აუმჯობესებს გუნება-განწყობილებას და ხსნის ზამთრის დეპრესიას.
- ჭვავი აძაღლებს იმუნიტეტს, მატებს ძალას, მეტად რგებს ხანგრძლივი ავად-

მყოფობით დაუძლურებულებს.
● ქერის ბურღული აუმჯობესებს ნივთიერებათა ცვლას.

● წიწიბურა განსაკუთრებული ყურადღების ღირსია. მისი ლიპოტროპული (ცხიმის მშთანთქმელი) თვისებები კარგა ხანია გამოიყენება ღვიძლის, გულის, სისხლძარღვთა დაავადებების დიეტოთერაპიისათვის.

წიწიბურის ფაფა ხელს უწყობს სისხლის ნორმალურ შედედებას, ორგანიზმის ნერვულ-ენდოკრინული სისტემის სათანადო ღონეზე შენარჩუნებას.

წიწიბურის ფაფები მარგებელია შაქრიანი დიაბეტით დაავადებულთათვის. მისი ყვავილები და ყლორტები კარგ შედეგებს იძლევა ლეიკოზის დროს (1 ჩ.კ. ნედლეულს დაასხამთ 1 ჭიქა მღუღარე წყალი, დააყენებთ 30 წთ-ს, გაწურეთ, მიიღეთ 1/4 ჭიქა დღეში 4-ჯერ).

გაყინული თევზი უნდა გააღნოთ ცივი, მარილიან წყალში, რათა მაქსიმალურად შეინარჩუნოთ მასში მინერალური მარილები, 1 კგ თევზს დაასხით 2 ლ წყალი, რომელშიც 1,5 ჩაის კოვზი მარილია გახსნილი.

თევზის „ფილეს“ ადნობენ არა წყალში, არამედ ოთახის ტემპერატურაზე.

როცა ლაშქრობაში ან ქალაქგარეთ გადინართ დასასვენებლად, არ წაიღოთ **მოხარშული ძეხვი, სოსისი და ყველი (თუნდაც „მოხარშული“)**. ამ პროდუქტებში ცოტაა მარილი და ტენინია. დიდი ტემპერატურის დროს ისინი სწრაფად კარგავს ხარისხს და შეიძლება მოწამვლა გამოიწვიოს.

კარტოფილის გათლისას ხელე-ბი არ გაგიშავდებათ, თუ წინასწარ დაისველებთ ძმრით და შეიშრობთ.

სამზარეულოს კარადაში, სადაც პროდუქტები ინახება, თაროზე დადეთ ცოტაოდენი **დაფქვილი ყავა**.

გაზქურაში რომ **ნამცხვარი არ მიიწვას**, ფორმის ქვეშ დაყარეთ ცოტა მარილი.

თერმოსში არასასიამოვნო სუნის გასაქრობად, საკმარისია მასში გამოვავლოთ ძმრიანი წყალი.

პურის შესანახი (საპურე) კვირაში ერთხელ გარეცხეთ სუსტი ძმრიანი ხსნარით და კარგად გამოაშრეთ. თუ თქვენ მასში მოათავსებთ ვაშლის, გასუფთავებული კარტოფილის რამდენიმე ნაჭერს ან ცოტა მარილს, პური სიხლეს შეინარჩუნებს.

წათხის გარეშე ქვაბში შენახული **ყველი არ გამოშრება**, თუ გვერდებზე რამდენიმე ნატეხ შაქარს მოულაგებთ.

პარკში ან ჭურჭელში, რომელშიც ინახება **მჭადისა და პურის ფქვილი ან ბურღული**, მოათავსეთ რამდენიმე კბილი გარჩეული ნიორი. თუ ამ პროდუქტებს დიდხანს მოუწევს შენახვა, დროდადრო გაცერით, მოათავსეთ ახალ პარკში და ნიორიც ახალი ჩადეთ.

თუ კარტოფილი ცუდად იწვება (ზოგი ჩაიშლება, ზოგი კი უძი რჩება) შეწვის დროს დროდადრო დაასხურეთ მცირეოდენი წყალი.

აღუღებისას მიმწვარ რძეს რომ უსიამოვნო სუნი მოაცილოთ, სასწრაფოდ გადაიტანეთ სხვა ჭურჭელში, დაუმატეთ ცოტა მარილი და ჩადგით წყლიან თასში.

ფილოსოფიის კუთხა

ღღეს თქვენ ადამიანთა ჯარის შემადგენლობაში მიიბიჯებთ, მათ ფენის ხმას მიჰყვებით; განმარტოვდით, რათა საკუთარი ნაბიჯების ხმოვანება ისმინოთ, თქვენი გზა გააცნობიეროთ. როცა მიზანში განმტკიცდებით, მყარ სიარულს ისწავლით, დაბრუნდით და სხვებიც გამოაფხიზლოთ!

ყველაზე გადამწყვეტი ნაბიჯი „ჩვეულებრიობიდან“ „არჩვეულებრიობაში“, ანუ მიწიერი ცხოვრებიდან სულიერ განვითარებაში იდგება. თუ თქვენ ვერ სძლევთ ყოფიერ საცდურს, თქვენი გზა „ჩვეულებრივია“, თავს ნუ მოიტყუებთ, რომ სხვაგვარად ცხოვრობთ.

თქვენი სხეული თქვენი აჩრდილია. ეძებთ თქვენი ჭეშმარიტი არსი.

მატერია მოძრაობს თავის თავში, ხოლო სული განუსაზღვრელია მოძრაობაში.

მიზნის მიმართ უნდა გქონდეთ რწმენა, დაუოკებელი ლტოლვა და სიყვარული.

თქვენი ცოდნა მხოლოდ თქვენ მიერ განვლილი გზაა, ხოლო

ინფორმაცია გასავლელის შესახებ მას შემდეგ გარდაიქმნება ცოდნად, როცა მას თავად განიცდით.

ჭეშმარიტების წყაროდან თითოეული იმდენს დაღვევს, რამდენიც სწყურია. ეცადეთ, ძლიერ დაიქანცოთ წყაროს ძებნაში, მაგრამ ნუ ეცდებით, დალიოთ იმაზე მეტი, ვიდრე მოგწყურდათ.

ნუ განიფანტებით, კონცენტრირდით მინიმუმამდე. შეამცირეთ თქვენთვის საჭირო მიწიერი გარემო – ჰორიზონტალი და გაზარდეთ ვერტიკალი.

ერის თავისუფლების გზა მის ღვთისმოსაობაში, სიწმინდესა და სიყვარულში უნდა ვეძებოთ.

სიმშვიდე სხეულის და სულის ჰარმონიულობაშია. თუ სხეული მიწიერით ნეტარებს, ხოლო სული – ღვთიურით, თქვენი მოჩვენებითი სიმშვიდე მაღე დაირღვევა.

სასოწარკვეთილება ურწმუნოებაა!

ისწავლეთ მორჩილება თავისუფლებისათვის! თქვენი სიმდიდრე უფალთან სიახლოვეა!



პასუხი

კითხვა: მაქვს ქრონიკული ბრონქიტი. როგორ უნდა დავიცვა თავი მორიგი გამწვავებისგან? საერთოდ, რას ურჩევდით ბრონქიტთან ავადმყოფს?

პასუხი: ქრონიკული ბრონქიტი არის ბრონქების ლორწოვანი ქრონიკული ანთება, რომელიც პერიოდულად მწვავდება. დაავადების მკურ-

ნალობის პრინციპი გულისხმობს გამწვავებებს შორის რემისიის (ჩაწყნარების) პერიოდის გახანგრძლივებას. თქვენ უნდა ეცადოთ, გაიკაყოთ ორგანიზმში ვარჯიშებით, სუნთქვებით, გაზარდოთ ორგანიზმის თავდაცვისუნარიანობა ვიტამინოთერაპიით, იმუნოსტიმულატორებით.

ნუ მოწვევთ სივარეტს, მოერიდეთ მტვერს (ქუჩისასაც და წარმოებისასაც), რომელიც აღიზიანებს ბრონქების ლორწოვანს, ერიდეთ აგრეთვე ჰაერის ტემპერატურის მკვეთრ ცვლას (ნუ გახვალთ ცხელი ოთახიდან ყინვაში ღია ცხვირპირით და თხლად ჩაცმული), ალკოჰოლი თქვენთვის მავნებელია, რადგან მისი ძირითადი ნაწილი სასუნთქი გზებიდან ორთქლდება. გამწვავების დროს გესაჭიროებათ ანტიბიოტიკოთერაპია და ამოსახველებელი საშუალებები, რათა ბრონქები გათავისუფლდეს ნახველისგან და დაავადება არ გართულდეს დაჩირქებითი პროცესით.

კითხვა: ავიღე სისხლის ანალიზი და მითხრეს, რომ მაქვს აზოტემია. რას ნიშნავს ეს ტერმინი?

პასუხი: აზოტემია არის სისხლში ცილოვანი ცვლის აზოტოვანი პროდუქტების (შარდოვანას, შარდმჟავას, კრეატინინის, ინდიკანისა და სხვა) რაოდენობის მომატება. იგი ვითარდება თირკმლების ღრმა პათოლოგიების ან გულ-სისხლძარღვთა უკმარისობის დროს. შეიძლება გამოიწვიოს ქსოვილთა ცილების გაძლიერებულმა დაშლამაც.

თქვენ აუცილებლად გესაჭიროებათ ინტენსიური მკურნალობა.

კითხვა: როგორია კომპრესის გაკეთების ტექნიკა?

პასუხი: კომპრესი არის მტკივნეულ ადგილზე ოთხფენიანი ნახვევის დადება სამკურნალო მიზნით: პირველი ფენა – ქსოვილის ნაჭერი (ჩვეულებრივ, წყლით ან რაიმე წამლით დასველებული); მეორე – გასანთლული ქაღალდი ან ცელოფანი; მესამე – სითბოს ცუდი გამტარი – ბამბა; მეოთხე – ბანდი.

კითხვა: მქონდა კენჭის გავლა თირკმელში. ასეთი ტკივილი არასოდეს განმიცდია. რა შეიძლება გავაკეთო, რომ შემდგომში თავი დავიცვა ამის გამეორებისაგან?

პასუხი: შარდკენჭოვანი დაავადების საფუძველია ორგანიზმის ზოგადი პათოლოგიური პროცესი – ნივთიერებათა ცვლის დარღვევა. გარკვეული მნიშვნელობა აქვს საშარდე

სისტემაში მიმდინარე ანთებით პროცესებს. მარილების დალექვა ჩქარდება შეგუბებულ შარდში, ამიტომ მნიშვნელობა აქვს ისეთ ანომალიებსა და დაავადებებს, რომელიც ხელს უწყობს შარდის შეგუბებას. მაგალითად: პროსტატის ადენომა, თირკმლის დაწვევა და სხვ.

კენჭოვანი დაავადებისათვის გარკვეული მნიშვნელობა აქვს მემკვიდრეობას და ცხოვრების პირობებს.

კენჭები თავისი ხასიათით შეიძლება სხვადასხვაგვარი იყოს. ყველაზე ხშირად გვხვდება შარდმჟავას კენჭები – ურატები, შემდეგ მჟაუნმჟავას კენჭები – ოქსალატები და ფოსფატები.

მათთვის, ვისაც უკვე ჰქონდათ ამ დაავადების შეტევა, საჭიროა, გატარდეს სპეციალური პროფილაქტიკური ღონისძიებები. დიეტა დამოკიდებულია შარდის ანალიზის შედეგზე და კენჭის შედგენილობაზე. თუ შარდი მჟავე რეაქციისაა და შეიცავს ურატებს (შარდმჟავა მარილებს), საჭიროა, შეიზღუდოს ხორცი, ღვიძლი, თევზეული, ხორცის ნახარში, ყავა, კაკაო, შოკოლადი. უნდა მიიღოთ პურეული, ცხიმი, ყველი, კვერცხი, ბევრი ბოსტნეული და ხილი.

თუ შარდში კალციუმის მარილები გაქვთ, ე.ი. ოქსალატები, ფოსფატები და კარბონატები, უნდა შეზღუდოთ კალციუმით მდიდარი საკვები: რძე, ყველი, კარტოფილი. რეკომენდებულია ტკბილეული, ბრინჯი, ბურღულეული, ცხიმი, ხორციეული, თევზი, კიტრი, ლიმონი. ოქსალატების შემთხვევაში, არ შეიძლება აგრეთვე მჟაუნას, სალათის, ჭარხლის, სტაფილოს ჭამა, რადგან ისინი, მჟაუნმჟავას შეიცავს.

საჭიროა დღეში 1,5-2 ლიტრამდე სითხის მიღება. პერიოდულად უნდა მიიღოთ მცენარეული შარდმდენების ნაყენი. ასეთი მცენარეებია: შვიტა, მათიტელა, თირკმლის ჩაი, ჯორის ბუა, სიმინდის თმა. ამ მცენარეთა ნაყენი გამორეცხავს საშარდე გზებს, დაიცავს მათ ნალექისაგან.

შეუდარებელ თერაპიულ ეფექტს იძლევა მინერალური წყლები, კერძოდ საირმე. კარგია აგრეთვე კურორტული თერაპია.

კითხვა: მყავს 2 თვის პატარა. ხშირად აწუხებს მუცლის ტკივილი. განავალში აქვს გადაუმუშავებელი მარცვლები. პედიატრმა დაგვინიშნა წამალი – მეზიმ-ფორტე, მაგრამ მეშინია, რომ ასეთ პატარას სხვა რამ არ დაუშავდეს. როგორ მოქმედებს აღნიშნული წამალი ბავშვზე და გამართლებულია თუ არა ჩემი სიფრთხილე?

პასუხი: 6 თვემდე ასაკის ბავშვს ჩამოყალიბებული არა აქვს საჭმლის მონელებისთვის საჭირო ფერმენტული სისტემა და კუჭ-ნაწლავის ბაქტერიული ფლორა. ამიტომ მას ხშირად ესაჭიროება მიხმარება ფერმენტული პრეპარატებით. მეზიმ-ფორტე სწორედ ასეთ ფერმენტულ მედიკამენტთა ჯგუფს ეკუთვნის. მის შემადგენლობაში შედის მხოლოდ და მხოლოდ ის ფერმენტები, რომელიც ისედაც გამოიყოფა ადამიანის ორგანიზმში, მაგრამ არასაკმარისად არის ბავშვის კუჭ-ნაწლავში. ამდენად, ეს წამალი ავსებს ჩვილის ფიზიოლოგიურ დეფიციტს. და არავითარ გვერდით მოვლენას ან გართულებას არ იწვევს. ამიტომ პედიატრის რჩევა სავსებით მართებულია, თქვენი შიში კი – საფუძველს მოკლებულია.


აზნაურ გიორგი წერეთლის ოჯახი თუ ოდესმე ცნობილი და ფართო საზოგადოებისათვის საინტერესო გახდებოდა, ალბათ, თვითონ გიორგიც ვერასოდეს იფიქრებდა. ის თავისი დროისათვის განსწავლული ადამიანი იყო, ჰქონდა შესანიშნავი ბიბლიოთეკა, რომელიც შემდეგ გაბრიელ ეპისკოპოსმა ჯრუჭის მონასტერს გადასცა. გიორგის ჰყავდა მშვენიერი, სათნო მუღლღე — მია იაშვილი (აკად. გ. წერეთელმა შვილს სახელი მის პატივსაცემად დაარქვა) და ამ ერთი შეხედვით უბრალო ოჯახში არაერთი ცნობილი მოღვაწე გაიზარდა! გიორგი წერეთლის შვილები: ექიმი და ცნობილი პუბლიცისტი ვასილ წერეთელი და ემიგრაციაში მოღვაწე ცნობილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე მიხაკო წერეთელი... ვასილის შვილები — ცნობილი იურისტი თინათინ წერეთელი და დიდი მეცნიერი, აღმოსავლეთმცოდნე გიორგი ვასილის ძე წერეთელი.



შინსახკოშში გაშოძახებულ მეცნიერს საყდომში სანაშლავე ჩაეკერებინა...

ლელა ჩიყაშვილი

ამჯერად სწორედ გიორგი ვასილის ძე წერეთელზე ვისაუბრებთ — ენათმეცნიერზე, ლექსიკოგრაფსა და არაბისტზე, მეცნიერზე, რომელმაც არმაზის ბილინგვა წაიკითხა. ის 1904 წლის 21 ოქტომბერს დაიბადა. მამა ქუთაისის პირველ უფასო ამპულატორიას ხელმძღვანელობდა. დადიოდა ავადმყოფებთან, ღარიბ ოჯახში რომ მოხვდებოდა, რეცეპტთან ერთად წამლის ფულსაც ტოვებდა. ერთი ფაქტი ვასილ წერეთლის ცხოვრებიდან, რომ ნათელი გახდეს, როგორ ოჯახში გაიზარდა გიორგი წერეთელი: დიფტერიის ეპიდემიის დროს, ვასილ წერეთელი თიანეთში მუშაობდა და სოფელ-სოფელ დადიოდა ბავშვების გადასარჩენად. შრატბი გაუთავდა. ურთულესი მანიპულაციით, მექანიკურად უთავისუფლებდა ბავშვებს ყელს. მრავალი მათგანი სიკვდილს გადაარჩინა, თვითონ დაავადდა, მაგრამ ძლიერი ორგანიზმი ჰქონ-



1925 წელს მას უკვე სთხოვეს, გაეკეთებინა მოხსენება საქართველოს საენათმეცნიერო სამოგადოების სხდომაზე...

ის ღერეფანში (იგი იმ დროს გიმნაზიაში ჰიგიენას ასწავლიდა), განზრახ, როგორც უცხო, ისე მიესალმებოდნენ ხოლმე. პატივცემული ვასილი ზრდილობიანი საღმთო უპასუხებდა. უცებ, სიცოცხლე გაიგონებდა, გამოერკვეოდა, მაშინვე მიხვდებოდა რომ მის წინ საკუთარი შვილები იდგნენ; შეცბუნებული დამნაშავესავით გაიღიმებდა, და ბავშვებს

და და გადარჩა. მისი მოქალაქეობრივი პატიოსნება სამაგალითო იყო შვილებისათვის. ღრმა ფიქრებში წასვლა სჩვეოდა ბატონ ვასილს. ამის გამო, ხშირად დაბნეული იყო. არსებობს ასეთი მოგონება, რომელიც სოფიო გველესიანმა თავის წიგნში გამოაქვეყნა: „ფიქრებში ჩაძირვა ვასილ წერეთელს სიცოცხლის ბოლო დღეებამდე გაჰყვა, ამით აიხსნება მისი საოცარი დაბნეულობაც. მისი შვილები ფიქრებით გართულ მამას რომ შეხვდებოდნენ გიმნაზი-

რბილად დატუქსავდა, თუმცა ეს უფრო მოფერება იყო, ვიდრე დატუქსვა“.

ვასილ წერეთელსა და ქეთევან ჩიქოვანს 5 შვილი ჰყავდათ. უმცროსი — მარგო, ადრეულ ასაკში გარდაეცვალათ მენინგიტით. მისი ხსოვნა დიდ ტკივილად დარჩა ყველას გულში. გიორგი წერეთელი ერთადერთი ვაჟი იყო. პატარაობაშივე გამოამჟღავნა სპეციფიკური ლინგვისტური მიდრეკილება. ისწავლა მეგრული და სვანური, რუსული და ქართული ისედაც კარგად იცოდა. ენებით დაინტერესება რომ შეატყო, მამა თვითონ ამცადინებდა ბერძნულსა და ლათინურში. 1914 წელს ქუთაისში გერმანელი ტყვეები გამოჩნდნენ. ერთხელ, მასწავლებელმა, რომელთან ერთადაც პატარა გიორგი გიმნაზიიდან შინ ბრუნდებოდა, გააჩერა ქუჩაში ტყვეები და გერმანულად გაესაუბრა მათ. პატარა გოგის შეეტყო დიდი ინტერესი გერმანული ენისადმი. ამის შემდეგ ერთ-ერთი ტყვე — სტუდენტი, წერეთლების ოჯახში მასწავლებლად მიიწვიეს. 2 თვეში პატარა შეგირდი გერმანულად ამეტყველდა.

როგორც აზიისა და აფრიკის ინსტიტუტის რექტორმა, აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ, ბატონმა გურამ ჩიქოვანმა

მითხრა, გიორგი წერეთელმა დაახლოებით 30 ცოცხალი და მკვდარი ენა იცოდაო. აქვე ერთ ამბავსაც გიამბობთ, რომელიც უკვე 56 წლის მეცნიერს შეეძინა: 1960 წელს, როდესაც საქართველოდან ცნობილი ექსპედიცია გაემგზავრა იერუსალიმში „რუსთაველის ნაკვალევზე“. ამ ექსპედიციის წევრი იყო გიორგი წერეთელიც. თვითმფრინავში ის უცხოელის გვერდით მოხვდა. საუბარი გერმანულად დაიწყო. მერე ინგლისურზე გადავიდნენ, ბოლოს, უცხოელმა ფრანგულად თქვა რაღაც, ბატონი გიორგიც ფრანგულად გაეპასუხა. საინტერესოდ ესაუბრებოდა დიდი ინტელექტის ქართველი მეცნიერი თანამგზავრს. მერე ჯობიდან პაპიროსის კოლოფი „ყაზბეგი“ ამოიღო და იქვე, სახელდახელოდ გამოწეულ სავარძლის სახელურზე დადო. განცვიფრებულმა უცხოელმა თვალებს არ დაუჯერა და ჰკითხა: თქვენ რა, „საბჭოთა“ ხართ? ამკარა იყო, რომ მის ცნობიერებას გაუჭირდა ამგვარად განათლებული საბჭოთა ადამიანის აღქმა.

ახლა ისევ უფრო ადრეული სიყმაწვილის წლებს დავუბრუნდეთ. 1923 წელს გიორგი წერეთელი შევიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე, 1925 წელს კი მას უკვე სთხოვეს, გაეკეთებინა მოხსენება საქართველოს საენათმეცნიერო საზოგადოების სხდომაზე... მის დიდ მეცნიერულ ალლოს თავიდანვე ამჩნევდნენ. უნივერსიტეტში აითვისა სასსკრიტი – ძველინდური ენა, სომხური, ფალაური, ბოლოს კი ჯერი არაბულზე მიდგა. ცოდნის გასაღრმავებლად ლენინგრადში მიაგლინეს. იქ აკადემიკოს კრაჩკოვსკის ხელმძღვანელობით სწავლობდა. იმდენად დიდ წარმატებას მიაღწია როგორც მეცნიერმა, რომ როცა ის ლენინგრადიდან თბილისში დაბრუნდა, კრაჩკოვსკიმ თქვა: აღმოსავლეთმცოდნეობის ცენტრმა ლენინგრადიდან თბილისში გადაინაცვლაო... მისი ცნობილი შრომებია: „არმაზის ბილინგვა“, „შუა აზიის არაბული დიალექტები“, „პალესტინის უძველესი ქართული წარწერები“, „მეტრი და რითმა „ვეფხისტყაოსანში“. ბევრი ნაშრომი კი, საერთოდ, გამოუქვეყნებელი დარჩა.

როგორ ცხოვრობდა წერეთელი სამშობლოდან მოშორებით? რამდენიმე ნაწყვეტი მისი წერილებიდან: „ზამთრისათვის სრულიად მოუწყობელი ვარ. ნაცნობები გაკვირვებით მეკითხებიან, რატომ საზამთრო პალატის არ იცვამთო? მეც ვპასუხობ: ჯერ არ მცია-მეთქი...“ „წერ-

ილებს ჯობით დავატარებ, დრო არა მაქვს, საფოსტო ყუთში ჩაუშვა ისინი“ – სინამდვილეში კი, მარკების საყიდელი ფული არ ჰქონდა...


ლენინგრადში სწავლისას შეუყვარდა ინგლისელი ქალი დორა ქრისტინა მერი გოიერი, რომელიც თბილისში დაბრუნებულმა უკვე ცოლად შეირთო. ეს, რა თქმა უნდა, „საბჭოთა მოქალაქისათვის შეუფერებელი“ საქციელი იყო: ქორწინება კაპიტალისტური ინგლისის მოქალაქეზე!.. მახსოვს, როგორ მიამბო ერთ-ერთმა აღმოსავლეთმცოდნემ: „როცა ერთხელ უცხოელი სტუმრები ბატონი გიორგის კაბინეტში შევიყვანე და, რა თქმა უნდა, მათთან ერთად, მეთვალყურე „კა-გე-ბე“-ს მოგზავნილებიც, მეცნიერმა გვერდით გამიყვანა და ფრთხილად მკითხა: „ამათ იციან, ინგლისელი ცოლი რომ მყავს, თუ არა?“ ეს არ იყო ერთადერთი მიზეზი, რის გამოც გიორგი წერეთელს, რბილად რომ ვთქვათ, კარგი დღე არ ადგებოდა. ის ხომ მიხაკო წერეთლის ძმისშვილი იყო! სხვათა შორის, მძიმედ განიცდიდა თავისი მრავალტანჯული, სამშობლოდან გადახვეწილი ბიძის ხვედრს. მიმოწერა შეუძლებელი იყო. თუ ვინმეს ოჯახში უცხოეთიდან მოვიდოდა წერილი და შიგ გაკვრით მანც იქნებოდა ნახსენები მიხაკო წერეთელი, გაფაციცებით მოიძიებდა, კითხულობდა და ტკივილით ივსებოდა. ბევრჯერ მისულა უფროსი დის ბაბო წერეთლის ოჯახში გულნატკენი: მიხაკო წერეთელზე აუგი ილაპარაკეს, მის შრომებს კი იყენებენო. – გაიხსენა გიორგი წერეთლის დისშვილმა, ქალბატონმა ქეთევან რამიშვილმა, – დედა კი ამშვიდებდა – დამშვიდდი, გოგი, არ აჰყვე, არ ღირს, მაგის გამო სიცოცხლე საფრთხეში ჩაიდლო.

სიფრთხილის გამო თავის შეკავებას ყოველთვის მანც ვერ ახერხებდა. ერთხელ, ჯერ კიდევ ლენინგრადში რომ იყო, გაჩაღდა კამპანია ცნობილი მეცნიერის, აღმოსავლეთმცოდნე გრიგოლ წერეთლის წინააღმდეგ. სხვათა შორის გიორგი წერეთელი გრიგოლ წერეთლის ნათესავი არ ყოფილა. დარბაზში მეცნიერები შეკრიბეს. უპირველესად, მისი, როგორც მეცნიერის ავტორიტეტი უნდა შეელახათ და გაენადგურებინათ. ყველამ

იცოდა, რომ სინამდვილეში რეპრესიის მოსამზადებელ რეპეტიციას გადიოდნენ... მაგრამ ყველა შემინებული ღუძდა. მხოლოდ ერთადერთმა ახალგაზრდამ გაბედა ხმის ამოღება და გრიგოლ წერეთლის მეცნიერულ ღვაწლზე ხმამაღალი განცხადების გაკეთება – ეს გიორგი წერეთელი იყო... დასრულდა კრება. დერეფანში მადლობის ნიშნად, მღუმარედ ართმევდნენ ხელს გულად ასპირანტს მეცნიერები: ხმამაღლა მადლობის თქმას მაინც ვერ ბედავდნენ...

გიორგი წერეთელი არასოდეს შესულა კომუნისტურ პარტიაში. მან მეცნიერების მწვერვალებს უამისოდ მიაღწია. იმხანად, ეს მართლაც იშვიათი მოვლენა იყო. დოქტორის ხარისხი სულ ახალგაზრდას, მიღებული წესის დაუცველად – ერთი საფეხურის გამოტოვებით (ეს მოვლენა სამეცნიერო წრეებში „ჰონორის კაუზას“ ტერმინით არის ცნობილი) პირდაპირ მიანიჭეს, არმაზის ბილინგვის გამოკვლევის შემდეგ. ის იყო ინგლისის აღმოსავლეთმცოდნეთა სამეფო საზოგადოების საპატიო წევრი, ვარშავის აკადემიის საპატიო წევრი... თუმცა, უპარტობა, რა თქმა უნდა, საკმოდ ძვირად უჯდებოდა მეცნიერს: ის ე.წ. „არასანდო“ პირად ითვლებოდა, უცხ-

ქალიშვილთან ერთად



ოელ კოლეგებთან კონტაქტებიც ყველანაირად შეზღუდული ჰქონდა, კონფერენციებსა და სამეცნიერო ფორუმებზე ვერ დადიოდა...

ქალბატონი ქეთევან რამიშვილი იხსენებს: „ერთხელ ძალიან სევდიანი მოსულა დედაჩემთან და უთქვამს: ბაბო, შინსახკომში დამიბარესო. დედაჩემი შეწუხდა: ფრთხილად იყავი, გოგი, ხომ იცი, რას აკეთებენ, რაზე აწერინებენ ხალხს ხელს, რა დაუნდობლები არიან – გახსოვდეს, რომ ვასილ წერეთლის შვილი ხარო!.. დედა მიაშობდა: მაგის ნუ გეშინია – მითხრა გოგომ, პალტოს საყელო აიწია და ქვეშ ჩაკერებული საწამლაკი დამანახვარო...“ როგორღაც გადაურჩა სიკვდილს. თურმე სიმონ ჯანაშიამ იხსნა განსაცდელისაგან: ბერიას აუხსნა, რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქვეყნისთვის აღმოსავლეთმცოდნეობის განვითარებას, ახლო აღმოსავლეთთან კონტაქტებს და რაოდენ საჭირო იყო ამ დარგის მეცნიერის მოღვაწეობა.

გიორგის ძალიან ფეთქებადი ხას-

იათი ჰქონდა, რის გამოც ხშირად უსიამოვნება ხვდებოდა. თუმცა თვითონ იოლად ივიწყებდა წყენას. ერთხელ, ბატონი გიორგი მინისტრთა საბჭოს მამინდელმა თავმჯდომარემ დაიბარა. როგორც ჩანს, იმდენად დაძაბული საუბარი ჰქონდათ, დიდჩინოსანმა ხმას აუწია... ცნობილია, რომ აღშფოთებულმა მეცნიერმა იყვირა: **Мальчишка! Как вы смеете кричать!** ეს „აფეთქება“ არ აპატიეს და შემდეგ, საკმაოდ შეავიწროვეს ბატონი გიორგი.

რამდენადაც შეეძლო, ცდილობდა კეთილი საქმით დაპირისპირებოდა რეჟიმს. მფარველობდა ექვთიმე თყაიშვილს, როცა მის წინააღმდეგ მთელი „ღონისძიებები“ იგეგმებოდა... მეცნიერებათა აკადემიაში არ უნდოდათ, მიეღოთ ღვაწლმოსილი მეცნიერი სიმონ ყაუხჩიშვილი... ბატონმა გიორგომ ამ საქმეშიც დიდი ძალისხმევა გამოიჩინა და ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ მეცნიერის წინსვლისთვის ხელი არ შეეშალათ.

... ამბობენ, გიორგი წერეთელმა,

როგორც მეცნიერმა, 30 წლით მაინც გაუსწრო თავის ღროსო. გარდა ზუსტი მეცნიერული გამოკვლევებისა, იგი გატაცებული იყო აღმოსავლური პოეზიით და არაბულიდან თარგმნიდა სატრფიალო ლირიკას... ერთხელ, ქალბატონ მარიკა ლორთქიფანიძისთვის წაუკითხავს თავისი თარგმანები. აღტაცებულ მსმენელს უთქვამს: ბატონო გიორგი, თქვენ თურმე პოეტიც ყოფილხართო! გიორგი წერეთელს გაუღიმა მრავლისმეტყველი ღიმილით: „ც“, არა?!..

ბავშვური გატაცებებიც ჰქონდა: ერთხანს მანქანის ტარებით იყო გატაცებული. შემდეგ ფოტოგრაფიით: მაშინ მისი მოდელები, ძირითადად, გერმანული ნაგაზი „წარბა“ და მე ვიყავითო, – იხსენებს ქალბატონი ქეთევანი.

ბატონი გურამ ჩიქოვანი: „საოცარი, ბავშვური ღიმილი და მიაბიტობა ჰქონდა... ერთი შეხედვით კი, თითქოს შეუვლი იყო... სინამდვილეში, ძალიან

მგრძობიარე და გულისხმიერი ადამიანი იყო. ამას განსაკუთრებით ბავშვებთან ურთიერთობაში ამჟღავნებდა.“

ბატონი გიორგის მეუღლე, ქალბატონი ღორა ამბობდა (თავისებური ინგლისური აქცენტით): „გოგისნაირი ნიჭიერი ადამიანი მე არ ვიცი... ასეთი ნათელი გონება, ასეთი ინტუიცია, კეთილი გული!“ ქალბატონი ღორა თავადაც უაღრესად განათლებული ადამიანი იყო – შესანიშნავი მათემატიკოსი, ლიტერატურის, მუსიკის კარგი მცოდნე.


საოცრად უყვარდა ბატონ გიორგის ოჯახი: მეუღლე და ქალიშვილი – მაია. ცდილობდა, ყველა სურვილი შეესრულებინა პატარასთვის. ქალბატონმა ქეთევან რამიშვილმა მიაშობ: წყნეთში ვისვენებდით. მოვიდა ბიძაჩემი. პატარა მაიკომ ენაშოჩლეკით უთხრა: დადი, (ინგლისურად – „მამა“) აი, ასეთი მინდაო – და იქვე გზაზე ველოსიპედი დაანახვა... ცოტა ხანში სადღაც წავიდა გოგი ბიძია... საღამოს მოვიდა და შეფუთული პატარა ველოსიპედი მოიტანა გაბრწყინებულმა...

1973 წელს ავად გახდა. 68 წლისა იყო... გულმა უგრძნო, სერიოზული საფრთხე ელოდა... მაშინ თქვა თურმე: **Это начало конца!** მართლაც, დღითი დღე უკან-უკან მიდიოდა. საავადმყოფოში იწვა. მისი მოწაფეები და კოლეგები თავს დასტრიალებდნენ. მაშინ დარწმუნდნენ კიდევ ერთხელ ნათესავები, როგორ უყვარდათ თანამშრომლებს. ქალბატონი ქეთევანი: „იქ ვიყავით მე და დედაჩემი, მეცნიერებათა აკადემიის წარმომადგენელი რომ მოვიდა: სახაროვის საწინააღმდეგოდ, ე.ი. მის დეენაზე ხელმოწერებს ვაგროვებთ და იქნებ ბატონმა გიორგომ ხელი მოგვიწეროსო. ავუსხენით, რომ ძალიან მძიმედ იყო. არ დაიშალა – პალატაში შევიდა. როცა ავადმყოფს აუხსნა, რა უნდოდა, ბიძაჩემმა ხელით ანიშნა: არ შემიძლიაო! როცა სტუმარი წავიდა და პალატაში შევედით, გულნატკენმა სუსტი ღიმილით გაგვიმხილა: რა მექნა – თავი მოვიმკვდარუნეო...“ რამდენიმე დღეში მართლაც შეწყდა მისი სიცოცხლე.

ერთადერთი, რაც სიკვდილის წინ მოითხოვა, მშობლიური სოფლის – ცხრუკეთის წყაროს წყალი იყო. ჩამოუტანეს... 1973 წლის 9 სექტემბერს გარდაიცვალა. გიორგი წერეთელი დაკრძალულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერთა და მოღვაწეთა პანთეონში.



ამრიგად, ბოლესკინის სახლში როუზ კელის გამოცხადების ამბავი ჯიმი პეიჯმა იმას დააბრალა, რომ მმართველ დენტის ნათესავი გოგონა ანა ქალწული იყო, ალისტერ კროულის სახლში კი იშვიათად სტუმრობდნენ ქალწულები...



alister krouli,

მეზსახელად

დასაწყისი იხ. „გზა“, №36


ერთხელაც, დღის ძილის შემდეგ გაღვიძებულმა როუზმა მოულოდნელად ქმარს განუცხადა, თითქოს მისთვის ცნობილი გახდა, რომ ალისტერმა განარისხა ევკიპტის ღმერთი გორი და სწორედ ამიტომ ვერ ახერხებდა კაცი თავის სულიერ მფარველთან კონტაქტში შესვლას. კროლიმ, რა თქმა უნდა, ცოლის ნათქვამის შემოწმება გადაწყვიტა და როუზს უბრძანა, სწრაფად ჩაეცვა, შემდეგ კი ადგილობრივ მუზეუმში წაიყვანა. გზაში როუზი ეფიცებოდა, რომ მანამდე არაფერი სმენოდა გორის შესახებ და წარმოდგენა არ ჰქონდა, როგორ გამოიყურებოდა იგი. ამის მიუხედავად, მუზეუმში მისვლისას ქალმა კროული შეუცდომლად მიიყვანა რა-გორ-კუიტის ქანდაკებასთან. ყველაზე მეტად ალისტერს თავზარი იმან დასცა, რომ ექსპონატის ნომერი 666 იყო.

მეორე დღეს როუზი ასწავლიდა კროულის, როგორ უნდა გამოეძახა გორის სული. თავიდან ალისტერი სკეპტიკურად იყო განწყობილი – რიტუალი მას სრულიად

უაზროდ მოეჩვენა, მაგრამ მაინც გადაწყვიტა შეესრულებინა ცოლის ყველა მითითება და... ყველაფერი ახდა! კროლიმ არათუ გორის სულის გამოძახება შეძლო, არამედ რამდენიმე წლის უშედეგო მცდელობის შემდეგ, თავისი სულიერი მფარველის მატერიალიზებაც მოახერხა; ამ არსებამ თავს აივასი უწოდა.

სულიერმა მფარველმა მხეცს უბრძანა, სასწრაფოდ აეღო კალამი და ჩაეწერა ყველაფერი, რასაც სული უკარნახებდა. ასე რომ, 1904 წლის აპრილში კაიროს სასტუმროში მღელვარებისგან აკანკალებული კროული გაბნეული კალიგრაფიით იწერდა იმას, რაც მისი შემდგომი ცხოვრების მთავარ მოძღვრებად იქცა; ეს იყო „კანონის წიგნი“. მოძღვრების ძირითა-

ის შავი მაგიც იყო, პოეტიც, ფილოსოფოსიც, ნარკოტიკული კოქტეილების ექსპერტიცა და უბრალო მოგზაურიც...





როცა ხანგრძლივი მოგზაურობის შემდეგ, მეუღლეები ბოლესკინში, თავიანთ სახლში დაბრუნდნენ, მათ შორის თითქოს შავმა კატამ გაირბინა...

დი პოსტულატი იყო: „საკუთარ ნებას დაჰყვევი — მთელი კანონიც ეს არის“.

— რას ნიშნავს ეს უზრობა? — დაინტერესდა პიტერი.

— ამას უზრობად მხოლოდ გაუთვითცნობიერებელი რევგენები თვლიან, — მოუჭრა პიეჯმა. — მოვა დრო და ჩვენ ამაზე დაწერილებით ვილაპარაკებთ, ბიჭუნა. თუმცა, თითოეული თქვენგანისთვის საინტერესო იქნება იმის შეტყობა, რომ კროული თავის „წიგნს“ იმდენად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა, რომ ის ძლიერთა ამა ქვეყნისათა გაუგზავნა: ამბობდნენ, რომ ის წაკითხული ჰქონდა ჩერჩილს, ლენინს და ჰიტლერსაც კი... თუმცა, უმჯობესია, ისევ საცოდავ როუზს დავუბრუნდეთ...

როცა ხანგრძლივი მოგზაურობის შემდეგ, მეუღლეები ბოლესკინში, თავიანთ სახლში დაბრუნდნენ, მათ შორის თითქოს შავმა კატამ გაირბინა. როუზმა თავი ღმერთ გორის უზენაეს ქურუმად წარმოიდგინა, კროულის კი მხოლოდ მოსამსახურის საპატიო როლი მიუჩინა. მას ეს, რბილად რომ ვთქვათ, დიდად არ ეჭაშნიკა. გარდა ამისა, როუზი ქმარზე ეჭვიანობდა, ალისტერი კი ეჭვიანობას ყველაზე სულელურ და მიუღებელ გრძნობად მიიჩნევდა. როუზი კიოდა, როცა მის ქმარს შინ მორიგი მსუბუქი ყოფაქცევის ქალი მოჰყავდა. გოგონას ბანდნენ, მორთავდნენ და მოკაზმავდნენ, შემდეგ კროული სასადილო ოთახში სანთლებს დაანთებდა, თავისი „კანონის წიგნიდან“ რაიმეს კითხულობდა და ცოლის თვალწინ, რიტუ-

ალურ სექსუალურ აქტს ატარებდა, ამ დროს როუზის მოვალეობაში კი, „ღვთიური აქტის“ შემსრულებელი წყვილის მომსახურება და მათთვის სპეციალური სასმლით სავსე თასების მირთმევა შედიოდა...

როუზი როგორც კატა, როგორც ბუვეზები, ისე ეჭვიანობდა და ერთ მშვენიერ დღეს კროულიმ ცოლს საძინებელში შეუფერებელი საქმიანობით გართულს წაასწრო: საძაგელი ქალი ჯადოქრობით იყო დაკავებული! თმაგაშლილი, მუხლებზე იდგა მაყალის წინ, რომელზეც საკმეველი და კორიანდრის თესვები დნებოდა. როუზი თავის მარჯვენა ხელისგულს დასცქეროდა — მასზე შავი ლაქა ბრჭყვიანობდა. კროული, რა თქმა უნდა, მაშინვე მიხვდა მანიპულაციის არსს: ლაქა მაგური სარკის მაგივრობას სწევდა, რომელშიც როუზი ალისტერის ყველა ქალის დანახვას ცდილობდა. კროული მიხვდა, რომ შემდეგი ნაბიჯი მათთვის წყველისა და ჯადოს გაგზავნა იქნებოდა. იმასაც მიხვდა, ბოლო ხანს ვინ უშლიდა ხელს აივანთან კავშირის დამყარებაში: როუზი აივანს თავის პირად საკუთრებად თვლიდა.

კროულიმ ცოლს სახლიდან წასვლა უბრძანა, ქალმა უარი განუცხადა და შეჰპირდა, რომ მთელ მსოფლიოს მისი ბინძური საქმეების შესახებ მოუთხრობდა და კაცს საშუალოდ ციხეში გამოამწყვდევინებდა: მის ალქიმიურ ლაბორატორიაში პოლიციას მიიყვანდა და ყველა დაინახავდა, რა ცდებს ატარებდა და როგორ მონსტრებს ზრდიდა თავის სამინელ სინჯარებში. მაგრამ კროულის ეს მუქარა არ აღელვებდა: არ უნდა თავისი ნებით წასვლა — დარჩეს, კაცმა კარგად იცის, როგორ მოუაროს მას...

ერთხელ, სახლის კედლები როუზის განწირულმა კივილმა შეძრა: მას სრულიად უმიზეზოდ, დანით შეიარაღებული მებაღე დაესხა თავს. საცოდავს, გონება დაებინდა და კინაღამ სიცოცხლეს გამოასალმა დიასახლისი. როუზი

სასწაულებრივად გადაარჩინეს შემთხვევითმა გამგლელებმა.

არსებობს იმის დამადასტურებელი უტყუარი საბუთი, რომ ამ ამბის შემდეგ კროულიმ რაღაც საიდუმლო რიტუალი ჩაატარა, რის შედეგადაც მისი ცოლი შეიშალა. ექიმებმა ქალი სრულიად უიმედოდ ცნეს და როუზ კელი საშუალოდ, მოათავსეს საავიუთში.

— ალბათ როუზის სული ვერ წყნარდება და იმ ადგილს უბრუნდება, სადაც ის მხეცმა დალუპა, — პიეჯმა თხრობა დაასრულა და სკამის საზურგეზე გადაწვა.

— საოცარი ამბავია! — შეჰყვირა პიტერმა. — ეგ შენი კროული ნამდვილი პირუტყვი, ნამდვილი მხეცი ყოფილა!

— შენ ეი, ცოტა ფრთხილად! — უეცრად წამოიძახა როუჯერმა, რომელიც მთელი ამ ხნის მანძილზე ჩუმად იჯდა. — სიტყვები შეარჩიე! შენ ხომ, პრაქტიკულად, მასთან სტუმრად ხარ!

— მეხი კი დავაყარე მაგ ფეხკოტიტა თხას! მეხი დავაყარე, მეხი! — რაღაც ბავშვური სიჯიუტით იმეორებდა პიტერი.

სწორედ ამ დროს, ბუხრის თაროზე მდგარი ეშმაკის ფაიფურის პატარა ფიგურა შეირხა, მერე ჩამოვარდა და გატყდა.

— მოკლედ, მომისმინეთ, — მბრძანებლურად უთხრა პიეჯმა პიტერს. — შენ ჩვენს თამაშში მონაწილეობას არ მიიღებ და ახლავე დასაძინებლად წასვალ. გირჩევ, სულის გადასარჩენად, ძილის წინ ილოცო.

პიტერმა გამოძწევად შეავლო თვალი იქაურობას და სასადილო ოთახიდან გავიდა; მის კვალს პიეჯმა დენტის ნათესავი ანა და როუჯერის არასრულწლოვანი მეგობარი გოგონა გაუყენა. შემდეგ პიეჯი საოცრად გაფითრებულ მალკოლმ დენტს მიუბრუნდა:

— ნუ გეშინია, ძმობილო! ჩვენ აქ სწორედ ამისთვის ჩამოვედით: ყველაფერს ვიღონებთ, რათა როუზის სულმა აღარ შეგაწუხოს. ხომ მიიღებ ამაში მონაწილეობას?





კროლის მეორე (და უკანასკნელი) ცოლი, ნიკარაგუელი მარია ფერარი დე მირამარი იყო. მათ ლაიფციგში, 1929 წელს იქორწინეს

დენტმა გაუბედავად დაუქნია თავი.

პეიჯმა და როჯერმა სხვენიდან რაღაც მანტიები ჩამოიტანეს და ყველა დარჩენილ სტუმარს მიაწოდეს. შემდეგ პეიჯმა ჩუქურთმიანი ზარდახმა გახსნა და საზეიმოდ ამოიღო შუშის ოთხი ჭურჭელი.

— იმისათვის, რომ აუცილებელი რიტუალი ჩავატაროთ, — განმარტა მან, — საჭიროა ამას უყნოსოთ. ორ ჭურჭელში — ბირმული ჰერონია, ორში კი — ბოლივიური კოკინი. ნარკოტიკულ ნივთიერებებს ღმერთებიც კი ცნობენ, — ამას ამბობდა პეიჯი და თან ენერგიულად ურევდა ვერცხლის ლანგარზე დაყრილ ფხვნილს.

როცა დენტს ვერცხლის კოვზი მიაწოდეს, ის ძლეულვარებისგან და გაუბედაობისგან მთელი ტანით თრთოდა.

— უფრო თამამად, ძმობილო! — გაამხნევა იგი პეიჯმა და დენტმაც, სხვენივით, ნარევი ჯერ ერთი, შემდეგ — მეორე ნესტოთი შეისუნთქა. ოთახი უმაღლესი ალდა და პეიჯის ხმა, რომელიც რაღაც შელოცვას წარმოთქვამდა, თითქოს სხვა პლანეტიდან მოესმა. შემდეგ უეცრად, ნისლი გაიფანტა და მათ თვალწინ ნათელი და მკვეთრი გამოსახულება გაჩნდა. „შეხედეთ! — მოესმა დენტს პეიჯის ხმა. — ეს ხომ ის არის!“ მართლაც, იმ ადგილას, სადაც ცოტა ხნის წინ პიტერი იჯდა, თეთრ კაბაში გამოწყობილი მწუხარე, ნაზი ქალის ფიგურა აღმართულიყო.

— როუს! — ერთხმად წამოიძახა ყველამ.

პეიჯი რაღაცას ამბობდა, ის მოჩვენებას მიმართავდა, მაგრამ დენტს მზერა ისევ დაეხინდა და მას შემდეგ აღარაფერი ახს-

ოვდა...

ორიოდ დღეში პეიჯი და კომპანია ბოლესკინიდან გაემგზავრნენ, ანა მშობლებთან წავიდა, დენტი კი კვლავ მარტო დარჩა. ახლა მას უკვე ჯოჯოხეთივით ეშინოდა წყვეული სახლის. მართალია, მოჩვენებებს აღარ შეუწუხებიათ, მაგრამ დენტმა მინც დაკარგა მოსვენება, ვერ იძინებდა და სიბნელეში მუდამ ქარის, კარის გაჯახუნებასა და სხვა საეჭვო ხმებს დაძაბულად უგდებდა ყურს. სულ ეჩვენებოდა, რომ სხვენიდან მძიმე ოხვრა და ჩურჩული ისმოდა, კბიჩე კი გრუსუნით მოგორავდა რაღაც მრგვალი რკინის საგანი. ბოლოს და ბოლოს, დენტი ადგებოდა, დანას აიღებდა და გათენებამდე მუჭში ჰქონდა ჩაბლუჯული, თან, განძრევასაც ვერ ბედავდა.

...1990 წლის შემოდგომაზე პეიჯმა დენტისგან ოფიციალური წერილი მიიღო, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ მმართველი უარს ამბობდა ჯიმი პეიჯის ღმერთისგან დაწვევლილი სახლის მეურვეობაზე და მმართველის ვალდებულებას იხსნიდა. იმავდროულად, მუსიკოსი ლონდონის სასამართლოში გამოიძახეს, სადაც დენტმა სარჩელი შეიტანა, რომლითაც „ცული სახლის“ პატრონი პეიჯისგან ბოლესკინში მომხდარი ყველა უმსგავსობის გამო, მნიშვნელოვან კომპენსაციას მოითხოვდა. იმ პერიოდისთვის პეიჯი უკვე დაოჯახებული იყო, დადინჯდა და სკანდალურ სასამართლო პროცესში მონაწილეობა არ სურდა. უსიამოვნებებისგან თავი იმით დაიხსნა, რომ ლონდონის პირას მდებარე ავადსახსენებელი სახლი აუქციონზე გასაყიდად გაიტანა...

ადგილობრივი მცხოვრებლები ახლაც შორიდან უვლიან გვერდს ამ სახლს: ისინი დარწმუნებულები არიან, რომ სულები და დემონები, რომლებიც იქ უდიდესმა და უსამინდესმა ალისტერ კროულმ მოამრავლა, აღარასოდეს დაანებებენ თავს იმ ადგილს.

რაც შეეხება პიტერს — ჯიმი პეიჯის ფიცს ახალგაზრდა მეგობარს, ბოლესკინიდან დაბრუნების ზუსტად ერთი კვირის თავზე მას კატაფალკი დაეჯახა და ყმაწვილი დაიღუპა...

მონამბლა
მანანა ლოლოპერიძე

ერთგული მკითხველი

თქვენ, ერთგულ მკითხველს, უთუოდ გემახსოვრებთ ჩვენი ჟურნალის სხვადასხვა ნომერში დაბეჭდილი წერილების შინაარსი და არც ამ ტელისტი კითხვებზე გაგიჭირდებათ პასუხის გაცემა...

1. რამდენი დედამიწვილი ყვავდა მირაზ კოსტავას?



- ა) არც ერთი;
- ბ) ორი;
- გ) ერთი.

2. სად დაიბადა მსოფლიო ფიზიკურთის მარსკვლავი ეუსევიო?




- ა) მოზამბიკში;
- ბ) უკრაინაში;
- გ) პორტუგალიაში.

3. რა ეწოდება კრივეში იმ უდიდეს მანძილს, საიდანაც დარტყმა შეიძლება?



- ა) ნოკაუტი;
- ბ) აპერკოტი;
- გ) ალონუი.

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე



დაიწყეთ, გაერთეთ, იპაჩიეთ!

ეს თამაში ერუდიციაზე, ინტუიციასა და აზარტზეა აგებული. თუ ეს ყველაფერი გახასიათებთ, აუცილებლად გამოსცადეთ თავი და გონების გავარჯიშების შემდეგ, წარმატების მიღწევა არც ერთ სხვა თამაშში არ გაგიჭირდებათ! თითოეულ ეთხვაზე მოცემული ოთხი პასუხიდან, თქვენი აზრით, სწორი მონიშნეთ. თავის შემონიშნება არ გაგიჭირდებათ, გამოიჩინეთ თქვენთვის დამახასიათებელი დაკვირვებულობა და პასუხები იქნებ, ამ გვერდზე იპოვოთ ყიდევ...

1) ქართული ლექსის მიხედვით, სად დაიზრდებიან კიდევაც ლექვები?

- ა) მარნეულს; ბ) სამგორს; გ) ალგეთს; დ) ტყიბულს.

2) დაამთავრეთ ფრთიანი ფრაზა: უფასო ყველი მხოლოდ ...

- ა) ოცნებებშია; ბ) პრეზენტაციებზეა; გ) სათაგურშია; დ) ლამაზაქზეა.

3) რისი ექსპორტი არ ხდება საქართველოდან?

- ა) ელექტროენერჯის; ბ) მუშახელის; გ) სპორტსმენების; დ) ცხელი წყლის.

4) მითოლოგიური პერსონაჟებიდან რომელს ჰქონდა ერთი თვალი?

- ა) ცერბერს; ბ) ციკლოპს; გ) მინოტავრს; დ) არგუსს.

5) 1963 წელს გამოცემულ ჯონ ჰოიერ აბდაივის ლექსების კრებულში — „ტელეფონის ბოძები“, მის მიერ რომელ ქართველ სპორტსმენზე დაწერილი ლექსია შესული?

- ა) ლევან თედიაშვილზე; ბ) კობა წაქაძეზე; გ) მიხეილ მესხზე; დ) ლავით კვაჭაძეზე.

6) რომელი ფერი მიიღება ლურჯისა და წითლის შერევით?

- ა) ყავისფერი; ბ) იისფერი; გ) მწვანე; დ) ცისფერი.

7) რომელი ქვეყნის გუნდი გახდა 2000 წელს ევროპის ჩემპიონი ფეხბურთში?

- ა) საფრანგეთი; ბ) პოლანდია; გ) იტალია; დ) პორტუგალია.

8) რომელი მცენარის გარეშე ვერ შეძლებს არსებობას დიდი პანდა?

- ა) ბანანის; ბ) ბამბუკის; გ) ევკალიპტის; დ) ქოქოსის პალმის.

9) რომელ ზღვებს აკავშირებს დარდანელის სრუტე?

- ა) ეგეოსის და მარმარილოს ზღვებს; ბ) მარმარილოს და შავ ზღვებს; გ) ეგეოსის და შავ ზღვებს; დ) ეგეოსის და ხმელთაშუა ზღვებს.

10) კოვა-კოლას მშობლიური ქალაქია?

- ა) სიეტლი; ბ) ბოსტონი; გ) ჩიკაგო; დ) ატლანტა.

11) ქალაქი, რომლის უძველესი სახელწოდებაა ლუტეცია, არის:

- ა) პარიზი; ბ) ლონდონი; გ) პრაღა; დ) ბერლინი.

12) რომელმა საავტომობილო ფირმამ შეიძინა ჩეხური შკოდას ავტოქარხნები?

- ა) ფორდმა; ბ) ფოლკსვაგენმა; გ) ფიატმა; დ) მიცუბიშიმ.

13) რას ნიშნავს მოჰანდას კარამჩანდ განდის მეტსახელი — მაჰათმა ქართულად?

- ა) ელვარე სულს; ბ) დიად სულს; გ) ძლიერ სულს; დ) ცით მოვლენილ სულს.

14) დაასახელეთ ფილმი, რომელში შესრულებული როლისთვისაც დასტინ ჰოფმანმა ოსკარი მიიღო:

- ა) "მზდალი კაცი"; ბ) "თოვლის კაცი"; გ) "წყლის კაცი"; დ) "წვიმის კაცი".

15) რას უწოდებენ საჭმელს მანანას ბიბლიაში?

- ა) ციურს; ბ) ღვთიურს; გ) ბუნებრივს; დ) მიწიურს.

16) ქართველი მეფე, რომლის დედაც წყალში დაახრჩვეს, იყო:

- ა) თეიმურაზ I; ბ) ბაგრატ V; გ) ლავით VIII; დ) დიმიტრი II.

1-16 (1-16) (1-16) (1-16) (1-16) (1-16) (1-16) (1-16) (1-16) (1-16) (1-16) (1-16) (1-16) (1-16) (1-16) (1-16) (1-16)

				წმინდა გამარჯვება კრევში	სტიუარდესა	ბერძნული ანბანის მესამე ასო	ღვინის და ღვინის ტარების მხარულ. ღმერთი	აზროვნების ნაირსახეობა ლოგიკაში							
				ქოქოსის ნაყოფის გული	ნეპალის მთავარი ქალაქი	ამერიკული სივარტე	„ხვეისბერი გოჩა“ (პერსონაჟი)	ინდოეთის დედაქალაქი							
				რასებს, ბოურგერის იმერმანის მოთხ. გმრი	ფსიქიკური მოქმედების დაქვეითება მოხუცებულ	ადვირის ნაწილი შენტომა ბალეტში	პირველი ჯაზმენი	„თავისუფლების“ კუნძული	საკერავის უღვრის ელფები	ტიფის გადამტანი	გემოსა-შენი	ელექტრონის ანტი პოლი			
				რუსული სამზარო თვით-მფრინავი	სარკინი-გზო შემადგენლობა	აეტორის შენიშენა, მინაწერი ნაწარმოებში	გერმანული ფულის ერთეული	აღწეული „... და მისი მუხი“	„ლორინ გრეს პორტრეტი“ (მწერალი)	იაპონური პოეზიის ჟანრი	„ტომ სოიერის თვჯადსაფელი“ მრე...	პერუს აბორიგენი მცხოვრები	მიმღებ-გადამცემი რადიოსადგური	ყვავილი	შეადგინა რამაზ ალანია
				რუხი	კომპიუტერ. მანიპულატორი მდინარე ციბირში	სახელმწიფო დანაშაულები ტრანზიტში	აღწეული ფულის ერთეული	„ლორინ გრეს პორტრეტი“ (მწერალი)	იაპონური პოეზიის ჟანრი	„ტომ სოიერის თვჯადსაფელი“ მრე...	პერუს აბორიგენი მცხოვრები	მიმღებ-გადამცემი რადიოსადგური	ყვავილი	შეადგინა რამაზ ალანია	

59-ე გვერდზე გამოქვეყნებული ტესტის პასუხები: 1-ა; 2-ა; 3-გ.

კვირის (10 - 16 სექტემბერი) ასტროლოგიური პროგნოზი

ქალწული - 24/VIII-23/IX



გამორიცხული არ არის, რომ ამ კვირაში სამსახურებრივი საქმეები შეუსაბამობაში მოვიდეს საოჯახო საზრუნავთან, რის გამოც შეიძლება კონფლიქტიც კი მოგივიდეთ ახლობლებთან. ამიტომ გულახდილად უპასუხეთ საკუთარ თავს: ნუთუ, მართლა იმდენად დაკავებული ხართ სამსახურში, რომ ერთი ზედმეტი საათიც არ შეგიძლიათ ოჯახისთვის გაიმეტოთ? თუ ამ კითხვას უარყოფითად უპასუხებთ – სასწრაფოდ გაემუქრეთ შინ.

სასწორი - 24/IX-23/X



ამ კვირის მანძილზე შესაძლოა, დროდადრო ირგვლივ მყოფმა ადამიანებმა გაგლიზიანონ. ამ გაღიზიანებას, ხშირ შემთხვევაში, სერიოზული საფუძველიც ექნება. და მაინც – სჯობს, თავი ხელში აიყვანოთ. ამ მოთმინებისთვის შაბათს, შესაბამისად მოგეზღვებათ კიდევ: გამორიცხული არ არის, რომ ამ დღეს ახალი რომანი გააბათ.

ღრიანკალი - 24/X-22/XI



შრომისმოყვარეობა, დისციპლინა და პასუხისმგებლობის გრძნობა – აი, ყველაფერი ის, რაც ამ კვირაში აუცილებლად უნდა გამოიჩინოთ. თუ ამ თვისებებს გამოამჟღავნებთ, ჯილდო, დაწინაურება ან ხელმძღვანელთა შექება არ აცდვებათ. თქვენს მომხიბლობაზე ვარსკვლავები „იზრუნებენ“, ამიტომ განუშეორებელ შთაბეჭდილებას მოახდენთ.

მშვილდოსანი - 23/XI-21/XII



მომხიბლობა და მჭევრმეტყველება წარმატებას მოგიტანთ – როგორც საქმეში, ისევე პირად საქმეებში. შესაძლოა, სამსახურიდან საინტერესო და სასიამოვნო მივლინებაში გაგამგზავრონ, რომლის დროსაც სასიყვარულო ამბავიც შეიძლება გადაგხდეთ.

თხის რქა - 22/XII-20/I



კვირის პირველ ნახევარში დიდ წარმატებებს მიაღწევთ. ამ პერიოდში თამამად შეგიძლიათ გადადგოთ ცხოვრებაში სიახლის შესატანად საჭირო, ნებისმიერი ნაბიჯი და ახალ პროექტებსაც შეეჭიდეთ: შედეგი ყოველგვარ მოლოდინსაც გადააჭარბებს. კვირის მეორე ნახევარში საკუთარ თავს მიხედეთ. გაიხსენეთ ისიც, რომ კარგა ხნის წინ დაგემილი ვიზიტი უსასრულოდ გადადეთ, არადა, ის აუცილებელია თქვენთვის, მით უმეტეს, თუ მისვლას სტომატოლოგთან აპირებდით...

მკრანული - 21/I-19/II




კვირის დასაწყისში, თითქოს უმიზეზოდ, ამალეხული გუნებაგანწყობა დაგეუფლებათ და ყველაფერს ვარდისფერ ტონებში აღიქვამთ. ცოტა ხანში შეიძლება საპირისპირო განწყობაზე დადგეთ, რის გამოც ნებისმიერ უსიამოვნებასა და დაბრკოლებას გამაზვილებული ყურადღებით მოეციდებით. ნუ აჰყვებით ემოციებს! ნაბიჯი მარცხნივ, ნაბიჯი მარჯვნივ – და ყველაფერი თავის ადგილებზე დადგება.

თევზები - 20/II-20/III



უჩვეულოდ დინამიკური კვირა გელით – ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით: ხშირი გადაადგილება მოგიწევთ იმისათვის, რათა აუარება საქმე მოაგვაროთ. სხვათა შორის, კვირის დასაწყისში დიდი შენაძენიც შეიძლება გქონდეთ – თქვენ ხომ მისთვის კარგა ხანია ფულს აგროვებდით.

მშვილდოსანი - 21/III-20/IV



სამსახურში მეტისმეტად აქტიურად და ნაყოფიერად გატარებული კვირის შემდეგ, პარასკევისთვის ალბათ ძალზედ დაღლილად იგრძნობთ თავს. სამაგიეროდ, ბევრ ახალ უნარ-ჩვევას შეიძენთ, რომელიც შემდგომში დიდად წაგადგებათ.

კურო - 21/IV-21/V



ამ კვირაში შეიტყობთ, რამდენად სწორი არჩევანი გაგიკეთებიათ. ნებისმიერი სამუშაო, რომელსაც ხელს მოჰკიდებთ, იდეალურად გამოვივათ, ხოლო რაც გულს არ ეკარება – აუცილებლად ჩაგიფლავდებათ. კვირის დასაწყისი ზედგამოჭრილია რომანტიკული თავგადასავლისთვის, უქმე დღეები კი სჯობს, ოჯახთან ერთად გაატაროთ.

მარნობი - 22/V-21/VI



გირჩევთ, კვირის პირველივე სამ დღეში მოითავოთ ძირითადი საქმეები: პერიოდი ოთხშაბათს საღამომდე, საუკეთესოა კარიერისა და ბიზნესისთვის. რაც შეეხება კვირის მეორე ნახევარს, სჯობს, სპორტს, გაართობასა და, რაც მთავარია, სიყვარულს დაუთმოთ.

მირნობი - 22/VI-22/VII



თვითღამკვიდრების დაუოკებელი სურვილი შეგიპყრობთ, ამავე დროს, ისიც ძალიან მოგიინდებათ, რომ ირგვლივმყოფთ უჩვენოთ, რამდენად დამოუკიდებელი ადამიანი ხართ და რა გაბედული და არასტანდარტული იდეები გინდებთ ხოლმე. კაცმა რომ თქვას, ეს კარგიც შეიძლება იყოს და ცუდიც – ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად სწორად მოიქცევით. მოთმინება გამოიჩინეთ და ნუ აჩქარდებით.

ლომი - 23/VII-23/VIII



შესაძლოა, მოგეჩვენოთ, რომ შეზღუდვები, რომელიც თქვენს ცხოვრებას ახლავს, მეტისმეტად გბოჭავთ. ამიტომაც დაიწყებთ ახალი შესაძლებლობისა და პერსპექტივის ძიებას. თუ საქმე საქმეზე მიდგა, მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება სჯობს, ხუთშაბათს მიიღოთ: ამ დღეს ინტუიცია არ ვიღალატებთ.

უფროსილდებით თუ არა საკუთარ ჯანმრთელობას?

მწარედ ცდება ის, ვინც თვლის, რომ ჯანმრთელობაზე მხოლოდ ასაკოვანმა ადამიანებმა უნდა იზრუნონ. ადამიანი ჯანმრთელობას ახალგაზრდობაშიც უნდა გაუფრთხილდეს, თორემ სიბერესთან გამკლავება გაუჭირდება. ჰარმონიულად განვითარებული ადამიანი სპორტული, მოქნილი უნდა იყოს. ტყუილად კი არ ამბობდნენ უძველესი დროიდან, რომ „ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სულია“.

იმის დადგენაში, თუ როგორი დამოკიდებულება გაქვთ საკუთარ ჯანმრთელობასთან, ქვემოთ მოყვანილი ტესტი დაგეხმარებათ:

1) როგორც ცნობილია, კვების ნორმალური რეჟიმი გულისხმობს საუზმეს, სამ კერძან სადილს და მსუბუქ ვახშამს. როგორი რეჟიმი გაქვთ თქვენ?

ა) სწორედ ასეთი, ამასთანავე, ცდილობთ, მიირთვათ რაც შეიძლება მეტი ხილი და ბოსტნეული;

ბ) ხანდახან სადილის ან საუზმის გამოტოვება გიწვევთ ხოლმე;

გ) კვების არანაირ რეჟიმს არ იცავთ.

2) ეწვეით თუ არა სივარეტს?

ა) არა;

ბ) დიახ, დღეში მხოლოდ 1-2 ღერს;

გ) დღეში ერთ კოლოფს ან მეტს.

3) ეტანებით თუ არა სპორტიან სასმელებს?

ა) არა;

ბ) ხანდახან, მეგობრებთან ერთად ცოტას სვამთ;

გ) ხშირად სვამთ, ხანდახან დღისითაც, ყოველგვარი მიზეზის გარეშე.

4) სვამთ თუ არა ყვავს?

ა) ძალიან იშვიათად;

ბ) დღეში მხოლოდ 1-2 ფინჯანს;

გ) ყავის გარეშე არსებობა არ შეგიძლიათ, ძალიან ხშირად სვამთ.

5) რეგულარულად ვარჯიშობთ თუ არა დილაობით?

ა) დიახ, ეს აუცილებელია;

ბ) გინდათ ივარჯიშოთ, მაგრამ თავს ძალს ვერ ატანთ;

გ) არა, არ ვარჯიშობთ.

6) ვანიჭებთ თუ არა ექიმ-ოფილერს თქვენი სამსახური?

ა) დიახ, სამსახურში დილაობით სიამოვნებით მიდისართ;

ბ) სამსახური უბრალოდ, თქვენს მოთხოვნებს აკმაყოფილებს;

გ) მუშაობთ ყოველგვარი ხალისის გარეშე.

7) იღებთ თუ არა რაიმე წამლებს?

ა) არა;

ბ) მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში;

გ) თითქმის ყოველდღე სვამთ რაიმე წამალს.



8) ვაწუხებთ თუ არა რაიმე ქრონიკული დაავადება?

ა) არა;

ბ) გიჭირთ პასუხის გაცემა;

გ) დიახ.

9) უძღვებით თუ არა დასვენების თუნდაც ერთ დღეს ფიზიკურ სამუშაოს, ტურიზმს ან სპორტს?

ა) ხანდახან ორ დღესაც კი;

ბ) მხოლოდ მაშინ, როცა ამის საშუალება გეძლევათ;

გ) გირჩევნიათ დასვენების დღე შინ გაატაროთ.

10) მიგაჩნიათ თუ არა, რომ თქვენი ქორწინება იღბლიანი აღმოჩნდა?

ა) დიახ;

ბ) არც ისე;

გ) ქორწინებაში არ გაგიმართლათ.

11) გაკმაყოფილებთ თუ არა თქვენი ინტიმური ცხოვრება?

ა) დიახ;

ბ) არც ისე;

გ) არა.

12) როგორ გირჩევნიათ შვებულების გატარება?

ა) აქტიურად მისდევთ სპორტს;

ბ) მხიარულ, სასიამოვნო კომპანიაში;

გ) თქვენთვის ეს ყოველთვის პრობლემაა.

13) არსებობს თუ არა ისეთი რამ, რაც გამუდმებით გაღიზიანებთ სამსახურში ან შინ?

ა) არა;

ბ) დიახ, მაგრამ ცდილობთ მას თავი აარილოთ;

გ) დიახ, არსებობს.

14) გაქვთ თუ არა თუმორის გრძობა?

ა) ახლობლები და მეგობრები აღნიშნავენ, რომ თუმორის გრძობა გაქვთ;

ბ) აფასებთ იმ ადამიანებს, ვისაც ეს გრძობა აქვთ და მათ საზოგადოებაში ყოფნა გიყვართ;

გ) არ გაუაჩნიათ.

შედეგები ასე ჯამდება: ყოველი „ა“ პასუხი შეაფასეთ 4 ქულით, „ბ“ — 2 ქულით, „გ“ კი — 0 ქულით. დათვალეთ ქულათა ჯამი.

შეამოწმეთ შედეგები:

38-56 ქულა: მშვენიერი შანსი გაქვთ, 100 წლამდე იცოცხლოთ. ჯანმრთელობაზე უფრო მეტად ზრუნავთ, ვიდრე სხვა რამეზე, ამიტომაც ყოველთვის კარგად გრძნობთ თავს. თუ კვლავაც ცხოვრების ჯანსაღი სტილის ერთგული დარჩებით, ღრმა მოხუცებულობამდე ენერგიული და აქტიური იქნებით. მაგრამ დაფიქრდით, ჯანმრთელობაზე ზედმეტად ზრუნვამ წვრილმანი სიამოვნებები შეიძლება დაგაიწიოთ. არადა, სიხარული ჯანმრთელობაზეც დადებითად იმოქმედებს.

20-36 ქულა: სულაც არ არის აუცილებელი, რომ ყოველი საუბრისას წინ ფინჯანი ყავა გვდგათ. თქვენ არა მხოლოდ კარგი ჯანმრთელობით, არამედ კარგი ხასიათითაც გამოირჩევით. ძალიან კომუნიკაბელური ადამიანი ხართ, გიყვართ მეგობრებთან შეხვედრა,

უარს არ ამბობთ სიამოვნებებზე, რომელიც თქვენს ცხოვრებას მრავალფეროვნებას მატებს. მაგრამ დაფიქრდით — ხომ არ შეიძლება თქვენი ჩვევები შემდგომში უარყოფითად აისახოს თქვენსავე ჯანმრთელობაზე? დაფიქრდით, საკმარისად მისდევთ თუ არა სპორტს? მეტისმეტად ხომ არ გიტაცებთ სასმელი და სივარეტი? ისიც გაითვალისწინეთ, რომ კარგი ურთიერთობები არა მხოლოდ სუფრასთან, არამედ ჩიობურთის კორტზე და სტადიონზეც მყარდება.

0-18 ქულა: თქვენი ჯანმრთელობის მდგომარეობა მხოლოდ თქვენზეა დამოკიდებული, მაგრამ ამ საკითხს ძალიან ქარაფ-შუტულად ეკიდებით და ალბათ უკვე უჩივთ კიდეც ჯანმრთელობას. თუ არა, მაინც სასწრაფოდ შეცვალეთ ცხოვრების სტილი, თორემ თქვენი ორგანიზმი მეტს ვეღარ აიტანს!..

საათის განმენდა სახისყო საქმეა

დადგა ლონდონის სახელგანთქმული საათის – ბიგ-ბენის განმენდის დრო: უკანასკნელად, მისი გასუფთავება 1995 წელს მოხდა. აღსანიშნავია, რომ პროფილაქტიკის მიზნით, საათი არც მაშინ გაუწერებიათ და არც ახლა გააჩერებენ. ამრიგად, ალპინისტების წინაშე საკმაოდ რთული ამოცანა დგას: ისინი არ უნდა შეეხონ ისრებს, სხვაგვარად, დაირღვევა ზუსტი დროის ჩვენების მექანიზმი, ხელახლა მის ასაწოებად კი, სულ ცოტა ერთი კვირა მაინც არის საჭირო. თავის დროზე, სწორედ სიზუსტე იყო უმთავრესი მოთხოვნა, რომელსაც ამ საათს უყენებდნენ. საათიანი კოშკის აგებაზე პასუხისმგებელი კომისია, რომელიც პარლამენტის 1844 წლის გადაწყვეტილებით შეიქმნა, მოითხოვდა, რომ ზარის პირველ დარტყმას, წამის სიზუსტით დაეფიქსირებინა ყოველი საათი. საათის ზარი 1851 წელს ჩამოასხეს, კოშკურაზე მისი აღმართვა კი მხოლოდ 8 წლის შემდეგ – 1859 წელს მოხდა.



განცხადება

„გზის“ ერთგულ მკითხველს — ნათია ტყემალაძეს ვთხოვთ, დაგვიკავშირდეს ჟურნალის რედაქციაში.

მეხის გამიშვება ალახ ჯახიმდება

იტალიის სასამართლომ გადაწყვეტილებით, ამერიკელ ქალებს ოფიციალურად ეძლევა უფლება, პლაჟზე შიშველი მკერდით გამოვიდნენ. აქამდე იტალიურ პლაჟებზე ასეთი „კოსტიუმით“ გარუჯვა კატეგორიულად იკრძალებოდა და ურჩ გოგონებს, საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისთვის აჯარიმებდნენ და პატიმრობითაც კი ემუქრებოდნენ. ახალი გადაწყვეტილებით სასამართლომ დაადასტურა, რომ ქალის მკერდის გამიშვლება აღარ შეურაცხყოფს საზოგადოებას, რადგან: „თუ მისი დემონსტრირება სექსუალურ-ეროტიკული მიზნით არ ხდება, ეს აქტი არ შეიძლება სამართალდამცავ ორგანოებში ჩივილის საფუძველი გახდეს“. ეროტიკული ქვეტიქსტით ხდება მკერდის პლაჟზე გამიშვლება თუ არა — ამას იტალიელი პოლიციელები გადაწყვეტენ. იგივე ქმედების ჩადენა საზოგადოებრივი თავშეყრის სხვა ადგილებში კი კვლავ აკრძალულ ქმედებად ითვლება.



ტედე-ხოლა-ბანკომატი

ვინ არ იცის, რომ პროგრესი შეუჩერებელი რამ არის, მაგრამ მოგებისაკენ ლტოლვით ნაკარნახევი მეწარმეთა გამოგონებლობა ზოგჯერ ჩვენი ფანტაზიის საზღვრებსაც სცილდება. ალბათ ამგვარ სიახლეთა რიგს უნდა მივაკუთვნოთ ამერიკული კომპანია „კოკა-კოლას“ ავტომატები, რომელიც მან ცოტა ხნის წინ ბერლინის ქუჩებში დადგა: ის არა მარტო გამაგრილებელ სასმელს, არამედ უამრავ სხვა, „დამატებით“ სამსახურს შემოთავაზებთ, მათ შორისაა: ტელეფონით დარეკვა, საკრედიტო ბარათის განაღდება, ელექტრონული ფოსტით სარგებლობა, ქალაქის რუკაზე თქვენთვის საჭირო ღირსშესანიშნაობის მოძებნა.

ქართული „გზა“ ახსნაღეს კონკრეტს „ორიგინალური რუბრიკა“

ნავისიერი ჟურნალისტს (ბრატუნალისტსაც) შუაქლია წარმოადგინოს ჟურნალის გვირდის ან რუბრიკის ორიგინალური ვარიანტი. კონკრეტში გაბარჯივებულავი უზრუნველყოფილი იქნებიან სტაბილური სამსახურით (შესაძლებელია ერთჯერადი ანაზღაურებაც). რუბრიკის იღვა და შინაარსი ბთხოვთ წარმოადგინოთ წერილობით, რედაქციაში, ან გათხოვავთ „კვირის პალიტრის“ („სტამბა და საჭმის“) საფოსტო მუთავის საშუალებით.

ინფორმაციისთვის დარეკეთ: 33-50-32

რედაქცია მადლობას მოახსენებს ყველას, ვინც ჩვენს განცხადებას გამოეხმაურა და ახალ წინადადებებსაც მადლიერებით მიიღებს.

ფანტაზია • ფანტაზია • ფანტაზია • ფანტაზია

ჩვენი ჟურნალის წინა ნომერში შემოთავაზებული რუბრიკის — „ფანტაზიის“ პასუხად მკითხველთა მიერ გამოგზავნილი ქვითრების მიხედვით, გაიმარჯვეს ქალბატონმა ირინა სარიშვილმა და ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ.

ვულოცავთ ქალბატონ ირინას და ბატონ ედუარდს და ვუსურვებთ წარმატებებს!

ას(ლ)ეპი

(მკითხველის გვარი, სახელი)

(ცნობილი პიროვნებები)

ამ რუბრიკით თქვენი წარმოსახვის გაგარჯიშებას გთავაზობთ. გაითვალისწინეთ ჩვენი კომენტარი და ფოტოზე აღბეჭდილ სახეს ის ცნობილი პიროვნება მოარგეთ, რომელიც ყველაზე მეტად მოუხდება. ჟურნალის შემდეგ ნომერში ფოტო იმ პიროვნების სახით გამოქვეყნდება, რომელიც ყველაზე მეტ ხმას დააგროვებს. გთხოვთ, შეავსოთ ქვითარი და პასუხები გამოგვიგზავნოთ, თბილისში განთავსებული „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ქვითარი ჩააგდეთ სამშაბათის (11 სექტემბრის) 13 საათამდე.

**„ფანტაზია“
ას(ლ)ეზი**



**„ფანტაზიოკოვს
აკითხველი“
ისევ ერთად
იქცევიან ვაჟი**



6 99/30



გვ. 36

**რას უნდათ გულგარედი
ქალის ღიმილი ქართვალ ტურისტს**